

УДК 62-50  
62-50/001

649  
1958/4

Самозвон

4



## შურნალი

საქართველოს ალკა ც. კ-სა და  
მწიბრალთა კავშირის ორგანო

### შ ი ნ ა ა რ ს ი

|  |     |
|--|-----|
| ბ. ძნელაძე — დიადი აღამიანი (ლექსი) . . . . .                              | 8   |
| ი. გორა — წითელ შოედანზე (ლექსი. თარგმნა<br>მუხრან მაქავარიანმა) . . . . . | 4   |
| ბ. ჩხეიძე — მწვანე ხოდაბუნი (რომანი) . . . . .                             | 5   |
| მ. ლეგანიძე — ლექსები . . . . .  | 30  |
| რ. ბერძენი — (ლექსები. თარგმნეს თ. ერისთავმა<br>და ფ. ბერიძემ) . . . . .   | 35  |
| რ. ბეჟანიშვილი — მზე შინა (მოთხრობა) . . . . .                             | 39  |
| პ. ჰინიძე — ლირიკა (გერმანულიდან თარგმნა<br>შ. ამირანაშვილმა) . . . . .    | 64  |
| ლ. ხაინდრავა — მოკარაღებული მოწმე (მოთხ-<br>რობა) . . . . .                | 67  |
| ზ. გოლჭავაძე — ლექსები . . . . .   | 101 |

### კომკავშირის სახელოვანი 40 წელი

|  |     |
|--|-----|
| ა. იმედაშვილი — იბრძვის კომკავშირის ძველი<br>გვარდია . . . . . | 104 |
| ზ. ბელოვანი — ქარიშხლიანი დღეები . . . . .                     | 107 |

### კრიტიკა და კუბლიციტიკა

|   |     |
|---|-----|
| დ. კაკაბაძე — ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობის<br>კომუნისტური აღზრდის შესახებ . . . . .               | 110 |
| ბ. მარგველაშვილი — სიმონ ჩიქოვანი . . . . .   | 115 |
| ბ. გვენეტაძე, ილ. ტყეშელაშვილი — მაქსიმ<br>გორკის პირველი ჩამოსვლა. საქართვე-<br>ლოში . . . . . | 125 |

### წარსულის ფარფლის ქვეშ

|   |     |
|---|-----|
| თ. ჩიქოვანი — რუსული კულტურისა და ის-<br>ტორიის მემკვიდრე . . . . . | 126 |
| ბ. შოშიაშვილი — ურბნისი — საქართველოს<br>უძველესი ქალაქი . . . . .  | 133 |

7760

# 4

# 1958

## აკრილი

სახელმწიფო  
გამომცემლობა  
„საბჭოთა  
საქართველო“





**ხელოვნება**


**ლ. ურულაშვილი — სცენის ვალოქარი . . . 141**

**სპორტი**

**ბ. ბუსლაშვილი — საქადრაკო დაფასთან და კუ-  
ლისებში . . . . . 147**

**უოკველი მხრიდან**

**ნ. კოჭლაშვილი — შვიისწავლოთ და გამოვა-  
მზეუროთ . . . . . 153**  
**ჭრონიკა . . . . . 155**  
**ახალი წიგნები . . . . . 160**



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

- თ. ბადურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,
- ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.



ღიადი აღაზიანი

ღიადი ლენინი

საზღვარგარეთ ცხოვრობდა ხშირად,  
მაგრამ უფელთვის  
ნეტროგრაფის მუშათა შორის  
იმყოფებოდა  
საუფარელი ბელადი ჩვენი!..

ქ—

ქენუაში ათეუბდა ღამეებს. თეთრად,  
რათა განთიადს განდევნა  
რუსეთის ღამე...

ღღეს—

აღმფრენით არის სასე ცხოვრება ჩვენი!

ღღეს—

ფარსკვლავებმაც ისწავლეს ფრენა!..

ღა როგორც მაშინ:

ნეტროგრაფის მუშათა შორის

იყო ლენინი—

როცა იგი ქენუის ღამეს

ხალხებზე ფიქრში ათედა თეთრად,—

ასევე ღღესაც:

ჩვენს შორის ვხედავთ,—

უუდაიადეს— უდიდესთაგან,

უუსუფარლესს— საუფარელთაგან,

კატობობობის უკვდავ შვილს— ლენინს!





# იოსებ გორა

(ჩეხოხოლოვია)

## წითელ მოედანზე

ირვფლივ აგურის შენობები  
 ბრწყინავენ წითლად...  
 შეპურვილია მოსკოვი ნისლით...  
 თოვლის ფანტკლი  
 ფესკარეფით ეშვება ციდან—  
 ფხისეული ძილით  
 აქ ლენინს სძინავს...  
 ქალაქი ბრწყინავს...  
 ქალაქი ბრწყინავს...  
 ჭყრში ფღერენ სიტყვები მისი.  
 დიდი ღუმელი  
 დაწოლილა რუსეთის ველად.  
 შორიდან უხმოდ ტხიხინებენ  
 სკვითთა ჭუნენი,  
 ბარდნის და ბარდნის  
 და ილიჩის მძლე გულის ძგერას  
 ნაბიჯს  
     უწობენ  
             საუკუნენი.

თარგმნა მუხრან მაჭავარიანმა





ბოჩის ჩხიძე

# ქვანე ხოლმეხნი

რომანი

თავი პირველი

ბილიკი ზედ შუაყანაზე გადიოდა. დაუღალავად მიაბიჯებდა დედაკაცი. ზანდახან ტერფში უშნოდ მოხვედრილ ბელტს ქუსლს გაკრავდა და ფშვნოდა. გეზი ქვემოთ, მინდვრის დასალიერთან მწკრივად ჩარიგებული სახლებსაკენ ჰქონდა აღებული. სწრაფად უახლოვდებოდა მიწანში ამოღებულ ადგილს. ეს კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმის შენობები და ეზო-გარემო იყო.

კაცი ძალუნებურად მიაქცევდა ყურადღებას ბილიკზე მარტოდ მიმავალ ქალს. კოხტად მიგოგმანებდა, აშოლტილ ტანზე მზისაგან გახუნებული, გამიზაკისფერებული ძაძები ემოსა. ბროწეულის კანივით დაბრაწული ფუნთუშა ლოყები ოდნავ ერწეოდა. მოჭიდავესავით გაშლილი მხარბეჭი შნოიანად მიჰქონდა. ვასართობად, საკუთარი სიცოცხლის საამებლად, ახალგაზრდობიდან გონებაში დღემდე შერჩენილ მოსათვალავს — „ნაძალადევი სიყვარულს გულში ვერ ჩავიკარებო“ — მარცვლავდა და სიტყვებს აგრძელებდა, ძალზე აჭიანურებდა. სასიმღერო ლექსს თავისთავად დაბადებულ, გუნებისად გაჩენილ ჰანგს უწყობდა, ასე ღიღინით იმოკლებდა მანძილს, იადვილებდა გულის ტვირთს.

პირველი შემხვედრი სრულიად უცნობი იყო, იმ ქალის დანახვის უმალ მოჯადოებულებით გაშეშდებოდა. მერე, შეზღავდა თუ არა მისი სახის იერს, ადვილად დასაკენიდა, რომ ეს ყუავივით შეკვებით შემოსილი ქალი ქვრივი უნდა ყოფილიყო, რომელსაც დიდი ხანია თავიდან და გულიდან დარდი მოეცილებინა. ამას კაცს აფიქრებინებდა ოდნავ წამოწეული ყვრიმალები, დაეღაჯა ლოყები, უნაოკო შუბლი, იქვნეულად მოციმიციმე თვალები, აღმასისებური ელვარებით რომ გამოუკრთოდნენ საქვრივო თავშალში მაგრად გამოკრულ-გამოკოპიტებული პირისახიდან.

ბილიკი თანდათან ილეოდა. ახლა ქალს ფერმიდან მხოლოდ ღობე აშორებდა, რომლის ძირში, გადასასვლელზე, ვილაცას კორძებიანი მძიმე ჯირკი დაეგდო. ქვრივმა ახედ-დახედა საბიჯარს, კოპები შეიკრა, არ მოეწონა ნამუშევარი.



ჩინდლებმა ტანსაცმელი არ დამიხიოსო, ხელის მოქნევით ჯირკს ხნულში გადაუძახა და მინც იოლად გადააბიჯა ხიმეებს. მალე ფერმის წინა შენობის კართან შედგა. თავშალი ხელის ერთი ჩამოკვრით მოიგლიჯა თავიდან. ღობეზე გადასულმა თავზე ხელი გადაისვა. შავი, გახუნებული ფორა კაბის კალთები, ორივე თეძოს კოტორტების გასწვრივ რომ ამოეწია და სათავეში ჩაებნია, რის გამოც მიტკლის ქობა-არშეებით შეჯღონჯლილი ქვედაწელი თეთრი ლამპასებივით მოუჩანდა, ერთბაშად ჩაიშალ-ჩაისწორა. ერთი სიტყვით, მოემზადა სასტუმროდ. ყველაფერი რომ წესიერად ედგა ტანზე და თავსაც ჯანზე გრძობდა, ეამა. ახლა ერთი წუთით შედგა. სული გატვრინა, ფერმის პირველი შენობის კარსა და ფანჯარას თვალი და ყური მიაპყრო. გაცდა ქერივი. შენობის იმ განყოფილებიდან, სადაც მასპინძელი ეგულებოდა, ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ნუთუ არავინ იყო? „ჰეი, მასპინძელოს“ დაძახება თავის დამცირებლად მიიჩნია. „ჩემით კი არ მოვსულვარ, მომიწვიეს, რა ნამუსი აქვთ, რომ არავინ მეგებება“ — გაიფიქრა. ამიტომ კისერი კარისაკენ წაიგრძელა და მკვახედ ჩაახველა. ამით თითქოს აცნობა მას, ვინც სახლში იყო და მას ელოდებოდა, ფეხის ხმა მინც როგორ ვერ გაიგონე, გამომხედე, გამომეგებე!.. აქ ვარ, გარეთ, სიცივეში, ნახე, ვინ გეახელიო.

მართლაც, გასჭრა ხერხმა. დაუძახებლად გაიღო კარი და სრულიად ახალგაზრდა ქალმა გამოიხედა. მან უმაღლე იცნო მოსული.

### თავი მორაი

— ვინ მოჭორა, არ მოვაო! — შესძახა მასპინძელმა სტუმარს და გადაიკისკისა. სახეზე დიდი კმაყოფილება გამოეხატა. განთიადიდან აქამდე ელოდა, თვალი ეზოსაკენ ეჭირა, აბა, როდის გამოჩნდებაო. გაეგება, ხელი ჩამოართვა.

— ჰანდე! — ამოიღო ხმა მოსულმა. — შენს გადამკიდეს ფეხი სხვაგან არ წამიცდა, თორემ, იცოცხლე, ჩემი შვილების გახარებამ, ყველგან ბევრი საქმე მაქვს. შენ ხატრს კი ვერ გადავაბიჯე. მოვედი, მა რას ვიზამდი! გული გამიწყალე ჩიჩინით, ფრინველი ნახვეარფასად მელუპება, ვზარალობ, არ დამაღალატო. ჰოდა, რაკილა ასე შემოჭერილი გაქვს თავზე გვერავი, მოვედი! არ გავტეხე შენთვის მოცემული სიტყვა. დაპირება დაპირებაა, ქაბატო! გამოგწიე შენსკენ წიწიბურივით. შინ ნაქსოვი შალივით გაეთელე ამოღენა გზა. ახლა აგერ ვარ, ფერმაში, შენთანა, თითქოს ერთი ქვედურეთელი ციციშვილის ქალბატონი ბრძანდებოდე, ჩემი საკუთარი ფეხით გეახელი. ახლა შენ განკარგულებაში ვარ. ვნახავ, რა თულეხს დამადგამ თავზედა, ვნახავ! ასე მოვიქეცი, ხედავ!

— ვხედავ, ვხედავ!

— მერე რა, რომ ხედავ? ავანგალა განგალა, თქვენც ერთი რალა, ფაიტონი მომაშველეთ!

— ფაიტონი კი არა, კარეტა! აბა, მაგეთები ჩვენს კოლმეურნეობას სადა აქვს! ეტლი ჩვენთან დიდი ხანია თვალთ აღარავის დაუნახავს. ბრიგადირებიც კი ფეხით დაიარებიან ყველგან.

— ისემც გაგიძლია! ძველ, იმ ცხრაჯერ კისრულნაქნარ „ემასაც“ სიამოვნებით დაგვერდებოდით. აბა გამოგეგზუნათ, თუ არ ჩავჯდებოდი შიგა? დაგიჟინათ, ვერ დადის, ღერძები დაუცვდა, კამერები და შინები დაუსკდა, დაძველდა, ჯაბახანაო. საბუთი მაქვს, არ დაგიჯეროთ. მე ჩემი წყვილი თვალთ ვნახე, თქვენი თავმჯდომარის ცოლი აგერ გუშინწინ შიგ იჯდა. იმ „დანჯღრეული“



ჯაბახანა „ემათი“ ლაჯებში გამოივლო რიკოთის უღელტეხილი. ქვემო კალთას დაჰყვა, იქიდან ალალივით ჩაუქროლა ხეფინიხევს, გრივალათში გომიჯი მიირთვა, ვერტყვიქალის მარანში დახალულ წაბლზე ციციშვილების ციქას მოუღბინა. შეკრება ქალები და ამალასავით უკან აიღვენა. კოზმობას, ექვს გიორგობისთვეს, ამაშუკეთის თავზე, კოზმის წვერზე აბრძანდა. მანქანიდან ფეხიცი არ ჩაუდგამს ძირს, მას გაუწყრეს მისი ძველი სალოცავი, თუ სადმე აქვს ძალი და მადლი. ვთქვათ, თქვენს ძველ „ემაში“ დუნდულებს თავმჯდომარის ცოლის მეტი ვერავინ ჩატევს! დაე ასე იყოს, ასე ვინაგარიშოთ. განა სხვა გამოსავალი არა გქონდათ? გქონდათ, დიახ, მე გეტყვი რა შესაძლებლობაც გქონდათ: სატვირთო მანქანები გამოგვლიათ თუ! მაშ, გაგეფრთხილებიათ ჭარხლის საზიდარი სამტონიანი მანქანის შოფერი და ის იყო. შემომივილიდა, კაბინაში ჩამისვამდა, მომიყვანდა. ოღონდ თქვენ ჩემთვის ხათრი გაგეწიათ და... ოღნავ გონება გაგერხიათ, ყველაფერი რიგზე მოეწყობოდა. გაგიგონია! ვის გაახსენდი... აბა, ფინგანის გამგე ყოფილიყო საიდანმე მოსასვლელი? სულ ფაცფუცით კარზე მიართმევდით იმ ეშმაკის გორგოლაქსა, აჰა და, წამობრძანდით. აკი ისიც ქალია, ჩემსავით. ეს რა ვთქვი, ჩემსავითაო: უფალო, რასა გავს, ქალი კი არა, მუხრანული ჯოჯოა, ღმერთმანი. მისი ლოყების ნაოკებში გომბეშოები დაიმალელებიან, გოჯიჯიან შავ ხელებზე ხახვი ამოუვა. მაგრამ, რა გაეწყობა, თურმე მჯობია. იმიტომ რომ გამგეა და ძველად ნასწავლიო. მართლა, აკი გამახსენდა, რა მიქნა იმ სამიწემ. ერთხელ მომადგა კარზე, ამიხირდა, უნდა დაგებგროო. იცოცხლე, მე ის ვიფრინე, სულ კუდით ქვა ვასროლინე. აკი განგებამ დამბეგრა, ქვრივი ვარ, მეტ რალა ხარკს მახდევინებთ-მეთქი. ასე გავისტუმრე არამკითხე სვინა შინ. ჰოდა, რაკილა არა მამაშველეთ რა, არც ეტლი, არც მეტლი, მეც ავდექი, ქუთაის-თბილისის გზატყვიცოლზე გავედი. დავდექი ასფალტზე და ვიცდი. ხელი ავწიე, ახალციხიდან მომავალი კარტოფილით დატვირთული მანქანა გავაჩერე. დავაჯექი ზემოდან ტომრებს. მგონი, შოფერს, ის კი მოუკვდა მის ცოლ-შვილს, არ მოვეწონე. ისინი ხომ სულ შენისთანა ონტკოფასავით გოგოებს უპრაფავენ თვალებს, თორემ კაბინაშიც თამამად ჩავეტეოდი. ვაი, რა დღეში ჩავევარდი! მოჰქრის მანქანა ტრიალ მინდორზე. მე ზემოთ ვარ შესკუპებული მთის ნიშვითა. კახურიდან ქარმა შემომიტია, მტკვრიდან — ჭირხლმა, ციდან — რთვილმა, ქვემოდან კი ცივი კარტოფილის მახათებმა დამიწყო ჩხვლეტა. აბა თუ ქალი ხარ, გაუძელი ამისთანა განსაცდელს. სიცივემ კინაღამ ტარბუკა სოკოსავით ამიყვანა. ამ ყოფით, როგორც იქნა, რკინიგზის სადგურამდე მივალწიე. იქ კინაღამ კალისავით გავგლიჯე შოფერი. მე ცეცხლი მეკიდება, ფილტვების ანთება არ დამემართოსთქო, ის კი... განზე გამდგარა მატარაზივით, დონიჯი შემოუყრია და ეშმაკივით მეღრიჯება ერთი კვირის გაუპარსავი პირით: „ჰა, ძალო, როგორ მშვიდობით იმგზავრე, თავს ხომ კარგად გრძნობ“. უნდა აილო და კამეჩის ფუნა ან მკვდარი კატა დაათხლიშო თავში იმისთანა ლაზღანდარას. მერე ის იყო მატარებელში ავედი აქეთ წამოსასვლელად. მაშინვე ვაგონის საღუმელეში შევძვერი, ქვანახშირის ცეცხლს მთლად გაეწითლებია თუჯი. რალა დასაფიცია, წამოვიხადე კაბა და თეძოები ღუმელს მივუფიცხე, ასე მოვსულიერდი, თორემ ცუდად იყო ჩემი საქმე. ასე გავთბი-მეთქი და, როგორც ხედავ, მშვიდობით მოვალწიე მოსალწევამდე. ახლა შენ მიპატრონე აქა, მასპინძელი შენა ხარ!

— ჭკვიან კაცს უთქვამს: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, ესეც მართალია. გერჩია პირდაპირ გადმოსულიყავ ყანებზე ბილიკებით. ასე პირდაპირ, ხოდაბუნე გადმოვლით ფქვილის სასესხებლად დადიან ქალები. მაშ



რა ძალა გადგა, რა გრჯიდა, რომ აქ მოსასვლელად ოც კილომეტრზე უშვარე? — შეეკითხა ოდნავ დაცინვით ახალგაზრდა ქალი.

— ჰმ, რად შემოუარე, რა გრჯიდაო! აკი გითხარი, არა მამაშველეთ რამეთქი და იმიტომ... თქვენ ჯიწნე, ერთი სიტყვით, ასე იყო, თუ ისე, ჩემი ჭია შაინც ვავახარე. ფეხით, ავტომობილით, მატარებლით სიარულში თვალი გადავავლე ამ ჩვენ მხარეს თოვლის ჩამოყრის წინ, რთელიანზე. თვალში ნათელი ჩამიდგა, მუხლსა და მკლავში ღონე შევიმატე. ვითომ ცუდად მოვიქეცი? არ მომიხდება? არ შემფერის? კარგად შემომხედე! რა მაკლია? თელის ძელივით კასალი ვარ. მომიყენეთ ვეერღზე რომელი პატარძალიც გნებავთ ხაზრეთიდან. რაშიც გინდათ გამაჯობრეთ. კა... კა... კი... კი... თუნდაც პატარძლის განსაცდელში... და მაშინ ვნახავთ, ვინ მოიგებს სანაძლოს. ვიცნობ ჩემ თავსა. აკი ბრალიან-უბრალოს ყველას კისერს ვადრეციანებ ჩემსკენ, როცა ერში გამოვდივარ. ხომ კითხულობენ, ნეტავ ეს ვინ არის, რომელი ფარშევანგიაო.

— უიმე, ეგ როგორი ენა გქონია! — შემოიკრა ხელები ლოყებზე ახალგაზრდა ქალმა.

— თუ უხეშობა გინდა მითხრა, მართლა ცოტა უხეში ენა მაქვს, მაგრამ ესეც საჭიროა. ამნაირი ენით ხანდახან ისეთ ყვაევებს ვუსწორდები, რომლებიც ნისკარტით ლეწმ ძიჭნიან, კუდი კი მაღლა აუპრეხიათ, თელვამი კაბაკუბაზე არ მომეცხოსო. მართალია, ამით ჯიღები თავზე ვერ დავიდგი, მაგრამ მაგის დარდი არ მაქვს. როგორც იქნება, ვავსწევ-ვაუთარე ჩემ ჭაანს, ჩემ წილ ცხოვრებას, ჩემთვის მოკუთვნებულ სიცოცხლეს ჩემ გუნებისად დავლევ. ასეა, ჩემმა მზემ, ჩემმა გახარებამ. ამის მეტი, რასაც მხედავ, არა ვარ რა. ასეთი გასწორ-გასწორა ადამიანი და ქვრივი თურმე აკი დაგჭირდით. მერე ვისა, თუ იცა? ხაზრეთის განთქმულ კოლმეურნეებს. გაზეთები აპრელებულია თქვენი ქება-დიდებით. თქვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე კი როგორი ფრინველია, შენ უკეთ მოგეხსენება. მის უნებურად ბელურასაც კი ვერავინ აუქშევს საზვინედან. ამას დაუკვირდი, გენაცვალე, გოგონი, აწონ-დაწონე, აზრი შეიღვინე თაფლოზე და დაასკენი: არც ისე ცუდად მქონია საქმე ბულაშვილიანთ ქვრივს. არა, ღიმილს არ მოვგვრი ჩემ მტერსა და ორგულს ტუჩ-კბილზე.

— ეგ ყველაფერი ავრეა, ძალო თაფლო. ყველაზე უფრო შენში ის მომეწონა, რომ სიტყვის პირნათლად შესრულება გცოდნია. დიდად მხიბლავს ადამიანში ეგ ზნე. ჩვენმა ქალებმა მითხრეს შენზე: არაფერს დაგპირდება, ოღონდაც თუ დაგპირდა, სიტყვის გატეხვა, პირის ქცევა, თუნდაც სახლი დაიწვას, მისგან არ იქნებაო. ეგეთი ადამიანის ჭირიმე, ქალი იქნება იხ, თუ კაცი. ისიც მართალი ბრძანებაა, რომ ხაზრეთის კოლმეურნეობას ძალიან დასჭირდი. მერე როგორ დასჭირდი? დღესდღეობით შენს იქით გზა არსაით მაქვს.

— გაიხარე, გაძლიერდი, მათა... — გაავრძელა კმაყოფილად თაფლომ. შექება ძალიან ენაბ. სიამოვნებით მხრები აიჩეჩა, თავი ასწია, ვეებერთელა მკერდი წინ გამოავლო და ასე, გაჯგვიმულმა, რამდენიმე ნაბიჯი წაიდა წინ. ფერმის ზღურბლს შესასვლელად ფეხი დაადგა, მაგრამ უეტრად უკან დაიხია. ახალგაზრდა ქალი კარში იღვა და შიგნით არ უშვებდა.

— დეიდა, ძალო თაფლო! — წარბშეკვრით მიმართა ახალგაზრდა ქალმა. — რა ვქნა, მშობლის კუბო არ დავიღვა, დედაჩემზე ნაკლებ არ მეხატრება შენი, მაგრამ გეხვეწები გამიგონო: ფერმის შენობაში, სადაც წვრილფეხობა მყავს, აგრე ვერ შეგიშვებ.

— რა ვქნა, რატომ ვერ შემიშვებ ასე, ვითომ რა მოხდება? ეგ შენი ფერმა ოქროულის ქარვასლაა, თუ მაცხოვრის აღსავლის კარი? — გაოცებით და წყე-



ნით წამოიძახა ქვრივმა. გულმკერდი, კაბა-სარტყელ-ფეხსაცმელი შეითვალე რა; რადგანაც ცული ვერაფერი უბოვა ვერც ტანისამოსს, ვერც თავის აღნაგობას, გული მოუვიდა, ნეტავ რას მიწუნებს ეს გუშინდელი გომბიო. იქ არ ვიყავი, ხეთაგურიანთ დედაბერმა ბოსლის ზღვედან რომ აიყვანა, დამკილულ ხოჭოზე გადააკრა. ძეობაში ვადაკრული ღვინის გემო ჯერაც არ გამქრობია პირიდანაო.

— ამას რას მოვესწარი უფროსი უმცროსისაგან, ეს რა დღეში ჩამაგდე, გოგო, შე გასაქრობო! — შეუცაცხანა, რაც ძალი დარჩენოდა.

— დეიდა თაფლო, — დაუტკბა ახალგაზრდა ქალი, — ჩენი მეფრინველეობის ფერმა შენი გასათხოვრობის დროინდელი ოჩოფეხებზე შედგმული, შქერის წწელით მოწნულ-მორავგული საქათმე კი არ გეგონოს. მალე ყველაფერს შენი ლამაზი თვალით ნახავ, ეგრე კი, როგორც გხედავ, შენი ფერმაში შესვლა არ შეიძლება!

— რა მითხარი, ლამაზი თვალებიო? — გაუტრიზავა თაფლომ სიტყვა.

— დიახ, აგრე გითხარი!

— ბალანი ამოგსვლია ენაზე და ის არის... აგრე დაყვავებით არა გამოგივა რა... მაინც რას მიწუნებ, გო...

— ჩაცმულობას გიწუნებ, მეტს არაფერს, ეს არის და ეს.

— ჰი... ჰი... ჰი... ჩაცმულობას?! — ჩაიბურტყუნა ქვრივმა და საგონებელს მიეცა. ახლა აღარ ეძალეობდა შინ შესვლას, თუმცა ეზოში ძალიან ციოდა. რა უნდა, რას მოითხოვს ჩემგან ეს ახალგაზრდა ქალიო, ფიქრობდა. თავს ვერაფერი წუნი დასდო. ეს მოგონილი მიზეზია, აბა, საქათმეში სხვა რა რიგ ჩაცმა არის საჭირო. ერთხელ კიდევ დაუკვირდა თავის ტანსაცმელს. მსუქან უბეებში ჩამალული ეშმაკური თვალები მომიხნესავით კიდევ უფრო მოკუტა. ასე, ცალით გახედა ახალგაზრდა ქალს, რომელსაც აფთიაქის ბამბასავით თეთრი, გახამებულ-გაუთოვებელი ხალათი ეცვა; კიდევ უფრო თეთრი თავსაფრით კი თავ-კისერი გაეკრა. უეცრად გაჰკრა გონებაში: უთუოდ ასე თეთრად გამოწყობას მთხოვენ ფერმაში შესასვლელადო.

— კა... კა... კი... კი... — დამქდრეულად გადაიკისკისა. — თუ გინდა, ქაჯან, ახლავე შინისაკენ მოუსვამ. არა, რას მიწუნებ, დღეობაზე მიმავალივით გამოვეწყვე, შეილებს გეფიცები, ამის უკეთესი, რაც ტანთ მაკვია, შინ არა დამიტოვებია რა. ვერ მივმხვდარავარ, რად მამბობრუებ. ჩაცმა-დახატვას გიწუნებო? განა ეს დასაწუნია?

თაფლომ ზედა და ქვედა კაბებს ერთად წამოიკრა ხელი და ბალერინასავით ცალ ფეხზე შემოტრიალდა, რის გამოც არშიებით მორთული თეთრი ქვედაწელი სასროლ ბადესავით გაიშალა.

ახალგაზრდა ქალმა პასუხის გაცემა ზედმეტად მიიჩნია, მშვიდად მიბრუნდა ღია კარში შესასვლელად. შევიდა და მალე კარი მოკეტა შიგნიდან. თაფლომ გადასწყვიტა მოეცადა, ენახა, რაც მოხდებოდა, დანებდა ახალგაზრდას, მაგრამ ისე, ენის მოსაქაველად მაინც აქაქანდა:

— შეგაჩვენოთ გამჩენმა. თუნდაც სულ არ დავადგამ ფეხს ხაზრეთლების არემარეზე. რეხები, ჩემი ქმრისა და შეილების სოფელი, როგორ... ხაზრეთზე ნაკლებია თუ? თავში იხალეთ თქვენი ფერმა. ჩენი თავმჯდომარე რომ ვარგებულებიყო, მაგაზე ნაკლები გვექნებოდა რეხებლებს? ახლა თქვენა გაქვთ და ამაყობთ. გასაგებია. თუმცა რა მოხდა ისეთი? დიდი არაფერი, ღმერთმანი! გასწიე და გამოსწიე — ფერმა ქვია, თორემ ჩვენებურად, ძველებურად, ისევ საქათმე და საბატეა!





კარი არ იღებოდა.

ლეონილა თულაშვილი შინ ტრიალებდა. ხანდახან შეხედავდა კარს, აცა, თაფლო არ შემომეჭრეს თვითნებურადო. გააღო თარო. გამოიღო იქიდან გაუ-  
თოვებული თეთრეული. ეზოში გაჩერებულ ქალს გამოუტანა. მან უყუყამანოდ  
და მოწიწებით გამოართვა ყველაფერი.

— აი, თურმე რისთვის დამაწიე ამოდენა ოპოპოია. თითქოს შინ ამის მი-  
ღება და ჩაცმა არ შეიძლებოდა. — უსაყვედურა ლეონილას.

— შესაძლებელი ბევრი რამ არის, დეიდა თაფლო! — უთხრა ლეონი-  
ლამ, — ვთქვათ, თუნდაც სულ არ ვიცოდეთ თეთრეულის მოხმარება.

— ეჰ, კარგი, შენი ეშმაკი დაე უფრო დიდი იყოს. — თეთრეული გაშალა,  
მკლავზე გადაიკიდა. — ამას, ამ დასაწვავებს, ასე თეთრებს, რა უნდა ვუყო?  
ჩავიცვა? პატარძლად მაწვენ ვისთანმე თუ სხვა უფრო დიდ ოინს მიპირებ?  
არ ვიცი, ჩემი თვალის სინათლემ, სადა ვარ, საქათმეში თუ გულვარდში.

— საქათმეში კი არა, მეფრინველეობის ფერმაში ხარ. გულვარდი კი არა,  
ხეივანი. — კიდევ გაუსწორა ლეონილამ. — ხალათი ტანთ ჩაიცვი. წკვერტებით  
უკან, ზურგზე, მაგრად შეიფსკვენი მარყუჟად. ხალათი მუშაობის დროს არ  
გაგდვრეს. აი, ასე (ლეონილა შეტრიალდა, თაფლოს ზურგზე შეკრული მარყუ-  
ჟი უჩვენა), ჩემსავით კობტად, ლამაზად, საიმედოდ მოეწყვე ხელსაქმისათვის.  
თავსაფრით ყელ-ყური აიკარი. ბეწვი გარეთ არ დაგრჩეს. გაფრთხილებ...

ქვრივი დაფიქრებული უსმენდა. მის არსებაში ორი საწყისი ჩაისახა. პირ-  
ველი: ჰყვარებოდა და მოკრძალებით მოჰკიდებოდა ახალგაზრდა ქალს. მეორე:  
სძულებოდა ის, აბუჩად აეგდო ისევე, როგორც არაფრად აგდებდა ხაზ-  
რეთელ თუ რეხებულ სხვა ტუტუც ქალებს. მისდა სამწუხაროდ, პირველი საწყ-  
ისი ჯობნიდა.

— ჩაიცვი, ჩაიცვი! — მიაძახა ლეონილამ.

თაფლო მოიზღარბა. შეკრულ კანებქვეშ თვალები როგორღაც მთლად და-  
მალა. მარტო ბაიები მოუჩანდა ოდნავ. ისე საბრალო გამომეტყველება ჰქონდა  
ამ დროს, რომ ზედ აღარ შეეხედებოდა. იმ თვალებში, რომლებშიც აქამდე  
უტიფრობა ედგა, ახლა შინაგანი წყენის ფარული გრძნობა ჩასახოდა.

კარგა ხნის დღმილის შემდეგ თეთრეული წკიპად გაშალა, თითქოს ერიდე-  
ბოდა, ამათგან ხურება არ შემეყაროსო. უგერგილოდ დაიწყო სახელურებში  
მსხვილი მკლავების ვაყრა. ზღაზვნით შეიკრა წკვერტები ზურგზე. თავსაკრიც  
დიდხანს აწვალა, სანამ მის წაგრძელებულ ბოლოებს თმის მორგვის ძირად,  
საღუნწეზე მაგრად შეიკრავდა.

— ვაჰ, დეიდა თაფლო, ნუთუ შენ ხარ ასე კარგი და ლამაზი? — გაისმა  
უეცრად ლეონილას ხმა. თაფლო შეაკრთო ამ მოულოდნელმა სიტყვებმა. ასეთ-  
მა მოწონებამ, მოფერებამ, როგორღაც გული აუჩქაროდა, კინაღამ ცრემლები  
წასკდა. ასე კი მოხდა, მაგრამ გულში უკმაყოფილებამ გაჰკრა. „აი უადგილო  
მოწონება. მაგისაგან ეგ რად მინდა. მომესმინა ეს სიტყვები ვინმე ხეირიანი  
მამაკაცისაგან, განა არ აჯობებდა“. აქ იმედიც ჩაესახა: ადვილი შესაძლე-  
ბელია, მართლაც ვინმე შარვლიანსაც ასე გამოწყობილი თვალში მოვხვდეთო.  
შეურხევლად კისერი მოიგრისა, გადაიკისკისა კი არა, ჩაიჭინვინა. სიხარულით  
ცას დაწეულმა აღარ იცოდა, როგორ გამოეხატა კმაყოფილება.

— აი, შენ გაძლიერდი, გო... ქალო, მე პირბნელი აბა რად გეწინააღმდეგე-  
ბოდი, თურმე რად ვიდებდი თავბატიუს. ბარაქალა! ეს რა კარგი რამ მიყავი, გე-  
ნაცვალე გულ-მკერდში. ასე გამოწყობა კიდევაც მირჩენია. არც ჩემი ოხერი  
შავები გამიქუჭყიანდებიან. მგონია... — თაფლომ თვალები განაბა — შესახე-



დავადაც მართლა უკეთესი გავხდი, გეთაყვა. — ერთი შენ გარდა-გახარებდა, მანდ იქნება სარკვე გიგდია სადმე, ის დასამტვრევი იქყიტი. ხოში მაქვს შიგ ჩავიხედო. აბა, დატრიალდი თუ ქალი ხარ. ვნახავ როგორ შევიცვალე, რომელ ნიშნის კანში ამომიყვანევი წასასვლელ აბრეშუმის ქიასავით. წამდვილად ვიგრძენი, ზორბად დამამშვენა ამ დასაწვავმა თეთრებმა.

ლეონილას სიცილი წასკდა. კარს მოეფარა, ჩაიკეცა. დიდხანს ურახუნა შეუბლი თავისი მუხლის კვირისტავეებს.

— ერიპა, — ძლივს უთხრა თავის შეკავების შემდეგ. — ჯერ თეთრეულს ახლოს არ იკარებდი, ახლა სარკვე მომთხოვე, განა! აი, იცოცხლე, მაგაზე ხელს გიწერ.

შექებით აფრენილმა თაფლომ, უფრო კი შეხვედრის ასეთი დაბოლოებით შემთვრალმა, თავი ნაზად მიატრიალ-მოატრიალა, დონიჯი შემოიყარა.

— ასე მოგიხდება, ასე, — ამბობდა თავისთვის ლეონილა, — თასმასავით დამეხვევი ხელზე.

ახალგაზრდა ქალს ახარებდა თავისი გამარჯვება. სარკვეს ფანჯრის რაფაზე მიაგნო. ცხენის ნალისოდენა მრგვალი „იქყიტი“ რედიკულში იდო. ამოიღო, გაფერა, გაუტანა. ქვრივმა სარკვე ძელურის ქიმზე დაამავრა ჭდულში. დაითვალე რა ყელი, მკერდი, სქელი, ამობრუნებული, ძალიან მწიფე შვინდის ფერი ტუჩები. მერე სარტყელით გაკრული წელი და ამოსული მკერდიც ჩაახედა შიგ-ბოლოს ფეხი გაუსრიალდა, კინადაც კოჭი ამოიგდო: თეძობებიც აჩვენა ლაპლაპა მინას. ასე დიდხანს იწრიალა. ნალისხელა სარკვეში სხეულის ყოველი ნაკვთი მუშტრის თვალით გაისინჯა, შეიმოწმა, აწონ-დაწონა.

— კა... კა... კი... კი... ასე ხომ, ჩემმა სიცოცხლემ, ჩემი მშობლების სულის განათლებამ, ბორჯომელ „ხირულეს“ ვგევატ. თავი ნუ მომიკვდება, ამნაირ ჭინჭებს მეც შევიკვრაავ. კარგი რამ მასწავლე, ვა... ქალო, შე ერთი ახმახი ვინმეს კერძო აღრე და მალე!

— იტიტინე! იტიტინე! — ამბობდა თავისთვის ლეონილა თულაშვილი.

თავდავიწყებულმა ქვრივმა რამდენჯერმე გაიარა-გამოიარა. ახლა ფერმის შენობაში შესვლა აღარც კი უნდოდა: მერე და მისი ნება იყო? არა. მან მისი ნება ლეონილას ჩააბარა დღეს. ამას კარგა ხანია მიუხვდა ახალგაზრდა ქალი. მას ქვრივი ხელში ეჭირა ხელქვეითივით. ამიტომაც ახლა გადაბელილი ტირიფივით ჩაკორძებულ თაფლოს, როგორც ჩვილ ბაღდს, ფრთხილად, ნაზად მოხვია ხელები, გასწია, ურმის ღერძივით ბოტა ფეხები გადააბიჯებინა ფერმის კარის ზღურბლზე და უთხრა:

— მშვიდობა ფერმაში შენს შემოსვლას!

— მშვიდობა, მშვიდობა! — მეტი ვერაფერი მოახერხა სათქმელად თაფლომ.

### თავი მესამე

გარეთ ისევ მძვინვარებდა ცუდი ამინდი. ქარი ფეხზე არ აჩერებდა კაცს. ცაზე ღრუბლებსაც თანდათან ემატებოდა. თაფლოს და ლეონილას ახლა აღარ აფიქრებდათ სიცივე. ისინი უკვე ჭერქვეშ იყვნენ, ნელი საუბრით ემზადებოდნენ სამუშაოდ. ითვალეირებდნენ თეთრ ტანსაცმელს, ისინჯავდნენ თავსაფრებს, ხომ კარგად გვადვასო. ორივეს ერთნაირად თეთრი ეცვა ახლა. თაფლო შეცივინებდა თვალებში ახალგაზრდა ქალს, თან იმშუშნებოდა, სქელ ტუჩებს იკვნეტდა, ხელზე ხელის მოჭერით თითებს ატყაცუნებდა. უცნაურ უხერხულობას შეეპყრო ქვრივი. რალაც ახალი მოხდა მის ცხოვრებაში და რა იყო ის, რა მოხ-





და, ჯერ სახელი ვერ დაერქმია. ხაზრეთის მეფრინველების ფერმაში კი იმ დღემდე არ ყოფილიყო. რაღა ხაზრეთის... იმ დღემდე, იმ საათამდე, როცა ლეონილასთან ერთად ფერმის კარის ზღურბლს გადააბიჯა, არც სხვა ასეთი, ან ამის მინაგვანი საკოლმეურნეო დაწესებულება ენახა სადმე. კოლმეურნობაში იგი მინდვრის სამუშაოს ეწეოდა მხოლოდ. შემოდგომაზე და გაზაფხულზე სათვის მანქანას ეჯდა ხოლმე, ზაფხულზე კომბაინის დასდევდა მოსავლის აღების დღეებში. მეფრინველების ფერმა რეხების კოლმეურნობას არ ჰქონდა, თუმცა ქათმებს ისინიც აშენებდნენ სოფლის გარეთ იაქესავით გარჩენილ ძველ ნასაბძლარ-ნაკალოვარზე. ამიტომ ფრთხილობდა, როგორც უცხო სანახაობას, ოდნავ უნდობლად შესცქეროდა ხაზრეთის ახალ ფერმას და ნელ-ნელა ივსებოდა პატივისცემის გრძნობით იმ ადამიანებისადმი, ვინაც თავის სოფელში ასეთი საქათმის დაარსება ითავა. სანახავადაც კარგი იყო ფერმა. თავლოს თვალს ახარებდა და ართობდა.

ფრინველის ანუ წერილფეხის მოსაშენებელი შენობის პირველი სახლი, სადგომი, გრძელი ნაგებობა, რასაც ლეონილა სათავსოს ეძახდა და რომლის კარის ზღურბლს თავლომ ისეთის ყოფით გადააბიჯა, ოთხიოდე შენობის მწყობრის თავში იდგა. სხვა სამი სახლისაგან პირველი გარეგნულადაც დიდად განსხვავდებოდა. მისთვის მშენებელს მიეკრძოება გამოეჩინა: მხოლოდ ეს პირველი შენობა ეცნო მორთვა-მოკაშვების ღირსად. წყლის სადენი ღარის ადგილას სახლს სახურავის ნაპირებზე სხვადასხვანაირად ამოხერხილი ფიციები ეკრა, რომლებიც ღარების მაგივრობასაც კარგად ასრულებდნენ. არშიანი ფიციების შესაყარი ადგილი წვერზე, ხელით გამოთლილი პროპელერით ანუ საქორიანოთი იყო შემკული. დაიძრებოდა თუ არა ნიავე, სწორ კეტზე დამაგრებული მარტივი პროპელერი ატრიალდებოდა, ავუგუნდებოდა.

ეს გუგუნი და ხმაური ფერმაში მომუშავეებს ართობდა. იგი მტაცებელ ფრინველებსაც აფრთხობდა. ლეონილა თულაშვილი კი, როცა გარეთამოუსვლელად მუშაობდა, საქორიანოს ხმით ხედებოდა, როგორ შეიცვალა გარეთ ამინდი და რა სიძლიერის ნიავე უბერადა სოფელს.

ხაზრეთის კოლმეურნეებმა რამდენიმე წლის წინათ რაიონის ინჟუბატორული სადგურიდან მოიტანეს ქულა წიწილებით და ქუქულ-ქუკით სავსე ათიოდე გალია. ასე დაიწყეს და ყოველ წელიწადს უმატებდნენ გამოსაზრდელი ფრინველის რაოდენობას.

განყოფილება, სადაც ახლა თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი თავლო თავს თითქმის შინაურად გრძნობდა, საკმაოდ მოზრდილი ბინა იყო. ამ ბინის წინა ნაწილში მეფრინველე ლეონილა თულაშვილი ისვენებდა ხოლმე ფრინველის მოვლის შემდეგ. ოთახში ნაქარგივით დაზოლვილ-დახატული ჭრელი, კრიალა და მაგარი ფიჭვის იატაკი ეგო. ჰერი და კედლები გაჯით შეელესათ, მერე კირწებოწყლითაც შეეთეთრებინათ. აქა-იქ, კედლის ზემო კიდეებზე, მღებავური ტრაფარეტის მხატვრობა, ყვავილები და წრიული ხაზ-ხეველები მოჩანდა. უკანა განყოფილებიდან წინა ოთახში გასასვლელ კართან საყენკით სავსე ტომრები ეწყო. კედლებს აგრეთვე ამშვენებდა ფიფინაკით ზედ ფრთხილად მიწებებული და ჩამოკიდებული პლაკატები, ლოზუნგები. მათ შორის რამდენიმე ადგილზე მიკრული იყო ფოტოსურათები — უთუოდ მეფრინველეს ნათესავ-მეგობრების სახეები. ერთ-ერთი კედლის მახლობლად იდგა პატარა მაგიდა. მაგიდაზე ხელით ნაქარგი სუფრა ეფარა. ამავე მაგიდაზე ეწყო რამდენიმე წიგნი, რვეული, საწერ-კალამი და ელექტრონის უთო. ყრუ კუთხეებში ერთმანეთზე შეკოლიკებით, მანულის წნელით ახალმორაგველ-მოწნული დიდი გოდრები





ელაგა. მათი ქუქრუტანებიდან თავები გამოეყოთ ყვილში შემოდგომით გავარჯიშებულ მამლაყინწებს. ისინი ცდილობდნენ თავი დაეღწიათ ვიწრო საპყრობილისათვის. ყოყლოჩინობდნენ, ფართქუნებდნენ, შეუბრალებლად თავაზობდნენ ერთმანეთს მახვილ, ბასრ ნისკარტებს. აკი ამიტომ სისხლით შეღებოდნენ ბამბასავით ქათქათა ბუმბული.

— ასე მოწყობილ ბინას ზოგი ადამიანი საცხოვრებლადაც არ დაიწუნებდა. აი თურმე რა პატივში გყოლიათ ქათმები. — შენიშნა თაფლო ბულაშვილმა შინ შესვლისა და მიხედ-მოხედვის შემდეგ.

კალატოზებს, დურგლებს, მებათქაშეებს ლეონილამ ეს განყოფილება სურვილისამებრ მოაწყობინა. თაფლოს მიერ შექება, ნახელავის მოწონება, არაპირდაპირ მას ეკუთვნოდა. განინაურებულმა თაფლომ უბეში ხელი ჩაიყო, ასანთი ამოიღო, გაჰკრა. ბუხარში შეგროვილ ჩალაბულოს, სიმინდის ნაქუჩებს პატრონის დაუქითხავად ცეცხლი მოუკიდა. მალე ავიზგიზებული ალი საამურად აბრიალდა. თაფლო თითქოს ამას ელოდებოდა, კერის მახლობლად დაბალი სკამი მიიღვა, თითქმის შუა ბარძაყებამდე წამოიწია კაბა, შეციკნული მუხლები, წვევები და ფეხები გახურებულ ბუხარს მიუფიცხა. როცა ფეხის სახსრები დაუამდა, შეტრიალდა და ბინის მორატულობის დაწვრილებით თვალთერებას შეუდგა. თვალი გაუშტერა და დიდხანს მიჩერებოდა სამზიური კედლის, შუაგამყოფი ლურჯი ხაზის ზემოთ პურის ფიფინაკით მიწებებულ, ფერადოვანი საღებავებით დასატამბულ სურათს. სურათი ერთ-ერთი პლაკატი იყო. მასზე მხატვარს გამოესახა საღი დედალ-მამალი, მერე — ქვემოთ, თხიპით დაავადებული და სულგაცხებული ქათმები.

— თუ ქალი ხარ, მითხარი, ეს სურათი რის მაქნისია? ქათმების ასე დასახატავად ვის მიეცა წყალში გადასაყრელი დრო? — შეეკითხა თაფლო ახალგაზრდა ქალს.

— ქათმის დაავადების და მასთან ბრძოლის რჩევა-დარიგებაა. ძალიან სასარგებლო ნახატია, ვინაც შესძლებს მისგან რამე შეითვისოს. — იყო პასუხი.

— დარიგება უთუოდ ნაბეჭდში წერია. — გამოსთქვა მოსაზრება ქვრივმა.

— დიახ.

— იღბალი არა მაქვს. — პლაკატზე თვალის მოუცილებლად მოჰყვა წუწუნს თაფლო. — კითხვა არ შემიძლია. არა, რა ვთქვი ეს! კითხვა როგორ არ შემიძლია. წერა-კითხვა დიდი ხანია მასწავლეს ლიესკოლაში. ოღონდ რად მინდა?! არ ვიცი რა მიზეზით — რამდენიმე წელიწადია ვგრძნობ, თვალს თანდათან მაკლდება. მიღალატებს ჩემმა ვარსკვლავებმა. ნაყარი ფუტკარივით მერევე ჩინში ნაბეჭდი. დროით ვერ მივეშველე ჩემ ლამაზზე. სახურუნავმა ძალიან ამიყოლია, კულდანი მორევივით ჩამითრია, ორომივით მატრიალეს. საკუთარი ჯანის სიმართლე აღარ მაგონდება. ერთი წუთის მოცალეობა არ მაქვს, თბილისამდე ვერ ჩავალწიე. მერე თან როგორ მინდა ქალაქის ნახვა — ძნელი გამოსათქმელია ენით.

— ქალაქში სულ არ ყოფილხარ? — შეეკითხა ქვრივს ლეონილა.

— ერთხელ ვიყავი მხოლოდ. ასე მეთექვსმეტე წელიწადში ვიქნებოდი მამაშინ. განსვენებულმა მამაჩემმა წამიყვანა. მგონია ნოემბრის პირველი დღეები იყო. დაჰკრიფეს ბაღში ლენის დასატკობი საგვიანო, ყვითელი სახრავი ატამი. გააესეს გოდრები, დაუდეს ურმებზე, მოუბეს ყვერები. გამოვიდა მამა ეზოში, მეუბნება, თაფა, წამო, ქალაქი გაჩვენო. სიხარულმა ამძაგძაგა. შეეუხტი კოფოზე. გავსწიეთ, სამ დღე-ღამეს ვიარეთ. ღამე ცის ქვეშ ვათით. ქალაქის ნახვის სიხარულით ატაცებულს არც დაღლა მიგრძენია და არც სიცივე. მეოთხე



დღეს განთიადზე გავუარეთ ბოლო დილომს, მზე ამოსული არ იყო, სამუთონა-ლოზე შევედით, გადავლახეთ ვერის ხიდი. მდინარის გაღმა პატარა ვაკეზე დაედქეთ. ამის იქით თურმე ვინ გაგვიშვებს. გადაგვიდგა წინ თოფიანი კაცი. არ შეიძლებაო, გაატუტყვიანებთ ქალაქსაო. დაგვედევნენ ქორ-ვაჭრები. ამოიღებენ ატამს, გასინჯავენ, იფ... იფ...-ო, იძახიან. ეს არის მათი ქება და მოწონება. იპ, იპ, რა ურცხვეები არიან ქალაქელები! უთუოდ კინტოები იყვნენ, ქართველობას გამოწირული ხალხი, თორემ წესიერი, ოჯახში აღზრდილი მამაკაცი იმისთანა უხამსობას როგორ აკადრებს ვისმე.

— მაინც რაო? — ვეღარ მოითმინა ლეონილა.

— შეხე, შეხე, ოხერო, — ეუბნება ერთი მეორეს. — იმ ფეთხუმს (თურმე ფეთხუმი მამაჩემია) ურემზე რა „ტავარი“ უხის? — და ჩემზე აჩვენებს სამიწე თითით.

— ვაა, რა კარგი ნაჭერია!

— არ გინდა, არ შევევაჭროთ?

— როგორ არა, უარი ვინ გითხრა, მაიტა, მაიტა!

— აბა ხილი ეგ არის!

ამას ჩემზე ამბობენ. თურმე ქალაქელებისათვის რაღა მე, რაღა ატამი. მათთვის თურმე ყველაფერი „ტავარია“. მერე ისევ პირველი კინტუა ეკითხება მამაჩემს:

— ჰა, ტეტია, ეგ მტრედი ვინ გიზის ურემზედ?

— ჩემი ქალია.

— როგორ თუ შენი ქალი?

— შეილია.

— შეილი! აბა ნამდვილი ატამი ეგ არის. მაიტა, მოგვყიდე. ფასი თუ გინდა, მაგაში მოგცემთ.

— შენ წმინდის გიორგის ხატს გონებიდან ხომ არ შეუშლიხარ?

— არა, რა დროს წმინდა გიორგია, ძიაჯან, აქ თბილის-ქალაქია, ყველაფერს ფასი აქვს. აი, მაგისთანა გვრიტი კი ყველაზე ძვირი ღირს.

უტიფრად ეუბნება კინტუა, უბეში ხელს იყოფს, ქალაღდის ფულის შეკვრას ჰაერში ათამაშებს და თან მე მომჩერებია.

ცოდვა გამყლავნებული ჯობია, მეც გადავხედე. ვნახოთ-მეთქი, მამაჩემს ჩემ თავს ვინ ევაჭრება, თქვენი ჭირიმეთ, აქ რა ხალხში ვარ-მეთქი. ბიჭად ბიჭს — მოგეცეს ლხენა, არა უშავს რა. კარგია თვალად. ოღონდ რად გინდა: სიტყვა-პასუხი არ უვარგა, ნამუსის ქული არ ხურავს იმ ჭირმყრალს.

— ჰა, რას გაჩერებულხარ ბაყყუშვით. ფული აიღე, მოვრდგდე! — არ ეშვება კინტუა მამაჩემს.

— აქედან დამეკარგე, თორემ...

— ხა... ხა... ხა... ერთი ამ გლახებსაც შეხედეთ. ამაყობენ, თითქოს ფული თვალითაც არ უნახავთ. — და ახლა მე მეუბნება: — გოგოჯან, შენ რას იტყვი? წამო და ორი ამოდენა დასტა შენი ჭირის სანაცვლო იყოს. ამაღამ ჩემთან იყავ, ხვალ ისევე დაგსომ ურემზე და მშვიდობით იარე.

ამის თქმა იყო და დატრიალდა იფნის სახრეები. ღმერთო ჩემო, რა მოხდა, რა ვნახე, იმას რას მოვესწარი!.. გონებაზე ერთ დიდ ბაკში მოვედი, როცა ჩვენი კაცები დალილაგებულ ხორცებს ისინჯავდნენ, აბა საღა და საღ მოგვხვდაო. ის იყო და ის, მომიყვანა შინ მამამ. ერთ კვირაში მიმცა ჩემ ქმარს. მას მერე აღარ მინახავს თბილისის ქალაქი. შორს მაინც იყოს! ბევრი ახალი ქუჩა გაუყვანიათ, ახალი ხიდები აუგიათ, სახლია თურმე — თერთმეტი სართულია, ასი





რჯახის ბინითა. ავტომობილებს გვერდს ვერ აუქცევ. აბრეშუმის ფაბრიკას-  
ნულარ იტყვი, ავ თვალს არ ენახებოა. მალაზიებში რას არ გინდა იშოვო.  
კარიდან თურმე შიშველი რომ შეხვიდე, ზემოდან ქალბატონივით გამოწყობი-  
ლი გამოხვალ — ამბობენ ჩვენი დედაკაცები, ისინი, ვინაც ხშირად დადიან ქა-  
ლაქში. მომეცეს თბილისში ჩასვლის შემთხვევა და მე ვიცი მაშინ. ჯერ ყველა  
უბანს დავივლი, მერე ექიმს ვეჩვენები, „რეს“ გამოვაწერიებ სათვალეების  
შესაძენად. მაგრამ სულ ერთთავად უღელში ვარ გაბმული. სარბენი და საღვა-  
წი, სათრევი და სატარებელი გამზდარა ჩემი მბრძანებელი, პატრონი და უფ-  
როსი.

— თბილისში წასვლა ძნელი საქმე არაა. ჩაჯექი მატარებელში და ერთ  
საათში იქ იქნები.

— იპ, თქმა ადვილია, ძნელი არ არისო. — გაიქნია თავი თაფლომ. —  
ახლა მე მკითხე. ჩემო კარგო, შენ ჯერ რა გინახავს, რა გამოგიცდია?  
არაფერი! მე კი რა არ ვადამხდენია თავს! ძნელი ყოფილა მარტოხელად ადა-  
მიანის დარჩენა. ცხვირჩამოშვებული რომ არ ვარ, მხიარული იერი რომ მაქვს  
სახეზედ, ეს იმიტომ, რომ შოლტით ვერეკები გულიდან დარდსა და საწყენს.  
ლხენა კი არავის ეგონოს ჩემი ასე განგებისად მხიარული შესახედაობა. შენ  
რა დაგიმალო, ყბედად, ენაჭარტალად არ მიცენიხარ და... მიჭირს ცხოვრება!  
ქვრივი მარტო სახელად კი არ მქვია. ნამდვილად ვარ ქვრივ-ოხერი. ტოლად,  
გამამხნეველად, ტკბილი სიტყვის გამცემად, შემბრალებელ-შემქეზებლად,  
ტვირთის ზურგზე შეგდების დროს ხელის მომშველებლად ქმარი, მამაკაცი აღარ  
მიდგას მხარში ბოძად. მოკვდა, წავიდა, გამეცალა, მიმატოვა ამოდენა ქვეყნის  
ხელში ჩემმა ტოლის დამდებმა. აბა არ მომკვდომოდა, ისევე გვერდით მედგეს?  
მაშინ მე... — ქვრივმა უეცრად ხელები გაასავსავა. — თავი დამანებე, შენ გაზრ-  
დას. რა ეშმაკად ვადამკიდე ამისთანა გულის მომკვლელი მოსაგონარი! ამდენს  
მე იმ ჩემ გამხარებელ-დამაღუპველ ქმარზე მის საფლავთანაც აღარ ვფიქრობ  
ხოლომე სულთაობის დღესა. ასეთ მოგონება-ლაპარაკისგან არაფერი გამორჩენა  
არ მაქვს. გულის გასახეთქი და უძილოდ გატარებული დამეები კი, რამდენსაც  
იტყვი, იმდენი ინებე. ახლაც საქმეს მომაცდინა და ჯანიც მომიტენთა. მოსწი  
შუაგულისაკენ გოდრები, დავიწყოთ ბარემაცა სამუშაო. ვეკვეთოთ სარჯელს,  
მაღე მოვრჩეთ, მოვირილოთ. ჩვენ გასაკეთებელს სხვა არავინ გააკეთებს.

— იყოს შენი ნება. დავიწყოთ, დეიდა თაფლო, — დაეთანხმა ლეონილა  
თულაშვილი სტუმრის წინადადებას. ღრმად ამოიხვნეშა. ქვრივობაზე, უქმროდ  
ცხოვრებაზე, მარტოხელობაზე, გაჭირვებაზე თაფლოს საჩივრებმა და საყვე-  
დურებმა ხასიათი აურია, გული მოუძმარა ახალგაზრდა ქალს. ხედავ, იქით, წინ  
რა ყოფილა!

ხომ შესაძლებელია მასაც ისე დაემართოს, როგორც თაფლოს დაემართა.  
ქმარი ჯერ არ ჰყავს ლეონილას. მოხდა და გათხოვდა, გაჰყვა მის მოწონებულ  
საყვარელ ვაჟკაცს. ერთ დღეს მოულოდნელად კაცს რალაცა დაემართა, მოკვდა.  
მაშინ რალა ეშველება, ვინ ანუგეშებს? არა, ნუგეში ვის ეშმაკს უნდა. ლეონი-  
ლასათვის დაღამდება საბოლოოდ. თუ ჯავრს და ვარამს თან არ გადაყვება,  
თავს მოიკლავს, ქმარს სამარეში ჩაჰყვება უყოყმანოდ.

განა ასეა? მამ ლეონილა არ აუჩქარდება სამუშაოს დაწყებას. მცირე ხანს  
კიდევ მოაცდენინებს თაფლოს. გამოჰკითხავს რამეს ცოლ-ქმრობაზე. ეტყობა  
ბევრის თავგადასახედილია ქვრივი. ბევრის მომსწრეს ბევრიც ეცოდინება ან სხვი-  
სი გაეგონება.

— დეიდა თაფლო, რაკილა სიტყვამ მოიტანა, სანამ მუშაობას დავიწყებ-





დეთ, აკი ასხენე ქმარიო და მეც მინდა გკითხო ამაზე ორიოდ რამ. თავს ვაფიცებ, არა დამიმალო რა, ყველაფერზე მოუტირდებელი და მართალი პასუხი გა-  
მე.

— მკითხე, გისმენ, ყური მზად მაქ სმენად. მოსარიდალი არა მაქვს რა. ორთავე ქალები ვართ.

— დიახ, დეიდა თაფლო! მაშ გკითხო? არ გამთქვამ?

— კა... კა... კი... კი... როგორ გაგთქვამ, ან რადა? რა სარგებელი მექნება გათქმითა? უქკუო კი არა ვარ, ენა ვაჭარტალო!

— აბა მისმინე: გათხოვება კარგია?

ამ სრულიად მოულოდნელ კითხვაზე თაფლოს ალი აუვარდა სახეზე, შე-  
აძაძაგა, კინალამ სკამი გადაუბრუნდა. თვალები როგორღაც აუკაშკაშდა, კე-  
დელზე ერთ წერტილს მიაჩერდა. პასუხს აგვიანებდა. ჩანდა, გონება მთელი  
სიძლიერით აუმუშავდა. პასუხის მოლოდინში ლეონილაც გატკერენილიყო.

— ძალიან გინდა, გათხრა პასუხი? — შეეკითხა ბოლოს თაფლო.

— ძალიან, დეიდა, ძალიან! ტყუილად კი არ შეგეკითხე.

— ჯერ მე მოგცემ რამდენიმე კითხვას. შეეცადე მათზე გამცე გულახდი-  
ლი, სულიდან და გულიდან ამოსული პასუხი და იქნება მაშინ შევძლო შენა  
ცნობისმოყვარეობის ორმო ოდნავ მაინც ამოვყორო...

— აბა, გიცდი!

— დაბადება კარგია?

— რა თქმა უნდა, კარგია. ისე კარგია, რომ არც კი ვიცი, სიტყვით როგორ  
გამოვხატო.

— მაგალითად, რომ შეგეძლოს, როგორ გამოხატავდი?

— თვალხილულ ქვეყანას ვუცქერით. მარტო ამისათვის ღირდა დაბადება.  
სიხარული და წუხილი ანგარიშში ჩასაგდება არ არის, — მიუგო ახალგაზრდა  
ქალმა.

— სწორი ხარ. აგრეა. ჰაი, დამიბერდი! რაკილა ეგ მითხარი, მოკლედ მო-  
მიჭერი, ახლა მეც შემიძლია მოგიგო პასუხი შენ მთავარ კითხვაზე. გულახდი-  
ლად გიტყვები: იმ შენ კითხვაზე, გათხოვება კარგია თუ არაო, ბევრი მიდიქ-  
რია, ჩემი შეხედულებაც მაქვს. ასაქმე ის არის, რომ დღემდე არავის უკითხავს,  
მაგაზე რა აზრს ვატარებდი გულში და მეც არავისთვის გამინდვია. ყური მიგდე-  
აი როგორ ვინახავ მას: დაბადებით შენ თვითონ გაჩნდი, იხილე ცა და ქვეყანა,  
მოგეცა გონება, თვალი, აზრი და გრძნობა, ავ-კარგის გარჩევის უნარი, ყველა-  
სი და ყოველივეს შეცნობის სურვილი. იზრდები უღარდელად. ამ შეცნობაში  
დაქალი კიდევაც. უეცრად იგრძნობ, რაღაც გაუტეხელ, მოუტეველ ძალად  
იქეცი. მგონია ეს მაშინ ხდება, როცა თხუთმეტ-თვრამეტი წლისა ხარ. მაშინ, ამ  
პასაქში ბუნებასთან ბრძოლა და საზრდოს მოპოვებაც შეგიძლია. მაგრამ იმა-  
საც გაიგებ, რომ წუთისოფელი მოკლეა. ყველაფერი წარმავლობის გზაზე დგას  
და მიდის თურმე დასასრულისაკენ უკანმოუხედავად, გარდუვალად, ამას გაი-  
გებ და აი სიდიდან იწყება ტანჯვა და უბედურება, რადგანაც უკვდავების ძებნის,  
პოვნის და მისაკუთრების ჭია ჩაგიჯდება თავსა და გულში. იცი, უკვდავება  
საღდაც არის, იმიტომ იცი, რომ შენ თვითონ მრავალჯერ ყოფილხარ ადამიან-  
ნის სიცოცხლის გათავების მოწმე. და გეჩქარება ეწიო მას, უკვდავებას. გამო-  
დიხარ საძებრად და ვაჟკაცს ხედ წააწყდები. თურმე ის შენზე უფრო გამწა-  
რებით ეძებს მასვე. აქ მოხდება მოსახდენი. გული გულს იცნობს, გასწევთ ერ-  
თად, მიდიხართ, მიდიხართ, იქ კი ხედავ, უფლად და გაჩენად იქეციო, შემქ-  
მნელი და დამბადებელი გახდით. აი თურმე უკვდავება რაში ყოფილა. იცი, რად



გეიყვარს თურმე შეილები? იმად, რომ ისინი არიან ჩვენი უკვდავებსთან დამაკავშირებელი მაგარი ბაგირები. ოჰ, რამდენი საშრომი, რამდენი საღვაწი, რამდენი განსაცდელი დაგადგება მაშინ მისაწვდენის მისაწვდენად.

— ბედნიერებას გულისხმობ?

— ბედნიერება ლიტონი სიტყვაა.

— რაღა?

— მას ნივთივით, ვთქვათ, იარაღივით ხელს ვერ შეახებ და იმიტომ.

— მაშ რაღაა?

— არიან მხოლოდ სიცოცხლის გზაზე შეხვედრილი სიამენი და უსიამოვნებანი. თუ გინდა ადამიანის გაჩენის შინაარსი დავუძახოთ ამით. ახლა მოვჭრი: ქალის გაჩენის აზრი გათხოვებაა, ვაჟისათვის — ცოლის შერთვა. დააკელი მათ ეს, გადექ განზე და დაკვირვებით შეხედე. შნო და ლაზათი არა აქვს მათ მიწაზე დოღვას, გაუთხოვრად დარჩენილ უშობელ-უნაყოფოებს, აქაოდა ისინიც ადამიანების შეილები არიანო, ძალაუნებურად გვერდს ვერ აუვლი, თორემ ცოცხლებში ჩასათვლელებიც არ არიან. ისინი მოდგმის ის უკანასკნელი ნაშიერნი არიან, რომლებმაც უკვდავებაზე უარი სთქვეს. მათ აღარაფერ უყვართ, სძაგთ ყველა და ყოველივე. მკითხავ, რაღაო? გეტყვი: იმიტომ, რომ დამბადებლობაზე, შემქმნელობაზე ან უარი სთქვეს, ან ბუნებამ გამოსწირა მათ ეს უნარი. ქმარი კი, ალბათ, ამის შესახებ გინდა გაიგო რაზე, შენ ჰასაკში ეგ საძრახი არაა, აბა მას ქალისთვის ამ წუთისოფელში არა შეედრება რა. თუნდაც ღვთის გლახა, უშნო, უღრუგელა ვინმე იყოს — მაინც კარგია. მუხასავით მაგარი ჯანისა, შნოიერი, გონიერი, — ქალისათვის სახელი და ტაძარია. ქმარი, ქმარი... ხმალია ქალის ხელში. დადექ მის გვერდით თაფლის სანთელივით წმინდა, ენთე უკვამლოდ.

— შენი ქმარი როგორი იყო, ან შენ როგორი იყავი მასთან?

— ჩემზე არა მინდა რა ვთქვა. საერთოდ ვითხარი რაც არის ის დალოცვილი ჩემი გაგებით. ჩემი ქმარი კი როგორი იყო? რაკილა არ მეშვები, გეტყვი: არ შემძრჩა, მომიკვდა, მაშ რაღა სალაპარაკოა, როგორი იყო? კარგია-მეთქი, მე ცოცხალზე ვითხარი, მკვდარი კი ცივი მიწაა, მეტი არაფერი.

— დიდი ხანია აღარ გყავს?

— მარტის დამღევს რვა წელიწადი შეუსრულდება. ძვეს ჩემი კაცი მიწაში, ლბება.

— როგორ გაატარეთ ერთად თქვენი დრო, ერთხელ მაინც არ წაპკიდებიხართ ერთმანეთს?

— ვინ ვითხრა, ძალიანაც ბევრი გვიჩხუბია.

— თუ ცოლმა და ქმარმა იციან, რომ უკვდავებას ერთად ქმნიან — ჩხუბი, გულჭვირობა, გაცილება რაღად მოუვათ ხოლმე? აი რა არ მესმის და რა მინდა გავიგო.

— ცოლებს ჰგონიათ, რომ ისინი არიან უკვდავების გამმსახველნი და ქმრებს მეორეხარისხოვან პირად თვლიან ამ დიდ საქმეში. ქმრები კი იჩემებენ: პირველნი ჩვენა ვართ, ქალი რას მიქვიან, რა შეუძლიათ. აი სად აქვს სათავე მათ შორის ჩხუბსა და დავიდარაბას, რომელიც ხანდახან საძაგელ სახეს მიიღებს ხოლმე.

— მოხდა და ორთავე კარგად მიხვდნენ ერთმანეთის მნიშვნელობას?

— არ ხდება ავრე.

— კარგ ცოლ-ქმარს რომ ეძახიან, მათი ხმა არაფის გაუგია, ეს როგორღაა?





— მანდ ან გამსახველმა აღიარა თავი შემქმნელის წინაშე მორჩილად, ან ბირუკუ.

- სიყვარულს რაღა ადგილი უჭირავს?
- რომელსაც უფრო უყვარს, ის არის მორჩილი.
- შენსა და შენ ქმარს შორისაც აგრე იყო?
- ასე, არც მეტი, არც ნაკლები.
- შენ უფრო გიყვარდა ის თუ შენ მას?
- მას.

— აი თურმე შენ ქმართან ერთად რა განვიცდია, რა გაგიგია. შენ კი სთქვი, მკვდარია, ცივი მიწა, მეტი არაფერიო. ჩანს, ასე არ ყოფილა. გასულა რვა წელიწადი და არ დაგვიწყებია. გულის იარა გარეგნულადაც გამჩნევია. შენი შავები სხვა არა არის რა. — შენიშნა ლეონილამ.

თაფლოს კვლავ აენტო თვალები, სახე შეუფაკლდა, მძლავრად შეირბა, ამოისუნთქა, მკვლავები მკერდზე შემოიხვია, თითქოს ეშინია, ძუძუები არ ამომიხტნენ, გამექცნენო.

— ქალს ის მამაკაციც კი ერთი წუთით არ დაავიწყდება, ერთხელ, ისე, უბრალოდ, ძეძვის ეკალივით მის კაბის კალთას რომ გამოსდებია რაღაც შემთხვევით. ქმარი ზომ... კა... კა... კი... კი...

— შავები ამ რვა წელიწადის მანძილზე სულ მასზე გაცვია?

— სხვა არავინ მომკვდომია და აბა ვისზედა? გაჩე, ნულა მომაგონებ ყველაფერს თავიდან. ძნელია ისევ განვიცადო რაც თავს გადამხედია. ქმარი იყო თუ კიდევ უფრო მეტი რამ, შენ რა გინდა, რას დაეძებ. დაე იყოს ის ჩემს გულში იქ, სადაც ერთხელ ჩაჯდა და აღარ ამოდის იქიდან. ეჭიროს ერთი კუნჭული. მკვდარს მეტი არ ერგება. მე ცოცხალი ვარ. ეს არის ყველაზე დიდი ჩემთვის. შავებმა ჭირივით მომაბეზრა თავი. ყვაეად არ გავჩენილვარ, რომ კუპრით სამულამოდ შევიღებო თავი. საკუთარი თავის დანახვა მარტო დილით არ მეზარება, როცა საბანს ხელს გადავიკრავ, გადავიხდი, თეთრებში დავინახავ ჩემ სამიწე, დაცალებულ სხეულს. იპ, რა არის და როგორ გაჩენილა ქვეყნად ადამიანი. შავები მაინც რაღად მოიგონეს? გადმოხვალ თუ არა ლოგინიდან, თაფლო, ერთხელ წესად მიღებულ ჩვეულებას არ გადაუხვიო, გამოეხვიე შავებში. აღარც დამიცვლენ ეს ცეცხლწასაქიდებლები! ეშმაკმა წაიღოს, მეხმა დაარბიოს ისინი. მათი იგრიტ მიდის ჩემი სიცოცხლე დასასრულისაკენ. მათ საფარველქვეშ იცი რას ვმალავ? ქალს ვმალავ! ქალს და რა ქალს? ათი წლის უღელში ნაბამ ხარივით გამოცდილ ქალს, რომელიც რაგინდა ლაფში ურემი ჩაუვარდეს, გადარბუნების დარდი ნუ გაქვს. მაშ ვის რა სარგებელი აქვს მით, რომ მაიძულებენ, შავებში იარეო. რაღა? რისთვის? იქნება ტოლი დაუვარდა ვისმე? წამავლონ ხელი, გამაყრევინონ კისერი, შამაბან. ბრაღია-მეთქი ჩემი ასე გაცდენა, მიუტევებელი ცოდოა. ისინი კი: გინდა თუ არა, დაიმალო, დაფორდი, სხეულს სიამე მოაკელი და მიწას შეუწახეო. საქმეა ეს? ვის რად ჭირდებოდა ადამიანებისათვის ასეთი რამის ხარკად და ხარჯად დადება? აი როგორი უსამართლო ხარ შენ, ადამიანო, შენივე ჯიშის მიმართ.

— ვუი, რას ამბობ, — შემოიკრა ლეონილამ თავზე ხელები, — აგრე რად გავიცვიდა ქმრის ხსოვნა? ნუთუ მოსაგონრად არა ღირს? აკი წელან მითხარი, ვუყვარდიო!

— ვუყვარდი, ვუყვარდი, ჩემზე მზე და მთვარე ამოსდიოდა. თავს მევლებოდა, როგორც ფუტკარი ცაცხვის ყვავილს. მერე ამით რა? ახლა სად არის? ცივ სამარეში. აი იქ, სამი არშინის ქვემოთ ამოფარებია მიწის ქერქს. — დაარ-



ტყა ფეხი თაფლომ იატაკს. — ჰეი, ჰეი? ჩემო კარგო. ვგრძნობ, რაც ტრიალენს შენ გულში. ოდესღაც მეც შენსავით გულუბრყვილო ვიყავი, — განაგრძო თაფლომ გულის, სულის შემძვრელი, ძველი სატკივრების ამწლელი, მთელ მის არსებაში მორეულ კიბოსავით ფესვგადგმული საწუხარის მომქარვებელი საუბარი. — დიახ, როცა უღვაშაშობიბინებული ბიჭის შეხედვა მადნობდა, მაშინ მეც მეგონა, ქმარი რომ მომიკედეს, მის სამარეში პირველი მე ჩაეწვები-მეთქი. უჰ, რა დრო, რა ჰასაკი მქონდა მაშინ ის დალოცვილი. ქინძისთავისტოლა მარწყვის ყვავილის შეხედვა მეგრიდა სიამეს და სიხარულს. ჩემ კისკისს აქედან მტკვარგალმა სოფლის შარაზე გაიგონებდა კაცი. მკერდში უბიწო გული მიფართქალებდა. როგორი? იმედებით შეკრული, მთელი სინაზით პირთამდე სავსე. გათხოვების შემდეგაც იღბალს სანაგვეზე არ გადაუგუდივარ. შვილი შვილზე მოყოლებით მყავდა, ჩემი მკერდით გამოკვებე ყველა. დღემდე ვგრძნობ მათი პაწია ხელების ცაქუნს გულის ფიცართან. წყაროს თვალივით მომყავდა ჩემი ჩიტები. ახლა, ახლა? ასეთი ვარ, როგორსაც მხედავ. არც მეტი, არც ნაკლები. ასე ყოფილა გაჩენილი ადამიანი და იმიტომ. ყოველი მისი მდგომარეობის საშვენი ფერის კაბის ჩაცმის ალო უკითხვად თვით მიადგება კარზე. იყო დრო, როცა თეთრი და ჭრელჭრულა მეცვა. გადამიტრიალდა ჩარხი უკულმა, დამეცა მეხი, გარდამეცვალა ქმარი, ყორნის ბუმბული გამოვისხი. ეს სამოსელიც მომწყინდა. უკეთ გითხრა — ყავლი გაუვიდა ჩემ შავებს. არ მინდა ისინი და ხედავ... ვერ შევლევებარ, ვერ გადამიყრია.

— თუ აგრეა, თეთრების ჩაცმას არც მე გირჩევ. შვინდისფერი ერთი ტანსაცმელი შეიკერე. — უთხრა ქვრივს მისი საუბრით გაოცებულმა ქალიშვილმა. თან ქალადღევით თხელი, კბილებს გადაკრული ტუჩები დამცინავად შეაცმატუნა. თაფლომ დაცინვა არ შეიმჩნია, გულახდილი ლაპარაკი არ შეწყვიტა.

— ფერადი საკაბეს შეძენა და შეკერვა არ მიჭირს. თალხები ძალიან გულთ მინდა გამოვიცვალო. ოღონდ ამისი შემთხვევა არ მეძლევა. ისე კი ხელადებით, ერთბაშად გადაყრა, არც ესაო, არც ისაო, უმიზეზოდ, ხალხის რიდი და ხათრი მაქვს, ულაშაზო საქციელი იქნება. იტყვიან, ხედავ, რას გავს, ქმარი მიწაში ჩადო, თვითონ პეპელივით ფარფატებს ფერადებშიო. მეტი წილი კიდევ რას არ დამწამებს. ერთი სიტყვით, რა გითხრა — არ მინდა ხარშვანაკლული ჯიჯიკივით ყბაში მომიგდონ საღეჭავად.

— შენ თუ მოგებზრდა შავებით სიარული, ხალხის ყბას რას დასდევ, რას იტყვიან. ვის რა ესაქმება შენთან? შენი შავების გამოცვლით, სხვა ფერის ჩაცმით, არც შენ, არც სხვას, არაფერი ევნება. მაშ გაბედე, გაიკარი ხელი თალხზე, გაიხადე, ჩაიცივი სამხიარულო, შენი ბუნების შესაფერი.

— ეგ რა მითხარი: ხალხის ყბას რას დასდევ? — გაცხარდა თაფლო. — ასეთი აზრი გონებაში საიდან გაგიჩნდა? ეგეთები, ფრთხილად იყავი, აწი არ გამაგონო. მაშ თუ ხალხის ყბას არა, ვის ყბას ვლიო? თუ ჩემი ნაცნობი, ნათესავი, გამვლელი და გამომვლელი, ისინი, ვისაც დედაჩემის ჩემთვის ნასწავლი ენა ესმის, ცუდი, ირიბი თვალით შემომხედავს, იტყვის, ამ ქალმა ასე და ასე ჩაიღინაო, აგეთი სიცოცხლე რა ოხრად მინდა. დაე იქვე მიწამ პირი მიყოს, ქვესქენლში ჩამიტანოს.

— კარგი, აგრე იყოს! — დაეთანხმა ახალგაზრდა ქალი.

— სხვა რიგად არ შეიძლება.

— კიდევ ერთი რამ მინდა გკითხო... — დაიწყო ლეონილამ.

ქვრივი ზეზე წამოვარდა.

— დამესხენი! მოვსპოთ ამაზე ლაპარაკი. ხელახლა არაფერზე დამაწყებოთ. თორემ რა გამოლევს სამასლაათოს. იმდენი რამ მინახავს და შემხვედრია ჩემი ცხოვრების გზაზე, იმდენი განმიცდია, რომ მათ მოსათხრობად წელიწადი არ მეყოფა. შენ გაზრდას, გოდორი მიმითრიე ახლოს. წავიმუშავოთ. მკლავი მერჩის, ხელსაქნარისაკენ მიიწივს თავისით. დაუღლეად პურის გემოს ვერ ვგებულვ. ის კურთხეული თუ არ მერგება, მოტეხვას ვერ ვუბედავ. დღე პატარაა. თუ არ დაეუჩქარებთ, მზის სინათლე ლაპარაკში შემოგვაქრება, დაგვიდამდება.

— სრული სიმართლეა, — დაუმოწმა ლეონილამ. — ლაპარაკმა ძალიან შეგვიყოლია.

თაფლომ თეთრი ხალათის ქვეშ დაფარული შავი კაბის კალთა თეძომდე აიწია. სათავის მახლობლად მიკერებულ ჯიბიდან ჯაყვა დანა ამოიღო, გაშალა, კორძებიან ცერის ფრჩხილზე ლაპლაპა ბასრს ჭრა გაუსინჯა.

— თაფლავს, სამართებელივით იპარავს. ფოლადი კი არა, ალმასია! — მოუწონა წუხელის, შინ, ქვასანაყზე ალესილ იარაღს ფხა.

— ისევე დაკეცე და შეინახე! — ღიმილით უთხრა ლეონილამ. — დანა დიდ ხანს არ დაგვჭირდება.

— მაშ რა უნდა გავაკეთოთ? — იკითხა გაკვირვებულმა ქვრივმა და უკვე კარგად შებრაწულმა, ბუხრის პირიდან უკან, შორს დაიხია.

— ჯერ სხვა რამე გვაქვს გასაკეთებელი. მერე, იქნება ერთი კვირის გასულს ისიც გავაკეთოთ, რისთვისაც დაგიძახე, შეგაწუხე, დეიდა თაფლო!

— მითხარი მაინც! ყაბულს ვარ, რასაც გამაკეთებთ, თუნდაც ქვა მაკოდვინე, ოღონდ უმოკმედოდ ნუ გამაჩერებ.

— ნუ დარდობ, ვინ იცის, პატარა ხნის შემდეგ ჩიოდე, კარგი, მეყოფა, ცოტა შემასვენეო. — თქვა ლეონილამ და შენობის მეორე განყოფილებაში გავიდა, საიდანაც ბატების გამაყრუებელი ყიყინი ისმოდა.

### თავი მეოთხე

ბნის შუაგულზე, იქ, სადაც ფანჯრიდან დღის სინათლე უხვად შემოდის, თაფლომ მაგიდა ჩადგა. მას დაბალფეხა სკამები შემოუღდა მოპირდაპირე მხარეებზე. ამრიგად ყოველმხრივ მზად იყვნენ შესდგომოდნენ მუშაობას.

ახალგაზრდა ქალთან თავისი ნალაპარაკებით გაოცებული და დაღონებული იყო ქვრივი. გარეგნულად ამას ის სრულებით არ იმჩნევდა. დაღონებისათვის დიდი მიზეზი ჰქონდა. ასე მთლად, როგორც ლეონილამ აიძულა (თუ შეაცდინა), ჯერ ქვეყანაზე არაგისთვის გადაეშალა თავისი დაფარული გული... ქვრივი კვირობდა, ნანობდა, როგორ მოხდა, რომ ახალგაზრდა გაუთხოვარ ქალთან თავისი თავი გაამხილა, დედიშობილად გააშვილა. ეს ხომ ნებაყოფლობით მორჩილების გამოცხადებას ჰგავდა უმცროსის წინაშე. აცერცეტდა; აჩქარდა, რაკილა ერთხელ პირი მოხსნა თავის საიდუმლოებით სავსე გულს, მანამ არ მოეშვა, სანამ მთლად არ დასცალა ჭურჭელი. ამას მწვავედ გრძნობდა ქვრივი და ამის შეგნება ძალიან უძნელდებოდა.

მართლაც ეს დროული ქალი ლეონილას გავლენაში მოექცა ფერმის ეზოში შესვლის უმაღლეს. უფრო კი იმ წუთიდან ჩაეხსნა თურმე ახალგაზრდა ქალის რიდი, როცა გაღმა სოფელ რეხებიდან, აქ, ხაზრეთში სამუშაოდ გამოსვლაზე დათანხმდა. აი, ახლა, მუშაობის დაწყების წინ, მიხვდა ამას თაფლო.



სული და გული აუფორიაქდა. წამოიწია, დაკეტილ კარს შეხედა, ხომ არ ჯობია ახლავე გავცეცალო აქაურობასო. მაგრამ ფენიც ვერ გადადგა. კიდევ მეტიც: გაცლა რომ იფიქრა, მერე თვალი ველარ გაუსწორა ლეონილას. გვიანი გამოდგა თითზე კბენანი.

ამ დროს ლეონილამ მამლაყინწებით საესე გოდრებს ხელი დაავლო. მოწყობილ დაზგასთან მიტანის ნაცვლად თითო-თითოდ გაიტანა ყველა ბინის უკანა განყოფილებაში, საიდანაც ბატების გამაყრუებელი ყიყინი მოისმოდა. თაფლოს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ლეონილამ მამლაყინწების ნაცვლად ფეხებშეკრული ბატები გამოიყვანა და იატაკზე დაყარა.

— ნუთუ... ბატები... არ მისინჯავს, არ გამიგონია ჩემს დღეში მაგათი...  
 ბატები მეტწილად მამლები იყვნენ. ამის შენიშვნა ადვილად შეიძლებოდა. კულებზე ყველას გიშრის ბუქლებივით ჰქონდათ დამრგვალებული სამ-სამი შავი ბუმბული.

— რაც არ მისინჯავს, მის გაკეთებას ვერ ვიკისრებ. ჯობია შინ წავიდე.—  
 გაასესვა ხელები თაფლომ.

— მომითმინე, დეიდა თაფლო. — გაუღიმა ქვრივის ლეონილამ და ბატები დაზგასთან მიიყვანა.

— არ გამიგონია ყვერული ბატი!

— ფრთებზე მსხვილ კალმებს დაგვალეჯო, მერე გერმას გამოვაცლოთ. როცა ამას მოვრჩებით, მამლაყინწების დაკოდვას მხოლოდ მას შემდეგ შევუდგებით.

— ბეერია?

— სამასამდე იქნება.

— დიდი ხნის სამუშაოა, ასე, ერთი კვირის მაინც.

— თუნდაც ორი კვირის სამუშაო იყოს, პირველად მაინც ამას მოვიცილებთ თავიდან. მეც არ მოველოდი, რომ ეს საქმე შემომეჩხირებოდა ხელში. ფრთებდაუგლეჯად, გერმაგამოუტკლელად მე მათ გარეთ ვერ გავუშვებ. აბა აიყვა ბატი, დაადე! — თითქმის ბრძანების კილოთი უთხრა ლეონილამ და ერთი ვეებერთელა ბატი ხელში მიაჩეჩა ქვრივს.

— ფრთებზე კალმების დაგლეჯა მესმის, გერმის გამოპუტვა-გამოცლა კი ახლა გვიანაა. ეგ გაზაფხულზე უნდა, — თქვა უკმაყოფილოდ თაფლომ, თან ბატს ხელი მოავლო და დაზგაზე დასვა.

— დავიწყით სამუშაო და ვეტყვი მიზეზს. გერმის გამოპუტვას გაზაფხულამდე ვერ გადავდებ.

თაფლომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მერე ბატს ფრთა აუწია, წყვილად გამოაძრო საკალმე ბუმბული.

ბულიაანთ თაფლო მამლაყინწების და ძველი მამლების დასაკოდად მოიყვანა ლეონილა თულაშვილმა. ამ ხელობის მცოდნე ახლომანლო სოფლებში მარტო ისლა იყო. ყოველ შემთხვევაში, ხაზრეთელმა ხნიერმა ქალებმა ამ საქმის მცოდნე სხვა ვერავინ დაასახელეს. ეს წამოწყება უბრალო ახირება ან მოგონება როდი იყო. ფერმაში დიდი ხნის მუშაობამ ლეონილა დაარწმუნა, რომ სხვა რიგად არ შეეძლო მეფრინველეობის ფერმის დაზარალებისაგან გადაჩენა. აი, რა მოხდა შემოდგომის დამდეგს ფერმაში:

სექტემბრის ბოლოს დამზადების რწმუნებული მოვიდა მეფრინველეობის ფერმიდან კუთვნილი ფრინველის წასაყვანად. ეს შემთხვევა მოულოდნელი არავისათვის გამხდარა. ფრინველის დამზადება სახელმწიფო კანონია. დამზადების რწმუნებული ვეებერთელა მანქანით მოვიდა ხაზრეთში. მას მოსვლის





უმალ ფართოდ გაუღეს ფერმის ქიშკარი. შოფერმა მანქანა ეზოში შეაგროვალა. ძარაზე აკოლიკებული იყო გალიები. სტუმრები როგორც რიგი და წესია, ისე მიიღეს. მათი მოსვლა ლეონილას არ გაჰკვირვებია. წელს ქალი ფრინველს მესამედ თუ მეოთხედ აბარებდა დამზადებაში. ლეონილამ ახლაც ქალები მოიხმარა, დატრიალდა. ვალდებულების შესასრულებლად გამოარჩია მამლები, მამლაცინწები და მოლუული დედლები. სწრაფად აავსო გალიები შერჩეული ფრინველით: ეგონა ამით მორჩა ვალდებულების გასტუმრებას. მაგრამ ასე არ გამოდგა. ზემოთ სასადილოში შეზარხონებულმა დამზადების რწმუნებულმა ფრინველი დაიწუნა.

— თქვე ოჯახქორებო, ეს რა გიქნიათ! — აყვირდა ის. — მამლები ვის რად უნდა! ბიბლიოტეჩაკეცილი დედლებიც თავში იხალეთ! თუ მაგათ გემრიელი ხორცი აქვთ, შინ მოიხმარეთ! გნებავთ გაჰყიდეთ, გნებავთ შრომადღებზე გაანაწილოთ.

— მამ რა გინდათ? — შეეკითხა ლეონილა.

— გალიებში თანაბარი ზომისა და წონის დედლები მომიტავსეთ! — მოითხოვა დამამზადებელმა.

გაცეცხლდა მეფრინველე. ბევრი ეხვეწა იმით დაჯერებულიყო, რაც გალიებში იყო მოთავსებული. რწმუნებული არ დათანხმდა. რომ იტყვიან, აავლო ქვა, თავი შეუშვირა. ეცა გალიებს, მანქანიდან ძირს გადმოყარა, ფრინველები მინდორში გაუშვა. ყვირილით, მუქარით სულ რჩეული ერთწლიანი, ახალმომსილი დედლებით აავსებია ქალებს გალიები. მალე კმაყოფილმა რწმუნებულმა ტვირთი გზას გაუყენა.

გულდაწყვეტილი ლეონილა საგანებელს მიეცა. რწმუნებულის დაქინება არცთუ უსამართლოდ ეჩვენა. მამლის და ძველი დედლის ხორცი ხაზრეთელებს ქალაქელებზე ნაკლებად არ ეზარებოდათ. ამ შემთხვევამ ძალიან დააფიქრა მეფრინველე. მაშინ მოაგონდა ყვერულები, რომლებიც ბარემ ექვსიოდე დედამისსაც დაუდიოდა ეზოში. დაუყოვნებლად შეუდგა ოსტატის მოძებნას. დედას შეეკითხა და მან მიასწავლა: ეგ ხელობა რეზაგაღმა ქვრივმა, ბულიანთ თაფლომ იცის, მეც იმას მივმართავ ხოლმეო.

ლეონილამ მაშინვე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბასა სამარლანიშვილი ინახულა და თავისი გადაწყვეტილება გააცნო.

— ეგ რა მოგვიგონია, საქმე არა გაქვს! — გაუწყრა თავმჯდომარე.

— მაგას ვერ ვიზამთ! — აუბა მხარი თავმჯდომარეს ზოოტექნიკოსმა.

— ვითომ ხელს რა გვიშლის? — შეეკითხა მეფრინველე ორივეს.

— ზემოდან ძირს დაშვებულ დირექტივებში მაგ ღონისძიებაზე არავითარი მითითება არ გვაქვს. — სთქვა საბუთად ზოოტექნიკოსმა.

— დაე ნუ იყოს, ჩვენ თვითონ ვითაოთ! — გამოედავა ზოოტექნიკოსს ლეონილა. მერე მოყვა დამზადების რწმუნებულის ამბავს.

— არა, გაგვიგებენ მეზობელი კოლმეურნეობები. დაგვიცინებენ, ხედავთ, ხაზრეთელებს საქმე შემოლევიათ, აღარ იციან რა აკეთონ, მამლებს დარევიანო. — გაჯიქდა ზოოტექნიკოსი.

— რა თქვი? დაგვიცინებენო? სწორია, მართალია! — დაუქნია თავი ზოოტექნიკოსს ბასა სამარლანიშვილმა და ავი თვალთ გადახედა მეფრინველს. ბოლოს უბრძანა:

— ხელი არ ახლო მამლაცინწებს.

— აი, სწორად მიუთითებთ! — კვლავ უთხრა თავმჯდომარეს ზოოტექნიკოს-

მა. — მოსალოდნელ ზარალს ვინ ჩივს, ეს დარბაისელი კაცო „ნიანგში“ არ გამოჰქვიმონ.

— ჩვენ სასარგებლო საქმე გავაკეთოთ და გარეშემ რაც უნდა თქვას. ვისაც არ ეზარება, იცინოს, ნაგვირისტიკეზე გაირღვეს. არ იქნება სიკეთის დამნახავიც არავინ გამოჩნდეს. მაშინ იქნება დიდი მადლობაც გვითხრან. — ჩაილაპარაკა ლეონილამ.

ზოოტექნიკოსი თანდათან ეთანხმებოდა, მეფრინველის მხარეზე იხრებოდა. ეს არ გამოეპარა ბასა სამარლანისთვის. გაბრაზებით ზეზე წამოიჭრა.

— რაო? — აყვირდა ბასა. — სასაცილოდ გინდათ გადამაქციონ?! ვერა, ამის ნებას ვერ მოგცემთ. დამეკარგეთ, თავიდან მომცილდით თქვენი წინადადებით. დღეის შემდეგ ყვერული არ გავიგონო! კოლმეურნეობის წევრად დარჩენაზე ხელი აიღოს, ვინც კვლავ მაგაზე სიტყვას ჩამოაგდებს!

ქალაღზე ჩამოწერილი გეგმა ახალგაზრდა ქალს ხელიდან წაართვა. მიხი-მოხია, გადაყარა და გარეთ გავიდა.

— „ნიანგი“ რა ეშმაკმა მოგაგონა! — უსაყვედურა ლეონილამ ზოოტექნიკოსს.

— გამიწყრა გამჩენი და წამომცდა. — ნანობდა ზოოტექნიკოსი. — კაცმა რომ მკითხოს, ეგ კარგი რამ მოგგონებია. ახლა მე რა უნდა ვქნა, როგორ უნდა მოვიქცე? რაკილა მითითებებში მაგაზე არაფერია ნათქვამი, ვერც დაგიშლი და მით უმეტეს ვერც ხელს შეგიწყობ. ერთ რამეს კი ვიზამ: თვალს დავხუჭავ, ვითომ არაფერი გამიგია, არა დამინახავს რა. შენ დაიწყე, გააკეთე. თუ მამლები დაიხოცნენ, ესე იგი, ღონისძიება ჩავივარდა, ყველაფერი შენი თვითნებობის გამო მოხდება და შენი ბრალია. გადარჩებიან? ესე იგი — ღონისძიებამ გავიმართლა? ძალიან კარგი იქნება და მეც გამოგვექომაგები ყველგან და ყველასთან, მე წავაქეზებთქო, ვიტყვი.

ლეონილას ხელი აუქავდა ამ ორპირა კაცისათვის სილის გასაწნავად. თავი ძლივს შეიკავა. ზოოტექნიკოსის რჩევაში ცოტა რამ მაინც იყო ხელჩასაკიდებელი, რომ თავისი წამოწყებული საქმე განეხორციელებინა. შეუდგა ხელოსნის ძებნას. მაგრამ საქმის დაწყებას ხელი შეუშალეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ცოლმა და ბატებმა.

— ბატებს რა ეშმაკად გადაეკიდე ამ ზამთრის პირას?

— ერთხელ, — განაგრძო ლეონილამ, — დილით ადრე მოვედი ფერმაში სამუშაოდ. ჯერ კარგად არ გათენებულიყო. ვეცი საქმეს. საკენცი დავუყარე ჭათმებს და ინდაურებს. გამოვუშვი ციკრები და მივაშურე საბატეს. ისინიც გამოვრეკე მინდორზე. ავიღე ხელში ფიჩხი, ჩამოვყარე, შევავაროვე, გავრეკე აგერ, ფერმის ბოლოს მიმართულებით ჩვენი ბიჭებისაგან შეგუბებული გუბისაკენ. ბატი ხომ, სანამ წყალში არ ამოვევლება, დილით საკენკს არ გაიკარებს. მიმყავს, მიდიან ნელა, თავებს ასავსებენ, გზად წიწქიან ხმელ თუ ახალ ამოწვერილ შემოდგომის მწვანეს. აგერ გუბეც გამოჩნდა. ბატებმა, მე მეგონა წყლის დანახვის სიამოვნებით, თავები მაღლა ააღერეს, ცას დაუწყეს ყურება. მეც ავიხედე მაღლა. ცა მოწმენდილია. მთების გადაღმდიან მზე ამოდის. ნიაგბ მტკვრიდან ხაზრეთისაკენ უბერავს. ისე კარგი, სუსხიანი დილა იყო, რომ მეც მსიამოვნებდა მინდვრად გავლა. უეცრად, სრულიად მოულოდნელად, მეწინავე მამალმა ბატმა კისერი წაივრძელა ისრისებურად. მერე, რაღაც იმ დღემდე ჩემთვის უცხო ხმით ველურად დაიყვილა, ვეებერთელა თეთრი ფრთები არწივივით მედვრად გაშალა, გაიქცა, სვლას თანდათან უმატა, აიწია, თვითმფრინავივით მიწას მოსწყდა, თვალის დახამხამებაზე ცაში აფრინდა. მეწინავეს მაშინვე სხვე-





ბიც აპყენენ. გაშალეს ფრთები, იხოხბეს. საშინელი ხმაურით, მაგრამ ლამაზი ფარფატით ყველა ერთად აფრინდა. ყვავის გაფრენის სიმალლეზე რომ ავიდნენ ჰაერში, მათი წინაპარი გარეული ბატებივით დაეწყვენენ. გაფრინდნენ ნიავის პირდაპირ მტკვრის მხარეზე. გავაყოლე თვალი. რას ვხედავ? კინაღამ გული გამისკდა. გადაუფრინეს ზემოდან ტახინაქალის მინდორს. რამდენიმე წუთში თავს გადაეცლენ კახაურის ველს, უკან მოიტოვეს რკინიგზის თოვლსაცავი ტყე. მუშტისოდენაც აღარ მოჩანან. მერე მდინარის პირდაპირ ძირს დაშვება იწყეს. მალე მთლად დამეკარგნენ. შემომეკიდა ტანზე ცეცხლი, ეს რა მომივიდა-მეთქი. ამოდნა ქონება, სოფლის საცხოვრებელი, ორი-სამი წლის ჩემი ნაამაგარი წყალში ყრია. წარმოიდგინე, რა ზარალია განახევრდა ფერმის ქონება. რა ექნა, რა ვიღონო, ვეკითხები ჩემ თავს. პასუხი კი ვერ მიმიცია. მოსაძებნად გასავზავნი კაცის მონახვის დროც აღარ არის. ერთიც ვნახოთ, ბატებმა დაისვენეს, მდინარეზე ცურვით გული გაიხარეს. მერე ისევ, იმ უტვინო თავში აფრენა გაივლეს, აღდნენ, აფრინდნენ, საციციშვილო მთებს გადაუქროლეს. ვიცი, მანამდე აღარ მოავონდებათ ძირს დაფრენა, სანამ ისევ წყალს არ დაინახავენ. ისიც ვიცი, რომ საციციშვილო მთებს გადაღმა, მტკვრიდან მოყოლებული, წყალი აღარსად არის ჯავახეთამდე. ვთქვათ, დასხდნენ ტაბაწყურის, თაფარავენის ან საღამოს ტბაზე. როგორღა მიესწვდები, როგორღა ვნახავ, ვიპოვნი? ან ვინ გამომიჩენს, ან რით დაეამტკიცებ, რომ ჩემია ბატები? დამლა ხომ ფრინველს არ უკეთდება. მაშასადამე დაიკარგნენ ბატები. არა, სხვა გზა არაა, თავი უნდა ვავიმეტო. იქვე მტკვარზე დამსხდარს თუ მოვასწრებ, გამოვრეკ უკანვე — ჩემია, თუ არა და — დაკარგულია. მიმოვიხედე. აგერ ჭაობის ნაპირას, მინდორზე, ჩვენი შემინდვრე ბრიგადირის ნინია შალიბაშვილის სამწლიანი წითელი ულაცი ხრავს ბალახს ფლოქვზე ბაწარგამობმული. ჭიხვინებს ის დალოცვილი, თითქოს მეძახის, რა გაგიჭირდა, მითხარი და გიშველიო. მაშინვე გავექანე იქით. აგუშვი, საბელი თოკით მოვლაგმე, შევახტი ზურგზე, გავაჭენე მდინარისაკენ. მივედი რიყესთან. იქიდან თავქვე დავეყვი. საღაცაა ხცისის გავუსწორდები. მივაჭენებ ცხენს რიყეზე. ის კი არ დამინახავს, შემნიშნა თუ არა ვინმემ, როცა ცხენი აგუშვი საძოვრიდან. ოჰ, რა სირცხვილი ვჭამე მაშინ! თურმე ნინიამ სახლიდან დამინახა, მიცნო კიდევ. ამ გოგოს რა მოელანდა, ხომ არ გაგიყდა, ჩემ ულაცს მე ძლივს ვეკარები, იმას კი სად მიპყავსო. შეახტა თურმე ფერმის გამგის დათუა თალაშვილის ფაშატს. გამომიდგა კვალდაკვალ. მე კი მივაჭენებ რიყეებზე ულაცს. ერთადერთი სურვილი მეწვევა წინ: დროით მივეუსწრო მდინარეზე დამსხდარ ბატებს. აგერ მდინარეც. წყალი წყაროსავით სუფთაა. სიცივისაგან გალურჯებული მიდის, მილივლივებს, ხცისის პირდაპირ ფართო რიყეებზე ტოტებად არის დაბნეული მდინარე. იქ, ტოტების მორვებში, გაშლილან ჩემი ლტოლვილები. ყურყუმლაობენ, კინკლაობენ, ერთი სიტყვით მათებურად ქეიფობენ. თავისუფლებით დიდად განხარებულები, ძახილით-ყიყინით იქაურობას აყრუებენ. დავინახე, ვიცანი ჩემი ბატები. უყოყმანოდ შევაგდე ულაცი წყალში. ხან ერთ გუნდს დავევლი თავს, ხან მეორეს. სანამ მეორეს გამოვრეკავ რიყეზე, პირველი ისევ წყალში შედის. აქაოდა პატრონი ვერ მოგეწვდეს, სიამოვნება დიდხანს გაგვიგრძელდესო, უფრო და უფრო ღრმა წყალს ირჩევენ. დიდხანს ვიწვალე ასე. ყველას ერთად რიყეზე გამოვრეკვა ვერ შევძელი. გვიან შევნიშნე, რომ ბატები თავიანთ მეთაურს შესცქერაინ. ის კი, მეთაური, სამწლიანი, ვებერთელა შევზურგა მამალი, ღრმას არ სცილდება. დიდ, ტრიალა, კუდიან მორვეს გარშემო უვლის, მარტოდ მარტო ცერცეტობს იქ ტალღებზე. მისი გამოყვანა ნაპირზე და ყველა თავისით გამოვა. ეს აშკარად ემჩნევა, ბატები მეთაურისკენ



იხედებიან. ხმას აძლევენ შორიდან, თითქოს ამხნევებენ, სადაც შენ, იქ ჩვენაო. დაბლიდან შემოვუარე მორევს. ვუჭირე და ვუჭირე ცხენს, შევაგდე შიგ ღრმაში. მარტო ნესტოები უჩანს ულაცს. წყალი მეც მხრებამდე შემომდგომია და ყელზე მწვდება, ნიკაბი მისველდება. აგერ მეთაური ბატი. გავუჭიე სახრე, ვერ მოვახვედრე. ხელის მოქნევისას ცხენი გამომეცალა ქვემოდან. გავიხედე ნაპირისაკენ და ჩავიყურე ყუმელავე. მერე... მერე... ფსკერისაკენ მიმავალს, წყლით რომ ვიგულები, თმით მეწვევა ვიღაცა, და ჰოი სასწაულო, ნაპირზე ვარ. ნინია შალიბაშვილი დამტრიალებს თავზე. ფეხმოტეხილი მეთაური ბატი რიყეზე დაკანქალებს, სხეები გარშემოხვეულან.

— ვუი ქა! მსხნელად მოგვლენია! — წამოიძახა თაფლომ. — ეგეთი ვაჟ-ვაჯი არის, რომ გმართებს ქალს... კა... კა... კი... კი...

— გამეცალე, ტანისამოსი მაქვს გასაწური! — ვუყვირე ბრიგადირს.

— კინალამ დაიღრჩე! — მეუბნება ის სახეშეშლილი. — ეტყობა შენ გადაყლაბულ წყალს, რაც მცურავი ხარ! — კვლავ მეუბნება და არ მეშვება. დამდგარა სარგადაყლაბულივით, ფეხს არ იცვლის ადგილიდან.

— შენი საკითხავი არაა, წყალი დავლიე თუ ღვინო. აქედან გამეცალე, მომიცილდი მალე-მეტქი!

თან აღარ ვიცი ხელი სად და როგორ დავიფარო. მოფიქრების უნარიც დამიბრუნდა, გონზედაც მოველ, ვიგრძენ, მივხვდი, რა ხიფათსაც გადავრჩი. ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. თურმე ცივმა წყალმა ძარღვები გამისიკვნა, შემბოჭა თოკით შეკრულივით. ამას რაღას დავეძებ: როცა დავიხედე ტანზე, ჩითის კაბა სხეთულზე შემომწებებია. შიშველივით მომიჩანს მთელი სხეული.

— ის ამ დროს რას შვრება? — კითხულობს თაფლო.

— მეორედ ასეთი სისულელე აღარ გაბედო, შენ კი არა, მე ვერ ვენდობი ამ დროს ცივ წყალში შესვლასო. — მეუბნება.

ტანსაცმელზე მასაც წურწურით ჩამოსდის წყალი, ულაცზე ჯდება, ფაშატი კი აუსადავებია.

— ასეთ წყალში როგორ შეხვედი, ქალი კი არა... — ბუზღუნებს თავისთვის.

— გასწი, მალე დამეკარგე თავიდან. შენი დასარიგებელი ქჭუა არა მაქვს! — მივაძახე უკმეხად.

აი მადლობის მაგივრად რა სასყიდელი მივუზღე იმ ჩემთვის თავგანწირულ აღამიანს. თქმა არ უნდა, ნამდვილად მან გადამარჩინა. ის არ შემსწრებოდა, არ მომწველებოდა, ვინ იცის, ქარელის თხელებზე დღემდეც არ ვიქნებარდი ნაპოვნი. ტირიფის ძირებში შემჩხირავდა წყალი და ეშმაკი ვერ მიმაგნებდა. ერთი სტყვით ცოტა მიკლდა დაღუბვას. მერე გაწუწულმა, ნეკნებგაცივებულმა, რის ვაი-ვაგლახით რიყეზე გამორეკილი ბატები, მათი ფეხმოტეხილი მეთაურიანად, ფერმისკენ გამოვალავე. შიშით, კიდევ არ იხოხბონ, კიდევ არ გამიფრინდნენ-მეტქი, მუხლები მეკვეთებოდა. მოვდივარ, მოვერეკები, ვკანკალებ, კბილებს კბილებზე ვურაკუნებ. ბატები კი, დიდ მინდორში განავარდებით კმაყოფილები, საამური ყიტყიტით მობაჯბაჯებენ. ფერმის ეზოდან მორჩილად, მწყობრად შებრძანდნენ საბატებში.

— ყოჩაღ, ქალო! — შესძახა ლეონილას გაბედულებით აღტაცებულმა თაფლომ. — მიგიხვდი, საკალმე ბუმბულის დაგლეჯა მართლა მოუხდებათ მაგ მელისაგან შესაქმელებს, რომ კვლავ ველარ იხოხბონ. სხვა სასაჯელის ღირსნიც არიან, ჰაი, ეგ გასაწყვეტლები... სამელები. ხოხობაც ამ თვეში ჩვევიათ, ყინვის სუნს რომ იკრავენ და...



— დიახ, უნდა მოვეუსპოთ ცაში აფრენის იშტა. — გაელმა ლეონილას. — მე მაგათ ისე გავუხდი საქმეს, რომ ეგეთი რამ ვეღარ შესძლონ.

— ეგ აგრე, მარჯვედ ყოფილხარ, — ჩაილაპარაკა თავლომ, თავი ასწია, შეეკითხა:— ერთი მითხარი, თუ ქალი ხარ, ნოემბრის ცივ დღეს ულაცს მოველე, ყინულივით ცივ მტკვარში შეტოპე, კინაღამ დაიღრჩე. აგრე საზოგადო ქონების გამო თავის განწირვისათვის იმდენს რას გაძლევს საფასურად კოლმე-ურნეობა? ვაი, ვაი, ერთიც ვნახოთ დალუპულიყავი? ბატებს კიდევ ენობხათ, მთას გადავლებოდნენ, დაკარგულიყვნენ? მაშინ ხომ ადამიანის უბედურებას ზარალიც ზედ დაერთობოდა!— და მხიარულად დაამთავრა:— ჰა ჰაი, მაგ ფრთა-ძაღლები, დავსაჯოთ, სამაგალითოდ დავსაჯოთ ეგ უტვინოები, მართლა ბატე-ბი, ყყეყჩები. ოღონდ როგორ?

— ფრთების დაგლეჯა მე მგონია ეყოფათ. ვეღარ აფრინდებიან ცაში.

— ადვილი საქმე და სამსახურია. — თქვა თავლომ.

— მეორე სასჯელია უფრო ძნელი.

— სხვა რაღა?

— გერმის გამოპუტვა.

— კა... კა... კი... კი... ბალიზ-ბუმბულს იწყობ, ჭირიმე? შემოგთარჯეს, გოგო, ვინ?

— არა, არა!

— არა, კი არა, ჰო! ეგ სხვას არაფერს ნიშნავს. შენ გახარებას მითხარი ჭირიმე. გამხელისა ნუ გეფიქრება. ქვა და სამარე ერთად ვარ. ენას არ დაეძრავ. მაცა, მაცა! აკი ქმრიანობაზე, გათხოვებაზე თავისათვის მაროშვინე იმდენი ხანი. ჰა, სდუმხარ, არ მეუბნები? მაშ კარგი. თუ არ მეტყვი, გერმის გამოპუტვა ჩემი ხელობა არ არის. ეგ საქმე ეშმაკებს და კუდიანებს ეხერხებათ. მათ აქვთ სამაგისო ქარდები, ფრჩხილები, ჭვანგები. მე კი, შენ გარდას, თავი დამანებე. რისთვისაც მომიწვიე, ის ვიცი კარგად. მეტს ხელს არას ვახლებ. შემოდგომაზე ვის გაუგია გერმის გამოცლა! მაშ არ მეუბნები, ვის მიჰყვები? მე ვარ თავლო და ხელს არ ვახლებ საქმეს, — დაემუქრა ქვრივი.

— დედა მომიკვდეს თუ... ვინმე შემომძლეოდეს. მეც ვიცი, გერმას შემოდგომაზე არ აცლიან ბატს, მაგრამ იძულებით ვაკეთებ, სხვისთვის. ჩემთვის ის არც მომაგონდებოდა.

— სხვისთვის როგორ?

— ამას წინათ, ვხედავ, თავმჯდომარე და მისი ცოლი ერთად შემოვიდნენ ფერმის ეზოში. მობრძანდით-მეთქი, შემოვიბატიყე. შემოვიდნენ, მკიხედ-მოიხედეს. პატარა ხნის შემდეგ მეუბნება თავმჯდომარის ცოლი: ქალიშვილს ვათხოვებ, მზითვად გერმის თორმეტ ბალიშს და ორს ბუმბულისას დავიბრდით, პირები უკვე შევკერეთ, შენ გერმით უნდა გავვივსო. ვეუბნები: გაზაფხულამდე მოიცადეთ, ახლა ბატისათვის გერმის გამოცლა გვიანაა-მეთქი. ეგ ჩვენ არ ვიცით, ბატს არაფერი მოუვა, თუ მოუვა, ჩემ ქმარს დახოცვის აქტს შევადგენინებ, ოღონდ გერმა მომიშხადე, სხვა პასუხისმგებლობა ჩემზედ იყოს. ახალწლის ღამეს ქორწილში მეწვიე, საქმრო ქალაქიდან მოგვეყვასო.

— რომ არ მოუშხადო გერმა, ვითომ რას გიზამენ?

— რა ვიცი, რას მიზამენ! კარგს კი არას მოველი მათგან. — ხენეშით თქვა ახალგაზრდა ქალმა.

— ის თქვენი თავმჯდომარე და მისი ცოლი კოლმეურნეობას თავიანთ საბატონოდ ხომ არ თვლიან? ერთხელაც იქნება ჩამწარდებით იმ უბედურებს თვითნებობა.



— როდის მერმე? — თქვა ლეონილამ ნატერის კილოთი.

— არა, ღმერთო, როდის მოიშლება ქვეყანაზე წამგლეჯაობა? ახლა რაკილა მოვედი, შენ ხატის რა გაეწყობა, რაც გინდა, ის მაკეთებინე, — ჩაიბუხუნა თაფლომ.

ორივემ სათითაოდ აიყვანეს ხელში ბატი. როგორც წესი იყო, კოჭახრების დარჯაკში დაიჭირეს ფრინველები. გაჰკრეს, გამოჰკრეს ხელები. დაპგლიჯეს მსხვილი, საფრენი საკალმე ბუმბულები. ამის შემდეგ გერმის გამოპტუტვას მიჰყვეს ხელი. ფრინველები საშინლად ყიყინებდნენ, ფართქუნებდნენ, მომაკვდავი, მძიმე ავადმყოფივით საბრალოდ კენესოდნენ.

— ოღონდ ეს საქმე არ გამეკეთებია და... — მოულოდნელად აღმოხდა ლეონილას. შეწუხებულმა ბატი ძირს დასვა, ერთი წუთით ჩამოჯდა. შუბლიდან და ნიკაპქვემოდან ღვარად მოვარდნილი ოფლი მოიწმინდა.

— რა მოგდის, ქა!.. — გაუჯავრდა თაფლო.

— ცუდად ვარ! — ძლივს ამოთქვა ლეონილამ.

— არა, გეთაყვა, ხელიდან გინდა გამიძვრე, სამუშაო მარტო მე შემომატყუო? ამის ნებას თაფლო არ მოგცემს. რა გემართება, ცუდად რამ გაგხადა?

— მეცოდებიან.

— ფი...

— დედას გეფიცები, მეცოდებიან. გამოვაჩეკინე, მერე შვილებივით გზარდე.

— შვილებივით! — გამოაჯავრა თაფლომ. — შენ მანდ მარტო დედაშვილობა ნუ გიტრიალებს თავში. უკეთესია, რაც შეიძლება მეტი გერმა გააცალე ბატს, თორემ კოლმეურნეობის თავმჯდომარის ცოლი, იმას გაუწყდეს მიწა, როგორც შორიდან ეტყობა, საშვილეს ამოგიგდებს.

ეს სიტყვები ლეონილას სმენას აღარ მიწვდენია. ჰაერში ელვასავით გაიკლავნა ყვითელნისკარტიანი ბატის გრძელი კისერი. ლეონილამ უეცრად შეჰკივლა. მერე ხელი იტაცა მუხლის საღუნავში. ფაცაფუცში ბატი ხელიდან გაუსხლტა, ტახტის ქვეშ შეძვრა და სული გატვრინა. ლეონილა ჯერ წაბარბაცდა, მერე გულწასული იატაკზე წაიქცა. თაფლომაც უშვა ხელი საქმეს, ახალგაზრდა ქალს მივარდა. ბეჭებით აიტაცა, პატარა სკამზე წამოაჯინა. ლეონილას შუბლი ცივი, სიმწრის ოფლით დაცვაროდა, კბილებზე ქალადღივით თხლად გადაკრული ტუჩები მომაკვდავივით ჩათეთრებოდა. მთელს სახესა და გულმკერდის კანზე ერთბაშად მიწისფერი დადებოდა. ახლოს მისეღისას თაფლომ ისიც შენიშნა, რომ გულწასულს სუნთქვა შეჰკვროდა. მაშინ კი შეშინდა ქალი. ხელახლა დატაცა ხელი, ბავშვივით აიტაცა მალა. იმ სკამზე ჩამოჯდა, რომელზედაც ლეონილა იჯდა. გულწასული ახალგაზრდა ქალი მორბევივით მსხვილ ბარძაყებზე დაისვა, ხოლო ზემო ტანით მკლავეზე გადაიწვინა. ხან ყურები დაუსრისა, ხან გოჯის კოტოტი ნეკნებზე შემოჰკრა, ორიოდ სილაც სტკიცა აქეთ-იქიდან გაუფერულებულ ლოყებზე. რადგან ამ ხერხებით ახალგაზრდა ქალი გონზე ვერ მოიყვანა, თავგამეტებით უკბინა ნეკებზე. ამის შემდეგ ჯერ ამოიკენესა გულწასულმა და მერე თვალებიც გაახილა ოდნავ.

ახლა ტახტზე დაასვენა. დაწოლილს სურის პირიდან რამდენიმე წვეთი წყალი შეასვა. ცოტა ხანიც და ლეონილამ წამოიწია, ტახტზე ჩამოჯდა. მთლად ზეზე ადგომის, სამუშაოს განგრძობის თავი კი არ ჰქონდა. მთელი სხეული უკანკალბდა. არც ფერი მოსდიოდა სახეზე, არც ჯანი უბრუნდებოდა იმოდენად, რომ ფეხზე წამომდგარიყო დაუხმარებლად.

აქაოდა ხიფათმა მშვიდობიანად ჩაიარა, თაფლომ ერთი აღიაქოთი აუტე-





ზა ახალგაზრდა ქალს. ლეონილა ხმათიუღებლად უსმენდა. ქვრივი, გულმხურვალეობით და შებრალების კილოთი ტუქსავდა, რომელიც მოფერებაზე უფრო გამამხნეველად მოქმედებდა. ის გუნებაში ენით უთქმელ წყევლა-კრულვას უგზავნიდა ბასა სამარადნიშვილს, მის ცოლსა და ქალიშვილს, გერმის გამოაუტევა რად გადამკიდეს, ისედაც ბევრი საქმეა ფერმაშიო. თაფლო კი არ ცხრებოდა. დაპალადებდა ახალგაზრდა ქალს მისებურ საქადა-გებლებს. აკი ერთხელ წამოსცდა ლეონილას, მეცოდებიან, მებრალებიანო. ამ სიტყვას ჩაეპიდა ქვრივი, გაიგდო ყბაში სატრიალებლად. მისდგა ავადმყოფს, ავი დღე დააყენა.

— მებრალებიანო! — თაფლოს სიტყვის გადაბრუნება-გატრიზავების კვი-  
ატი ჰქონდა. — დამხედეთ ქალბატონს, მებრალებიანო! სწორედ არ მესმის,  
არ გამეგება, რა აქვს შესაბრალისი ბატსა. დანას ხომ არ უყრიდი კისერში და-  
საკლავად? მხოლოდ ფრთებს ავლეჯდი, გერმას აცლიდი. მოდი და შესციდი,  
გაურივე ცოლად ვისმე ამისთანა გულქანა!

ქვრივის ქაქანში ლეონილა მთლად გამოკეთებულიყო. წამოდგა თავისით.  
წყალი შესვა, მერე ოთახში გაიარ-გამოიარა. გულის საპოვნელად მყავე ვაშ-  
ლი ჩაკბინა, გაღეჭა, თუმცა ვერ გადაიტანა ყელში. შეეცადა დაწყებული სა-  
მუშაო განეგრძო. ტახტის ქვემოდან გამოათრია დამალული ბატი. მაგრამ ახლა  
გასაუბტავად ხელიც ვეღარ დააკარა. კინაღამ ისევ გული წაუვიდა. თაფლომ ეს  
უმალვე შენიშნა. ფრინველი ხელებიდან დაპგლიჯა, ახალგაზრდა ქალი მკლავში  
ხელგამოდებით ეზოში გაიყვანა.

— იქნება სხვა რამ ფიქრი გაწუხებს, გოგო! — ჩააცივდა ის. — მითხარი,  
განდობა დარდს შეგიმსუბუქებს.

— არა.

— ის ბრიგადირი ვინ ოხერი და ეშმაკია? — პირდაპირ შეეკითხა ბოლოს.

— რომელი?

— აი ის, ცხენით წყალში მომეშველაო!

უარის ნიშნად ლეონილამ ხელი გაიქნია, თუმცა ბრიგადირის ხსენებამ რა-  
ტომდაც სხეულში თბილად, მამებლად დაუარა და გულშიც უჩხვლიტა.

— ჰა, გამოტყდი!

— არა, დეიდა თაფლო, ვერ ავიტანე მაგათი კენესა. ბრიგადირი მაშინ არც  
მახსოვდა.

მაგრამ თაფლოს დაჯერება ძნელი იყო. ის მაინც ბრიგადირ ნინია შალი-  
ბაშვილს თვლიდა ქალის უღონოდ გახდომის მიზეზად.

— შეიძლება, შეიძლებაა. — დაეთანხმა განგებ ბოლოს. — მეც დამემართა  
აგრე შარშანწინ. ხევში გადაგდებული ბრმა ლეკვი ვიპოვე. ავიყვანე. უბეში  
ჩავისვი, გავათბე, გავზარდე. შევეჩვიე და შემეჩვია. კაბის ქოხები შემომაცვი-  
თა უკან დევნით და პროწილით. მეძებარი გამოდგა. გადამეკიდა ჩვენი მეზობ-  
ლის სტუდენტი შვილი, მომეციო. ნეც ხათრი აღარ გავუტენე, ორ ჩანახ პურად  
და რვა ლიტრა ღვინოდ მივყიდე. ღვინით სტუმრები გავისტუმრე. დამწყდა  
გული, სიცოცხლე გამიჭირდა.

— მეც ამ უბით მიტარებია ჩემი ბატის ქუჭულები. — აიწია ზედაწელო  
ლეონილამ.

— რაკილა ასეთი გულჩვილი ხარ, შენი შნოიანად მოხმარების იმედი არ  
მაქვს. კიდევ გამომეცლები ხელიდან. განსაკუთრებით მაშინ არ გამომადგები,  
როცა მამლაყინწების დაკოდვას შევუღლები. სისხლის დანახვა გადაგრეცს, არ

მინდა შენი ცოდო კისერზე მოვიდო. ატა... ტა... ტა... გამეცალე, ახლოს არ მომეკარო. სხვა ვინმე მოძებნე, მომიყვანე შენ მაგიერ, მომანმარეთ.


— ერთხელ კიდეც ვსინჯავ! — შეეხვეწა ლეონილა.

— აპა, არა. — გაასავსავა ხელები ქერივმა. — გამოცდა ვერ დაიჭირე. ახლავე აირბინე სოფელში. ჯანი გაიგდებინე და მომინახე შესაფერისი მომხმარე. შენსავით პროწილა, ქინძისთავით დაბნეული გულისა კი არა... მაგარი, შეუბრალებელი. ბატი თუნდაც ბუმბულიანად, ცოცხლად შეახრამუნოს, წარბი არ შეეძრეს. თორემ რასა გავს ეს? მთელი დღე აქ ვარ, ნამუშევარი კი არ მიჩანს, არც ცოტა და არც ბევრი. კაპეიკის საღირალი ჯერ არ გამითბია. ხელი მომეცარა-მეთქი. დღე ჩემთვისაც დავკარგე უსარგებლოდ და ვერც არაფერი თქვენ შეგმატეთ. უნაყოფოდ გატარებული დრო მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე ღმერთმა მართო ჩემ მტერს მისცეს. მაშ გასწი. სანამ დაბრუნდები, მე ერთი ბატის გამოპუტვას მაინც მოვრჩები.

ლეონილამ გაიხადა თეთრი ტანისამოსი, ნაქსოვი სათბური ბეჭებზე მოიგდო, გარეთ გავიდა, კარი მავრად გაიხურა. თაფლომ მას თვალი გააყოლა, მძიმედ ამოიოხრა და ინატრა:

— შენი ხნისა ვიყო და მეტი არა მინდა რა.

(გაგრძელება იქნება)



## მუკამან ლეპანიძე

### კახეთი

\*  
\* \*

მესამე დღეა  
მივარღვევთ კახეთს —  
ხატად სამოთხის,  
ედემის სახედ,  
გაშლილხარ ირგვლივ,  
სამშობლოვ ჩემო...  
რა მამულეები  
მქონია აქეთ!  
ვაი სირცხვილო,  
ეხლად გნახეთ  
შენ, ალავერდო,  
იყალთოვ,  
გრემო!..

\*  
\* \*

ახმეტას თითო ვაზზე ფუთს კრეფენ,  
ატმებს დასწმენდიათ ბუსუსები,  
ყურძენზე გადასულან ფუტკრები —  
მინდვრის ყვავილთა მუსუსები.

დასალდათებულან თუთუნები,  
ლეღები ცვივა და იპობა...  
ჩუ, წიფობელებიც გრუტუნებენ:  
— მწიფობა!  
— მწიფობა!

\*  
\* \*

ჩვენი მანქანა კახეთში მიჰქრის,  
მყავს ამხანაგად კახეთის გზაზე  
ქავჭავაძიანთ პატარა ქალი;  
ათი წელია ჩვენ ერთად ვმგზავრობთ.





მე შემიძლია მას მივეფერო,  
მე შემიძლია მას ვაწყენინო,  
რამეთუ იგი

ცოლია ჩემი.

ჩენი მანქანა კახეთში მიჰქრის,  
მეხუთე დღეა კახეთში მიჰქრის —  
ასი წლის შემდეგ მივუვალ სტუმრად  
ლენერალს, თავადს, სავეტნიკს, მგოსანს,  
იმპერატრიცის ბრწყინვალე ნათლულს...  
უნდა შევუქო ლექსი და ღვინო,  
უნდა შევუქო წინანდლის ბალიც,  
ღარიბ ნათესავს

შეჰფერის როგორც.

ჩენი მანქანა კახეთში მიჰქრის,  
ისევ და ისევ კახეთში მიჰქრის,  
მაგრამ ღამდება წინანდლის გზაზე,  
მაგრამ ბინდია წინანდლის ბაღში...  
დაყუდებულან კიპარისები,  
ჩაღამებულან სარკმლები შავად,  
ჩასძინებია მასპინძელს უკვე —  
ეჰა,

ასი წლით დავაგვიანე!

## თეთრი ლექსები შიქრიას



მუხნარი — შავი! კოტეჯი — თეთრი!  
ირგვლივ — კისრამდე ზაფხული ჭრელი..  
გამოდის ცოლი, გამოდის დედა  
და მუხნაშორის ჰკიდებენ ბადეს.

ძირს ბული ასდის ქალაქის მორევს,  
შენ, ორაგული, ქალაქში ცხოვრობ,  
ჰკიდისხარ საქმეს — ვეება სპინინგს,  
და ცხრა მთას იქით ყველაფერს ხედავ.

იღება თეთრი კოტეჯის კარი,  
გამოდის ისევ ცოლი და დედა,  
გამოჰყავთ ფრთხილად შენი ფიქრია  
და მუხნაშორის ბაღში სევამენ.

გავლევჯილია სპინინგი უცებ,  
ხარ ორაგული და მაღალ მთებში  
ალმა მიჰყვები არაგვის ტალღას,  
მიაშრიალებ „პობედის“ ფარფლებს...

მუხნარი — შავი! კოტეჯი — თეთრი!  
 ირგვლივ — ყელამდე ზაფხული ჭრელი!  
 შენ, ორაგული, ბადეში გდიხარ,  
 მაცდურ ბადეში ხარ განვეული,

შენ, ორაგული, ბადეში გდიხარ,  
 უღვაშზე გიზის პეპელა შენი...  
 და თავს გადგია ცოლი და დედა —  
 გახარებული მეზადურები.



თუ რასმე ნიშნავს ძლიერება იმ სიყვარულის,  
 რომლის ნაყოფიც შენ ხარ, ფიქრიავ,  
 შენ უნდა გექნეს — კისერი ირმის!  
 შენ უნდა გექნეს — ფეხებიც ირმის!  
 შენ უნდა იქნე, ერთი სიტყვით, გადასარვეი...

მაგრამ, პეპელავ, ჯერ პატარა ხარ,  
 ხარ წვეთი მზისა, ხარ ფიფქი თოვლის —  
 თოვლებზე სპეტაკი და მზეებზე წმიდა,  
 მივეყვები ქუჩას ადვსილი შენით,  
 ყურში სიცილი წკრიალებს ტკბილი...  
 დღე ზრუნვით მავსებ, ღამე — ოცნებით:  
 მსურს ფეხაკრეფით გავიდე გარეთ,  
 ღამის ქურდივით მივადგე ქვეყნებს,  
 ახირებული სახელი შენი  
 მსურს  
 ქალაქების კედლებზე ვწერო...



მე თუ გავმდიდრდი, ეს იცოდე, შენი გულისთვის!  
 შენი გულისთვის შემოვივლი ჩინსა და მაჩინს:  
 პინდუსტანიდან ჩამოგიტან პენჯაბურ სტავრას,  
 საფრანგეთიდან, შოტლანდიდან — ბროლსა და მუარს...  
 თვრამეტი წლისას ბიჰვენთაში გიყიდი ვილლას,  
 ცხრამეტი წლისას — ერთიანად გათეთრებული,  
 მწვანე ხავერდის სავარძელში ჩაფლული მძიმედ —  
 დაგიწერ ანდერძს, სკივრს დავადებ ვეება ბოქლომს  
 და უკანასკნელ საღამოებს დაველოდები...  
 ჩემო პეპელავ, ოღონდ ერთი ვიცოდე მხოლოდ,  
 რომ თვეში ერთხელ შეაჩერებ კლავიშზე თითებს,  
 გამდიდრებისთვის მგოსნის სურათს ახედავ წყენით,  
 ახედავ წყენით, მაგრამ მაინც იტყვი შენდობით:  
 კოჭლი სტრიქონი ერჩიაო მთელს იმპერიებს!

## რობეაგ ბერსი

### ძველსა გზასა

ნურვინ დაკარგავს ძველ მეგობარს,  
ნუ დათმობს მასა,  
ნურვინ დაკარგავს ძველ მეგობარს  
და ძველსა გზასა.

დავცალოთ თასი, ხალისი გვაქვს  
დღეს ღვინის სმისა,  
ძველი მეგობრის ხსოვნის იყოს  
და ძველი გზისა.

მთაში დავქროდით, მივიკვლევდით  
ყვავილთა ზღვასა,  
მაგრამ ბარდნარი გაეხლართა  
უეკლო გზასა.  
დავცალოთ თასი და სხვ.

ერთად გავტოპეთ ბევრი წყალი  
ჩვენ ორმა ბაღმა,  
მაგრამ ზღვამ გაჰყო ჩვენი გზები,  
გაგვრია გაღმა.  
დავცალოთ თასი და სხვ.

დღეს ისევ შევხვდით, მეგობარო,  
მომეცი ხელი,  
კვლავ შეიყარა ჩვენი ბუდი  
და გზები ძველი.  
გადავკრავთ ღვინოს, ძველებურად  
შევაწყობთ ხმასა,  
ძველ მეგობრობას ვადღეგრძელებთ  
და ძველსა გზასა.  
დავცალოთ თასი, ხალისი გვაქვს  
დღეს ღვინის სმისა,  
ძველი მეგობრის ხსოვნის იყოს  
და ძველი გზისა.



## ირწევა მწვანე ლერწამი

ირწევა მწვანე ლერწამი,  
 თავზე ევლება ქარია,  
 რაც ქვეყნად გამიხარია,  
 სულ გოგონების ბრაღია.

წუთისოფელი ჯაფაში  
 გაქრება დაუდგომარად,  
 რად ეღირება სიცოცხლე,  
 ეს გოგონები რომ არა.

ირწევა მწვანე ლერწამი და სხვ.

ქვეყნად დოვლათის მხვეპელებს,  
 გამდიდრებულებს, ძლიერებს,  
 ხელში შერჩებათ ოქრო და  
 გულში კი სიცარიელე.

ირწევა მწვანე ლერწამი და სხვ.

მე ოღონდ სადმე, ბინდისას,  
 სატრფოს მოვხვიო მკლავია,—  
 წინ წყალი, უკან მეწყერი,  
 შიგაც სიმდიდრის ზვაღია.

ირწევა მწვანე ლერწამი და სხვ.

უგნურია და ბრიყვია,  
 ვისაც ეს მცნება არ ესმის;  
 სოლომონ ბრძენსაც უყვარდა  
 ლამაზი გოგოს აღერსი.

ირწევა მწვანე ლერწამი და სხვ.

ჯერ შექმნა დედა-ბუნებამ  
 ჯიში და მოდგმა კაცების,  
 ხელის გაწაფვას რომ მორჩა  
 და დაოსტატდა სავსებით,  
 დაავიკრავინა ხელობა  
 სუსტი და ნაზი არსებით.

ირწევა მწვანე ლერწამი და სხვ.

## თასით ღვინო და ალალი მეგობარი

თასით ღვინო და ალალი მეგობარი,—  
 რას ინატრებს კაცი ამის უკეთესს;  
 ვინ რა იცის, სით დაბერავს ბედის ქარი,  
 ან ცხოვრება ვის რა ოინს უკეთებს.

მაშ, ძმობილო, არ დაკარგო წამიკ თუნდა,  
 ნუ უყურებ, სით რა ქარი ამოვა,  
 დამიჯერე, ბედს და იღბალს ძებნა უნდა,  
 მორცხვია და თავისთავად არ მოვა.

## მაკფერსონის უკანასკნელი სალამი

გიემაეი, ჩაუქი, მჩქეფარე,  
 მჭექარე ხმით სცემდა ზარს,  
 შავ სახრჩობელასთან მღეროდა  
 და ცეკვით უვლიდა გარს:  
 — ეშორდები დილეგის ბორკილებს,  
 ჯურღმულებს ბნელსა და შავს,  
 შიში ვერ გატეხავს მაკფერსონს  
 სიკვდილთან შეხვედრის ეამს.  
 ბრძოლაში ხმლით ვიგერიებდი  
 სიკვდილის სისხლიან ცელს,  
 არც ახლა დავუშვებ მორჩილად  
 ჯაქვებით შებოქილ ხელს.  
 თუ ამყრით ეანგიან ბორკილებს  
 და ისევ მომაწვდით ხმალს,  
 გამოდით, შემეხიეთ, გიჩვენებთ  
 მარჯვენის ღონეს და ძალს;  
 ბრძოლების ქარ-ცეცხლმა მაცოცხლა,  
 ვაი, რომ ღალატი მკლავს,  
 ვაი, რომ არ მრჩება არავინ,  
 შური რომ იძიოს კვლავ!  
 მშვიდობა ცისქვეშეთს, მშვიდობა  
 მზის ნათელს, მიწას და ცას,  
 შეურცხვეს კაცობა, ვინც შიშით  
 სიკვდილს ვერ უსწორებს თვალს! —  
 გიემაეი, ჩაუქი, მჩქეფარე,  
 მჭექარე ხმით სცემდა ზარს,  
 შავ სახრჩობელასთან მღეროდა  
 და ცეკვით უვლიდა გარს.

## შელა ო ნილ

როცა მინდოდა მისი გულის მონადირება,  
 ტკბილი სიტყვები, რაც გამაჩნდა, დავხარჯე ხელად,  
 მაგრამ ყველაზე კარგად კრიდა ეს დაპირება, —  
 — ცოლად შევირთავ, შელა ო ნილ, ძვირფასო შელა.

გამიწყრა ღმერთი, რატომ ძირში არ მომტყდა ენა,  
 შევირთე შელა, არსაით ხსნა, არსაით შევლა, —  
 შემინთო ცეცხლი, მომიწამლა შვება და ლხენა,  
 დამმწარდა ღვინოც, სამშობლოც და რაც მწამდა ძველად.

თავი მივეცი ბრძოლის ქარ-ცეცხლს, მძვინვარეს, მძაფრად,  
 ფრიდრიხის ჯარში გმირად მიცნო ერთთავად ყველამ,  
 ხელი დამრია მხოლოდ ერთმა შიშმა და ზაფრამ, —  
 — ვაი თუ ჩემს წინ ნაღმის ნაცვლად იფეთქოს შელამ.

ტანჯვა-წვალემა ხომ სალდათის მწარე ხვედრია,  
გადავიტანე ბევრი ომი და ბრძოლა მკაცრი,  
მაგრამ არც ტყვია, არც მახვილი არ მომხვედრია  
შელა ო ნილის ენასავით მწველი და ბასრი.

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ერისთავმა

### ჩემს უკანონო შვილს

შვილო სასოებავ, სიზმარშიც გხედავ,  
ვის ძალუძს, ნეტავ,

რას ძალუძს, ნეტავ,

მამის უფლება ამხადოს,

მხნედ ვარ

გავუსწორდები ბოროტს,

აუგს ვერავინ ვერ გამიბედავს,

— კარგად მეყოლე მხოლოდ.

შენ ალიკვალი დედა ხარ, იცოდე,

შენ შემოგველოს ჩემი სიცოცხლე,

შვილო, ხელს მუდამ გამოგიწოდებ,

— ამ ქვეყნად მოსვლა გშვენის

ერმაც გაიგოს, ღმერთმაც იცოდეს —

რომ მე მამა ვარ შენი.

მიწოდონ მრუში — ავიტან ვგონებ,

შეაკლან ჭორებს ძალა და ღონე,

ჩემს სულს ვერავინ ვერ დაიმონებს,

რასაც მრავალი ცდილობს,

ერთი წუთითაც თუ ავყვე ჭორებს —

მაშინ დაემიწდე, შვილო.

არ დამეკარგება იმედი მოსავს,

— არ უწერია ჩემს ამაგს მოსრვა,

შერისხოს შენი ამ ქვეყნად მოსვლა

— ბრიყვთა სამსჯავრო ცდილობს,

ოფლით მოწეულ თვითეულ გროშსაც

— შენ შემოგწირავ, შვილო.

შვილო, გაიზარდე როგორიც მე ვარ,

იწამე მხოლოდ მშობლების რჩევა...

არგანარება შენს დამაწყევლარს —

რისხვა დაატყდეს მეხად.

შენით ვარსებობ, შენითვე მხნე ვარ,

ჩემი სიმდიდრეც შენ ხარ.

მამის გონება და იერი დედის

მოგეცეს, მტერი ალივისოს სევდით,

ჩემს შეცდომებს კი გაშორებს ბედი

და ფრთებს ამაყად გაშლი,

თუ რამ ვინატრო სხვა, ამის მეტი

დაემიწდე, შვილო, მაშინ.




სამარადისოდ დამტოვე, ჯემი,  
მარტო მიმატოვე,  
ჯემი, ცოდვაა ობლობა ჩემი,  
ჩემი სიმარტოვე.

გიყვარდი, გწამდი — სიზმარში თურმე,  
ცხადად კი გახდი ორგული ჩემი,  
შენ თქვი: — ვერ გაგყვრის სამარეც მრუმე!  
მერე მიმატოვე, ჯემი,  
მერე მიმატოვე.

ვეღარ გიხილავ, ძვირფასო ჯემი,  
ისე ჩაქრება სიცოცხლე ჩემი,  
ჯემი, აღსასრულს არ ველი ცრემლით,  
დაე მოვიდეს მალე,  
მშვიდად დაეხუჭავ თვალებს,  
სამარადისოდ დაეხუჭავ, ჯემი,  
სამარადისოდ —  
თვალებს.

ჰყვარდა ველი, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ,  
ტყეი ტყეობდა — შრილებდა ფოთოლი ლორთქო,  
— ფოთოლს აცოცხლებდა წვიმა,  
ტენი აცოცხლებდა ფოთოლს.  
... და გაიპარა გაზაფხული, ხმა აღარ ისმის,  
მოისრა ველი, ტყის სიმღერა იქცა გოდებად,  
— არაფერია: მოვა მაისი  
და ტყის შრიალი განმეორდება.  
— მე ვერ მიშველის ვეღარც წვიმა, ვეღარც მაისი,  
გარდასულ დღეთა მწარე ფიქრი, ვაება, კენესა  
არ წაიშლება აღარც გაისად,  
არ ეშველება ჭაღარას ჩემსას.  
სიცოცხლის დღეებს გამიმწარებს სიბერე ავი,  
— ღამეებს ახლავს უძილობა, გაბოროტება;  
გაზაფხული ხომ წელიწადში ორჯერ არ ჰყვავის  
და თუნდ ჰყვაროდეს, ჩვენ არა ვართ ხეთა ტოტები.

თარგმნა ფილიპე ბერიძემ





„მზე შინა“

ნახატი ზურაბ ლეჟავასი

## როსკომა ბავანიშვიდი

# მე, შინ

გათენდი, თუ გათენდები,  
მზევ, შინ შემოდო...  
ვაჟის მამა შინ არ არის,  
მზევ, შინ შემოდო.

მე

მე ბევრი არაფრით განვსხვავდები ჩემი ტოლებისაგან. მეთოთხმეტე წელში გადავდექი; რომ დაეიკეხო, ძალიან კარგად ვსწავლობ-მეთქი, ტყუილი იქნება; ფრიადოსანი არა ვარ, მაგრამ სამიანსაც იშვიათად ვღებულობ.

ვკითხულობ ყოველ ვერნის რომანებს, იქ რამდენი ხიფათია, რამდენი გასაჭირი. კაპიტანმა ნემომ, აირტონმა, „ნაუტილუსმა“ გამიტაცა. ბიჭებთან ერთად თბილისის ზღვაზე მივდივარ, რის ხვეწნა-მუდართ ვმოულობთ ნავს და თვითუფლი ჩვენგანი უკვე დიდი საოკეანო ხომალდის ბოცმანია...

როცა სოფელში ჩავდივარ, მაშინ ხომ ილიაში ქარი შემიჯდება ხოლმე. ხეები, გორაკები, ბოსლები, ბანები ჩემი და ჩემი ტოლების ფეხით იქელება; გეწყევლიან ბებიები, გვიჯაერდებიან ახალგაზრდები; მე მაინც ხიფათს ვეძებ, რომ თავი გამოვცადო, ვეძებ გასაჭირს, რომ ნებისყოფა გამოვიწყო. რაღაცას ვახერხებ: ავ ძალღებს შვინდის ჯოხით ვზებავ, ყინულივით მდინარეში ვცივდები და, ბოლოს, ლოგინში ერთი კვირა ვებრძვი გრივს... არის გაჭირვება, ხიფათი, მაგრამ ის, რასაც უფროსები ცხოვრებას ეძახიან — არ ჩანს.

ის, წამდვილი, დიდი, მიღის მოშორებით, მიღმა, მე არ მეხება და ვინმეს რომ ვკითხო, მერიდება, ვერ ვბედავ, მგონია მეტიჩრობას დამწამებენ.

დედა

დედა დიასახლისია, ის ყოველდღე ბაზარში დადის, რათა ჩვენი დიდი სამზარეულო და უამრავი ქვაბები პირამდე საესე იყოს. გემრიელი სადილების მომზადება იცის დედამ. სახელოებს რომ წაიმკლავებს და ჯარასავით დატრიალდება — მის შეხედვას არაფერი სჯობს. რა საკმელს დაასახელებთ, რომ დედას მისი დამზადება არ შეეძლოს.





დედა მეტწილ სამზარეულოშია და მე ვერცკი წარმომიდგენია სხვაგან ვინაა. ჩემთვის ჩვეულებად იქცა: ისე როგორც საწერი მაგიდა არსებობს საწერად, სასადილო — რომ ვისადილოთ, დედაც, თითქოს, მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ დღენიადაგ სამზარეულოში იტრიალოს და ჩვენ სადილები გვიკეთოს. ამას მოთხოვს მამა, ძალაუნებურად ჩვენც ასე მივეჩვიეთ.

### მამა

მამა ლამაზი კაცია, ის ცნობილი ინჟინერია ფაბრიკაში. ხანდახან მომიტანს დღის წარმოდგენის ბილეთს და თეატრში მიყვებარ. დედა არასოდეს არ დადის თეატრში და მე ძალიან მიკვირს — არ უყვარს თუ მამამ მას ვეღარ უყიდა ბილეთი?..

ძალიან მიყვარს მამა. განა იმიტომ, რომ მან ველოსიპედი, ტენისის სათამაშო ჩოგანი და ფოტოაპარატი მიყიდა, არა, — ძალიან კარგია მამაჩემი! კვირაობით მე და ჩემს უმცროს ძმას ქალაქგარეთ წაგვიყვანს, ჩვენთან ერთად ბურთს თამაშობს, დარბის, გვართობს, გვანებიერებს... ეს, რა ბედნიერია ის დღეები!..

ვერ წარმომიდგენია, მამა როგორ უნდა გაბრაზდეს. ოჯახში მისი მაღალი ხმა არ გამიგია. მოხიბლული ვარ მისი სიარულით, მიხრა-მოხრით, მიმართვით. ის დედას „თქვენობით“ ელაპარაკება; როცა ღამე იგვიანებს და დედა საყვედურობს, ისეთი დინჯი, შთაგონებული ხმით პასუხობს — საქმე მქონდაო, რომ შედავებას ვერავინ გაუბედავს.

შევეციცინებ, თუთიყუშით ვბაძავ. ჩემი ასაკისთვის შეუფერებელი იერით დავდივარ, მინდა ბოხი ხმით ვილაპარაკო, ჩემს პასუხებს ისეთი ძალა მივცე, რომ ერთხელ ნათქვამი დამიჯერონ. არ გამომდის. დედას უკვირს ჩემი ზრდილობა, რადგან წინათ მაინცდამაინც წესიერად არ ვიქცეოდი, ამხანაგები ჩემს ბოხ ხმას დასცინიან, ეზოს ბიჭები უკან დამდევენ და ქირჭილებენ.

ერთხელ თვალი მოვკარ, მამა სქელ წიგნს კითხულობდა. როცა შინ არ იყო, მის საწოლთან მიველ, კარადაზე — ლოგინის თავთან რომ აქვს მიდგმული — წიგნი მოვძებნე და სათაური წავიკითხე. ასოები ინგლისურია, სიტყვების შინაარსი კი ვერ გავიგე. დამავიწყდა სათაური გადამეწერა და სკოლაში მასწავლებლისათვის მეკითხა. იმ დღის შემდეგ უცხო ენას დიდი გულშორდენებით ვეჭიდები.

მამას სამი კოსტუმი აქვს. დილით ან ნაშუადღევს რომ ფერადი პიჯაკი აცვია, საღამოს აუცილებლად შავი უნდა ჩაიცვას. მე ჯერ პიჯაკს არ მიკერავენ, სკოლის ფორმა მაცვია. საღამოთი შავი ხავერდის ხალათს არ ვიშორებ, ვიდრე დედისაგან შენიშვნას არ ვღებულობ: — ბიჭო, ამ სიცხეში, ბერავით, რა შავი ამოგიცვამსო. მე ეს შედარება ძალიან მწყინს, ხალათს ვიხდი და უკმაყოფილოდ რაღაცას ვბურტყუნებ.

### საიღუმლო

ჩვენს ოჯახში უცნაური ცვლილებანი მოხდა. მამა ორ ღამეს შინ არ მოსულა. დედა მილიციაში იყო. იქ, არ ვიცი რა უთხრეს, ნამტირალევი დაბრუნდა და მთელი ღამე თეთრად გაათენა. მესამე დღეს მამა მოვიდა, დედა შუბლშეკრული დახვდა. შესაგებებლად რომ გავიქეცი, დედამ გამაჩერა და ნაბიჯის გადადგმის უფლება არ მომცა. რატომ? გაცობული ვარ. შშობლებს დაბხეული ვუყურებ. რას ნიშნავს ყოველივე ეს? მე მეორე ოთახში გასვლა მიბრძანა.



ჯერ სრული სიჩუმეა, მერე დედის ხმა მესმის.

— სად იყავი ორი ღამე? — ეკითხება მამას.

მამა არაფერს პასუხობს. მიკვირს. ის პასუხებს არასოდეს არ აგვიანებს, ახლა რა ემართება.

— სად იყავი? — კვლავ ამბობს დედა.

— შენ ჯერ სამზარეულოს კედლებს გასცილდი, ქვაბების სუნი ჩამოი-  
რეცხე და მერე გაიგებ ჩემი ცხოვრების მიზანს. მე, ბოლოსდაბოლოს, ინტე-  
ლიგენტი ვარ! — ყვირის მამა.

ვისუსები, ათ ყურს ვიბამ.

— მწარე ენა გაქვს, არჩილ, სამზარეულოში ვინ ჩამკეტა, სპეციალობა  
ვინ წამართვა?

— იქნება გინდა თქვა, რომ მე ვარ ამ ბოროტების ჩამდენი?!

— აბა, სხვა ვინ უნდა იყოს! შენ არ მეჩიჩინებოდი, მოვლა მჭირდება,  
ხელშეწყობა, ბავშვებს აღზრდა უნდა, შინ უნდა იყო, რომ ხულიგნები არ  
გამოვიდნენო? შენ არ იყავ?

— მე არ შემიძლია, ცხოვრებაში რაც მითქვამს, ყველა სიტყვა ზეპირად  
მასსოვდეს.

— არა, ეს სიტყვა არ არის! ეს — შენი მოთხოვნილება იყო, შენა შეხედუ-  
ლება ცხოვრებაზე, ჩემზე. შენ ეს მშვენივრად გახსოვს.

— ვთქვი და მით უკეთესი! რა გინდა ახლა?

— სად იყავი ორი ღამე?

— განა მოვალე ვარ ჩემი თითოეული ნაბიჯი ჩაგითვისალო?

— თუ ის ოჯახის პატიოსნებას ეხება.

— რა საჭიროა მაღალფარდოვანი სიტყვები! პატიოსნება, ოჯახი... უბრა-  
ლოდ ვილაპარაკოთ.

— ერთი შემთხვევა რომ იყოს, მოვითმენდი, თვალს დავხუჭავდი, როდემდე  
ვითმინო? მეორე წელია, რაც ოჯახზე გული აიყარა...

— გეჩვენება, გენაცვალე.

— კმარა ფარისევლობა! მე თუ აღარ გეცოდები, შვილები მაინც არ გე-  
ნანება?

— მე ჩემი მოვალეობისათვის არ მილალატია.

— არცკი გრცხვენია! ტყუილს ამბობ და თვალეში მიყურებ. განა შენი  
მოვალეობა მხოლოდ ის არის, რომ ჩავვაცვა და გვაჭამო? შენ ხომ მამა ხარ!

— მე არ მსურს ამ საკითხზე საუბარი, — ამბობს მამა, ღვება და ოთახი-  
დან გასვლას აპირებს.

— სანამ ჩემს კიბხვაზე პასუხს არ მივიღებ, აქედან ფეხსაც ვერ გადად-  
გამ, — მტკიცეა დედის ხმა.

— როგორ, პატიმარი ვარ? ამას დამიხედეთ! ხა, ხა, ხა! — იცინის მამა.  
მის სიცილზე მაყრიალებს, გული მიგრძნობს, ცუდად აირია წყალს.

— შენ შვილები გყავს, ვალდებული ხარ პასუხი მოგვეცე.

— სწორედ იმ ლაწირაკ ნოდარსა და შენ დაგიწყებთ ანგარიშების ჩა-  
ბარებას.

მამამ ჩემი სახელი ახსენა. დამცინა? მაშ ნახოს, დამაცადოს, თუ შე ლა-  
წირაკი ვარ! აქამდე მშობლების ლაპარაკს ყურს ქურდულად ვუვლებ, ახლა  
თამამად მოვისმენ.

— ხომ იცი, არჩილ, ეს გზა სად მიგიყვანს?

— არხეინად იყავი, — იცინის მამა.





- მოიგონე ახალგაზრდობა, მე ხომ ჩემი ცხოვრება შენ შემოგვრჩენდა?
- მე ფართო მოთხოვნილებანი და ფაქიზი გემოვნება მაქვს. შენ უკვე ველარ მაკმაყოფილებ...
- დამცინი? ახია ჩემზე, ტექნიკუმი რისთვის დავამთავრე, ფაბრიკაში თუ რამდენიმე წელს მამუშავებდი? ოჯახზე მიმაბი და ეს არი შენი მადლობა? დედა ეხვეწება. რატომ? მან უნდა მოითხოვოს! განა უფლება არა აქვს?
- არჩილ, მოიბრუნე გული ოჯახზე, რაც იყო, მიპატიებია.
- გიპატიებია? ჩუმად იყავ და სკანდალებს ნუ მიმართავ. აქ შე ვარ ოჯახის მეთაური. როცა მინდა, მაშინ მოვალ. შემოძლიან, შინ ერთ თვესაც არ ვიყო...

**შოშოტი**

ვცდილობ ისე მოვიქცე, მამამ ვერაფერი შემატყოს. მინდა მეც მასავით ცხოვრებაში მსახიობი ვიყო... თურმე ამისათვის გამოცდილებაა საჭირო. მე კი ეს გამოცდილება საიდან მექნება.

გადავწყვიტე, მამას არაფერი ვავრძობინო. ვითომ სიტყვაც არ გაძიგია, ყველაფერი წინანდებურად არის, ჩუმად და უხმაუროდ. გადავწყვიტე, მაგრამ ვერ ვასრულებ. გული გამიტყდა. ვგრძნობ, მამა ისე აღარ მიყვარს, როგორც წინათ. მას აღარ ებაძვ. მისი სახელით აღარ ვამაყობ. თვალბეშიც კი ვერ ვუტყერი, ვიცი, მამა გულისაყრას შემატყობს... რატომ ხდება ასე, ვერ გამოგია. დედა ერთხანს მხიარულად არის. მამასთან ერთად კინოშიც იყო. მაშ შე რას ვდარდობ, რა მამბრაზებს. მეც არ ვიცი, რა მინდა. მამას ხშირად ვუცემივარ, მომითმენია; მამა იყო და, მეგონა, უფლება ჰქონდა. ფეიქრობდი, გულში მაინც ჩემით ამაყობს, უფროსი ვაჟი ვარ, ოჯახის იმედად მივაჩნივარ-მეთქი... პირში რაც არ უნდა მოთხრას, შემოძლიან გულთან ახლოს არ მივიტანო, მაგრამ როცა პირსუკან ასე დამამცირებლად მომიხსენია — ცეცხლი მომედო. როგორ, მე ვინა ვარ?! რატომ ჰკონია, რომ მე არაფერი მესმის. რომ მტყუანსა და მართალს ვერ გავარჩევ. რატომ ფიქრობს, რახან ის ძალიან მიყვარს, ამიტომ ყველაფერს ვაპატიებ? არა, ასე ნუ ეგონება! მე თვალს ვერ დახუჭავ, როცა დავინახავ, რომ დედას სჩაგრავენ. ჩავიდე ეს ფიქრი გულში და იმ დღის შემდეგ ველარ ვისვენებ. ვშფოთავ და ვღრტვინავ.

ცხოვრებამ დაკარგა ჩემთვის წინანდელი უზრუნველი იერი. სათამაშოდ და წინგის წასაკითხად დრო საკმაო მაქვს, მაგრამ შე ყოველთვის მამაზე ვფიქრობ, თვალდან მისი სახე არა მშორდება, თითქოს კიდევ რაღაცა უნდა მოხდეს უფრო დიდი, საშინელი, შემაძრწუნებელი. ფიქრი — მოლოდინად იქცა, მოლოდინი — იღუმალ შიშად. მე მეშინია ხვალინდელი დღისა, თითქოს არ მინდა გათენდეს; ძილის დროს თავს საბანში ვმაღავ, იქნება უბედურებას თავი ავარიდო...

შიში ამეკვიატა. მამასთან პირისპირ დარჩენას გავურბი. დღისით თუ ის შინ არის, ვცდილობ ეზოდან არ ამოვიდე, დამე — გაკვეთილებს ლოგინში ვამზადებ, რათა მას არ შეგხვდე, რაღაცა არ წამომცდეს, ან მან არ შემამჩნიოს და გამოცანის გასახსნელი ნასკვი არ გაშალოს. როდემდე ველოდო? უნდა ვუთხრა ვიღაცას. დედას? ძმას? არ შემოძლია, მეშინია. ამხანაგებს ვერ გავუძახელ, ვაი თუ დამცინონ. მასწავლებლებისა მრცხვენიან, მე ყოველთვის მამით ვამაყობდი, ახლა როგორ ვთქვა მასზე ცუდი? არადა, როგორ მოვიქცე, რა გამოსავალი გამოვნახო?

აღარ მახსოვს კაპიტანი ნემო და „ნაუტილუსი“. აღარ ვაწყობ გეგმებს





მთვარეზე გასაფრენად. მთელ საღამოებს რებუსებისა და შარადების ამოხსნაში აღარ ვატარებ. მივხვდი, რას ეძახიან ცხოვრებას. ახლა დავინახე პირველად, რომ დედა მთელი დღე სამზარეულოშია. ის ჩვენს მოსამსახურედ არის გადაქცეული. ჩვენ გვივლის და გვპატრონობს. გონებაში მამა მრისხანე ბატონად მყავს წარმოდგენილი, რომელიც მხოლოდ მბრძანებლობს, შინ საქმელად და დასაძინებლად მოდის. დედამ კი ჩუმად, ხმაამოუღებელივ უნდა იმუშაოს, მისი ყველა სურვილი შეასრულოს, მასთან ერთად ჩვენც, შვილებსაც მოგვიაროს.

ვცდილობ, დედას ტვირთი შევუშუსებუქო, მისი შრომა შევამცირო: ვგრძნობ, თუ ფრთხილად არ მოვიქცევი, დედა გამიგებს. გამომცდელ თვალს მომაპყრობს და პასუხს მომთხოვს. მე კი რა ვუპასუხო? რა ვუთხრა? შენი გასაქირი ვიცი-მეთქი? საიდანო, არა მკითხავს? არა, სჯობს, დედასთან ამაზე არ ვილაპარაკო.

გულუბრყვილო, გულია სიცილი გადამავიწყდა. მთელი ჩემი გონება ერთი აზრით არის შეპყრობილი: მშობლებმა არ გაიგონ, რომ მე მათი უსიამოვნების ამბავი ვიცი, რომ მათი საუბარი მოვისმინე და მას შემდეგ მალულად თვალს ვადევნებ. ხანდახან ჩემს თავს ისეთ უცნაურ მდგომარეობაში ვიჭერ, რომ ბრაზი ყელში თოკივით წამიჭერს და მახრჩობს. რადა ვარ ამ ყოფაში? ჩემი ტოლები განა ეგეთ რამეზე ფიქრობენ? მაშ, მე რა დავაშავე?

დღეები წინანდელივით ერთმანეთს აღარ ჰკვანან. ყოველ წუთს ჩახმახზე შეყენებული თოფივითა ვარ. მუქაში დამწყვდეულ დიდ ზამბარასა ვგვევარ. საქმარისია თითის ერთი შეტოკება და მხუილით ამოგტები, თავ-პირს დავიმტვრევ, რადაცა არაჩვეულებრივსა და გასაოცარს მოვიმოქმედებ.

### ლიმონათი

პირველი მაისი ახლოვდება. სამაისოდ ყველა ბევრ სანოვაგესა ყიდულობს. დედასაც ბაზარში უნდა წასვლა, მამას ფული სთხოვა. მამამ დაუბღვირა და უთხრა:

— არა მაქვს ფული, რაც მოგეცი — იმყოფინე.

— რაც არ მოგიცია, რა ვიმყოფინო?

— როგორ, ფული არ მომიცია? მაშ ვინ გინახავს?

— რად მაყვედრი შენახვას, შენ თუ ინეინერი ხარ, მე შენზე ადრე პირველი მქსოველი ვიყავი. სამუშაოს თავი რად დამანებებინე, რა გინდოდა, ჩემი შრომით აღებული დაუყვედრებელი ლუქმა მეჭამა?

— შენთვის ისიც საამაყო უნდა იყოს, რომ ჩემი ცოლი ხარ.

— მე დედაცა ვარ. შვილების გაზრდა „შენ ინეინრობაზე“ ნაკლები არ არის.

— ჩემს პროფესიას ავღებით ნუ ახსენებ. მე პატივისცემა მჭირდება, მე ვარ თქვენი შემნახავი!

— კარგი, მომეცი ფული, რომ საქმელი ვიყიდო.

— აიღეთ, შექამეთ და გამატყავეთ! — მამა ფულს მაგიდაზე ყრის და ოთახიდან გაბრაზებული გადის.

დედას ბაზარში მივყვები. ვცდილობ, ისე მოვაჩვენო, თითქოს არაფერიც არ მომხდარა. ჩუმად ვარ. რატომღაც თავს ძალიან დამცირებულად და შეურაცხყოფილად ვგრძნობ. მინდა ვიღაცას პასუხი მოვთხოვო. არ ვიცი ვის ან რისთვის. დედა უგუნებობას მამჩნევს და ფრთხილად მეკითხება:

— რატომ ხარ გაჩუმებული, ნოდარ?

— რა ვთქვა, დედა?



— სამაისოდ რა გინდა? ახალი ხილი ჯერ არ იქნება. ისევ ვაშლს გიყიდი.

მე მტკიცედ ვუარობ.

— ვაშლი ყოველთვის გიყვარდა! — გაოცებულია დედა.

თითქოს რაღაცას მიხვდა. ნაპარავად შეეხედე. თვალეში ცრემლი მოსდგომია, ცხვირის ნესტოები უთრთის. უცბათ სხეულში სისუსტესა ვგრძნობ. თავს ვიმხნევებ.

როდის მექნება საკუთარი ფული, რომ დედას რაც მოესურვება — ვუყიდო? — ვფიქრობ და გეგმებს ვაწყობ, როცა ვიმსახურებ, რამდენ ფულს ავიღებ, რას როგორ გავანაწილებ...

ბაზრიდან მოვდივართ. აი, ჩვენი სახლიც. ოთახიდან რაღაც ხმაური ისმის. მამას თავისი ამხანაგები მოუყვანია, თვალედაწითლებულები და სახეაპარხლებულები ნარდს თამაშობენ. მაღიმალ კარისაკენ იქიჩებიან. როგორც კი დედა დაინახეს, წამოცვიდნენ და ხელი ჩამოართვეს. მამა მხიარულად ამბობს:

— აბა, ჩემო ძვირფასო ტასო, ერთი კარგი სუფრა გავგიშალე, მე რომ მიყვარს ისეთი! შენ, ნოდარ, მოდი აქ, — მეძახის მე.

მივედი. წინ გავუჩერდი.

— ხომ კარგი ვაჟკაცი მყავს? — ეკითხება მამა ამხანაგებს და თავზე ხელს მისევს.

თავიდან ფეხებამდე გასაყიდ ცხვარივით მათვალეირებენ და მერე ერთხმად აცხადებენ, რომ მე ძალიან კარგი და ყოჩაღი ბიჭი ვარ. ვატყობ, რაღაცა უნდა დამავალონ. იმიტომ მაქებენ. ვდგევარ და ვუცდი.

— ამ ფულით, ჩემო ნოდარ, ღვინოს მოიტან, — ენას უყიდებს მამა. ახლა შევატყვე, რომ მთვრალია. — შენთვის ღვინოსათი იყიდე, ჯერ ღვინო არ შეიძლება, პატარა ხარ, ხომ მართალია? — ეკითხება სტუმრებს.

— ოო, არ შეიძლება, არა! — სტუმრები შეწყობილად თავს იქნევენ.

დოქებს ვიღებ და ღვინოსათვის მივრბივარ. ღვინის სარდაფამდე კარგა მანძილია. იქამდე დაიღლება კიდევ კაცი.

მივედი. გზაში სულ იმაზე ვფიქრობ — ვიყიდო თუ არა ღვინოსათი, იქნება ფული დედას მივცე.

სარდაფში აუარებელი ხალხი დამხვდა. ისინი ჯგუფ-ჯგუფად დგანან და ლაპარაკობენ. გამყიდველი ვერ მამჩნევს. კისერს ვიგრძელებ, რომ როგორმე დამინახოს. როგორც იქნა, ეღირსა და თავის სულელურ თვალეებს მაშტერებს. დოქებს მივსვამ. უკან გამოვდივარ!

ჩვენი სახლის მახლობლად ტბილი წყლების ფარდულია. გული არ მიძლებს, ფარდულისაკენ ვუხვევ. ღვინოსათს ვთხოვლობ; გადავწყვიტე, აქვე დავლიო, არ ღირს შინ ტარება. დოქებს ძირს ვდგამ, ღვინოსათს ჭიქაში ვისხამ და ვსვამ; ვილატამ გამიარა. მხარი გამკრა. მივიხედე. ვილატამ ჩემს დოქს ფეხი გამოსდო და გადააქცია. გავშრი. ღვინოსათი ყელში ისე უცებ გამიმწარდა, თითქოს ქინაქინა გადამეყლაპოს. გატეხილ დოქს გაშტერებული დავცქერი და ცრემლები ჩამომდის. ხალხი შემომხვევია... უსაქმურები ათასნაირ დასკვნებს აკეთებენ:

— ასეა, კაცო, ბავშვს გამოგზავნიან და თითონ გატყვერებიან სმით.

— რაღა ბავშვია, მაგხელა რომ ვიყავ, ზეინკლად ვშუშაობდი.

— თავად ღვინოსათს სცემია, აბა, რა დაემართებოდა.

— მეორე დოქი მაინც აიღე, ბიჭო, თორემ მაგასაც გაგიტეხავენ.





ლოქის გამტეხი ახლა გამახსენდა. ზღარბივით ავიბუძვე, ხალხის გროვამდე ვეძებ, ისე ვარ გაცეცხლებული, რომ დავინახო, ალბათ კბილით გავწიწკნი-

ხალხი დაიშალა. ცალად დარჩენილ ლოქს ვიღებ და შინისაკენ თავჩაქინდრული მოვდივარ. „ახია ჩემზე, — ვქირდავ საკუთარ თავს. — რა მეჩქარებოდა ლიმონათის დაღვევა, ხვალ ვეღარ მოვასწრებდი? ახლა რა ვქნა, მამას რა ვუთხრა?“

სამზარეულოში ჩუმაღ შევბარე, ლოქი ბოთლებში გადავცალე და ხმაგაქმენდილი მამის მრისხანებას ველი. სტუმრები ღვინოს მხიარულად სვამენ. ვნატრობ, მალე დაამთავრონ, მამამ ღვინო აღარ მოითხოვოს. მაგრამ არ გადის ერთი საათიც და მესმის:

— ნოდარ, ღვინო დაგვაკლდა, ჩქარა!

სასადილო ოთახში შევდივარ და კართან ვჩერდები. უკვე იმხელა ვარ, რომ სირცხვილიცაა თავჩაქინდრული ვიღვე. არადა პირდაპირ გახედვა ვერ გამიბედნია.

— ღვინო არ მოიტანე? — მეკითხება მამა.

— ლოქი გამიტყდა, — ვამბობ ძალიან ხმადაბლა, მაგრამ ყველა შშვენვირად იგებს.

მამას ტუჩები უკანკალებს. ეს მისი უდიდესი მრისხანების ნიშანია. გამახსილავებს. მაგრამ დარტყმას გადავრჩი და ენით ვიკოდები:

— აქედან გაეთრიე, ინლაური! — და ნაძალადევად იცინის.

სტუმრები ხითხითებენ.

სასადილო ოთახიდან ოფლად დაღვრილი გამოვდივარ. მირჩენია, მიწა ვასკდეს და ჩამიტანოს. კაცებისა ძალიან მრცხვენია. ქალებთან, რაც არ უნდა მითხრან, როგორც არ უნდა გამლანძღონ — ავიტან. კაცებთან — სირცხვილი მწვეავს. მზად ვარ გავიქცე, არ ვიცი სად, ოღონდ აქაურობას ვავეცალო. ჩემდა გასაოცებლად, სტუმრები მალე მიდიან. მამა მათ აცილებს და იმ ღამეს უკან აღარ ბრუნდება. მეორე დღეს აღარ ახსოვს წუხანდელი. რაღაცას იგონებს და ვერ მოუგონებია. მე აქეთ-იქით ამრეზილი ვიყურები და ვცდილობ მამას თვალებში არ შევხელო.

### ნამცხვარი

პირველი მისია. დემონსტრაციაზე ვიყავი. შინ დაღლილი დავბრუნდი. კვლავ ის კაცები დამიხვდნენ. არ ვიცი მშვიდრები იყვნენ თუ უნახავები, ჯერ საკმელი არ ექამათ და დედას მიერ საგულდაგულოდ ნაყიდი ვაშლი გაათავეს. აღარაფერი დარჩა. დედა ჩუმაღ ტირის. არავის ელაპარაკება. გაოცებული ვარ, შვილებმა რა დავუშავეთ, ხმას რომ არა გვეცმს? გვიან ვხვდები, დედას ჩვენი რცხვენია.

ამხანაგთან მივდივარ. იქნება კინოში გამოყვეს.

ჩემი ამხანაგი დედისერთაა. ხუთი დეიდა ჰყავს. ყველა მას ეფერება, ანეზიერებს. აი, ახლაც, მივედი და ამხანაგი ტკბილეულით სავსე სუფრასთან დამიხვდა. ნამცხვრით ყებებამოტენილი, თითქორდა დაცინვით მეუბნება: — ჰამე! ასე რომ არ ეთქვა, უსათუოდ შევქამდი, მაგრამ მის სიტყვებზე ხასიათი მიფუქდება, ვარწმუნებ, რომ ახლახან ვისაუზმე; ვცდილობ ჩქარა წავიდე. ზაური კი, ჯიბრზე, ყბებს ნელა იქნევს და ტკბილეულით სავსე თეფშებს აცარიელებს.

— კინოში არ წამოხვალ? — მოუთმენლად ვეკითხები.

— მეზარება. — ნებივრად მპასუხობს და ტახტზე იმოტება.





უხმოდ ვდგები და გარეთ გამოვდივარ. ტრამეისი გაჩერებაზე მივედი. ვი-  
ლატა უკანა ბაქნიდან ჩამოსულა და ხალხში დამალვას ცდილობს. მილიციელმა  
მე მტაცა ხელი.

— მე არა ვყოფილვარ, — ვეუბნები მშვიდად და ვჩქარობ ვაგონში ავიდე-  
ის მკლავზე ხელს მაგრად მკიდებს და მილიციაში მიყუყუვარ.

— არა ვყოფილვარ, — ვიმეორებ და მუდარის თვალით შევცქერა.

უკან ხალხი მოგვდევს. მესმის მათი ყაყანი:

— ხულიგანი იქნება, ჯიბეში ხელს ჩაუყოფდა ვისმეს!

— ახია მაგაზე, მილიციონერ, არ გაუშვა.

— გაფუქდა ახალგაზრდობა.

— ახლა ბავშვები კი არა — მამალი მკვლელები არიან!

მილიციელი ისე მიდის, თითქოს ქვეყნის ამომგდები დაექიროს. ბრაზი  
მიპყრობს. ახლა ნამდვილად მინდა გავიქცე.

— სად მივბიხარ, ხულიგანო, ბანდიტო! — ყვირის მილიციელი.

გზაში ვილატა ოფიცერი გვხვდება. არ ვიცი, გულთმისანი იყო თუ რა,  
ამათვალეირ-ჩამათვალეირა, რაღაცა მკითხა და გამიშვა. მილიციელი პირლია  
დარჩა. გაოცებული მიყურებს და თავისთვის ბუტბუტებს.

ხალხი კვლავ ყბას იჭავენს:

— საწყალი, უდანაშაულო ყოფილა!

— აქამდე უნდა გავშვათ.

— კარგი ახალგაზრდობა გვყავს, სადღაა ახლა წინანდელი ხულიგნები.

— ახლა ბავშვები კი არა — ანგელოზები არიან!

მელიმება. პატარა ვარ და ცხოვრებაში რამდენ მლიქვნელსა და გაიძვერას  
ვამჩნევ. რა უნდათ ამ არამკითხე მოამბებებს?

ვილატამ ხელი ჩამავლო. მილიციელი მეგონა. თავქუდმოგლეჯილი გავ-  
რბივარ, განა ოფიცერი ყოველთვის შეგვხვდება. უცნობი ქოშინით ჰოძდევს.  
მივიხედე.

— ზაურ? რა გინდა? — გაკვირებული ვჩერდები.

— კინოში წავიდეთ, — მეუბნება და აბოყინებს.

— ახლა შენთან არ ვიყავი, რომ გეზარებოდა?

— აღარ მეზარება.

— მე შენი პამპულა არა ვარ!

— დაგპატიყებ, თუ ფული არა გაქვს.

— ფულიცა მაქვს და ნამცხვარიც შინ! — ვყვირი ვაბრაზებული. ზაური  
დაბნეული მიყურებს.

ვატყობ, ვწითლდები. ზაურის სახლში ნანახი ნამცხვარი მოსვენებას არ  
მაძლევს. პირს ნერწყვით მივსებს. აქაც რომ წამომცდა! ვაი თუ მიმოხედეს?

— შინ საკმელი ვილას არა აქვს, მაგრამ ქუჩაში არ ტრახახობს.

— ჰოდა, გაჩუმდი! — ამყად ვამბობ და რატომღაც თავი გამარჯვებული  
მგონია.

— კინოში არ წამოხვალ?

— წელან გითხარი, მე შენი პამპულა არა ვარ-მეთქი.

ზაურს შუა ქუჩაში ეტოვებ. დავარწმუნე, რომ შინ ნამცხვარი მაქვს. რა  
საჭიროა ასეთი ბავშვობა? — ვეკითხები თავს და მეცინება.

მსუბუქად მივდივარ. ვხეიძობ, როცა ლელოს ამყად გავიცნა. რატომ  
უნდა იფიქროს ზაურმა, რომ მე მასზე ცუდად ვცხოვრობ. მაგას ხუთი დეიდა  
ანებიერებს, მე — არცერთი. ეგ თავკერძაა, მე უმცროსი ძმა მყავს.



გონებაში ზაურს ვამათრახებ. ის ძალიან ცუდი და ეგოისტი ბიჭი მგონია. შინ მივედი. უმცროს ძმას სძინავს. მამა, ჩვეულებისამებრ, არ მოსულა. დედა კუთხეში მიმჯდარა და რაღაცა ძველ რვეულებს ათვალიერებს.

ჩუმად ვარ. საკუთარი გულის მოძრაობას ვუსმენ. წიგნს ვიღებ და ვცდილობ წავიკითხო. გულისყური დედისკენა მაქვს.

ვერ გავძელ. ფეხაკრებით მიეუახლოვდი და რვეულებში ჩაეხედე. ქაღალდი ნახაზებითა და ფორმულებითაა აჭრელებული.

— დედა, ეგ რა არის?

— კონსპექტებია, შვილო.

— რისა?

— ახალგაზრდობაში ფაბრიკაში ვმუშაობდი. ხუთ მანქანაზე ერთად ვქსოვდი. ამ რვეულებში მრავალ საქსოვ მანქანაზე მუშაობის გეგმა მაქვს ჩახაზული.

— საინტერესოა, არა?

— ძალიან.

— რად გინდა, ფაბრიკაში ხომ აღარა მუშაობ?

— იქნება მომავალში ვიმუშაო....

— მე ძალიან მინდა, რომ მუშაობდე, დედა.

— ბევრი ფული გვექნება?

— შენ ვერაფერს დაგცინებს...

— განა... — დედა ტირილს აპირებს.

ლაპარაკს ვწყვეტ და დასაძინებლად ვემზადები.

გურამმა გაიღვიძა. საბანს ვუსწორებ, ვეკითხები:

— რა გინდა, გურამ?

— მამა მალე მოვა?

— წვიმს და იმიტომ დააგვიანდა.

— რატომ ვერ ვხედავ წვიმას, — გურამმა სარკმლის მინას ლამის ცხვირი მიაჭყლიტოს.

სამზარეულოში გავდივარ, ქოჩორს წყლით ვისველებ და გურამს ვუძტივებ, რომ ეს წვიმის წვეთებია. ნეტავ შეიძლებოდეს, დედასაც ასევე შევეუმსუბუქო დარდი!

## ოფოფა ქალი

ზაური იმ დღის შემდეგ აღარ დამლაპარაკებია. ცხვირაბზუებული დადის. გავეძრახე, ტუჩი ასწია. განზე ყურება თავად დავიწყე, თავი რატომ უნდა დავვიმცირო, რატომ უნდა ვეხვეწო, ჩემთან ამხანაგობა არ უნდა და ნუ იამხანაგებს.

ქუჩაში ზაურის დედა შემხვდა. გამიჯავრდა, რატომ ჩვენთან აღარ მოდიხარო... დამაფიცა, რომ იმავ საღამოს მივიღოდი და ზაურს შევეურიგდებოდი. წინააღმდეგობა ველარ გავუწიე. ძალიან მეძნელებოდა, მაგრამ მაინც მივედი. ზაურის დედამ ოთახში შემიყვანა, სკამზე დამსვა და მითხრა:

— შენ იცი, რა დანაშაული ჩაიდინე?

— დანაშაული? — ვიმეორებ გაოცებული.

— დიახ! ისე გიკვირს, თითქოს არაფერი იცოდე. ასეთი ბოროტება როგორ შეიძლება?

დაბნეულობა მიპყრობს, პასუხს ვერ ვახერხებ. ზაურის დედა, ოფოფს ასე საოცრად რომ ჰგავს, მეუბნება:

— კინოში წასვლაზე უარი რატომ უთხარი, ჰა?





- ეს, დეიდა, მე და ზაურის საქმეა, თქვენ რატომ წუხდებით?
- არა, ბიჭიკო, მე ვიცი, აქ რაც ხდება: შენა და შენ ამხანაგებს გშურთ ზაურის ბედი, რომ მისი დედ-მამა კარგად ცხოვრობს. იცი თუ არა, გაბრაზებულმა ზაურიმ მთელი ღამე ვეღარ დაიძინა. ბავშვს ნერვებს რატომ უშლი?
- უფლება არა მაქვს ისე მოვიქცე, როგორცა მსურს?
- კარგად იცი, ზაური შენთან ამხანაგობას არ თაკილობს... მიუხედავად ამისა...

ჩემდა უნებურად უდიდესი სიძულვილი მიპყრობს და გაფითრებული რაღაცას ვჩურჩულებ.

ოფოფა ქალი ოთახში დადის. კისრიდან თმები უკან აუვარცხნია, შუბლზე ჯიდასავით წამოუდგამს, ჭრელი ხალათი უზარმაზარი ქამრით შეუკრავს, ოჩოფხებვივით მაღალ ფეხსაცმელზე შემდგარა და ისე დააბაკუნებს, თითქოს სიარული ახლა უსწავლიაო. ნამცხვარი გამომიტანა, პირი არ დავაკარე. გარეთ გაბრაზებული გამოვედი და ქუჩაში თავგზაბნეული მივედივარ. „რად უნდა იყოს ასე, — ვფიქრობ დაღონებული, — ვინ არის იმაში დამნაშავე, რომ ზაურს ერთი მეტრი ენა აქვს, თავი ისე უჭირავს, თითქოს ყველაზე მეტი ის იყოს. ჩვენ გაკვეთილი ერთხელ რომ არ ვიცოდეთ, მაშინვე სკოლაში მშობელს გამოგვიძახებენ; ზაურს შეუძლიან ორი კვირაც გააცდინოს და საყვედურს არავინ ეტყვის. ის სკოლაში დილაადრიან მანქანით მობრძანდება და უკან მანქანითვე ბრუნდება. მაგისტანა ერთი გემრიელად უნდა მიზვიპო და ჰკუზავ მაშინ მოვა“.

## შოშვირი

ზაური, ჩვეულებისამებრ, დღეს დილით სკოლაში მანქანით მოვიდა. ბიჭები შესასვლელ კართან ვიდეკით, მან ყველას უხეშად ხელი გვკრა და გაიარა. მთელი დღე იბღვირებოდა. როცა ვაკვეთილები გათავდა და ქუჩაში გამოვედით, ის ხესთან აიტუზა და მანქანას ლოდინი დაუწყო. ჩვენ, მისი თანაკლასელები, ეზოში დავიმაღეთ და თვალთვალი დავეწყეთ, თუ რა მოხდებოდა. კარგახანი გავიდა. ზაური შინ მისვლას ათჯერ მოასწრებდა. ის მაინც გაშეშებული იდგა და მანქანას ელოდა. როგორც იქნა, მანქანაც გამოჩნდა. შოფერმა კარი გაუღო. ზაური ჩაჯდომას არ აპირებდა. შოფერი გაოცებული გადმოვიდა, ზაურს მიუახლოვდა და ჰკითხა:

— რატომ არ ჯდები?

— სადა ხარ აქამდე, შე სულელო? — დაიყვირა ზაურმა და ქალარით შეთოვილ კაცზე ხელი შემართა. ბიჭები მიცვივდით და ძლივს გავაკავეთ.

ქვეყანა შეიყარა. სკოლის ფანჯრები ღია იყო, ყველაფერი მშვენივრად ჩანდა, მასწავლებლები ჩამოცვივდნენ, საიდანაც ღირექტორიც გაჩნდა. ზაური გაება. ის რაღაცას ლულლულებდა: ჩემს შოფერს რასაც მინდა იმას ვუზამ, თქვენ რა გესაქმებათო. მისმა სიტყვებმა ბიჭები გააცეცხლა. ზაური ღირექტორის კაბინეტში რომ არ წაეყვანათ, ალბათ მიბეგვავდნენ.

## მეხი

მამა ერთ კვირას მიყუჩდა, მგონი დავისვენეთ, მაგრამ დედა ამბობს, გულს ცუდს მიგრძნობს, ეგ გაჩუმებული იმიტომ არის, რომ უფრო ავი მოიმიქმედოსო.

დედას ოქროს საათს ვეძებთ და ვეღარ გვიპოვია.

— იქნება, ღვინოში ჩვენც გაგვეიღოს, — ქვითინებს დედა.





თითქოს დაბარებულაო, მამა მოვიდა. მხიარულად იცინის და ოთახში არაღივიანებს.  
 — არჩილ, კმარა ამდენი დაუდევრობა და უყურადღებობა. ოჯახი აღარ გებრალება? — უთხრა დედამ.  
 — მე თქვენ ყველანი მიყვარხართ! რამე გაკლიათ? გშიათ? გწყურიათ?  
 — ნუთუ ვერ ხედავ, როგორ დაეშვი, რას ჰგეგხარ?  
 — გული ნუ გამიწყალე, ქალო!  
 — წესიერად ილაპარაკე. ბავშვისა მაინც მოგერიდოს.  
 — აქ რა გინდა, ბიჭო, ვარეთ გაეთრიე, — მომიბრუნდა მე. ადგილიდანაც არ ვინძრევი.

— არ გესმის?  
 — არა! — ჯიუტად ვპასუხობ.  
 — მაშ ეგდე, თუ ასე ძალიან გინდა.  
 — შენგან ბავშვებმა რა მაგალითი უნდა აიღონ. წესიერები რომ არა მყვანდნენ, რაღა მემშველებოდა!  
 — ოქროს შვილები გყავს... ახლა კი გაეთრიოს აქედან ნოდარი.  
 ვხედავ, ჩემი იქ ყოფნა ნერვებს უშლის. გულში რატომღაც მიხარია.  
 — არჩილ! — კიდევ რაღაცის თქმას აპირებს დედა.  
 — გაჩუმიდი! — ყვირის მამა და დედას ხელშემართული უახლოვდება.  
 არ მასხვავს, მათ შუა როგორ გავჩნდი. ყურისძირი მეწვის. მეორე კიდევ მხედება. დედა კივის. მე მედგრად ვდგავარ, და, როგორც შემოძლიან, დედას დარტყმებისაგან ვიცავ.

ცხვირიდან სისხლი ჩამომდის. ლოყები ისე მიხურს, თითქოს ცეცხლი წაუკიდებიათო. მზად ვარ მეც გავიბრძოლო.  
 მეზობლები შემოცვივდნენ. მამამ რაღაც უწმაწური წამოიძახა და ოთახიდან გიჟივით გავარდა.

**თქმულება ანტარქტიდასა და ინდოეთზე**

„საიდუმლო კუნძულს“ ვიგონებ. ვითომ უკაცურ კუნძულზე ვართ გარიყული. მე კაპიტანი ვარ. დედა და გურამი ჩემი მეზღვაურები არიან. ისინი ჩემს ბრძანებას ელიან. მე უნდა ვუხელმძღვანელო, მათი ცხოვრება ჩემზე არის დანდობილი. რა გავაკეთო? ვფიქრობ და ვასკვნი: პირველ რიგში საჭიროა სულიერი მხნეობის აღდგენა. თუ დედა არ დამიჯერებს, — ჩემი მჭთაურობის მიუხედავად ის მაინც უფროსია, — ძმა ხომ დამემორჩილება?  
 ვთხზავ თქმულებას ანტარქტიდასა და ინდოეთზე. მამა ხან შორეულ მოგზაურობაშია, ხან ინდოეთში ქარხნებს აშენებს. ააშენებს და დაბრუნდება, — ვარწმუნებ გურამს.

**პირველი ორიანი**

გუშინ ორიანი პირველად მივიღე. გეოგრაფიის მასწავლებელი გაცოცდა. მიზეზი მკითხა, გაკვეთილი რატომ არ ვიცოდი. რა უნდა მუპასუხა? გავშრი, ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე, თითქოს ენა გადამეყლაბოს. ორიანს უხეშობაც დავმატა. ერთმა ანცმა ჩემი მისამართით რაღაცა წაიჩურჩულა, მეგონა ოჯახის უბედურება გაიგეს-მეთქი — პასუხად მასწავლებელს შევეუტიე. უცოდინარობასთან ერთად დღეს შენი უზრდელობაც გამომვლავნდაო, — მითხრა მასწავლებელმა. მერჩივნა, იქვე მომკვდარიყავ. ჩემთვის წინათ ამის მსგავსიც კი არასოდეს არ უთქვამთ.

4. ცისკარი, № 4.



ჭირის ოფლს მასხამს. სკოლის სამივე სართულს ვერბენ, ვერავის ვაგონებს სკოლის დარაჯი, პაპა ერმილე გაოცებული დამდეგს. დაბღვერილი მიყურებს. სად ნახა ჩემი ორიანი, ან რა იცის, რომ გაკვეთილი გამიცდა?

პაპა ერმილეს თვალთ აკლია, იქნება მომეჩვენა, რომ მან ვერ შენიშნა ჩემი სალამი. სხვა დროს თუ ამჩნევდა? ველარ გამიგია, ყველაფერი მეჩვენება, თუ ჩემს ცხოვრებაში არაფერი არ შეცვლილა და მე მხოლოდ ცუდ სიზმარს ვხედავ.

მასწავლებელი შენიშვნას მაძლევს. ვწითლდები, თავის გამართლება მინდა, რაღაცას საცოდავად ვლულულუღებ და დერეფანში ვავრბივარ. მასწავლებელი მბარუნებს, მიყურებს, მაკვირდება და რაღაცას მეკითხება. ხმას ვერ ვიღებ, ცრემლები მერევა. მთლად რომ არ შევრცხვე, მასწავლებლის ხელს უხეშად ვიშორებ და კიბეებზე კისრისტეხით ვეშვები. ვიცი, ეს უკვე უწესრიგობაა. უფრო მეტიც: ხულიგნობა! რა ვქნა, ჩემ ჭკუაზე აღარა ვარ. არ ვიცი, რას ვაკეთებ.

სკოლაში დედა დაიბარეს. ჩემი მშობელი არასოდეს არ გამოუძახნიათ, განცვიფრებული კლასი ზედ დამედო.

საწყალი დედა! გაფითრებული მოვიდა, მასწავლებელს მოკრძალებით შეხვდა და ჩემი გინება თვალცრემლიანმა მოისმინა.

— რა დაემართა მაგ ბიჭს, არ ვიცი, — ამბობს მასწავლებელი. — კარგად სწავლობდა, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ბევრითობდა, ახლა ყოველდღე წესრიგს არღვევს და ორიანს ლებულობს. რა მოხდა, გეთაყვა?

— სიტყვას გაძლევთ, ჩემი შვილი გამოსწორდება, — ხმის კანკალით ეუბნება დედა. სკოლიდან გულმოკლული მიდის.

იქნება სჯობს შინ არ მივიღე?..

დედას ერთი სიტყვაც არ უთქვამს, გულზე მიმიხუტა და ტირის. მეც ვტირო. გურამს ვერ გაუგია ჩვენი ცრემლის მიზეზი, ისეთ წივილ-კივილს ტეხს, რომ ლამისაა სარკმლის მინები ჩამოცვივდეს.

ჩვენ დიდხანს ვტირით, და სამივე, ერთმანეთისაგან მალულად, მამას მოვუხმობთ.

„მშობლებს სამსახურში ნუ აწუხებთ!“

დირექტორის კაბინეტში გაფითრებული ვდგევარ.

— სამსახურის ტელეფონის ნომერი იცი? — მეკითხება დირექტორი.

— ვიცი.

— რა ნომერია?

ვეუბნები. ტელეფონი წკრიალებს. ყურმილში ზარი ისე ძლიერ რეკს, რომ მამის ხმას მეც კი ვიგებ.

— პატივცემულო არჩილ, — ამბობს დირექტორი, — ბოდიში, რომ სამსახურში გაწუხებთ, მაგრამ თქვენი ვაჟი, ამ ბოლო დროს, სწავლაში ჩამორჩა, ორიანებს იღებს, დისციპლინას არღვევს და საერთოდ...

— სკოლის დირექტორო, — ჯღრიალებს მამის ჩახლეჩილი ხმა, — ჩემი შვილი ყოველთვის კარგად სწავლობდა და მე არა მსურს, მის შესახებ რაიმე ცილისწამება მოვისმინო.

— როგორ გეკადრებათ, — გაოცდა დირექტორი, — განა მე რა მრჯის, რომ ჩემს მოსწავლეს ცილი დაეწამო?

— თქვენ, — პასუხობს მამა, — კარგად მოგეხსენებათ, რომ მე დიდ სამქროს განვაგებ და დრო არა მაქვს თქვენთან კამათისა. ბოლოს და ბოლოს, უნდა მოიშალოთ ეს საძაგელი ჩვეულება, მშობლებს რომ სამსახურში აწუხებთ.

- მე თქვენი შვილის ბედითა ვარ დაინტერესებული...
- თქვენ ჩაბარებული გაქვთ ჩემი შვილის აღზრდა და მე სკოლის საქმე-ებით ნუ მაწუხებთ. მე ისეც თავსაყრელი სამუშაო მაქვს.
- მაშ კეთილი ინებეთ და სკოლაში მობრძანდით.
- სამაგისო არც დრო მაქვს და არც ხალისი. მოწაფე თქვენია და თქვენს ხელთაა მისი მოვლა. ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ მის ჩაცმასა და ჭამა-სმა-ზე ვზრუნავ...
- დირექტორი გაოცებული მიყურებს. რა ვქნა, ბოდიში მოვუხადო? ჩაცმა-სა და ჭამა-სმაზე ზრუნავს, სახლიდან სულ რომ წავიდა — ესეც ვუთხრა?
- სიტყვა ენას მიჟვავს, რამდენჯერ პირს ვაღებ და ვკუმავ. ვთქვა თუ არა? არაფერს ვამბობ. მამაა და გულის ძარღვები არ მიშვებს, მშობელზე ავი ვთქვა.
- თუმცა რა საჭიროა ჩემი ბოდიში ან განმარტება. განა ყველაფერი ცხადი არ არის?

### პაპა მრმილე

გაკვეთილები რომ დამთავრდა, კლასის ხელმძღვანელმა დამტოვა, შენ-თან საქმე მაქვსო. შევკრთი, გაქცევა ძნელია და უაზრო, უნდა დავრჩე. ვგრძნობ, რალაცას შემეკითხება, მაშ ასე ძლიერ რად მაკვირდებოდა?



- ანდრო მასწავლებლის პირდაპირ ვზივარ, ის ღიმილით მეკითხება:
- როგორა ხარ, ნოდარ?
- როგორ ვარ? რა ვუთხრა? ნაძალადევი მხნეობით მაინც ვუპასუხე:
- კარგად, პატივცემულო მასწავლებლო.
- გატყობ, რომ არა ხარ კარგად. რად მატყუებ?
- ჩემი ნაძალადევი მხნეობა სადღაც გაქრა.
- მამაშენი სად არის, ნოდარ?
- თბილისში.
- ხშირად ხვდები?
- როგორ, მე მამის სახლში ვცხოვრობ! — ანდრო მასწავლებელს თვალს





ველარ ვუსწორებ, ლოყაზე ალი მედება, ყელში ბურთივით მაწევბა რაღაც.  
 — მე შვილი მყავდა, ნოდარ! ათი წლის წინ მომიკვდა. ბუნებამ შენ ავი  
 გაშროს და ახლა ის შენხელა იქნებოდა. ათი წელია აღარ მყავს და მაინც,  
 ყოველ დილას, მის პატარა საწოლს ვასწორებ, თითქოს წუხელ იქ ეძინა და  
 ახლა ბურთის სათამაშოდ ეზოში გადამეთქი... მის სათამაშოებს მტვერს  
 ვწმენდ, მის პატარა შარვლებს ვაუთოებ... შოთა ერქვა! ძალიან მიყვარდა.  
 აღარ მყავს, მაგრამ მისი სახე გულიდან არ მშორდება. ვფიქრობ, უიმისოდ  
 ვერ ვიცოცხლებდი, თუ არა პატარა შოთას მოგონება, მეც დიდი ხანია ავად  
 გავხდებოდი... ადრე მე მასწავლებელი არ ვიყავ, გეოგრაფიულ ექსპედიცი-  
 ებში დავდიოდი... მასწავლებლობა შოთას მერე დავიწყე... თქვენ, ბავშვებს  
 რომ გზრდით, ასე მგონია ცხოვრებაში იმას ვაკეთებ, რაც ჩემს პატარა შოთას  
 დააკლამეთქი... მე მამა ვარ, ნოდარ, შენცა გყავს მამა. შენ ახლა მარტო ხარ.  
 თქვი, ხომ ასეა, რად მიმაღავ?

ანდრო მასწავლებელს გულზე მივენდე და მწარედ ვქვითინებ.

— რატომ ტირი, მამაშენი ცოცხალია, ჩემი შვილი კი დიდი ხანია აღარ  
 არის. გულს რატომ იტებ? მამაშენი ღირსი არ არის ცრემლისა. აბა, დაფიქრ-  
 დი, რომ ინაღვლო, გაკვეთილები არ ისწავლო, ორიანები მიიღო, ამით შენს  
 ოჯახს რა ეშველება? არ გინდა, სკოლა ჩქარა დაამთავრო, მუშაობა დაიწყო,  
 რომ დედას შრომა შეუძლებუქო?

— მუშაობა მინდა, მასწავლებელო... ცოდვია დედაჩემი, — შევექვითინებ  
 გულამოძვლარო.

— ყველაფერი თავის დროზე იქნება. ახლა შენი მოვალეობაა, კარგად  
 ისწავლო. პირობას მაძლევ?

— პირობას გაძლევთ, პატივცემულო მასწავლებელო...

— გაიზრდები — შეიძლება უფრო დიდი დაბრკოლება შეგხვდეს. უნდა  
 გამოიწრთო... უნდა შეგეძლოს დაბრკოლების გადალახვა! რკინის გული ჩაიდ-  
 გი! კბილი კბილს მაგრად დაჰკირე. ცრემლი გაწევბა? თვალეები მაგარი თითე-  
 ბით ამოიმშრალე. შენ პატარა ბიჭი აღარა ხარ, აი, მე შოთა შენხელა რომ მყო-  
 ლოდა...

ვუყურებ. ანდრო მასწავლებელი მე მიჯავრდება და თავად კი ცრემლს  
 ძლივს იკაეებს.

— მე ხომ აღარ ვტირი, თქვენ... — ვეკითხები გაოცებულნი.

— ჰო, ნოდარ, დაიხსომე, ცოდნა ერთადერთი თანამგზავრია ცხოვრებაში,  
 რომელიც არასოდეს არ გიღალატებს, არ დაგტოვებს, არ მოგიკვდება!

დერეფანში გამოვედი. კართან ვილაცას წამოვედე და კინალამ წავიქეცი.  
 პაპა ერმილე საკლასო ოთახის კართან ჩაცუქტულა და ჩასძინებია.

ისიც გვისმენდა?

თვალეზგაფართოებული ვაკვირდები მის დამქნარ ლოყებს; სახის ნაოჭში  
 აღმასივით ჩაბნევია ჯერ ისევ თბილი ცრემლები.

## ბამოცდები

ქართულში გამოცდისა ყველას ეშინოდა. მე ლექსების იმედი მქონდა,  
 არც მოვტყუებულვარ. გამოცდაზე ისეთი რიხით დავიწყე ლექსის კითხვა,  
 რომ მასწავლებელმა ღიმილით შემაჩერა: ცოტა ხმადაბლა, ნოდარ, სცენაზე  
 კი არა ხარო. მოთხრობის შინაარსიც კარგად ვუამბე. ხუთიანი მივიღე.

გამოცდები დავამთავრეთ. კლასის ხელმძღვანელმა მეშვიდე კლასში გა-



დასვლა მომილოცა. მე თავი ისე მიჭირავს, თითქოს ათი წელი მომმატებოდეს. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მემრის არასრულ საშუალო სკოლას დავაბთავრებ!

ბიჭები ბანაკად მიდიან. მეც შემომთავაზეს საგზური. უარი ვუთხარი. დედას უნდა გავყვე სოფელში. ის ახლა ძალიან დარდიანია. ჩემთან დაშორება უფრო დაამწუხრებს. დედამ დამაფიცა, რომ საგზური ამელო, მაგრამ მე მაინც ჩემი გავიტანე. ვიცი, დედას გულში გაუხარდება. გურამიც, ალბათ, დავლურს დაუვლის, მთელი ზაფხული გვერდით ვეყოლები.

საწყალი დედა! ამ რამდენიმე თვეში ისე ჩამოდნა, რომ ვეღარ მიცნვია. ლანდსა ჰგავს. რითაც შემძლიან ვანუგეშებ, მაგრამ ჩემი ნუგეში უფრო გულს უკლავს. გავჩუმდე? როდემდე? დედა რომ მომიკვდეს, მაშინ რა წყალში გადავვარდე?

### უსწოვრი ქალი

დღეს ქალაქიდან თითქმის ყველა თანაკლასელი წავიდა. ფოტოაპარატის ქალაღლისათვის მთელი დღე ვირბინე. ერთ მიყრუებულ მალაზიაში ძლივსღა მივუსწარ. ზაფხულიღა და იტაცებენ; ყველა დასასვენებლად მიდის, სურათების გადასღლებად აუარებელი დრო ექნებათ. ურიგოდ არსად არ მიშეებენ. უფრო პატარა რომ ვიყო — ტროლეიბუსში წინა სკამზე დამსვამდნენ, ჯერში შევეცოდებოდი და წინ გამატარებდნენ. რა ცუღია, მეუთოთხმეტე წელში რომ ხარ გადამდგარი! აღარც ბავშვი ხარ და არც ჰაბუკი. ხანდახან ისე მინდა დიდი კაცი ვიყო, მაღალი, მხარბეჭიანი, ღონიერი! მაშინ დედა ამდენს აღარ იღარდებს. მეც არ შემეშინდება. გუშინ ვიღაცა ხულიგანი გამომეკიღა — ქული მოიძრე და მიმეციო. რად უნდა მიმეცა? გული მომივიღა, ხელი გავუქნიე. აიცღინა და თავად დამკრა. დიდები მომეშვეღნენ, თორემ, ვინ იცის, რა ჩხუბში გავებმებოდი. ეხ, ნეტავ დიდი და ღონიერი ვიყო, მე ვუჩვენებდი იმას სეირს!

დიღას დედას ქუჩაში მივაციღებდი. მითხრა, რძეს ვიყიდი და გამოგატანო. ჩვენი სახღის ბოღს კინღამ მამას დავეჯახეთ. ის ვიღაც ქალთან მოდიღდა. ქალს ხელში იმხელღ ჩანთღ ეჭირღ, ჩვენი ფოსტალიონი ხენეშითღ და ვაი-ვაგღახით ძლივს რომ დაათრევს. დავუძახე მამას, მაგრამ მან, თითქოს არღაფერი გაუგონიღო, ქალს ხელი მოკიღდა და ჩავვიარღ. მე და დედა კარგახანს ვუყურებდით. უკან ერთიღც აღარ მოუხენდაღს.

გული ჩამწყდა. ტირიღი მინდა და ვერ მიტირღია; მინდა ვიყვირო, თითქოს ხმა დავკარგე, ენღ გამიქრა.

დედას შევხენდე. სანთღის ფერი ადევს. მკღავში ხელი ჩავავღე და წავიყვანე.

ისე ვარ გაბრაზებელი — ლამისღა მიღიციღაში გავიქციე. რატომღაც მგონიღ, რომ მიღიციღას ჩემი შვეღღა შეუძღლიღ. თუ ყაჩღღებს ცქერს, მამის შინ დამრუნება გაუჭირდება?..

### ფოტოღღენტი

ვემზადები სოფელში წასასვღელღად. ბარგს ვაღავებ. გურამი ფეხდაფეხ დამდევს. თავი მომბეზრღ; ადრე მართობღღა მასთან ლაპარაკი, ახღღა ცოტღ მინდა დავისვენო.

ფოტოაპარატის ლენტს ვეჭებ. სადაც დავდე, იქ აღარ არის. გურამი გასუსული დგას.

— შენ ხომ არ ავიღიღ? — ვეკითხები.





თავს მიქნევს, მე ავიღეო.

— რატომ აიღე, რამდენჯერ მითქვამს, უჩემოდ ხელი არ ახლო-მეოქი?

— კინო უნდა მენახა.

— კოლოფი გახსენი?

გურამი ჩუმდადა.

ოთახს ვაქოთებ. მამის ძირგავარდნილ ფეხსაცმელში ფოტოლენტია გაბმული. ჩემი დანაზოგით ნაყიდი ლენტი გურამს გაუფუჭებია. ახლა რაღა ვქნა!

— ჰოდა, რა გინდა, კინო ვნახე! — იცინის გურამი.

### სოფლის ღამე

მშობლიურ სოფელში ვარ, აქ ჩემს ბავშვობას გაურბენია, აქ ყველაფერი ძველიდანვე ნაცნობია და მახლობელი; თუმცა ყოველ ზაფხულს, როცა ქალაქიდან ჩამოვდივარ, თვალს ისეთი გაფაციცებით ვადევნებ მიდამოს, თითქოს რაღაცა ახალსა და ჩემთვის უცნობს ველოდე. სოფელში ისეთი რა უნდა მოხდეს, რაც გამაკვირვებს. თავს ყოველთვის ამ კითხვით ვინუგეშებ, მაგრამ ორი დღეც არ გავა და აქეთ-იქით გაოცებული ვიყურები.

სოფელს მთის მდინარე ჩაუდის. მდინარე უცნაურად შხუის. ძილის წინ მოსვენებას არ მაძლევს, დამეძინება და მალეძიებს. დაუეკვირდი, დაუფიქრდი და დღემდე რომ არ გამეგო, არ ვანმეცადა და არ მეგრძნო — იმას მივხვდი. მდინარე იღუმლად მეჩურჩულედა. ის რაღაცა ძალიან ნაღვლიან ამბავს მიამბობს; ნაღვლიანს არა იმიტომ, რომ მე ვარ ამ დღეებში უხასიათოდ, არა, ჩემი მიზეზით სრულებითაც არ არის მისი ნაღველი გამოწვეული. მას თავისი, რაღაც ძალზე დიდი და უჩინარი ტკივილი აქვს, რომელიც ადამიანისათვის ხანდახან ხდება საცნაური.

ღამდება. ჰაერი უცნაური ხმებითაა სავსე. საღდაც ჭოტი კვიის. ორღობეში ძალდი შეიწკმუტუნებს, ვიღაცის ლანდს აედევნება, მერე გაბრაზებული ჩიღირენს და თავის ბუნავს უბრუნდება. მეზობლის სახლში უცბათ კრიანთ ატყდა, კატას გადამალული ყველი გაეტაცნა, პატრონი ხმაურით მისდევდა; ხმაურს სხვა ხმები ფარავდა. მიდამო სავსეა ერთიმეორეზე ძლიერი და გაუგებარი ხმებით.

უმთვარო ღამეა. ცაზე ვარსკვლავები მიმქრალან, ტყეს თავზე ნისლი წაუკრავს და დღის ბუღით გამომშრალ ჰაერს ნამავს. უცნაური, საშიში სიჩუმეა. მდინარე მიშხუის. მე გულაღმა ვწევარ და ყურს ვუგდებ. წინათ არასოდეს არ მიზიდავდა მისი ხმა, პირიქით, ძილს მიკრთობდა, მატრახებდა, ჩემთვის ის მიუწვდომელი და გაუგებარი იყო; ახლა, ჩემდა გასაოცებლად, შემეყვარდა და შემეთვისა.

მზე რომ ჩავა და ნიავი მახარობელივით ჩამოირბენს, აი იმ ტკბილ და ჩემთვის მუღამ საყვარელ საღამოებსაც აღარა აქვს სიღამაზე მდინარის შხუილთან შედარებით...

მდინარე ხმაურობს ძველებურად. ფანჯრიდან ოთახში ღამე შემოდის.

### რას ვაპეთებ მე?

მდინარე მიშხუის, ცხოვრებაც თავისი რიგით მიდის, მე ცხვირში კევის სუნი მცემს, თვალებს სათონედან გამოსული ბოლი მიწვავს.

მდინარეს აქვს თავისი კალაპოტი, ბოლი ცაში ავა და გაიფანტება; მე საღ მივდივარ, განა მართლა ის არის ჩემთვის მთავარი, რომ კლასიდან კლასში წარმატებით გადავიდე?..



აი იმ მთის მდინარეს დღედაღამ მოსვენება არა აქვს, ჩვენ გვერნია თავის ჭირს ჰგოდებს ან მხოლოდ თავისი დარდი ადარდებს და იმას მოსთქვამს. არა, მან მინდვრები უნდა მორწყას, მოსავალი მოიყვანოს.

აი, ის კევი, მე რომ უცნაურად შემომიჩნდა და მოსვენებას არ მაძლევს, წებოდ იქცევა და დიდ, სქელ წიგნებს აკინძავს. მაშალი ალიონზე იძახის ყიყლიყოს, რომ ქვეყანას ახალი დღის გათენება ამცნოს. ყველას აქვს ცხოვრებაში მიზანი და დანიშნულება, მე ხიფათს სხვაგან ვეძებ და ჩემს საკუთარ ოჯახში გაჩნდა; დიდ ცხოვრებას შორიდან ვუცქერ, მგონია ის გვერდს მივლის, ჩემგან მოშორებით მიედინება — სიმწრისა და გაჭირვების შუაგულში კი მოვხვდი. მე ახლა სხვანაირად ვუყურებ ჩემ თავს, ამხანაგებს, ადამიანებს, ცხოვრებას. მე ახლა მესმის, ვიცი, ოჯახი მაგარი დულაბით უნდა ააშენო, რომ მან ყველა გრიგალსა და ქარტეხილს გაუძლოს...

სარკმელი ღიაა. ბაღში ყვავილებია — მათი მძაფრი სუნი ოთახში შემოდის და ბურანში მხვევს. შუადღის სიჩუმეა. გარეთ კაცის ჭაჭინება არაა. სიცხეს ძალიც კი მოუთენთია, ჩრდილში მიგდებულა და ბანჯგვლიანი კუდით აბეზარ ბუზებს იგერიებს. ეზოს კუთხეში დედალი კაკანებს. სულ მცირე ნიავია, დიდ ჭადრებს ვერც კი ატოკებს. ხეები გაქვავებულან და არ იძვრიან. მე თავი ზღვაზე მგონია. სრული შტილი. უქარო, უნიავო ამინდი. ზღვის ზედაპირი სარკესავით სწორია და კრიალა. დღევის დროს მთებად ქცეული ტალღები ახლა ბროლივით დაფშვნილა და უამრავ პაწაწინტელა შეხეებად ქცეულა. ბუნება გარინდებულია. სიერცეში უაზროდ ვიყურები. შორს ჭრიჭინის კრუალი ისმის. ცაზე ერთადერთი შავი ღრუბელი გზადაკარგული ფრინველივით დაძრწის. სიჩუმეა, უმოძრაობა, დუმილი. მხოლოდ მდინარე მსუის. მისი მსუილი მაგებინებს, რომ ცხოვრება თავისი რიგით მიდის და მე შემძლიან ჩემი გზა განვაგრძო. მთის მდინარე სწრაფია და ცივი. ის მინდვრებს რწყავს. ჩვენ იმ მინდვრებში მოყვანილ პურს ვჭამთ. მდინარე ცხოვრების საქმეს აკეთებს. მე ჩუმად ვარ და ვუფიქრდები საკუთარ თავს: რას ვაკეთებ მე?

### ლურჯი საღამოები

სოფლის შარავზაზე მანქანამ გაიქროლა, კლუბში ახალი კინოსურათი მოიტანეს. ორღობის ბიჭები მანქანას ყივილით მისდევენ. ვიღაცას აფიშის შოვნა მოუსწრია და წითელ-ყვითლად აპრელებულ ქალაქს ღობეზე აკრავს. გოგობიჭობა გახარებულია, საღამო ხალისიანი ექნებათ. ზოგიერთები ბუზლუნებზე; ახლა კიდევ მაგის ფულიო! მიხუტები შოფერს მოკლე წყევლას უგზავნიან. საწყალი შოფერი! რა შუაშია? წინათ, კინო რომ არ იყო, ახლაგაზრდობა როგორ ერთობოდათ?!

საღამოს კინოში არ წავალ. სოფელში სურათი ყოველთვის იგვიანებს, ნახი მექნება, თუ არა და, ქალაქში ჩავალ და იქ გადავათავებ. საღამოს იმ გამოხუთულ დარბაზში არ დავკარგავ.

ყველაზე მეტად ეს ლურჯი საღამოები მიყვარს. მზე ჩავა, აგრილდება, მთის წვერზე თეთრად შეფენილი ნისლი ჩამოიძენძენება და ლილისფრად დაეშვება ხეობაში. ჰაერი მსუბუქია და გამჭვირვალე. თითქოს რაღაც სიმალღზე ასულხარ, შენს ნამოქმედარს იქიდან დასცქერი და შეფასებას აძლევ. საღამო დღის დასასრულია, სიბერეც — ადამიანისათვის ცხოვრების საღამო ექნება. მე ვერ წარმომიდგენია როგორია სიბერე, ისე როგორც დღევანდლამდე ბევრი რამ არ ვიცოდი და მხოლოდ წიგნებში მქონდა ამოკითხული.



მიყვარს ჩემი სოფლის ლურჯი საღამოები. ხეობებში აგრილდება, ღრუბლებს ცივი ნიავი დაუქროლებს და გადარეკავს. მე გავყურებ გასულ დღეს, ვფიქრობ, ვეკითხები საკუთარ თავს, ჩემი ან ქვეყნის სასარგებლო რა გავაკეთე. მივიღებ პასუხს და დავწყნარდები.

### გმირობა

სამი დღეა ყანაში, სოფლის ახალგაზრდობასთან ერთად, თავთავს ვკრეფ. კომბაინებმა ყანა პირწმინდად მოასუფთავეს, მაგრამ აღამიანის ხელი მაინც დასჭირდა. გუშინწინ კი, კომბაინერის დაუღვერობით ყანაში ხანძარი. რომ გაჩნდა, ბრიგადა გაჭირვებისაგან მოსწავლეებმა ვიხსენით. ცეცხლი სულ ფეხების ბრავაბრუვით გავაქრეთ. ზოგი ისეთი გამბედავი გამოდგა, ცეცხლს თავისი სხეულით გადაეფარა და ჩააქრო.

გმირობა ყოველთვის დამალულია. მე ის უჩინარ ცეცხლს მაგონებს. გაუვალ ტყეში მიდინარ, არაფერი ჩანს, არსაიდან შევბას არ ელი, თავი დაღუპული გგონია; უტბათ ციდან ნაბერწყალი ჩამოანათებს და გზას გაგიშუქებს. გმირობაც ასეა: არ ელი და — განსაცდელიდან გიხსნის.

### ვაშკაცსა ბული რკინისა

წვიმიანი საღამოა. ბებიამ გურამი საღლაც წაიყვანა. დედა ცეცხლთან ზის და მურაბას ხარშავს.

შუბლი შეუტრავს. თვალები ერთ წერტილზე გამტკრებია. სახეზე ყვითელი ფერი ადევს.

ჩუმად ვუახლოვდები.

— დედა!

— რა იყო, შვილო?

— რაზე ფიქრობ, დედა?

— არაფერზე. — თავს არ იღებს, ქვაბს გულმოდგინედ ჩასცქერის.

— დედა, მე ხომ შენი შვილი ვარ?

— უცნაური კითხვაა, ნოდარ.

— არა, მითხარი, ხომ შენი შვილი ვარ?

— შვილი ხარ.

— ვაჟიშვილი, არა?

— ვაჟიშვილი.

ერთ ხანს ვჩუმდები და მერე აღმოჩენას ვთავაზობ:

— დედა, მე ხომ ვაჟკაცი ვარ, რატომ გეშინიან?

— ყოჩალი ბიჭი მყევხარ, ნოდარ!

— მე ისეთი ვაჟკაცი ვარ, როგორც მამა იყო.

— შენ ათჯერ უკეთესი ხარ, შვილო!

— მაშ რატომ ხარ დაღონებული, ჩემი იმედი არა გაქვს?

— შენი ძალიან დიდი იმედი მაქვს.

— ჰო, ნუ შეგეშინდება, ოღონდ ნუ იტირებ, მე, თუ გინდა, წარმოვიდგენ, რომ უკვე დიდი კაცი ვარ!

— წადი, შვილო, ამხანაგებთან ითამაშე.

ვყუჩდები და მერე ძალიან სერიოზულად ვპასუხობ:

— რალა დროს ჩემი თამაშია, ბავშვი ხომ აღარა ვარ?





— ჩემო ვაჟკაცო! — მკოცნის დედა და თვალეზში სიხარული უცდომებულად.

დედის თვალეზში არ ჩაეაქრობ მე ამ სიხარულს, პატარა ბიჭი ვარ, მაგრამ... ვაჟკაცი ვიქნები.

### ცხომრება ბრძელებმა

მეზობლები ჩვენთან ხშირად მოდიან. რაღაცა სათხოვარი, სასესხებელი ან მოსატანი აქვთ. ბებია თითოეულთან კარგახანს ლაპარაკობს, აინტერესებს ყველას ცხოვრება, ბედი და უბედობა, გასაჭირი და დაღვინება.

ქვრივი ქალი მოდის, გამხდარი, გაღუული, დიდი, ნაღვლიანი თვალებით. ბებია იმ გვერდით მოისვა და კარგახანს ესაუბრა.

— ბალები ხომ დადიან სკოლაში? — ეკითხება ბებია.

— საღლა შემიძლია, ძალუა ელისაბედ, მათი სკოლის გზასა ვდიო, — ამბობს მეზობელი, — მე ჩემი სისაწყლითა თუ რამე გამაჩნია, ყველაფერს კაბის კალთაში ვკრავ, ბაზარში მიმაქვს და ჩალის ფასად ვაგდებ. ბალები კოლექტივში მუშაობენ, ცოტა წელს რომ მოვიმაგრებთ, მერე, ალბათ, ისევ სკოლაში წავლენ.

— წავლენ, რატომაც არა, — მტკიცედ იმეორებს ბებია. — ახლა ბალებმა უნდა ისწავლოს, თუ გინდა ცხოვრებაში გზა-კვალი გაიგნოს. ახლა სხვა დროა, გენაცვა, ორი ღერი ანგარიშითა და გამარჯობა-გაგმიარჯოს თქმით იოლას ველარ გახვალ. ჯერ, რა თქმა უნდა, ოჯახი უნდა იყოს წელმაგრად, თუ შინ მადარი არა ხარ, როგორ ისწავლი?

მეზობელი ქვრივი ქალი ბებიასთან კიდევ კარგახანს ლაპარაკობს, თავის დარდს შესჩივის, ნუგეშს თხოულობს, თავს იმხნევეს, კარგი მომავლის იმედს არ კარგავს; ძველ ჭრილობას აჩვენებს და ახალ მალამოს სთხოვს. უცნაურად იწვლება მისი დარდის აკიდო.

მოგონების ნაღველი მახრჩობს. გარეთ ისეთი მშვენიერი ამინდია, რომ გული ვერასვით შინ ვერ დამიბუდებია, ასაფრენად ვარ გამზადებული.

მზე თეთრ ღრუბლებს ხან შეეფარება, ხან ისევ გამოანათებს და გზაზე უზარმაზარ ხეთა ჩრდილებს გადაშლის. ჭადრები ერთს შეიშრიალენ, ნიაგი დაჰქროლებს და ტალღებად ჩარიგებულ ყანებს ააღელვებს. შორს მანქანის ხმა ისმის, ბუნების ამ იღუმალ გარინდებაში მოტორის გუგუნის სასიამოვნოც კი არის. მდინარე დინჯად მიშხუის, რა ხანია წვიმა აღარ ყოფილა, წყალს დაუტკია, დიდრონი ლოდები წყლისპირიდან ვეშაპის ზურგივით ამრწეულა; გაშავებულ ლოდებს ნოტიო ხავსი ისე მოსდებია, თითქოს ზღვის მტაცებელი ბარჯით დაუყოლიათო. ცეროდენა ბავშვები ვერხვებზე შესკუბებულან, ნამდვილი მეთევზეებივით შარვლის ტოტები მუხლებამდე აუკრეფიან, ფეხები გადმოუკიდიათ და ბამბუკის ჯოხზე წამოგებული ანეკსით მდინარის მყუდროებას არღევენ. ზოგიერთს ბედი გაუღიმებს, ანეკს ღორჯო წამოედება და გახარებული მეთევზე ისე ცმუკავს, ლამისაა მდინარეში ტყაპანი შიილოს. ქვევით, სადაც წყალი იშლება და დინებაც ისეთი სწრაფი აღარ არის, სოფლელი ქალები დაქუჩებულან, სარეცხს რეცხენ, თან ერთმანეთს რაღაცას ელაგებიათ. ოცოდ ნაბიჯზე ისმის მდინარის ხმა, აქეთ, გზაზე კი, სხვა ცხოვრება მიდის, სხვა ამბები ხდება; საბარგო მანქანას შეშა მიაქვს, ანეკები მისდევენ, გამხმარ ტოტებს ჰპარავენ. შოფერი გაბრაზებული ყვირის და დამნაშავეებს ეძებს. ანეკები რა ხანია ბუჩქებში დამალულან და სიცილით იჭაქებიათ.





მეზარება ჩემი ძველი დარდი კიდევ მოვიგონო, მინდა თავს ცოტა სიხალსე მივცე, ფანჯარაში ვიჭკრიტები და ორლობის დავიდარაბით ვერთობი. ხმადაბალი ტირილის ხმა მესმის. ალბათ დედა კიდევ თავის დარდს ჩივის. ბებია ამწვიდებს.

— ჩუ, შვილო, უბედურება ვილას თავზე არ ყოფილა, მაგრამ არ გადახყოლია. ცრემლითა და ვიშით რას უშველი! ხანი გავა და იქნებ მორჯულდეს შენი გადარეული ქმარი.

— როგორ შეიცვალა, ღმერთო ჩემო!

— ჩემი შვილი იყოს ევა, მე მოვუვლიდი! წელამდე უნდა გააშიშვლო, იფნის სახრით მისდგე და ურტყა შენი მოწონებულო! ეგრე უნდა გაზვიპო, რომ თავისი სახელი დაავიწყდეს! მაგისტანა კაცსა ეგეთი სასჯელი მოუხდება, როცა ადამიანის სიტყვა აღარ ესმის. ალბათ, ოჯახის სიყვარულსაც მისთვის ფასი აღარა აქვს.

— ვაი, ჩემს მოსწრებას! არჩილზე ასეთ რამეს უნდა ვლაპარაკობდე? — ქვითინებს დედა.

არ შემძლიან დედის ტირილის გაგონება. რად უნდა ტიროდეს? ნუთუ მხოლოდ იმისა ეშინიან, რომ ჩვენ უმამოდ ცხოვრება გაგვეპირდება? ქარხანაში თვითონაც ხომ მუშაობდა, ადგეს და ისევ იმუშაოს! რა აშინებს? მაგრამ არა მგონია, მხოლოდ მომავლის შიში აკრთობდეს. მამა ხომ ასეთი საყვარელი, კეთილი კაცი იყო! აი, ამ კარგი ადამიანის დაკარგვა ენანება, მისი დაცემა და წახდენა უგუბებს ნაღველს.

### იმედი

დრო გარბის, არავის უცდის, არ ადარდებს ადამიანის წუხილი: ეს საქმედღეს ვერ მოვათავე, ნეტავ არ დაღამდეს და სახვალიოდ გადასადები არ გამიხდესო.

ზაფხულის არდადეგები იწურება. დედა თბილისს დასაბრუნებლად ბარგს ჰკრავს. ბებია ეხვეწება სოფელში დამტოვოს, კოლექტივში ვიმუშაებ და ოჯახს, რითაც შემეძლება, დავეხმარები.

— რა იყო, შვილო, — ეუბნება ბებია დედას, — ნოდარის ტოლები ტრაქტორისტებად მუშაობენ და მაგანაც რომ ხელი გაატოკოს, თაკილია? იმუშაოს, ცხოვრების კარგი და ავი ნახოს, კაცი იქნება. კიდევ ცრემლსა დერი? არ მეგონა, შვილო, თუ ეგეთი დაუნახავი იქნებოდი. არჩილი კარგი მეგობარი იყო, მაგრამ ბოლო წლებში რა დღე დაგაყენა? იწველა ფურმა, ფეხი ჰკრა და დაღვარაო. ეგრე დამართა იმასაც. აბა, ის მოსაგონარია, დასადარდებელია?

— გონება ამასვე ამბობს, დედა, მაგრამ გულს რა ვუყო? გულს სჯერა, რომ არჩილი სამუდამოდ არ წასულა, რომ ის თავის დანაშაულს შეიგნებს და როდისმე მაინც ოჯახს დაუბრუნდება.

— იმედი დიდი რამ არის, შვილო, უიმედო ადამიანზე შესაბრალი არა მგონია ქვეყანაზე ვინმე იყოს. მაგრამ როცა გონება დაქინებით გუბუნება, გულიც მას უნდა დაუმორჩილო.

— არჩილი დავივიწყო?

— არა, ამას როდი ვამბობ. გჯეროდეს, რომ დაგიბრუნდება. მხოლოდ ბავშვებს დარდით გულს ნუ გაუტეხ.



მეი პირს იბანს

გურამი წინ დამიდგება და გაშტერებული მიყურებს. მისი წრფელი თვალების ძალას ვერ ვუძლებ, უნებურად თავს ვხრი.

— ნოდარ, — მეუბნება გურამი, — მურაბას აღარ მოვიპარავ, აი, დედას გეფიცები თუ მოვიპარო... ოღონდ მითხარ, მამა გაბუტული რატომ არის, რატომ გვიჯავრდება?

— სამჯერ მიგასწრო მურაბის ქილასთან პირმოთხუნულს, ბოლოს ეწყინა და გაგებუტა.

- მამა ხომ პატარა არ არის?
- ძალიან ეწყინა და იმიტომ.
- მურაბას აღარ მოვიპარავ, ნოდარ... მოვიდეს რა მამა!
- შენი არა სჯერა.

— სულ არ შეეკვამ მურაბას... ოღონდ ნუ გამებუტება! მე ხომ...

გურამი იფიცავს, თითს იშვერს, ოთახის კუთხეში მამას ეძებს და როცა იქ ძველი სკივრის მეტს ვერაფერს ნახულობს, იმედგადაწყვეტილი ამბობს:

— ჭაში დაიმაღებოდა! იცის, რომ მე იქ ვერ ჩავალ.

ველარაფერი აჩერებს. ჭისკენ თავქუდმოგლეჯილი მიბრბის, ღრმა წყალში იცქირება და შეგუბებული ხმით ჩასძახის:

— მამაა! გეყოფა დამალვა! დაგინახე, ამოდი!

ჭა უცნაურად ბუყბუყებს, ძახილს გულში იხვევს, ატრიალებს, აბევრებს, საშიში ხმები უკან ბრუნდება. კრიალა წყლისპირი თითქოს ირღვევა და... გვერდებშელეწილი სათლა ამოტივტივდა ზევით.

— მურაბას აღარ მოვიპარავ, დედას გეფიცები... ამოდი რა!

გურამის ხმას შიში ემჩნევა, მას ჭაში ჩახედვისაც ეშინია, ჰგონია რომ მამა ნამდვილად იქა ზის და პატარა ბიჭსაც იქ ჩაიტაცებს.

— არ მინდა... დედა მინდააა!

შემკრთალი გამორბის უკან და მუხლებზე მეხვევა.

ყელი მეწვის. თვალებში ლურჯი ბინდი ჩამიდგა. ორ ნაბიჯზე ველარაფერს ვხედავ. ხელზე თბილი წვეთი დამეცა. ცას შევხედე.

— ნოდარ ტირი? — გაცეცხული მეკითხება გურამი, მას ვერ წარმოუდგენია, უფროს ძმას ტირილი თუ შეუძლია.

ცრემლებს ვცლაპავ. თვალებს რამდენიმეჯერ ვხუჭავ და ვახელ, გუგებს ცხელი ქუთუთოებით ვაშრობ და გატეხილი ხმით ვამბობ:

— მზე პირს იბანს, გურამ. შენ წვიმის წვეთი დაგეცა...

გურამი ცას ეკვიანად გასცქერის.

— მზემ პირი რამდენჯერ უნდა დაიბანოს? ასეთი ქუჭყიანია?

დამიჭირა. ეშმაკია ეგ საძაგელი. გამიგო, რომ მეც გულჩვილი გავხდი. სხვა ხერხია საჭირო. მამამ აპატია გურამს ქურდობა. ჰო, ნამდვილად აპატია და ჭიდან უნდა ამოვიდეს. მაგრამ გზაში ფაბრიკის უფროსი შეხვდა და სამუშაოდ ინდოეთში გაგზავნა. ინდოეთი შორსაა, იქამდე მაღალი მთებია, ამ მთების გადმოლახვას ბევრი თვე უნდა... ან ანტარქტიდაში წავიდა! ყინულებში საცდელი სადგურები უნდა ააგოს. იქამდე ბევრი ზღვა და ოკეანეა. რამდენიმე წელსაც ვერ დაბრუნდება...

ღინჯად ვიწყებ მამის ახალი მოგზაურობის ამბავს, მის ზიფათიან თავგადასავალს ანტარქტიდასა და ინდოეთში; გურამი პირლია მისმენს. ანტარქტიდა ჩვენი ეზოს ჭა არ არის. გურამი იქ ვერ გაიქცევა და მამას ვერ მოიკითხავს.



მინდა გავიღიმო, მაგრამ უნებურად...

გურამი გაბრაზებული ამბობს:

— მზეს რა დაემართა, კიდევ პირს იბანს?..

### ისევ ძალაჟში

რა ხანია თბილისში ვართ. სოფელი დამავიწყდა. თითქოს კარგი სიზმარი მენახოს.

ეზოში ვილაცა შემოსულა და ყვავილების მიწასა ჰყიდის. მისი მყივანა ხმა სხეულზე ტაოს მაყრის. აივნის კარს ვხურავ და ვიკეტები. მინდა ცოტა ხანს ჩემს თავს ვეკუთვნოდე.

დედა ფაბრიკაში მუშაობს. პირველად რომ წავიდა, ფაბრიკის ჭიშკრამდე მე და გურამმა მივაცილეთ. ძალიან დაღლილი დაბრუნდა. ამბობდა, გადაჩვეული ვარ, არაფერია, გადაამივიდისო. მას შემდეგ დედა ფაბრიკაში ყოველდღე მიდის.

ოჯახში ბევრი რამ შეიცვალა. პირველხანად თავგზადაკარგული დავრბივარ. დედა სიას მიტოვებს, ბაზარსა და მაღაზიებში სადღეისოდ რა უნდა ვიყიდო. სკოლიდან ვბრუნდები თუ არა, კალათას ვიღებ და მაღაზიებს ვუვლი. ხშირად დედა სადილს დამე აკეთებს, რომ მეორე დღისათვის მზად გვქონდეს, ძმები კი მხოლოდ ჩაის ვიდუღებთ და ვსვამთ. საუზმის თადარიგს მივეჩვიე და ადვილადაც ვუძღვები. სადილის გაკეთება კი მიჭირს.

გურამი ისეთი გამგონე გახდა, რომ გაოცებული ვარ. სკოლიდან ჩემს დაბრუნებამდე ოთახში ზის და გარეთ არ გადის. სათამაშოებით ერთობა. ჩემი მოსვლის შემდეგ უფლება აქვს ეზოში ჩავიდეს და ერთ საათს ითამაშოს. მერე უნდა ივანშმოს და დაიძინოს.

### წყალქვეშა კლდეები

გვიჭირს. დედის ხელფასი ძლივს გვყოფნის. არ მინდა, რომ ეს დედას ვაგრძნობინო. კარგ ცხოვრებას შეჩვეული ვართ და ამიტომ ყველაფერი გვეცოტავება, თორემ საქმე არც ისე ცუდადაა.

გურამი რაღაცას მიხვდა. ადრე დღეში ერთი კილო ვაშლი არა ჰყოფნიდა, ახლა მთელ კვირას გამოიზოგა. ნაადრევად დასერიოზულდა. ყველაფერს მიგონებს და როგორც ნამდვილი ჯარისკაცი ოფიცერს, სულ თვალეში შემომცქერის. მხოლოდ ერთი ვერ მოვაშლევინე: ყოველდღე უნდა ვუაგხო, მამას ანტარქტიდაში რა ხიფათი შეემთხვა და რატომ იგვიანებს.

— ზღვაში ბევრი წყალია, ნოდარ? — მეკითხება გურამი.

— ძალიან ბევრი.

— ჩენი ეზოს ხელა?

— უფრო მეტი.

— მამას გემი დილია?

— ჩენი სახლის ოდენა.

— რომ ჩაიძიროს?

— არა, არ ჩაიძირება. მხოლოდ სვლა უჭირს. წყალქვეშ დიდი კლდეები, იმათ რომ დაეჯახოს — დაიღუპება. ერთი თვეა გემის კაპიტანი ავად არის და გემიც იმიტომ არის გაჩერებული.

— ექიმი არა ჰყავთ, რომ კაპიტანი მოარჩინოს?

— ექიმიც ავად არის, გურამ.

— ნწ, ნწ, საწყალი, — ნაღვლიანად ამბობს გურამი.





- ახლა ხად არის მამა? — მეკითხება რამდენიმე წუთის შემდეგ.
  - ინდოეთში.
  - ჰო, იქ დიდი მთებია, — ახსოვს ჩემი ძველი მონათბრობიდან.
  - დიდი თოვლი მოვიდა მთაში. ჩვენი სახლის სიმაღლე თოვლი. მანქანები ვეღარ მოდიან.
  - რა ეშველებათ?
  - თბილისიდან ალბინისტები წავიდნენ. თოვლს გასწმენდნ და მანქანაც თავისუფლად გადმოვა.
  - მერე, აქამდე ვერ მოვიდნენ?
  - შორს არის ინდოეთი, გურამ!
- მამის მოგზაურობაზე მე და ჩემი უმცროსი ძმა ყოველდღე ვლაპარაკობთ. ინდოეთში ხან დიდი თოვლია, ხან წყალიდობა. ანტარქტიდაში კი ექვში უკვე განიკურნა. ამდენ ხანს მისი ავადმყოფობა საშიში იყო; გურამს რატომღაც სჯერა, რომ ექიმები დიდხანს არ ავადმყოფობენ... ისინი თუ ავად იქნებიან, მაშ ხალხს ვიღამ უმკურნალოს?..

### ქლიზი

ახალი საგანი გვაქვს — „საწარმოო პრაქტიკა“. ისე მომეწონა, მასწავლებელმა სახელოსნოდან ძლივსლა გამომიყვანა. ჩვენს სკოლაში რა კარგი სახელოსნო გააქეთეს! პირველ სართულზე დიდი საკლასო ოთახი მისცეს, სახარატო ჩარხი მოიტანეს. ქარხნის სტახანოველი მუშა მოვიდა, ბევრი გველაპარაკა. მე ძალიან დამაინტერესა. ხაზვას გულმოდგინედ ვსწავლობ. მითარეს — ინჟინერმა ხაზვა თავისი ხუთი თითივით უნდა იცოდესო. მეც კარგად ვსწავლობ, რომ ინჟინერი გავხდე!..

დღეს პირველად მომცეს დიდი ქლიზი და სახარატო ჩარხსაც ხელი პირველად მოვიდე. რამდენიმე წუთში შავი რკინა თეთრად გავაპრიალე. ამხანაგები თვალბლაქყეტილი შემომცქეროდნენ, მათ ვერ იქნა და ვერ შესძლეს დეტალის ჩემებურად გაჩარხვა. ზოგიერთმა მკითხა: მამამ ხომ არ გასწავლაო. მე ვუთხარ, მამა ფეიქარი ინჟინერია, სახარატო ჩარხთან საქმე არა აქვს-მეთქი. რახან ინჟინერი ყოფილა, სთხოვე სკოლაში მოვიდეს, თავისი მუშაობიდან რამე გვიამბოსო. მთელი კლასი მომადგა. დამაფიცეს. რა ვქნა, ვუთხრა ავად არის-მეთქი? შინ რომ მოვიდნენ და სიმართლე გაიგონ? არა, ვეტყვი, შორეულ მივლინებაშია, ინდოეთში, ასე აჯობებს!

### მეზობარი

დღემ კარგი მუშაობისათვის ხუთასი მანეთი პრემია მიიღო. ამ ფულით გურამს პალტო უყიდა, მე — ფეხსაცმელი. გახარებული ვარ. რა კარგი დედა მყავს. როგორი მუშაობა შეუძლია. შინ მე ყველაფერს ვაკეთებ, რომ შრომა შეეუფოსუბუქო. დედა მეუბნება — ჭკვიანი ბიჭი გახდიო. მაშ თინამ გუშინწინ რად დამცინა, ხუთი ფორმულა ვერ დაგიმახსოვრებიაო?

თინა მერხზე ჩემ გვერდით ზის, ჩემი ნიშნები ზეპირად იცის. როცა მე ვაკვეთილს ვბასუხობ, ჩემს მაგივრად ღელავს. ნეტა რა აღელვებს?

თურმე თინა ჩემი მეგობარია. ეს დღემდე არ ვიცოდი. ახალი აღმოჩენაა! ნეტავ რას ნიშნავს მეგობარი? უიმისოდ კინოში არ უნდა წავიდე? რასაც ვფიქრობ, ყველაფერი უნდა ვუთხრა? მამის წასვლაც გავაგებინო?

თინას გრძელი ნაწნავები აქვს. თითქოს დიდი პეპელა დააფრინდაო, ისე-



თი ლამაზი ბაფთა უკეთია. შენიშვნა მომცა, ქოჩორს წესიერად არ იყავი და ფრჩხილებიც ჭუჭყით ამოგვსებიაო. შემრცხვა. მინდოდა სამაგიერო მეთქვა. თინა ჩაწყვილი-გასუფთავებული იყო. ვერავითარი ნაკლი ვერ მოვუძებნე. თავი დავლუნე და მართალი ხარ-მეთქი, მივუგე.

### მეპობრივები

გურამი დღეს ამიხირდა, გემის კაპიტანი რით ვეღარ მორჩაო. იძულებულ ვარ, რაღაც ახალი მოვიგონო.

— გემს ზღვის ყაჩაღები დაეცნენ, გურამი! — შემკრთალი ვეუბნები.

— ზარბაზნები ხომ აქეთ, ესროლონ.

— ესვრიან, მაგრამ ყაჩაღები ბევრი არიან. გემს არ უშვებენ.

— ძალიან ბევრი?

— აი, რაც ჩვენს ეზოში ბავშვებია, იმდენი!

— რამდენი ყოფილან! — პირს ალებს გურამი და თავისი ამხანაგების თვლას იწყებს.

თვლა ხუთამდე იცის. ხუთის შემდეგ ჩერდება. შეწუხებული შემომტკერის.

— დღეში ერთ ყაჩაღზე მეტს ვერ კლავენ.

— იმდენს როდის დახოცავენ, ნოდარ?

— ჰო, დიდხანს მოუნდებიან, — დაღონებული ვამბობ მე.

გურამი პირში თითს იღებს და კარგახნით ჩუმდება. ჩვენს ეზოში ასამდე ბავშვი მაინც იქნება. ას ყაჩაღს რა მოკლავს!

### ჭირსა შიგან გამაბრევა

მე იმედს არ ვკარგავ. ზოგს მამა სულაც არ ჰყოლია. ომში დაღუპვია ან ავადმყოფობით მოჰკვდომია. პატარა ხომ აღარა ვარ! მამაზე იშვიათად ვლაპარაკობ. გულში კი რაღაც იღუმალი, უჩინარი იმედი მაქვს, იმედი, რომ მამა დაგვიბრუნდება.

თავს ვაჯვრებ, სხვანაირად არ შეიძლება. სხვანაირად რომ ვიფიქრო, ეს იმას ნიშნავს, ყველაფერზე ხელი ჩავიქნო და სასოწარკვეთილებას მივეცე.

განა ჩემი ასეთი გულჩვილობა აინას მოეწონება? მას ხომ გპირები უყვარს!..

აცვიდა. ქუჩები ყვითელი ფოთლითაა სავსე. გაკვეთილების შემდეგ ბიჭები ბაღში მივდივართ და შიშველ ხეებს შევცქერით.

ვიღაცა კაცი მამას მივამსგავსე. დავედევნე. ცალხელა ინვალიდი აღმოჩნდა. უცნობმა გაოცებით შემომხედა. არ ვიცი რატომ და ბოდიში მოვუხადე.

ოთხ საათზე კინოში მივდივარ. საღამოს გურამს უნდა მოვუარო. დღეა ამაღამ მორიგეა.

### ინდოეთის მთები

თვალეზში მამის სახე გამებლანდა. ო, რა საყვარელი იყო ის! სუნთქვა შემეკრა. გამაყრიალა... მომაგონდა, ქალთან როგორ მიდიოდა, ჩავვიარა და ზედაც არ შემოგვხედა... მომაგონდა დედის ცრემლები ამ გრძელი თვეების მანძილზე...

არა! როდის? სად? მე მამა ქალთან არ მინახავს. მომეჩვენა... მამა შორს არის წასული, ანტარქტიდამდე ოთხმოცი ათასი კილომეტრია, ინდოეთს ჩვენგან მაღალი, თოვლიანი მთები ჰყოფს... კუნძულებს აღმოაჩენს, ქარხანას ააშენებს და დაბრუნდება...

თვალეზი დავხუჭე და გავივინდე. ჩამთვლიმა. მესიზმრა, მამა დაბრუნებულიყო, ოჯახში ბედნიერება შემოსულიყო. მე სიხარულისაგან ვტიროდი... შევეკრთი, რაღაცამ გამაღვიძა.

სახაზავს გაჩქარებული მივვარდი, კედლიდან რუკა ჩამოვხსენი და გულმოდგინედ დავიწყე მანძილის ზომვა ანტარქტიდამდე და ინდოეთამდე...

— იქნება ოთხმოცი ათას კილომეტრზე მეტია ანტარქტიდამდე? იქნება უფრო მაღალია ინდოეთის მთები?...

ოთახში ცხელა. ფანჯარას ვაღებ.


ცა შავი ღრუბლებით მოჭედლია. ჰაერი შეგუბებულია. წვიმას აპირებს.

მოწყენილი საღამოა.

ფრთხილად გულს სჯერა, რომ მზე შინ კვლავ შემოვა, თავის მაცოცხლებელ სხივებს ჩამოაშუქებს და სულშემზუთავ სიცარიელეს მამის მხიარული სიცილი აავსებს.

აგერ ნაბიჯების ხმაც! კარზე ვიღაცა აკაკუნებს?

შემოდგომის უხიაკ ქარს ჩვენი კიბის ქვეშ თავი შემოუფარებია და ნაცემი ძაღლივითა ღმუის.





## პაინის პაინე

### ლირიკა

\*  
\* \*

ვარსკვლავებს, მიჰედლით ცაზე,  
იქნება რამდენი წელი —  
ნაღვლიან თვალეზში უკრთით  
ერთურთის ტრფიალი მწველი.  
ისინი წარმტაცი, ლალი  
საუბრით ატკობენ სმენას, —  
არც ერთ ფილოლოგს არ ძალუძს  
გაიგოს იმათი ენა.  
მხოლოდ მე ვისწავლე იგი,  
არ დამვიწყებია ახლაც —  
ენის გრამატიკად იმ დროს  
მიჯნურის ხატება მახლდა.

\*  
\* \*

დაე გარეთ იდგეს თოვლის მთები,  
ქარიშხალი თავის მძლავრი ფრთებით  
აწყდებოდეს ჩემი სარკმლის მინებს,  
ვერაფერი მე ვერ შემაშინებს,  
რადგან სატრფოს ხატება მაქვს მკერდში;  
გაზაფხულის ხალისი და ეშხი.

\*  
\* \*

ამ ყვავილმა რომ იცოდეს  
ჩემი გულის მძიმე სნება,  
ატირდება, შემიცოდებს,  
ზედ მაღამოდ დამედება.  
ანდა ბულბულს თუკი ესმა,  
სევდით როგორ ვიფერფლები,  
დამიყუჩებს გულის კვნესას  
ხმაწკრიალა სიმღერებით.

ვარსკვლავი თუ გაიგებდა  
გული რამდენ ტანჯვას იტანს,  
ჩემს ნუგეშად და იმედად  
მოსწყდებოდა მყისვე ციდან.  
არვინ იცის, ერთის მეტმა,  
რარიგად ვარ დაისრული,  
მან ხომ თვითონ გამიმეტა,  
უმოწყალოდ დასკრა გული.

\*

• •


ვარსკვლავები აბიჯებენ ფრთხილად  
ცაზე ოქროს ფეხებს პაწაწინას,  
რომ ხმაურით არ დაუფრთხონ ძილი  
ღამის კალთაგადახურულ მიწას.

ტყე მდუმარე ამახვილებს სმენას,  
განაბულა თვალუწვდენი ველიც;  
და მთას, სიზმრის ბურუსშია თითქოს, —  
გაუწვდია წინ ვეება ხელი.

რა ხმა ისმის, რომ იჭრება გულში  
სასოებით, ხალისით და ეწხით? —  
ჩემი სატრფოს ჩურჩულია ნაზი,  
და ბუღბუღი გალობს მწვანე ტევრში.

გერმანულიდან თარგმნა  
შოთა ამირანაშვილმა





„მოკრძალებული მოწმე“

ნახატა ჯემალ ლოლუასი



ლევან ხაინძაძე

# თავისუფალი მიწა

იცით თუ არა, რას ნიშნავს განთიადზე ცემენტის საკანში გაღვიძება, სადაც ყოველ წერტილსა და ყოველ პაწია ბზარს კედელზე ისე კარგად იცნობ, როგორც საკუთარ ხელისგულს. იცით თუ არა, რას ნიშნავს განთიადიდან შეღამებამდე მარტობა, მტანჯველი ფიქრები, მოლოდინი... დამამცირებელი მოლოდინი იმისა, რომ სხვისი ბრძანებით ძალივით უნდა მიეგდო ვიწრო საწოლზე, რომელზეც ლეიბის მაგივრობას ფიქრები გიწვევს?

ამას თქვენ გეკითხებით, კეთილი ცხოვრებით განებივრებულნო, მაძღარნო და გულცივნო!

თქვენ, ვისაც ერთი წუთის გატარებაც კი არ შეგიძლიათ ისე, რომ ბუნების პირველქმნილი დუმილი თქვენი უსუსური ხმით არ შებღალთ... თქვენს ყოველ სიტყვაში ტყუილი ქლერს, ყოველ აღსარებაში — სიყალბე და ყოველ აზრში — შეცდომა. იცით თუ არა, რას ნიშნავს თვეობით დუმილი, როცა ადამიანი ისე გადაეჩვევა ლაპარაკს, რომ ზოგჯერ საკუთარი ხმაც ეუცხოება?

თქვენ როგორ გაუგებთ იმას, ვინც გამომათყვანებელი უსაქმურობის ღრმა ქაშია ჩაძირული, ვისაც აუტანელი უძრაობისაგან ხელ-ფეხი უბუჟდება და მხოლოდ ფიქრი, ეს ლალი ფრინველი, რომელსაც არავითარი ხაფანგებისა და გალიების არ ეშინია, თამამად მიისწრაფის ღრუბლებისკენ, გულგრილად რომ მიიკვლევინ გზას შორეულ ცაზე.

როცა ადამიანს დიდი ხნის დუმილის შემდეგ ლაპარაკის საშუალება ეძლევა, უნდა თქვას თავისი სათქმელი. თქვენ კი, თუ მოგებზრდებათ, შეგიძლიათ, არ წაიკითხოთ და მხოლოდ უბრალოდ გადაავლოთ თვალი, სანამ იმ ადგილამდე არ მიხვალთ, რაც საინტერესოდ მოგეჩვენებათ.

მაგრამ რით დავიწყოთ?

თქვენ, რა თქმა უნდა, უარს არ იტყოდით, რომ ყველაფერი თავიდან დამეწყო და ჩემი თავგადასავალი თქვენ ფეხქვეშ ნოხივით გამეფინა, რათა თქვენთვის გული ამერუყებინა და სიბრალული გამომეწვია, მაგრამ ამ სიამოვნებას არ მოგანიჭებთ.

ალბათ ფიქრობთ, რომ მე ძალიან უბედური ვარ?

თუ ეგრეა, ნება მიბოძეთ გკითხოთ, თქვენ კი ბედნიერი ხართ? ყველაფერი გაქვთ, რაცა გსურთ, ყველაფერს მიადწიეთ?

„არა, — მესმის თქვენი უსიტყვო პასუხი, — მაგრამ ჩვენ ისე ვცხოვრობთ, როგორც გვსურს, შენ კი...“



ღიას, მე ცუდად ვცხოვრობ და ვამაყობ ამით. რადგან ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, მერე სამარცხვინოც კი იქნება იმის მოგონება, რომ კარგად ვცხოვრობდით, სამარცხვინო და შემადრწუნებელი... ასე რომ უკეთესი იქნება, თუ არ შემობრალდებით...

მართალი ვითხრათ, მე თვითონ მებრალდებით ზოლმე ზოგჯერ.

ფუსფუსებთ, წრიალებთ, რაღაცას იგონებთ, რომ კიდევ ერთხელ მოატყუოთ მოყვასი, და გეჩვენებათ, თითქოს მთელი ამ ხნის განმავლობაში სულ წინ მიიწევდით. საით და რისკენ მიისწრაფით, კიდევაც რომ მიიწევდეთ იქით, საითაც განზრახული გაქვთ?

თქვენა გგონიათ, დიდ საქმეებს აკეთებთ; თითქოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს იმას, რომ ფარტინგტონმა კარგა მოზრდილი თანხა მოიგო ბოლივეური კალის კომპანიის აქციების დროულად გაყიდვით, რომ იმ მეტიჩარა ბრუნო ლევიტის ცხენები უკვე მესამე წელია ზედიზედ იღებენ დიდ ჯილდოს საგაზაფხულო დოღზე, რომ მოხუცი ვალდის ქალიშვილი, რომელიც კერტნეის მესამე ვაჟზე იყო დანიშნული, სახლიდან გაიქცა ვიღაც იტალიელ ოფიცერთან ერთად, როცა ქორწილს ერთი თვედა უკლდა.

მე ვფიქრობ ამაზე, ერთმანეთს ვადარებ ყველაფერს, რაც ჩემი ქუჩყიანი მანსარდის ფანჯრიდან დამინახავს, და მაძრწუნებს თქვენი ბედი, პაწია ჭიანჭველების ბედი, ფუსფუსით რომ მიარბენინებთ ხმელ ბალახს თქვენი ბუდეებისაკენ და იმას კი ვერ ხედავთ, რომ სპილომ უკვე ასწია თავისი ასფუთიანი ფეხი თქვენს ხუხულეებზე დასაბიჯებლად.

რა საოცარი უაზრობაა. იქნებ ასეთი სურათის წარმოდგენა მაინც შესძლოს თქვენმა შეზღუდულმა გონებამ:

წარმოიდგინეთ, რომ არსებობს მშვენიერი კუნძული, რომლის საუცხოო ჰავა და მდიდარი ბუნება საშუალებას აძლევს ადამიანს დატყუებს სიცოცხლის მთელი სიამით. მაგრამ ეს კუნძული ოკეანის დონეზე დაბლავს. სანამ ოკეანე არ აღელვებულა, იგი მოწყალე და კეთილი ჩანს. თქვენ სუსტი ჯგებირების აქეთ ცხოვრობთ და მოსალოდნელი საფრთხე არ გაშინებთ. მაგრამ წუთით მაინც დაფიქრდით, რა მოხდება, როცა ქარიშხალი ამოვარდება და წყლის ეს ვეება მისა ამოძრავდება?

თქვენს შორის ყველაზე სულელებს ჰგონიათ, რომ ოკეანე არასოდეს აღელდება. ოდნავ ჰკვიანებთ კი იმედოვნებენ, რომ მათი სიცოცხლის მანძილზე მაინც არ შეიცვლება ამინდი.

რომ შეიცვალოს?

რა იცით თქვენ იმ ხალხის შესახებ, ვის ქვეყანაშიც ცხოვრობთ? უმრავლესობას ზომ რამდენიმე სიტყვის თქმაც არ შეგიძლიათ მის ენაზე, წარმოდგენა არა გაქვთ მის კულტურასა, ისტორიასა და ზნე-ჩვეულებებზე. ნიძლავს დავლებ, ბევრი თქვენგანი, ამ სტრუქტურებს რომ წაიკითხავს, ამრეზით იტყვის: რად მინდა ამის ცოდნა!

არ გინდათ? მაშ ნულარ აღმუვლდებით, როცა მეხი დაიგრავინებს, ვინაიდან მისი ხმა მოწმენდილი ციდან კი არ ჩამოგესმებათ, — ელექტრონით დამძიმებული საავდრო ღრუბლებიდან დაგატყდებით იგი.

„კარგი, მაგრამ შენ რა გინახია?“ — ალბათ შემეკითხებით თქვენ.

მე არ მიხარია. მე უკვე დიდი ხანია ვადავებევი სიხარულს. თქვენ ყველაფერი მოიმოქმედეთ, რომ ასე მომხდარიყო.

„გარიყულა“... ღიას, მართალია — მე გარიყული ვარ. მაგრამ არც ეს მადარდებს:





ჩამომტვრეულ ტოტს ხელახლა ველარ მიაწებებ ხეს და — ალბათ უკეთესი ბედის ღირსი არც იყო.

მე უკვე აღარაფერზე მწყდება გული მას შემდეგ, რაც თქვენ კვი წამართვით.

პირველად იგი რესტორანში ვნახე, „პარკ-ოტელის“ მეათე სართულზე; თქვენ ყველანი კარგად იცნობთ ამ შესანიშნავ რესტორანს.

კარგია იქ ყოფნა. კაცმა სიმართლე უნდა აღიაროს: გებერხებათ თქვენი ცხოვრების საამურად მოწყობა.

განსაკუთრებით მიყვარდა ამ რესტორნის მრგვალი საცეკვაო დარბაზი. მოთეთრო მინის ფილებით არის მოგებული იატაკი, რომლის ქვეშაც ინთება და ქრება სხვადასხვა ფერის ნათურები; თათქოს თხელ ყინულზე დასრიალებლად და შენს ფეხქვეშ წყალქვეშა სამეფოს ჯადოსნური ფერია ციმციმებდეს.

ახლა რა დიდებული მუსიკაა! კანონით ის მუსიკოსები სიმფონიურ ორკესტრში უნდა უკრავდნენ, მაგრამ თქვენ ფულით გადმოიბირეთ ისინი — მათ თქვენი გართობისათვის ზურგი აქციეს ნამდვილ ხელოვნებას.

ახლა ლაქები... თითქოს გულთმისნები არიანო, ისე ხვდებიან თქვენს ყოველ სურვილს, თვალის დახამხამებაში მოიბრუნენ, რომ ჭიქა მოგიჩოჩონ, ხელსაწმენდი, რომელიც თქვენ დაგივარდათ, იატაკიდან აიღონ, ანდა სწორედ იმ დროს მოგიახლოვდნენ ანთებული ასანითთ, როცა პირში სიგარეტს ჩაიდებთ. რამდენი საინტერესო რამის მოყოლა შეეძლოთ დრამებისა და კომედიების ამ მღუმარე და გულგრილ მოწმეებს, მათს მეხსიერებაში რომ შემონახულიყო, რაც უნახავთ და გაუგონიათ!

შაბათი საღამო იყო, საღამო, როცა თავისუფალი მაგიდის მიგნება ძალზე ძნელია, როცა ჰაერი ძვირფასი თამბაქოს, ნაზი სუნამოსა და სანაქებო საჭმელების სუნით არის გაუღენთილი და მუსიკის ნარნარი ბგერები თბილ ტალღებად ეფინება იქაურობას. ეს ბგერები ბუნებრივად ერწყმის იქ მყოფთა თანაბარ განუწყვეტელ დუდუნს, ჭურჭლის წყნარ წკრიალს, იატაკზე ფეხის სრიალის ხმას და ეს ხმები თავისებურ საბურველში ახვევს ყველაფერს, რაც დარბაზში ხდება.

იმხანად მე იშვიათად შევდიოდი იმ რესტორანში. ამის საშუალება უკვე აღარა მქონდა და მით უფრო ძლიერად განვიცდიდი იქაურობის ბრწყინვალეობას.

კვი ჩემი მაგიდის მახლობლად იჯდა. მისი კავალერი იმ ელეგანტურ მამაკაცთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ნატიფი, მაგრამ თავხედური მანერები აქვთ და პარიზში, ნიუ-იორკსა და კაიროში ასეთ გასართობ დაწესებულებათა მუდმივი სტუმრები არიან.

როგორც ჩანდა, ისინი უკვე დიდი ხანია ისხდნენ აქ, მაგრამ მე გვიან შევნიშნე.

თვალი რომ მოვკარი, პირველი, რამაც ჩემი ყურადღება მიიპყრო, იყო ცრემლი, საოცრად გამჭვირვალე და მსხვილი ცრემლის წვეთი, რომელმაც უძვირფასესი ბრილიანტივით გაიღვრა მისი თვალის უბეზე და სწრაფად დაგორდა ლოყაზე.

რა მშვენიერი იყო იმ წუთას! მრგვალი, ოდნავ ამობურცულყვრილობიანი სახე, ნუშისებრი თვალების ოდნავ ირიბი ჭრილი და სავსე ტუჩები, რომლის კიდევები დაბლა ეშვებოდა. ძალიან თეთრი და ნაზი სახის კანი გამჭვირვალე ეგონებოდა ადამიანს და მისი სითბო შორიდანვე იგრძნობოდა. მუქი ფე-





რის თმა მოკლედ ჰქონდა შეჭრილი. თვალების კრილი და სახის მოხვედრები აზიურ იერს ანიჭებდა მის გარეგნობას.

მის ტანს შემდეგ დაეკვირდი. მაღალი და სავსე აღნაგობისა იყო, კარგად გამონაკეთული; მისი სხეულის ყოველ მიმხვრაში ქალური, ამღელვებელი მომხიბვლელობა გამოსჭვიოდა.

ალბათ ყველას არ მოეწონებოდა იგი, მაგრამ მე... მე უკეთესს არ ვინატრებდი. მისი გარეგნობის მეტისმეტ ვნებიანობას კი ის ცრემლი ანელებდა, რომელსაც შემთხვევით მოვკარი თვალი.

იგი ტირიდა! რა საოცარი სანახავია მტირალი ადამიანი ისეთ ადგილას, სადაც ყველა იცინის, დაე თუნდ ყალბად. ფარულად ვადევნებდი თვალს. ეტყობოდა, არასასიამოვნო საუბარი ჰქონდა მის პირდაპირ მჯდომ კაცთან. ეს იყო რაღაც უცნაური საუბარი: ისინი არ ლაპარაკობდნენ. მართალია, მამაკაცი ჩემკენ ზურგშემოქცეული იჯდა, მე მხოლოდ მის კეფას — პრიალა გადაღესილ თმასა და კისრის თეთრ ზოლს ვხედავდი, მაგრამ იგი ისე უძრავად იჯდა და ისე წევდა სიგარეტს, რომ ცხადი იყო, სდუმდა.

ასევე გარინდებული და მღუმარე იჯდა ქალიც და უაზრო მზერა მიეპყრა სივრცეში რომელიღაც წერტილისათვის, რომელსაც მარტო იგი ხედავდა. ისე იყო გაოგნებული, რომ თავისი ცრემლიც კი ვერ შენიშნა ერთბაშად და, სანამ მოწმენდას მოიფიქრებდა, ცრემლის სველი კვალი კარგა ხანს უბრწყინავდა სახეზე.

ასე უცნაურად გარინდებულმა აიღო ქიქა და ტუჩებთან მიიტანა, მაგრამ აღარ მოუსვამს, ისე დადგა მაგიდაზე.

მერე გააბოლა. სიგარეტი საოცრად მოხდენილად ეჭირა და უნებურად გავიფიქრე: სხვასაც ხომ ასე უჭირავს სიგარეტი, მაგრამ ასე არავის უხდება-მეთქი.

სწორედ ამ დროს პირველად მოიხედა ჩემსკენ და შემამჩნია. ოდნავ მძიმე, დანისლული მზერა ჰქონდა, რაც ალბათ იმით იყო გამოწვეული, რომ ქუთუთოები შეშუპებოდა, და როცა რამეს აკვირდებოდა, თვალებს ქუტავდა.

რამდენიმე წამი ერთმანეთს პირდაპირ თვალებში შევცქეროდით. მის მზერაში აშკარად ამოვიკითხე: დიდი ხანი ხომ არ არის რაც მიყურებ და შენიშნე თუ არა ჩემი ცრემლიო. ვგრძნობდი, რომ უტაქტოდ ვიქცეოდი, მაგრამ არ მოვარიდე თვალი. ასე გასტანა რამდენიმე წამს. მერე მისი თვალების გამომეტყველება შეიცვალა. ახლა ისინი მეუბნებოდნენ: „დიახ, ეტიროდი. მერე რა მოხდა! მე არა მრცხვენია ამ ცრემლის!“

მერე დავრწმუნდი, რომ მისი მაშინდელი გამომეტყველება საკმაოდ ნათლად გამოხატავდა მის ბუნებას: სუსტი ადამიანის ბუნებას, რომელსაც არც წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია და არც სინანულის თავი აქვს.

ბოლოს მომარიდა თვალი, თავის თანმხლებს რაღაც უთხრა და გაიცინა, მაგრამ სიცილი ნაძალადევი გამოუვიდა. მერე ორთავენი საცეკვაოდ გავიდნენ. რატომღაც არ მესიამოვნა ამის დანახვა.

„მალე კი დამშვიდდა!“ გავიფიქრე გუნებაში ოდნავი გულისწყრომით, რადგან უკვე დამებადა მისდამი ის სიმპათია, რომელსაც ყოველთვის განიცდის ხოლმე ადამიანი სხვისი უბედურების დანახვაზე, თუ გულის ნაცვლად ქვა არ უდევს მკერდში.

ერთი წუთის შემდეგ კი ეს გულისწყრომაც გამიქრა, რადგან მისი წინანდელი გამომეტყველება, რომლის კულმინაციასაც ცრემლი წარმოადგენდა, ჩვეულებრივი, ვულგარული ღიმილით შეიცვალა (ყველა ქალის ღიმილი, ვისაც კი



დიდი პირი და მსხვილი კბილები აქვს, ვულგარული ჩანს). მთელი მისი გარეგნობა, მისი სხეულის გამომწვევი მოყვანილობა, შეშუპებული ქუთუთოები, მიზნედილი თვალები და თეთრი ფუნთუშა მკლავები, რომლებიც თავისი პარტნიორისთვის მოეხვია, ენებიანობას გამოხატავდა და არ შეიძლებოდა საპასუხო განწყობილება არ გამოეწვია მამაკაცში.

ჩემმა ამხანაგმა შემატყო ეს და მითხრა:

— რაო? მოგეწონა?

— ძალიან, — ვეღარ შევიკავე თავი, თუმცა სულ რაღაც ერთი წუთის წინ გადაწყვეტილი მქონდა, არ შემემჩნევენებინა მისთვის, რომ ეს ქალი მომწონდა. რა საჭირო იყო?

— მე კი, უნდა გითხრა, მაინცდამაინც არ მალეღვებს. მეტისმეტად მონუმენტურია.

ეს სიტყვა აშკარად არ შეეფერებოდა ამ ქალს, მაგრამ დიდი ხანია მიჩვეული ვიყავი, რომ ჩემი ამხანაგი ენამზეობით არა ბრწყინავდა.

— ვინ არის? წინათ როგორღაც არ შემიმჩნევია, — შევეკითხე, რადგან გადავწყვიტე, რომ აღარ ღირდა სურვილის დაფარვა.

— შევდი... სახელად კეი ქვია, გვარი კი არ მახსოვს...

— შევდი? არასგზით არ ვიფიქრებდი. პორტუგალიელს უფრო ჰგავს...

— მართლაც არაფერი აქვს სკანდინავური. მაგრამ აზიური სისხლი ნამდვილად არ უნდა ერიოს, რადგან ევროპაშია დაბადებული. აი ამ ტიპმა ჩამოიყვანა იქიდან. ეს კი ან იტალიელი უნდა იყოს, ან ებრაელი. ამბობენ, ფულიანიაო.

— მისი ცოლია?

— არა, ისე... მეგობარია... — ჩაიცინა ჩემმა თანამოსაუბრემ. — მაგრამ რატომღაც მგონია, რომ დიდხანს ვერ შეინარჩუნებს. მაგისტანა მოხდენილი ქალი უფრო მდიდარ ვინმეს გამოხსნავს.

ამის გაგონება არ მესიამოვნა, თუმცა ვგრძნობდი, რომ ამ ცინიკურ სიტყვებში სიმართლე ერია.

კეი... მას კეი ჰქვია. ლამაზი სახელია. ჩემი აზრით, უხდებოდა კიდევ ეს სახელი. თუმცა, ალბათ, იმიტომ ვფიქრობდი ასე, რომ კეი ფრენსის<sup>1</sup> ჩამოგავდა.

გავიდა ერთი კვირა. ჩემი საქმეები მაშინ კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში იყო და ყველაფერი აშკარად უფსკრულისკენ მიექანებოდა. საფრთხის თავიდან აცილება მხოლოდ განსაკუთრებული მონდომებით შეიძლებოდა. ჯერ კიდევ მქონდა საამისო ენერჯია, მაგრამ იგი სხვა რამისაკენ წარიმართა. თუმცა ამაზე ლაპარაკი ახლა აღარ ღირს.

და აი — ერთი კვირის შემდეგ ქუჩაში იმ ჩემს ამხანაგს შევხვდი. ყველა მისი ნაკლის მიუხედავად ის გულწრფელი და კეთილი ადამიანი იყო და ყოველთვის მზად იყო სამსახურის გასაწევად. ორივეს გვეჩქარებოდა, მაგრამ დამინახა თუ არა, გამაჩერა და კმაყოფილმა შემატყობინა, კეი თავის მეგობარს გაშორდაო. მას უკვე ენახა კეი და ეთქვა, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა იმ საღამოს ჩემზე.

— მე თვითონ წავეჩხუბე და გავაგდეო, ასე მითხრა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ტყუის. ცხადია, კაცმა მიატოვა, — სხაპასუხაბით მიყვებოდა ჩემი თანამოსაუბრე და სულ აღარ აგონდებოდა, რამდენიმე დღის წინათ რომ მიწინასწარმეტყველებდა, კეი მიატოვებს ამ კაცსო.

<sup>1</sup> ჰოლივუდის კინომსახიობი.





— ასე რომ კეი ახლა თავისუფალია და დროს ნულარ დაკარგავ. — მისი ტელეფონის ნომერი, დაურეკე...

მან უბის წიგნაკი ამოიღო და კეის ტელეფონის ნომრის ძებნას შეუდგა.

— როგორ დავურეკო ასე უცებ, — დავიბენი მე. — უხერხულია. ჯერ ხომ არც კი ვიცნობთ ერთმანეთს...

— ერთი შენც, არაფერი არ არის უხერხული, როცა ძალიან გინდა რამე, — გაიცინა ჩემმა თანამოსაუბრემ. — თუ გინდა, მე თვითონ დავურეკავ და მის მეგობარ ქალთან ერთად დავპატიყებ სადმე! ვილაც მეგობარი ქალი ჰყავს, შეე-  
დია თუ დანიელი, კარგად არ ვიცი; მაღალია, გამხდარი და ისეთი წითური, რომ გული მერევა მის დანახვაზე, მაგრამ რაც იქნება, იქნება, მეგობრის გულისა-  
თვის ერთ სადამოს გავუძღებ როგორმე.

მე ისევ ვყოყმანობდი.

— რა უცნაური ხარ! კეი მოგწონს, შენს ბედზე თავისუფალია, ახსოვხარ კიდევ, იმდენ ხალხში მარტო შენ დაამახსოვრდი, მეტი რაღა გინდა?

ჩემი თანამოსაუბრის სიტყვები ძალიან მიმზიდველი იყო, მაგრამ... მან ხომ არ იცოდა, რა დღეში ვიყავი, როგორ კატასტროფულად მომეცარა ხელი უქანასკნელ ხანებში, რამდენი ვალი მქონდა და რა აუცილებელი იყო, რომ, სანამ სულ არ გამტეხოდა სახელი, დამეღწია თავი ამ მდგომარეობისათვის.

— იქნებ ფული არა გაქვს? — შემეკითხა უცებ. — მე გაგიმართავ ხელს, იღბლად ახლა ფულიანი ვარ.

მე კიდევ ვყოყმანობდი. მაგრამ სწორედ ამ დროს, თითქოს განგებ, კეის მოვკარი თვალი. იგი რიქშაზე იჯდა და, გვერდით რომ ჩავვიარა, ალერსი-  
ანად დაგვიჩნია ხელი.

მის საქციელში განსაკუთრებული არაფერი ყოფილა — ჩემი მეგობარი ხომ მისი კარგი ნაცნობი იყო, მაგრამ მის გამოხედვაში ყურადღება ამოვიკითხე და გონებაც მყისვე დადუმდა. მაშინვე გამოვართვი ჩემს მეგობარს საქმოდ ღიდი თანხა, რომლის გადახდა არ შემეძლო. მე კარგად ვიცოდი ეს, მაგრამ მან არ იცოდა. ჩემი ნაცნობ-მეგობრების თვალში ჯერ კიდევ მოქმედებდა ჩემი ყო-  
ფილი კეთილდღეობის ინერციის ძალა.

მისი მოტყუება მინდოდა? რა თქმა უნდა, არა! უბრალოდ, კეის თვალე-  
ბისა და ღიმილის დანახვამ და მოსალოდნელი წარმატების წინათგარძნობამ უეცრად საოცარი სიხალისე შემძინა. თითქოს ძალღონე შემემატა და საკუთარი ძალის რწმენა დამიბრუნდა. უკვე აღარ მეპარებოდა ეჭვი, რომ ყველაფერი კარ-  
გად იქნებოდა. „ცხოვრება უამრავ ვარიანტს გვთავაზობს, რომელთაგან ძალიან ბევრი ხელსაყრელია, თუკი გამოიყენებ“, — გავიფიქრე მე. დაბრკოლებები უმნიშვნელო და დროებით მოვლენად მეჩვენა, ის თანხა კი, რომელიც მეგობარ-  
მა მასესხა — ძალიან მცირედ.

დაცურებულხაზით ბავშვობისას ცივით გაყინული გორაკიდან?

აი წვები ცივაზე პირქვე. სახელდახელოდ დაქედებულ ფიცრებს შენი სიმძიმისაგან ჭრიჭინი გაუდის; ერთხელ კიდევ ავლებ თვალს იქაურობას და ადგილიდან სძრავ ცივას — ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ და მერე ოდნავ წინ... ისევ ცოტათი მარცხნივ, ცოტათი მარჯვნივ — და ცივა თავისით მიდის წინ; უკვე თავისუფლად მისრიალებს ქვევითკენ. ორ-სამ წამს კიდევ შეგიძლია გააჩერო, თუ რამეს წამოსდებ ხელს ან გვერდზე გადაგორდები, მაგრამ ეს წა-  
მები უკვე დაკარგულია. საშინელი სისწრაფით მიექანები თვალდასუტკული და მთელი შენი არსება თავაწყვეტილი სრბოლით გამოწვეული საამო მღელვარე-  
ბით არის შეპყრობილი.





მეც ასე მომივიდა. მე და კეიმ გავიცანით ერთმანეთი და რამდენიმე დღის შემდეგ იგი ჩემი საყვარელი გახდა. ეს ამბავი ისე ადვილად და უბრალოდ მოხდა, რომ უკმაყოფილებაც კი ვიგრძენი, მიუხედავად იმისა, რომ ასე ძლიერ ვიყავი გატაცებული. მაგრამ ეს უკმაყოფილების გრძნობა მხოლოდ პირველ დღეებში მქონდა, მერე კი იგი შესცვალა სხვა გრძნობამ, რომლის გადმოცემაც ძნელია.

კეი მორჩილი ბუნების ქალი იყო და იმ შინაგანი, მისთვისვე შეუცნობელი სითბოთი და სინაზით იყო დაჯილდოებული, რომლითაც ქალი ასე ინადირებს მამაკაცის გულს.

გარდა ამისა, უცნაურად მიზიდავდა მისი სისუსტე. მე თვითონ სუსტი ადამიანი ვარ, კეიმდე ჩემზე სუსტი არავინ შემხვედროდა ცხოვრებაში და ის აზრი, რომ მასზე ძლიერი ვიყავი, წონას მმატებდა, მამაღლებდა საკუთარ თვალში, საკუთარი სიძლიერისა და ვაჟკაცობის ილუზიას მიქმნიდა — იმ თვისებების ილუზიას, რომლებიც არასოდეს გამაჩნდა და რომლებზეც მუდამ ვოცნებობდი, თუმცა ჩემს თავსაც კი არ ვუმხელდი ამას.

უცნაური ხასიათი ჰქონდა: არაჩვეულებრივად პასიური, გულგრილი და უბოროტო იყო. სხვა ქალებისაგან განსხვავებით, იგი არავის კიცხავდა და არავის ახსენებდა ცუდად. ჩემი აზრით, ეს მის სულიერ სიზანტეს უფრო მოწმობდა, ვიდრე აქტიურ სიკეთეს. მისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო, თვალდახუჭული მინდობოდა ცხოვრების დინებას.

მე მესამე მამაკაცი ვიყავი მის ცხოვრებაში. ამ ორი წლის წინათ იგი გამყიდველად მუშაობდა სტოკჰოლმში, ქალის ტანსაცმლის ერთ-ერთ მაღაზიაში. და რაკი ძალიან პრობორციული ტანი და წყნარი, ნარნარი მიმოხრა ჰქონდა, მაჩვენებდა გადაიყვანეს. ამ სამუშაოში კარგ ხელფასს იძლეოდნენ — მანქანი ქალიშვილები ვალდებულნი იყვნენ თავისუფალ საათებშიც ელევანტურად ყოფილიყვნენ გამოწყობილნი, რადგან ეს რეკლამა იყო ფირმისათვის.

სტოკჰოლმში კეი მშობლებთან და უმცროს დასთან ერთად ცხოვრობდა.

— არავინ მოგწონდა მაშინ, კეი?

— არავინ. მე იშვიათად თუ მომეწონება ვინმე...

მერე კი იმ ადამიანს შეხვდა, ვინც პირველ მამაკაცად იქცა მის ცხოვრებაში. იგი ნახევრად შვედი და ნახევრად ფრანგი იყო, პარიზში ცხოვრობდა და ერთ დიდ შვედურ ფირმასთან ჰქონდა საქმე. ერთი თვის გაცნობილები იყვნენ, რომ კეი სამუშაოდან დაითხოვეს და ისიც პარიზში გაჰყვა იმ კაცს.

— მერე და გიყვარდა ის კაცი?

— მომწონდა, — პირდაპირ პასუხს მოერიდა კეი. — ის ყველას მოსწონს. ძალიან ლამაზია და მხიარული...

კეი ჩაფიქრებით, მაგრამ სრულიად მშვიდად გასცქერის სივარტის მოიასამნისფრო კვამლს, რომელიც საღამოს გრილ ჰაერში იცრისება. თვალეები ერთი წერტილისათვის მიუპყრია. რა არის ამ თვალეებში? სევდა? დაკარგული უბნოებით გამოწვეული სინანული? იმედების გაცრუება? თუ იმედი?

ვერა, ვერაფერს ვკითხულობ მის თვალეებში, ანდა იქნებ ჯერ არ მისწავლია მისი ფიქრების ამოკითხვა?..

— დიდ ხანს იყავი მასთან?

— წელიწადზე მეტი. საინტერესოდ გავატარე ის ერთი წელიწადი. ბევრს მოგზაურობდით, თითქმის მთელი ვეროპა დამათვალეირებინა. ერთხელ ყუან ლე-პენეში ბევრი ფულიც კი მოვიგე ბანქოში. მთელი ის ფული შინ გავგზავნე.

— როგორღა დაშორდი იმ შენს მეგობარს?



— მიმატოვა. პარიზში რომ დაებრუნდით, მითხრა, შვეიციაში მივლივარ საქმეებზე და ჩვენი ერთად ჩასვლა უხერხული იქნებაო. ორ თვეში ჩამოვალ, მანამდე კი ჩემი მეგობარი გიპატრონებსო.

— მერე დაუჯერე?

— რა თქმა უნდა, არა. მივხვდი, რომ მოვებზრდი. ვიცოდი, ადრე თუ გვიან ასე მოხდებოდა, და მზად ვიყავი. მაგრამ მაინც ველოდი და ვიმედოვნებდი, რომ დამიბრუნდებოდა. დიდ ხანს ვუცადე, დათქმულ ვადაზე ბევრად უფრო მეტ ხანს.

— ის მეორე, მისი ამხანაგი, მოგწონდა?

— არა. არასოდეს.

— მაშ რატომლა...?

ჩემი შეკითხვა ჰაერში რჩება გამოკიდებული, ვგრძნობ, რომ უტაქტოდ მოვიქეცი და დარცხვენილი ვდუმდები. მაგრამ კვი მშვიდადაა. საჩვენებელი თითის ფრჩხილით ფერფლს აცლის სიგარეტს და ჩემზე გადმოაქვს მზერა.

— სხვა გზა არა მქონდა... შინ ველარ დავბრუნდებოდი... ამას გარდა ის კაცი მოსვენებას არ მაძლევდა...

— მერე, მიეჩვიე?

— მიეჩვიე? იქნებ მიეჩვიე კიდევ. მაგრამ მაინცდამაინც არა. თუმცა უნდა ვთქვა, რომ ცული-ადამიანი არ არის. პირველზე ბევრად უკეთესია. მაგრამ ის მიყვარდა, ეს კი — არა.

— გახსოვს, იმ საღამოს, პარკ-ოტელში რომ...?

— ვტიროდი? რა სულელი ხარ! განა მისი გულისათვის ვიტირებდი? იმ წუთას მითხრა, იმისგან, პირველისგან, წერილი მივიღე და გითვლის, რაკი მილალატე, ამიერიდან ერთმანეთისათვის უცხონი ვართო. ძალიან გამამწარა ასეთმა სიყალბემ. მე ხომ არაფერს ვითხოვდი, არავითარი პირობა არ ჩამომირთმევია, ერთი საყვედურიც კი არ მითქვამს, როცა სხვას გადაულოცა ჩემი თავი და რამდენიმე თვე არაფერი მოუწერია. რაღად დასჭირდა ასეთი სიყალბე? რატომ ჩამიმწარა მოგონება? შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი და ტირილი ველარ შევიკავე.

კვი ჩუმდება და სიგარეტს აბოლებს. ბევრსა სწევს. ჩვეულებად აქვს სიგარეტის ბოლის რგოლებად გაშვება მოსაუბრისკენ და ამ რგოლში ცქერა. კვამლის რგოლი დიდხანს ჩერდება ჰაერში, მერე თანდათან იკლავება, იცრინება და ბოლოს სულ ქრება. კვი იცდის, სანამ რგოლი სულ გაქრებოდეს, და ფრთხილად, ტუჩების შეუმჩნეველი მოძრაობით უშვებს ახალ რგოლს.

უკვე თვენახევარია, რაც ერთად ვცხოვრობთ. მე ჩემი ბინა მივატოვე და მასთან გადავედი ოტელში. თვითონ შემომთავაზა ეს.

ეს კიდევ ერთი სულელური ნაბიჯი იყო ჩემი მხრივ. უკეთესი იქნებოდა, იგი გადმომეყვანა ჩემთან. ნომერი ამ მდიდრულ ოტელში ძალიან ძვირი ღირს, და თანაც საუკეთესო რესტორნებში ვსადილობთ. ასეთი ცხოვრება უდიდეს ხარჯებს იწვევს და სწრაფად აახლოებს კატასტროფას. უგუნურება, უგუნურება! ჩემს ღარიბულ ბინაში რომ გვეცხოვრა, ამ ფულით კიდევ რამდენიმე თვე გავიტანდით თავს. მაგრამ მე არ შემეძლო მისი მიყვანა ჩემს ბინაში, იქ, სადაც ყველაფერი ჩემს წარსულ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. იქ იმულებული ვავხდებოდი ამეწერა კეისთვის ჩემი გამოუვალი მდგომარეობა. ეს კი არაფრით არ შემეძლო.

კვი არაფერს მეკითხება, არაფერს მთხოვს. თავისთავად ცხადია, რომ ოტელის ნომრის ქირას და რესტორნების ანგარიშებს მე ვიხდი. ხანდახან თუ მომთ-





ხოვს ცოტადენ ფულს რაიმე აუცილებელი ხარჯებისათვის — ძალიან ცოტას — ეს არის და ეს.

მაგრამ ძალიან საინტერესოა, ვინა ვგონივარ. ზოგჯერ ბრაზიც კი მიპყრობს — ხომ არ ფიქრობს, რომ უსასრულო შევებულება მაქვს ან მილიონერის შვილი ვარ, რომელსაც მამა ნებას აძლევს, რამდენიც უნდა, იმდენი ხანი გაატაროს უქმად.

— რატომ არ მეკითხები, კეი, რას ვაკეთებ და რითი ვცხოვრობ?

— განა ამის ცოდნა ასე საჭიროა?

— არა, მაგრამ მაინც... ნუთუ არ გაინტერესებს?

— მართალი რომ გითხრა, მაინცდამაინც — არა. მამაკაცებს მუდამ გაქვთ რაიმე საქმე. რაც შეეხება შენს საქმეს... ამას მნიშვნელობა არა აქვს.

— მაშ რასა აქვს მნიშვნელობა?

კეი სიგარეტის ბოლის ახალ რგოლს უშვებს ჰაერში. ახლა ეს რგოლი ოვალური გამოდის და ამ ოვალში კეის სახე ჩარჩოში ჩასმულ პორტრეტს წააგავს.

— მე კარგად ვგრძნობ თავს შენთან. აი რასა აქვს მნიშვნელობა. წყნარადა ვარ, მყუდროდ და თბილად.

აი მართალი, ნამდვილი სიტყვები. კარგად და თბილად. მეც ასევე ვარ. მაგრამ სიყვარული? ღმერთმა იცის, იქნებ მიყვარს კიდეც, ოღონდ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ სიყვარული რაღაც ბრწყინვალე და დაუდგრომელი გრძნობაა. მე უკვე გამოცვლად ცხოვრებაში ასეთი რამ. ახლა კი ისე წყნარად, ისე მშვიდად ვგრძნობ თავს. მხოლოდ ჩემს ოჯახში, ბავშვობისას, დედასთან თუ მიგრძენია ასე კარგად თავი. მაგრამ უკვე დიდი ხანია აღარც დედა მყავს და აღარც სახლ-კარი გამაჩნია.

ახლა კი ყველაფერს ვეტყვი. უნდა იცოდეს. არ შემიძლია მისი მოტყუება.

— რაღაც უნდა გითხრა, კეი. მე არსად არ ვმუშაობ. არც ქონება მაქვს. ფული, რომელიც შენი გაცნობის წინა დღეებში ვიშოვნე, თითქმის სულ გამომეღია...

— როგორღა ვიცხოვრებთ?

საყვარელი, საყვარელი არსება! ფიქრადაც არ მოსდის ჩემთან განშორება. მას მხოლოდ ის აწუხებს, როგორ ვიცხოვრებთ უფულოდ. ჩემი მეგობარი კი კარგ კარიერას უწინასწარმეტყველებდა და დარწმუნებული იყო, მდიდარ მფარველებს გაიჩენსო. **Gold digger!** <sup>1</sup> როგორ არ შეეფერებოდა კეის ეს სიტყვები!

მე დამნაშავედ ვთვლი თავს მის წინაშე, მისი მოფერების ძლიერი სურვილი მიპყრობს და ხელის გულზე ვკოცნი. პასუხად იგი ხელს ტუჩებზე მაჭერს და მეუბნება:

— იმ კოლოფში რაღაცეები მაქვს და გავყიდოთ...

საყვარელი, საყვარელი კეი! როგორი გამოუცდელი და უსუსურია. მე ვიცი, რაცა აქვს იმ კოლოფში: ორი-სამი არცთუ ისე ძვირფასი ოქროს ბეჭედი, ასეთივე გულსაბნევეები და საათი. ამ ნივთებში აღებული ფული ერთ თვესაც არ გვეყოფა. მერე? მერე რაღა უნდა ვქნათ? არა, უმჯობესია არ ვიფიქრო ამაზე, არაფერზე არ ვიფიქრო და მხოლოდ გრძნობას მივეწოდო...

იგი ზომ ჩემს გვერდითაა. ასეთი ნაზი, ასეთი მორჩილი და თან ასეთი უძლეველი თავისი სისუსტით. დაისის შეუმჩნეველად შემოპარულ ბინდბუნდში ნაზად კრთის მისი თეთრი, ბავშვური ნაოჭით შემოსალტული კისერი და ფუნ-

<sup>1</sup> ოქროს მიძიებელი (ინგლ.) — დამცინავი მეტსახელი, რომელსაც შეერთებულ შტატებში მსუბუქი ყოფაცქევის ქალებს უწოდებენ.





თუმა, მხრებამდე ტიტველი მკლავები, პაწია ღრმულები რომ აქვს იდაყვებთან. ტუჩებზე მისი სხეულის სითბოს ვგრძნობ. კეი ინაბება და მემორჩილება.

და აი ერთ დილას, როცა მას ჯერ ისევ ეძინა, მივატოვე.

იმ წუთებში ჯერ კიდევ ვიტყუებდი თავს, სადმე ვიშოვნი ფულს და რამდენიმე დღეში დავუბრუნდები-მეთქი. მაგრამ სულის სიღრმეში, იმ სიღრმეში, სადაც თითოეულ ჩვენგანს ასე ეშინია ჩახედვისა, ვიცოდი, რომ სამუდამოდ ეტოვებდი. სამუდამოდ ვეთხოვებოდი კეის და ჩემს ძველ ცხოვრებას.

უკანასკნელი დოლარი რომ გამომელია, მაშინ გავეცალე. მარტოკას უფრო გაუადვილებოდა ცხოვრება. კოლოფში რომ ნივთები ჰქონდა, რამდენიმე კვირას ეყოფოდა სახარჯოდ, მერე კი...

კარგად ვიცოდი, რაც მოხდებოდა მერე, მაგრამ ვცდილობდი არ მეფიქრა ამაზე.

მარტოობის პირველი დღეები შედარებით ადვილად გავატარე — ჯერ კიდევ ვგრძნობდი მის სიახლოეს, ისევ დამყვებოდა მისი სურსელება, როგორც ფლაკონი, საიდანაც დაუღვევარმა ხელმა სუნამო გადმოღვარა. მერე კი სურსელება თანდათან გაქრა და სული დაცარიელდა. მისი ამოვსება აღარაფრით აღარ შემეძლო.

რა ძნელია, როცა სულში სიცარიელეს გრძნობ; ბევრს აქვს ეს სიცარიელე, მაგრამ ყველა ვერა გრძნობს. როცა გრძნობ, როცა იცი მისი არსებობა — ატუანელია; საშინელი ძალით გაწვება იგი შიგნიდან, თითქოს ამოხეთქვას ლამობს, რომ მკერდი გაგიბოს.

მხოლოდ ახლა, როცა შორიდან ვავლებდი თვალს გამოვლილსა და განცდილს, უეტრად მთელი სიცხადით ვიგრძენი საოცარი განსხვავება...

მე დაჩვეული ვიყავი ქალებისადმი ცინიკურ დამოკიდებულებას, და აი — ბედმა თითქოს დამსაჯა ამისათვის, როცა ნამდვილი და ღრმა გრძნობა აღმიძრა კეისადმი. მანამდე კი მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან ჩვეულებრივი ინტრიგის მეტს ვერაფერს ვხედავდი.

როგორ შეუმჩნევლად და ნაზად დამიპყრო, ისე რომ თვითონაც არა ცდალა ამას! მასში იყო რაღაც, რაც, როგორც ჩანს, მხოლოდ ჩემთვის იყო განკუთვნილი; იგი ორმა მამაკაცმა მიატოვა. მათთვის კეი მხოლოდ მორიგი საყვარელი იყო და საკმაოდ არასაინტერესო საყვარელიც. მე არც კი ვეჭვიანობდი, ისე განუზომლად დიდი იყო ის, რასაც მე ვგრძნობდი ამ ქალისადმი.

ჩემდა გასაოცრად, კეის შინ ყოფნა უყვარდა და ძალიან მიამიტი და სენტიმენტალური ქალი იყო. მისი საუბრის საყვარელი თემა იყო მისი სახლ-კარის, ოჯახის წევრებისა და ქალიშვილობის დროინდელი წვრილმანი სიხარულისა თუ მწუხარების მოგონება.

თავის ოჯახს ხშირად იგონებდა, მაგრამ ამ მოგონებისას სევდა არ ემჩნეოდა; ლაპარაკის კილოზე ადვილად შეატყობდა კაცი, რომ თავისი ცხოვრების ამ პერიოდთან სამუდამოდ გაეწყვიტა კავშირი და შინ დაბრუნებას აღარ აპირებდა. სხვათა შორის, არასოდეს არ ახსენებდა, როგორ ცხოვრობდა მისი ოჯახი ახლა და მისი სიტყვებიდან ვერც იმას მიხვდებოდა კაცბ, ჰქონდა თუ არა მიწერ-მოწერა თავისიანებთან.

ამის მთავარი მიზეზი, მისი პროტესტანტული ამპარტავენობის გარდა, უდავოდ მისი პასიურობაც იყო. ჩემი აზრით, მოულოდნელად მისი რომელიმე ახლო ნათესავი რომ გამოჩენილიყო შანხაიში და შეეციაში დაბრუნება შეეთავა-



ზებინა, აუცილებლად წაჰყვებოდა. მაგრამ არავინ მოაკითხა და ისიც დარჩა აქ. მასთან განშორების შემდეგ იმ სახლში დავიჭირავე ბინა, სადაც ამ უკანასკნელ წლებში ვცხოვრობდი. ყველაფერი დამენგრა. სრული ბანკროტი და უსინდისო მოვალე ვიყავი, ადამიანი, რომელმაც ნდობა ვერ გამამართლა და ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა.

ჩვენი სამყარო ყოველგვარ დანაშაულს გააბატონებს, ამას კი არა. მე კარგად ვიცოდი ეს და ამიტომ თვითონვე გავეცალე მას. მე აღარაფერი მაკავშირებდა ამ სამყაროსთან, არავის ვდებდი ბრალს იმ უბედურებაში, რომელიც თავს დამატყდა, და არც არავინ მეზიზღებოდა — პირადად არავინ იმსახურებდა ამას. ფეხი დამიცურდა და დავეცი იმ გზაზე, სადაც დაცემულებს აღარ აყენებენ. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შემეძლო, ის იყო, რომ განზე გავხიზნულიყავი, რათა არაფერს გავეცრისე. და ასეც მოვიქეცი.

ვცდილობდი კეიზე აღარ მეფიქრა და კიდევაც ვახერხებდი ამას, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ თავს ვიტყუებდი და სადღაც, სულის სიღრმეში, ცოცხლობდა ხსოვნა, რომელსაც ვერაფერი წაშლიდა.

ერთხელ, საღამო ხანს, სწორედ იმ დროს, როცა ყოველი ცოცხალი არსება თავის ბუდეს უბრუნდება, ჩემი სენაკის სარკმელთან ვიჯექი და ჩვეულები-სამებრ ეზოს ხმაურიან ცხოვრებას ვადევნებდი თვალს. უცებ საშინელი სიცხადით ვიგრძენი ჩემი სრული მარტოობა ამ მოფუსფუსე ადამიანებს შორის, ამ დაუცხრომელი ცხოვრების ორომტრიალში, სადაც თითოეული თავისი საქმით არის ვართული, შრომობს, ხარობს, წუხს, სწავლობს, წვალობს და ყოველივე ამით თავისი პატარა წვლილი შეაქვს ცხოვრების საერთო დინებაში.

მხოლოდ მე არ ვაკეთებდი არაფერს ამ ხმაურიან სამყაროში, ვნებაც კი არავისთვის მომქონდა, თუმცა ცუდი საქმის ჩადენა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე კარგისა.

უცებ საშინლად მომინდა კეის ნახვა. ეს იყო ერთადერთი არსება დედამიწის ზურგზე, რომელიც ისე მომიგონებდა, როგორც ადამიანს, და არა როგორც არაკეთილსინდისიერ მოვალეს.

მხოლოდ კეის თვალში წარმოვადგენდი კიდევ რამეს, თუნდაც აჩრდილს ან მოგონებას.

საშინლად მომინდა მისი ნახვა, ნახვა თუ არა, მისი ხმის გაგონება მაინც. ერთ ხანს ვებრძოდი თავს, მაგრამ მერე ველარ მოვითმინე და ოთახიდან გამოვედი. სირბილით გავედი ქუჩაში, მაგრამ ხალხში რომ გავერიე, უცებ გამოვფხიზლდი და ნათლად ვიგრძენი ჩემი გადაწყვეტილების მთელი უგუნურება. საში დღე იყო წვერი არ მომეპარსა (რა ადვილად მოეშვება ხოლმე ადამიანი, როცა ცხოვრების სტიმულს კარგავს!), გაუუთოებელი შარვალი და კარგა ხნის გამოუცვლელი პერანგი მეცვა.

სხვა რომ არაფერი, მარტო ჩემი გარეგნობა ხდიდა შეუძლებლად ჩვენს ზეხვედრას.

მაგრამ მე ვიცოდი, რომ იგი შინ იქნებოდა. ეს მისი საათი იყო, ჩვენი საათი, ამ დროს ჩვენ მუდამ ერთად ვიყავით; იგი, ჩვეულებრივ, დივანზე მოიკეცავდა ხოლმე და სიგარეტს აბოლებდა, მე კი მეტწილად იმავე დივანზე ვიყავი მიწოლილი და თავი მის კალთაში მედო.

როგორ მიყვარდა, როცა, ფიქრებში წასული და სევდიანი, თითებს თმებში ჩამიყოფდა და ნახად მიწეწავდა, თან სადღაც შორს იცქირებოდა სიგარეტის ბლანტი კვამლის რგოლში.

ნათლად წარმომიდგა თვალწინ ეს სურათი. უახლოეს მაღაზიაში შევედი





და ტელეფონის ნომერი აგკრიფე. გადაწყვეტილი მქონდა, არ გამოვლანჯო... ბოდი, მაგრამ ვრეკავდი, რომ მისი ხმა მაინც გამეგონა... და გავიგონე კიდევ მან ყურმილი აიღო, „ალოო“, წარმოთქვა, მერე ცოტა მოიცადა და ისევ გაიმეორა იგივე სიტყვა. ნეტავ რას ფიქრობდა იმ წუთას? იცოდა თუ არა, ვინ იდგა მავთულის მეორე ბოლოში? პასუხი რომ ვერ მიიღო, ყურმილში ჩაბერა, კიდევ ერთხელ წარმოთქვა „ალოო“ გაკვირვებითა და შეკითხვის კილოთი და მერე სწრაფად დაკიდა ყურმილი.

იგი შინ იყო, ასე ახლოს ჩემგან, იმავე ოთახში...

როგორ მინდოდა გავქცეულიყავი მასთან, მენახა და მეთქვა, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, რაც გინდოდეს, ის მიყავი, ოღონდ შენს გვერდით მამყოფე-მეთქი!

მაგრამ ვიცოდი, რომ ეს შეუძლებელი იყო. ექვი არ მეპარებოდა, რომ იგი მიმიღებდა, მაგრამ მერე? მერე რა უნდა მექნა? არა, ეს არ შემიძლო...

იმ საღამოს მთელი ქალაქი მოვიარე, ვიყავი ერთ-ერთ ნავსადგურში, სადაც ერთ საღამოს სამპანკით<sup>1</sup> ვისეირნეთ მთვარის სხივებით დაფერილ წყნარად მოლივლივ მდინარეზე. ჩავუარე იმ კინოთეატრს, სადაც ყველაზე უფრო ხშირად დავდიოდით ხოლმე — ახლახან აშენებულ მშვენიერ შენობას, რომელსაც ვრცელი ფოიე და მყუდრო, ღია მწვანე ფერის დარბაზი ჰქონდა, სადაც სენსის დაწყების წინ ისეთი საზეიმო სიჩუმე იდგა, როგორც ეკლესიაში. ვიყავი ფრანგული კონცესიის აკაციებითა და ჭადრებით დაბურულ წყნარ ქუჩაზეც, სადაც ერთ საღამოს, შემთხვევით გავლისას, უცებ ისე ჩავეკარით ერთმანეთს, თითქოს ეს ქუჩა ჩვენი ოთახი ყოფილიყო.

რა საამური გასეირნება იყო! თითქოს ხელახლა განვიცადე ყველაფერი — ამ საათების განმავლობაში იგი ჩემს გვერდით მოაბიჯებდა ისე ახლოს, ისე ცხადად, რომ მისი სუნამოს სუსტ სურნელსაც კი ვგრძნობდი.

ამის შემდეგ ერთ ხანს თითქოს დავმშვიდდი, მაგრამ ერთხელ, მარტოობის გრძნობის ახალი შეტევის წუთებში, ისევ დაფურეკე. ისევ შინ იყო, ისევ გავიგონე მისი დაბალი, ოდნავ ჩახლეჩილი ხმით წარმოთქმული „ალოო“. ამ ხმის გაგონება მუდამ საოცრად მოქმედებდა ჩემზე. მე ხმას არ ვიღებდი. სუნთქვაც კი შევიკარი, თითქოს ტელეფონში ჩემი სუნთქვის გაგონება შეეძლო. მხოლოდ ერთხელ წარმოთქვა „ალოო“ და მერე დადუმდა. დიდხანს სდუმდა ისე, რომ ყურმილი არ დაუდვდა. საშინლად მინდოდა, რომ კიდევ ეთქვა რამე და მართლაც გავიგონე:

— რატომ დუმხარ? — იკითხა მან უცებ ნაზი გამომცდელი კილოთი და თან საალერსო შემოკლებით წარმოთქვა ჩემი სახელი, როგორც მხოლოდ თვითონ და ჩემი მშობლები მეძახდნენ ხოლმე ბავშვობაში.

ძლივს შევიკავე თავი, ხმა არ ამოვიღე.

— რა გაეწყობა, მშვიდობით! — წარმოთქვა მან მცირე პაუზის შემდეგ და ისევ წარმოთქვა ჩემი სახელი.

მოკლედ გაიწყარუნა დადებულმა ყურმილმა და ვიგრძენი, რომ გაწყდა უკანასკნელი ძაფიც, რომელიც კეისთან მაკავშირებდა.

ეს აზრი იმდენად აუტანელი იყო, რომ ისევ დავაპირე დარეკვა, მაგრამ უცებ მომაგონდა, რომ დასარეკად საჭირო ფულიც კი აღარ მქონდა, და ხელი ჩავიქნე.

იმ რამდენიმე თვეში კიდევ ორჯერ დავურეკე, მაგრამ ყურმილს აღარავინ იღებდა და გადაეწყვიტე, ალბათ იქ აღარ ცხოვრობს-მეთქი.

<sup>1</sup> ერთნიჩიანი ნავი.





ამის შემდეგ ერთხელ ქუჩაში წვრილი ფული ვიპოვე. ის იყო ხსნის არმი-  
იდან მოვდიოდი და არა მშობიდა, ამიტომ დიდხანს ვატრიალე ფული ხელში,  
რასი დაეხარჯო-მეთქი. უცებ მომაგონდა, რომ ტელეფონის დასარეკად გამოდ-  
გებოდა.

დარწმუნებული ვიყავი, კეი იქ აღარ იყო, მაგრამ მაინც ავკრიფე ნომერი.  
ვიღაც მამაკაცმა მიპასუხა ინგლისურად, აშკარა ამერიკული აქცენტით. კეის  
თხოვეთ-მეთქი, ვუთხარი, და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ უარს მივიღებდი, მაგ-  
რამ იმავე ხმამ წარმოთქვა: კეი, ტელეფონთან მოდი, შენ გეძახიანო!

ისეთმა მღელვარებამ შემიპყრო, როგორც არც ერთი დარეკვისას არ გან-  
მიცდია. ყურმილის დადებაც კი დავაპირე, მაგრამ სწორედ ამ დროს კეის ხმა  
შემომესმა. ახლა მისი ხმა რაღაც სხვანაირად ჟღერდა. როგორც ეტყობოდა,  
ყურმილი რომ აიღო, ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა დაწყებული ფრაზა და,  
რომ დაამთავრა, მხოლოდ მაშინ წარმოთქვა ყურმილში „აალო“. რომ გაიმე-  
ორა და პასუხი მაინც ვერ მიიღო, მოუთმენლად იკითხა:

— ვინ რეკავს? ვინ? ამოიღე ხმა, რა სულელური ღუმილია?

მისი ხმა კვლავ უცნაურად ჟღერდა და მივხვდი, რომ ნასვამი იყო. ხმას  
არ ვიღებდი, მინდოდა ჩემი ღუმილით მეგრძნობინებინა, ვინც ურეკავდა, მაგ-  
რამ ვერ მიხვდა. კიდევ წარმოთქვა მოუთმენლად რამდენიმე სიტყვა და დაკე-  
და ყურმილი.

ყველაფერი ცხადი იყო. ახლა შემეძლო დამშვიდება, რადგან უკვე ნამდვი-  
ლად ვიცოდი, რომ დამივიწყა. ასე უკეთესი იყო ჩემთვისაც და მისთვისაც.

სიგარეტის ბლანტი კვამლის რგოლი დაიკლანა, გაიცრია და უკვალოდ  
გაქრა გრილ ჰაერში.

იმ ღამეს კარგად მეძინა. იშვიათად მქონდა მშვიდი ძილი, მაგრამ მაშინ,  
სწორედ წინა დღეს, ცოტაოდენი ფული ვიშოვნე და აფთიაქში დასაძინებელი  
წამალი ვიყიდე. მეტისმეტად დიდი დოზა იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, რა მაგრად  
და რა დიდხანს მეძინა! რაც მთავარია, არავითარი სიზმარი არ მინახავს. რა სა-  
ჭიროა სიზმარი? ისიც ხომ ისეთივე მატყუარაა, როგორც ცხოვრება...

მზე უკვე კარგა მალა იყო აწეული, როცა უეცრად ჩვენი მეზოვის შვი-  
ლი წამომადგა თავს და გამაღვიძა — ფოსტალიონი დაგეძებთ ქვევით, წერილი  
აქვს გადმოსაცემით.

წერილი! ვის უნდა მოეწერა ჩემთვის წერილი? კინაღამ არ გავუწყერი აშბის  
მომტანს, რას სულელობ-მეთქი, მაგრამ ვეღარ შევძელი გაბრაზება, იმდენად თა-  
ვაზიანი ყმაწვილი იყო — ჩემთვისაც კი არასოდეს ეზარებოდა სამსახურის  
გაწევა.

კარგად არც კი ვიყავი გამოფხიზლებული, ძირს რომ დავეშვი.

თვალებს არ ვუჯერებდი, როცა ფოსტალიონმა კონვერტი გადმომცა; ზედ  
ჩემი სახელი და გვარი ეწერა. მეგონა, ალბათ ჯერ კიდევ ძილში ვარ  
და ახლა უკანასკნელი სიზმრის გაგრძელებას ვხედავ, რომლის დასაწყისი აღარ  
მახსოვს-მეთქი. მაგრამ იმ ღამეს სულ არ მინახავს სიზმარი, ქალაქი კი, რო-  
მელიც ხელში მეჭირა, შრიალებდა და ჩემი თითები აშკარად გრძნობდნენ კონ-  
ვერტის სუსტ წინააღმდეგობას, როდესაც კიდეს ვახვედი.

ეს იყო კარგი ხარისხის პრიალა ქალაქისგან გაკეთებული გრძელი და  
ვიწრო კონვერტი, როგორცაა, ჩვეულებრივ, ქორწილზე, ოფიციალურ ცერე-



მონიებსა და ბანკეტებზე იწვევენ სტუმარს. ოდესღაც ვღებულობდით ასეთ კონკერტებს.

ისევ დავაქვრდი მისამართს. არა, შეცდომა არ იყო. წერილი ნამდვილად ჩემს სახელზე იყო გამოგზავნილი. ვკითხულობ და მაინც არა მჯერა — ამხანაგურ ბანკეტზე მებატიყებიან ჩემი ყოფილი თანაკურსელები, რომლებმაც ჩემთან ერთად დაამთავრეს უნივერსიტეტი, საიდანაც აჩემებული აზრებისა და ცხოვრების უსარგებლო, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცოდნის ქაოსთან ერთად, ხელოვნებათა ბაკალავრის დიპლომი გამოვიტანე. ამ დიპლომს მხოლოდ ის დანიშნულება ჰქონდა, რომ ლამაზ ჩარჩოში ჩასმული მეკიდა საწერ მაგიდასთან, სანამ საწერი მაგიდა კიდევ გამაჩნდა.

კი მაგრამ ვინ არიან ეს ჩერჩეტები, რომლებსაც „პატივი აქვთ, თხოვნ...“ ისეთ ადამიანს, როგორც მე ვარ, „პატივი დავდო ჩემი მისვლით მათს კრებულს“? ანდა იქნებ მხოლოდ სულელური ხუმრობაა ეს ამბავი და სხვა არაფერი?

არა, ხუმრობას არა ჰგავს. ვის მოუვიდოდა აზრად ჩემთან გახუმრება, როცა ჩემი არსებობა სტუდენტობის დროინდელი ნაცნობებიდან ალბათ უკვე აღარავის ახსოვდა. მე უკვე დიდი ხანია მოვეფარე მათ თვალს, გავუჩინარდი იმ ყინულის ნატეხივით, რომელიც მაქციერმა ბედმა თბილი დინების ჩქერში შეაგდო.

გაოგნებული შევყურებ სქელი მუყაოს ლამაზ ნაჭერს, რომელზეც, ტექსტის ზემოთ, ზეენი უნივერსიტეტის ღერბია დაჭდეული.

საოცარია, რა ღრმა კვალს ავლებს ადამიანის სულში ახალგაზრდობის შთაბეჭდილებები! ეს არის ახლა ვახსენე: ჩვენი უნივერსიტეტი-მეთქი — ჩემი უნივერსიტეტი ვუწოდე მას. მაგრამ დარჩა კი იქ რამე ჩემგან, ანდა მე თვითონ დამრჩა რამე მისი? მხოლოდ არქივში, პარველი საართულის დერეფნის ბოლოს, ბნელი ოთახის დამტვერილ თაროზე მოთავსებულ საქალაქულში, რომელზეც ჩვენი გამოშვების წელია აღნიშნული, სხვა გვარებს შორის ჩემი გვარიც წერია. ეს არის და ეს. და კიდევ ერთი რამ: ახალგაზრდობაში კარგი სპორტსმენი ვიყავი და სიმაღლეზე ხტომაში უნივერსიტეტში ჩემ მიერ დამყარებულ რეკორდს, რამდენადაც ვიცი, ოცი წელი ვვარავნად გადააჭარბა. მაგრამ იმ დღეს, როცა ამ რეკორდსაც გადააჭარბეს, ჩემი გვარი უკანასკნელად გაისმა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და ინფორმატორის გულგრილმა ხმამ, რომელმაც ახალი რეკორდი ამცნო საზოგადოებას, სამუდამოდ წაშალა ჩემი კვალი იმ უღარდელი ჰაბუკების ცნობიერებაში, რომლებიც ისეთივე გულუბრყვილო იმედებითა და ამბიციით ავსებენ უნივერსიტეტის კედლებს, როგორც ოდესღაც ჩვენ ვავსებდით.

მაგრამ მაინც როგორ მოაღწვია ამ მოსაწვევემა ბარათმა ჩემამდე, ვის მოვავონდი, ვინ მიაგნო ჩემს მისამართს?

თუმცა ამის წარმოდგენა არც ისე ძნელია — ეს ალბათ ასე მოხდებოდა: ალბათ ისინი სადმე, ერთ-ერთ კლუბში შეხვდნენ ერთმანეთს — სამნი ან ოთხნი, თავიანთი თავით კმაყოფილნი და გამაძღარნი. და აი, ალბათ, ვისკის სმის დროს ერთ მათგანს უცებ გაახსენდა, რომ ოდესღაც ყველანი ერთი უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ... მოხდება ხოლმე ზოგჯერ ასეთი უცნაური დამთხვევა! და აი, როცა ღვინისაგან გრძნობამორეულები „ძველ დროს“ და ახალგაზრდობის თავქარიანობას იგონებდნენ, ერთ-ერთ მათგანს უცერად უცნაური აზრი დაებადა — შეეკრიბათ ყველანი (ყველაზე უფრო უცნაური კი ის არის, რომ ამ „ყველაში“ მეც ვიგულისხმებოდი), ერთად გაეტარებინათ





სალამო, მოეგონებინათ ძველი ამბები და, რაც მთავარია, კარგად გამოძღარიყვნენ და გამომთვრალიყვნენ ამ ახალი საბაბით.

ყველას ძალიან მოეწონა ეს აზრი და მაშინვე შეუდგნენ საქმეს. ტელეფონის რამდენიმე ზარი და — ჩემი ყოფილი თანაკურსელებიდან უკვე ათმა-თორმეტმა კაცმა მოიყარა თავი. ასე შეიქმნა კომიტეტი (მოსაწვევ ბარათზეც ასე ეწერა — კომიტეტი); ეს სახელწოდება უფრო მატებდა წონას წამოწყებულ საქმეს, მოწყენილი უქნარების უბრალო გართობას საქმიან ელფერს აძლევდა. კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა მდივანი ქალი შესთავაზა კომიტეტს, ერთ-ერთი იმ საცოდავ ქმნილებათაგანი, რომელმაც ისე დიდხანს იმსახურა კანცელარიაში, რომ მისი გაგდება უკვე უხერხულია, თუმცა კანტორაში აღარაფრის გაკეთება აღარ შეუძლია.

და აი ასეთი მდივანი, ალბათ შინაბერა ქალი, თავდადებით კიდებს ხელს დაკისრებულ საქმეს: პირველყოვლისა იმ პირთა ზუსტ სიას ადგენს, ვინც იმ წელწინად დაამთავრა უნივერსიტეტი, რომელიც მას დაუსახელეს. მერე ერთი კვირა არჩევებში იხსრიკება, მერე კიდევ ერთი კვირა ტელეფონის წიგნს უზის, ურეკავს დაწესებულებებს, ეკლესიებს, საელჩოებს, დამკრძალავ ბიუროს და ბოლოს, თავისი თავით კმაყოფილი, ამომწურავი სიზუსტით ადგენს ჩვენი გამოშვების ყველა ყოფილი სტუდენტის მისამართს — ვინც ცოცხალი დარჩა ან სხვა ქვეყანაში არ წასულა.

ჩემი პოვნა არც ისე ძნელი იყო — უკვე რამდენიმე წელიწადი ცვხოვრობდი ამ ეზოში, ოღონდ მესამე სართულის საკმაოდ პატარა ოთახიდან დიდი ხანია მანსარდაში გადამაბრძანეს. მაგრამ ამის შესახებ იმ მდივანმა ქალმა არაფერი იცის და ვერც ვერასოდეს გაიგებს.

მან მხოლოდ ქუჩის სახელი და სახლის ნომერი გაიგო და ეს საკმარისი იყო, რომ ფოსტალიონს სახლის სხვენზედაც კი მოვეწახე.

და აი შუა ეზოში ვდგევარ და ღმერთმა იცის მერამდენედ ვკითხულობ ამ სულელურ მოსაწვევ ბარათს. იმიტომ კი არა, რომ რამეზე მწყდებოდეს გული — მსიამოვნებს ამ სრიალა მუყაოს ქალაღლის ცქერა, რომელზეც ოქროს ლამაზი ასოებია გამოყვანილი. დიდი ხანია აღარ მჭერია ხელში ასეთი ლამაზი რამ.

ალბათ ამ ამბავს არაფერი მოჰყვებოდა, ერთ ხანს კიდევ გატრი-ალებდი ბარათს ხელში და მერე ნავის ყუთში გადავუძახებდი, მაგრამ სწორედ ამ დროს, თითქოს განგებ, ეზოში პასტორი სიმისი შემოვიდა. ჩვენს ეზოში ორი ქრისტიანი ჩინელის ოჯახი ცხოვრობდა და პასტორი ხშირად მოდიოდა ხოლმე მათთან.

ადვილად წარმოიდგენთ პასტორ სიმსს. როგორც ყველა მისიონერს, მასაც ნამარხულევი სახე და თვინიერი გამოხედვა აქვს, პათეტურ წუთებში თვალებს ცისკენ აღაპყრობს ხოლმე. ეს ადამიანები გრამატკის სახელმძღვანელო-სავით მოსაწყენნი არიან და მათი გამოჩენა, ისევე როგორც სურდოსი, არასოდეს არ არის დროული.

უცნაურია: ეს გულუბრყვილო ადამიანები სულ იმის ცდაში არიან, ვეფხვი ბალახის ჭამას დააჩვიონ! მათი ცხოვრება ხომ არც ისეთი იოლია, როგორც ერთა შეხედვით ეგონება ადამიანს. ისინი ცხოვრების ბევრ სიხარულს არიან მოკლებულნი და ზოგჯერ იმათი დასაციინიც კი ხდებიან, ვის ქეშმარიტ გზაზე დაყენებასაც ცდილობენ. ზოგი ანგარიშიანი ჩინელი ხშირად სარგებლობს მათი ენთუზიაზმით. გასამრჯელოს ცოტას იღებენ და იმასაც მეტწილად თავიანთი მრევლის ღარიბ წევრებს ურიგებენ. სხვანაირად როგორ ექნება! გულკეთილო-





ბა ხომ მათი ქრისტიანული მოვალეობაა! „ნეტარ იყვენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ!“

პასტორი სიმსი თავაზიანად მესალმება და ჩერდება. იგი ყოველთვის ასე იქცევა ჩემს დანახვაზე. ალბათ ჩემს მორჯულებას იმედოვნებს, მაგრამ იმ სისულელების ლაპარაკს ვერა ბედავს, რითაც ჩინელებს აბოთბს ხოლმე.

— როგორ არის საქმეები, მისტერ...? — და პასტორი გვართ მომმართავს.

პასტორი სიმსი მეტისმეტად თავაზიანი კაცია, იმდენად თავაზიანი, რომ ზოგჯერ ბრაზიც კი მიპყრობს და სურვილი მეზადება ვკითხო, ბიბლიის რომელ თავშია ნათქვამი, ზრდილობიანად მოექცეით ისეთ სუბიექტებს, როგორიც მე ვარ-მეთქი. ახლაც გამაბრაზა მისმა ტკბილმა კილომ და პროფესიულმა გულკეთილობამ და მისი მასხარა აგდება გადავწყვიტე:

— დიდებულად, პასტორ სიმს, დიდებულად... აი შეხედეთ: ქალაქგარეთ, კლუბში, ბანკეტზე მეპატიეებიან. — და პრილა ქალღიმილი გავუწოდე.

პასტორი სიმსი მღუმარედ აცქერდება მოსაწვევ ბარათს და ყურადღებით კითხულობს. არა, მართლაც რომ არ მიუცია ღმერთს ამ მისიონერებისათვის ჰუმორის ნიჭი — გაღიმებოდა მაინც ამ სიტყვებზე. ყველა ჭკუათამყოფელი სიცილით მოკვდებოდა იმის დანახვაზე, რომ მე მაღალი წრის საზოგადოების ბანკეტზე მიმიწვიეს და მერე ისიც სად? — ქალაქგარეთ მდებარე კლუბში, ყველაზე ფეშენებელურ, ყველაზე ძნელად მისაწვდომ ადგილას, სადაც ჩემი ცხოვრების კარგ წლებშიც კი ორჯერ თუ სამჯერ ძლივს მოვახერხე შესვლა და ეს ამბავი დიდად მესახელებოდა!

პასტორმა სიმსმა კი, იმის მაგიერ, რომ გაცინებოდა, ასეთი ბანალური სიტყვები წარმოთქვა:

— ძალიან კარგია, როცა ადამიანები ძველ მეგობრებს არ ივიწყებენ, ძალიან კარგია არც თქვენ უნდა დაივიწყოთ!

აი კრეტინი! კარგი, რაკი გაცინებას არ აპირებ, მე თვითონ ვიცინებ შენზე.

— დიახ, წასვლას ვაპირებ, მაგრამ ეს არის, რომ სმოკინგი არა მაქვს, იმ კლუბში კი საღამოს უსმოკინგოდ შესვლა არ შეიძლება.

— ძალიან კარგად იქცევით, მისტერ..., რომ წასვლას აპირებთ. ძველი მეგობრები არ უნდა დაივიწყოთ. ხოლო რაც შეეხება სმოკინგს, მე გიშოვნით... დროებით, რა თქმა უნდა...

მისი ცისფერი, ცივი თვალები ისეთი დაბეჯითებით დამცქერიან. მაღლიდან და ამ ბეც გამოხედვაში იმდენი დამაჯერებლობა, საკუთარი სიმართლის რწმენა და ახალგაზრდული ენთუზიაზმი იგრძნობა, რომ მისი დაცივნის სურვილი მეკარგება.

— არა, პასტორ სიმს, სად უნდა წავიდე! განა შეიძლება ამაზე სერიოზულად ლაპარაკი?!

მე არასოდეს მილაპარაკნია მასთან ასეთი ტონით და დავიბენი. წინააღმდეგობის გაწევის უნარი დავკარგე. პასტორი კი ფრთხილად არჩევს საჭირო გამოთქმებს, ოსტატურად უხვევს გვერდს მტკივნეულ ადგილებს და მარწმუნებს, რომ მიწვევა მივიღო.

არასოდეს არ ვიფიქრებდი, რომ პასტორი სიმსი ასეთი მკვერმეტყველი იყო! წინათ ყოველთვის ენაბრკვილი მეჩვენებოდა.

ჩემი უბედურება ის არის, რომ არასოდეს არ შემეძლო კამათის დროს ლოლიკური დასკვნებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ზოგჯერ უსმენ ხოლმე ორი ადამიანის კამათს და გაკვირვებას ხარ: ეჭვი არ არის, რომ პირველი მოკამათე

მართალი, ყველაფერი დღესავით ნათელი და გასაგებია. მეორეს თითქოს აღარაფერი დარჩენია იმის მეტი, რომ დაეთანხმოს და თავისი შეცდომა აღიაროს. მაგრამ ნურას უკაცრავად: იგი ისევ განაგრძობს თავისას, ლაპარაკობს რაღაც ყოველად შეუსაბამოს, რაც სრულებით არ ეხება კამათის არსს, მაგრამ ისე ჯიუტად დგას ამ თავის სულელურ აზრზე, რომ ზოგჯერ არა მარტო მათ შემეყურეს, არამედ თვით ოპონენტსაც კი დააეჭვებს. მაგრამ მე ეს არ შემიძლია. ალბათ იმიტომ, რომ ყოველთვის კეთილსინდისიერად ვკამათობ და კამათის დროს იმდენად ჩემი აზრის დაცვას არა ვცდილობ ხოლმე, რამდენადაც ქვეშაირტების დადგენას.

ახლაც ასე წამოვეგე ანკესზე. პასტორ სიმის მჭევრმეტყველებასთან გამკლავება ადვილი არ ვახლავთ.

იმის მაგიერ, რომ უხეშად გამეწყვეტინებინა სიტყვა და, ეშმაკმა წაგიღოს მეთქი, მეთქვა (პასტორი სიმი ასეთი სიტყვების გაგონებაზე ერთბაშად მოეშვევა ხოლმე), პრინციპულ დისკუსიაში ჩავები, დავიბენი და ავლედი, მან კი, ჩემი დაბნეულობა და სისუსტე რომ შენიშნა, უფრო უმატა მჭევრმეტყველებას და ბოლოს იძულებული გამხდა დავნებებოდი.

რა ეშმაკმა მაიძულა, თანხმობა მიმეცა მისთვის — ყველაფერი აქედან დაიწყო.

პასტორ სიმის გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარებოდა, მაგრამ მაინც ძალიან გამიკვირდა, როცა მეორე დილას ჩემს ოთახში დავინახე. უნდა ვაღიარო, ცოტათი დავიბენი კიდევ, როცა ჩემს სოროში უტხო აღამიანი შემოვიდა და ისიც ისეთი პირივინა, როგორც პასტორი სიმი იყო — თავის უზადოდ გაუთოებულ შავ კოსტუმში გამოწყობილს ქათქათა თეთრი საყელო ეკეთა და გაკრიალებული ფეხსაცმელები ეცვა.

ხელში რაღაც კობტად შეხვეული ეჭირა და ცდილობდა თავი ისე დაეჭირა, თითქოს ჩემი ოთახის მოწყობილობას ვერ ამჩნევდა.

მაგრამ როცა პაკეტის დადება დასჭირდა, მისი დადება კი ჭუჭყიანი, პაპიროსის ნამწვებით დაფარული მაგიდის გარდა არსად არ შეიძლებოდა, დაიბნა, რაც, უნდა ვაღიარო, მესიამოვნა კიდევ. ნუ მიგიღია ანგელოზის სახე და სულელის როლს ნუ თამაშობ, თითქოს ვერაფერს ხედავდე და არაფერი გაგეგებოდეს.

წუთიერი ყოყმანის შემდეგ პასტორმა ქალაღში გახვეული ნივთი ფეხებთან დამიღო (მე ჯერ კიდევ ვიწექი), და ისეთი სახე მიიღო, თითქოს სრულებითაც არ გაკვირვებია ჩემი დახეული და საკმაოდ ჭუჭყიანი საბნის დანახვა.

მერე ქალაღი გახსნა და შავი ატლასის ლაცანმა საზეიმოდ გაიპრიალა. დიახ, ეს სმოკინგი იყო, ნამდვილი სმოკინგი, და თანაც უკანასკნელ მოდაზე შეკერილი, ორბორტიანი, ცოტათი ნახმარი. დაახლოებთ მეც ასეთივე სმოკინგი მეცვა, პირველად რომ დავინახე კეი პარკ-ოტელში. მერე კი დავაგირავე და ლომბარდს გადავულოცე.

მე ჩაცმას შევუდექი. პიჯაკი საკმაოდ კარგად მომადგა ტანზე — რაც არ უნდა იყოს, ფართო მხრები მაქვს — მაგრამ შარვალი განიერია და წელზე არ ჩერდება.

წარმოიდგინეთ, რა სანახავი ვიქნებოდი: შიშველ სხეულზე გადაცმული სმოკინგი, გაუპარსავი სახე, აწეწილი თმები და შარვალი, რომელიც ხელით მეჭირა, რომ არ ჩამეარდნოდა!

მაგრამ პასტორი სიმი უკან არ იხევს. ოლიმპიური სიმშვიდით მათვალისერებს, თითქოს წირავსო, კეცავს სმოკინგს და მთხვოს, მის დაბრუნებამდე არ-





სად წავიდე. ორი საათის შემდეგ ისევ ბრუნდება და სხვა სმოკინგი მოაქვს, ნაკლებ ძვირფასი, მაგრამ ისეთი, რომლითაც თავისუფლად შეიძლება საზოგადოებაში გამოჩენა.

— ეს კარგად გადგიათ ტანზე, — კმაყოფილი სახით მეუბნება იგი. — ახლა გასაუთოებლად მივცემ და ზეგ საღამოს პერანგთან და სხვა საჭირო რამეებთან ერთად მოგიტან.

იმ ორი დღის განმავლობაში პასტორი ჩემთვის იმდენს ზრუნავდა, რომ არ ვიცი, უფლის სამსახურისთვის როდისღა იცლიდა. ერთი წუთითაც კი არა მტოვებდა მარტო. საოცარი იყო, როგორ არ ბეზრდებოდა მოზრდილი და ისიც საკმაოდ უხიაგი ხასიათის ადამიანის ლაღობა.

იმ დღეებში სულ ერთად ვსეირნობდით საუბარში გართულნი. მომწონდა, რომ არაფერს მეკითხებოდა და უფრო მეტად თავის ამბებს მიყვებოდა. და აი, მეც მომინდა ჩემი თავგადასავლის მოყოლა. ასე გაიგო პასტორმა ჩემი ცხოვრების უკანასკნელი წლების და კეის ამბავი.

— ის, რაც თქვენ მიახმეთ, — თქვა მან, ყურადღებით რომ მოისმინა ჩემი ნაამბობი, — ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ეგ მხოლოდ ეპიზოდია თქვენს ცხოვრებაში... თქვენ ამით თითქმის არაფერი დაგეგმავათ. ხვალ თქვენს ძველ მეგობრებს შეხვდებით და ახალგაზრდობას მოიგონებთ, რაც ხელს შეუწყობს თქვენს გულწრფელ საუბარს და სულიერ დაახლოებას მათთან. რომელიმე მათგანი ალბათ ისურვებს თქვენთან ხელმეორედ შეხვედრას. ნუ ეტყვი თუ არს, ნურც თქვენს თავგადასავალს უამბობთ... შეხვედრაზე კი არავითარ შემთხვევაში არ უთხრათ უარი. რატომ არ უნდა სცადოთ იმ წრეში დაბრუნება, რომელსაც სიღარიბისა და საკუთარი დაუდევრობის წყალობით მოწყდით?

„მართლაცდა — გავიფიქრე მე — რატომ არ უნდა ვცადო ბედი?“

ერთი სიტყვით, იმ ორმა დღემ, რომელიც პასტორ სიმსთან გავატარე, ჩემი ჩვეულებრივი ცხოვრების კალაპოტიდან ამომაგდო. ისე ავეითე, როგორც წინათ მჩვეოდა ხოლმე; ყველაფერი ისევ შესაძლებლად მეჩვენებოდა.

იმ დღეებში თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ბანკეტის დღე რომ დადგა, ერთბაშად ვიგრძენი ძალღონისა და მხნეობის მოზღვაება.

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ადამიანი, რომელსაც ერთხელ უკვე გამოეცალა ძალღონე, იმ სიმძიმის ნაწილის აწევასაც კი ვეღარ შესძლებს, მანამდე მხრებით რომ უტარებია.

როგორც იქნა, ბანკეტის დღემაც მოაღწია. პასტორი სიმსი დილიდანვე ჩემთან იყო. ისევ ვისეირნეთ, მერე აბანოში და საპარიკმახეროში ვიყავი, მერე ერთად ვისადილეთ — რა თქმა უნდა, მის ხარჯზე. იმ წუთში სულ არ მაფიქრებდა ეს ამბავი, რადგან იმედი მქონდა, მომავალში ერთი ასად გადავუხდელი პატივისცემას.

საღამოს არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა სმოკინგის ჩაცმა. თითები გადაჩვეოდა ფაქიზ მოძრაობას და საყელოს საკინძე არაფრით არ ჩერდებოდა თავის ადგილას. მაგრამ ამაშიც პასტორი სიმსი დამეხმარა.

როცა სახლიდან გამოვედით, უკვე ბნელოდა. მახსოვს, ძალიან გამახარა ამან, რადგან არ მინდოდა, ასეთ უჩვეულო ტანსაცმელში გამოწყობილს მეზობლების ყურადღება მიმეპყრო.

პასტორმა სიმსმა სამ კვარტალზე გამომაცილა, მერე კი გამომეთხოვა და იქვე შეუხვია. გამოთხოვებისას მაგრად ჩამომართვა ხელი, დაკვირვებით ჩამხედა თვალებში და მითხრა:





— იმედი მაქვს, კარგად გაატარებთ დროს. წარმატებას გისურვებთ!

მერე ერთბაშად მიტრიალდა და სწრაფად გამშორდა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ფიგურა, მისი მაღალი ტანი, მოხრილი, მაგრამ ღონიერი მხრები, კეფაზე სწორად შეჭრილი თმა და ვარდისფერი, ბავშვით ნაზი პირისკანი. მშვიდობით, პასტორ სიმს!

კლუბამდე დიდი გზა იყო და საშინლად ვინანე, რომ პასტორ სიმსს გზის ფული არ გამოვართვი. ქალაქის მეორე ბოლოში ფეხით უნდა გავსულიყავი სმოკინგსა და ლაქის მაღალყელიან ფეხსაცმელებში გამოწყობილი. ინსტინქტურად შარვლის ჯიბეში ჩაივიაფი ხელი და ჩემდა გასაოცრად რამდენიმე სრიალა ქალაღდი აღმოვაჩინე. ეს მხოლოდ ფული შეიძლებოდა ყოფილიყო.

მაგრამ ერთ ხანს შევიცადე, რომ თუ ვინიცობაა, იმედის გაცრუება მელოდა, ცოტათი მაინც გამეგრძელებინა საამო ილუზია. ბოლოს აბოვიდე ხელი და დავრწმუნდი, რომ მართლაც ფული მეჭირა, ისიც ხუთი დოლარი!

დაუცხრომელო, გულუხვო პასტორო სიმს! შენ მიერ დახარჯული კაპიტალი ვერ მოგიტანს პროცენტებს: ჩემი სული ვერ ავა ღმერთთან, და კიდევ რომ ავიდეს, შენს ხუთ დოლარად მაინც არ ღირს!

სასიამოვნო რამ არის თანამედროვე ავტომობილი. ზიხარ რბილ სავარძელში, მანქანა უხმაუროდ, ოდნავი რწევით მიგაქროლებს და საგულდაგულოდ შემოწმებული მოტორი თითქოს ნანას გეუბნება თავისი დაბალი დვრინით. შენს გვერდით მიცურავს ქუჩები, კინემატოგრაფიული ლენტრავით გაბმულა მთელი კვარტალები, წამიერად ჩნდება და უჩინარდება გამელელთა სახეები და ქუჩის სცენები, და ასე გგონია, რომელიღაც შემთხვევით გადაშლილი წიგნის შუა სტრიქონებს კითხულობ.

აი პატარა ბიჭუნა ხმამაღლა ღრიალებს, ვიღაც მოხუცი მზრუნველად დახრილა მისკენ. რა მოხდა? სათამაშო წაართვა რომელიმე ონავარმა თუ დედა დაეკარგა მოფუსფუსე ბრბოში?

აი ორი ქალი ხელების გამალებული ქნევით ესაუბრება ერთმანეთს და სადღაც გვერდის ქუჩისკენ იშვერს ხელებს. ეს ქუჩა კი, ვიწრო და ნათელი, წამით გაივლებს თვალწინ, როგორც სახლების სხეულში გარკობილი მოელვარე მახვილი, და ხელაღვე ქრება, იმის შემჩნევასაც კი ვერ ასწრებ, რა ადგილას იწყებოდა. სახლები ისევ უერთდებიან ერთმანეთს, თითქოს ჭრილობამ პირი შეიკრაო.

აი უქნარების ჯგუფი რალაცას მისჩერებია. რას შესცქერიან, ვერ მიხვდები. მერე კი მათ ეფარება ტრამვაი, რომელშიაც ვიღაც თვალებგადმოკარკულული კაცის მეტს ვერავეის არჩევ.

აგერ მოზრდილი ბიჭუნების გუნდი ველოსიპედებით მიჰქრის, დაძაბულად დახრილან საჭეზე და ღონიერად აჭერენ სატერფულს ფეხს. ვინ ვის გაუსწრებს! ბირველი კარგა მანძილზე გასცდა დანარჩენებს და უკან იცქირება, რომ თავის გამარჯვებაში დარწმუნდეს; კიდევ ერთი მიხედვა, კიდევ ერთიც, რომ ჩამორჩენილები გაახელოს — და უცებ მთელი ძალით ეჯახება სამობრბლიან საზინდარს, რომლითაც სარეცხის დამტარებელს გარეცხილი თეთრეული მიჰქონდა სამრეცხაოდან. ორთავენი ძირს ეცემიან. თეთრეული ქვაფენილზე ცვივა. ხმაური. ყვირილი. გახარებულმა ამხანაგებმა დამცინავი ყიყინით ჩაუქროლეს ძირს დაცემულს...

მაგრამ ჩემი მანქანა ჩერდება. უკვე მივედით. ერთბაშად ფეხიზღლები და მწარედ მეკუმშება გული.

მივედით... აი ის თეთრი სვეტები, რომლებსაც ტროტუარზე გადმოფა-



რებული სახურავი ეყრდნობა. სახურავი ისეა გაკეთებული, რომ პატრიცემულ ჯენტლმენებს წვიმის ერთი წვეთიც არ დაეცეთ მანქანიდან გადმოსვლისას.

ვესტიულში შევედი და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ისე ვერ მოვიქციე, როგორც განზრახული მქონდა. კლუბში მისვლის გეგმებს რომ ვაწყობდი, გადავწყვიტე, რაც შეიძლება გვიან მივსულიყავი, როცა უმრავლესობა უკვე იქ იქნებოდა. ცოტა გადაკრულიც იქნებოდნენ და ჩემს მისვლას მაინცდამაინც არავინ მიაქცევდა ყურადღებას. სჯობდა, შეუმჩნეველად შევსულიყავი დარბაზში, რომ საყოველთაო ყურადღება არ მიმეპყრო, ძველ ამხანაგებში გამომენახა რომელიმე დინჯი და წყნარი ადამიანი და მასთან გამება საუბარი ისეთი სახით, თითქოს უკვე დიდი ხნის მოსული ვიყავი. აუცილებელი იყო გარკვეული დრო, რომ შევჩვევოდი იქაურობას და საერთო ტონი ამეღო. სხვანაირად ვერ შევძლებდი ჩემი თეთრი ფრთების დაფარვას ამ ყვავ-ყორნების გუნდში.

სახლიდან სწორედ ამ ვარაუდით გამოვედი, მაგრამ მოულოდნელად ტაქსის დაქირავების საშუალება მომეცა. ამიტომ იყო, რომ ნახევარი საათით ადრე მივედი და ერთი პირველთაგანი აღმოვჩინდი კლუბში.

ის იყო პალმებით მორთულ შესასვლელს გაცედი და შევედი საკმაოდ პატარა ჩამუქებულ დარბაზში, რომელსაც მუხის მოჩუქურთმებული პანელი, ტყავის ღრმა სავარძლები, ჩინური პატარა მაგიდები და ვარდისფერი მარმარილოთი მოპირკეთებული ვეებერთელა ბუხარი ამშვენებდა, რომ გადამეხვია ვიღაც ლოყებდაყდაყა, ჩასუქებული კაცი, რომელსაც ვისკის, თამბაქოსა და ოდეკოლონის სუნი უდიოდა.

— ბიჭოს! ნუთუ შენა ხარ! — წამოიძახა მან და გაკვირვებით მომაჩერდა თავისი კეთილი, ვისკისგან გამოლენჩებული თვალებით.

მაშინვე ვიცანი. ეს იყო ბობ ჰილმენი, გულლია, მხიარული და დროსტარების მოყვარული ჩიტირეკია, რომელიც ორ-ორი წელი იჯდა თითო კურსზე და ბოლოს, როგორც იქნა, რის ვაინაჩრობით დაამთავრა უნივერსიტეტი. რამდენადაც მახსოვს, მან ანგარიშით შეირთო ერთი მდიდარი ქვრივი ჩინელი ქალი, რომელსაც საკუთარი აფთიაქი თუ ოპტიკური ხელსაწყოების მაღაზია ჰქონდა შანხაიში.

სიხარულით მივესალმე და ძლივს შევიკავე პირზე მომდგარი შეკითხვა: როგორა ხარ-მეთქი. პასუხს, ცხადია, ასეთივე შეკითხვა მოჰყვებოდა, მე კი ასეთი საუბრის გაგრძელების სურვილი სრულებით არ მქონდა.

მაგრამ ეს შეკითხვა მაინც არ ამცდა.

დიდი ხნის უნახავი მეგობრების შეხვედრისას აუცილებელი წამოძახილებს შემდეგ ბობმა წარმოთქვა:

— რამდენს ვლაცობ! შენი ამბები მომიყვები! როგორ ცხოვრობდი ამ ხნის განმავლობაში? რამდენი ხანია აღარ მინახავხარ. სად დაიკარგე?

— მართლაც დიდი ხანია აღარ გვინახავს ერთმანეთი, — მოვერიდე პირდაპირ პასუხს, — მე მეგონა, სადმე იყავი წასული...

— რას ამბობ, სად უნდა წავსულიყავი! ჩემს ცოლს ადგილიდან ვერ დასძრავს კაცი, აქაც და ნანკინშიაც უამრავი ნათესავები ჰყავს. ახლა კიდევ აფთიაქი — ვის უნდა ანდო? შენ რასა იქმ? რა თქვი წელან? მგონი, პარფიუმერის იმპორტო, არა?

— ჰო, მაგრამ... — ცვადაე სიტყვის მიფუჩეჩება, მაგრამ ბობმა ისევ შემაწყვეტინა სიტყვა:

— ვიცი, ვიცი... დღეს — არც ერთი სიტყვა საქმეებზე! მხოლოდ და მხოლოდ მოგონებები! ასეთია ჩვენი დღევანდელი შეხვედრის ლოზუნგი! ჯანდა-





ბას ბიზნესი! ჰოდა, იმას ვამბობდი, კარგი დრო იყო, ძმაო... გახსოვს, სიდ კრეი-  
 ტონი და ტონი როზაროო ღამღამობით ვიღაც პორტუგალელ ქალებთან რომ  
 გარბოდნენ და ერთხელ, როცა კედელზე აპირებდნენ გადაძრომას, ქეჩოში წა-  
 ავლეს ხელი? ტონის თავისი ახალთახალი კოსტუმის შარვალიც კი დაეხა მა-  
 შინ!

— ეი, ტონი! — გასძახა ბობმა შევევრემან პორტუგალელს, რომელიც  
 ჩვენს მახლობლად ვიღაცეებს ესაუბრებოდა. ტონის კი, ალბათ, ვერაფრით ვერ  
 ვიცნობდი. როგორ გასუქებულია და გამელოტებულია. სახის ნაკვეთები თითქოს  
 წამოშუპებულია, წარბები — შავი და ხშირი წარბები — დამოკლებია და უფრო  
 მეტად დაფანჩვია. რა ლამაზი ბიჭი იყო სტუდენტობისას! სად დაიკარგა მისი  
 მინაბული იერი და ფერმკრთალი, ძველი სპილოს ძეგლის ფერი სახე? მხოლოდ  
 სწორი, მოელვარე კბილები და ვნებიანი ღიმილი შერჩენია წინანდებული.

იგი მოგვიახლოვდა, თავშეკავებით, მაგრამ ღიმილით ჩამომართვა ხელი  
 (ბობი, როგორც ეტყობოდა, უკვე ენახა) და შეკითხვის მოლოდინში ღიმილით  
 შეხედა ბობს.

— ტონი, სად არის შარვალი? — ყვიროდა ბობი.

— რომელი შარვალი? — განაგრძობდა ღიმილს როზაროო, რადგან დარწ-  
 მუნებული იყო, რომ ჰილმენი რაღაც სასაცილოს იტყოდა.

— როგორ თუ რომელი?! რომელი და ის, ღობეზე გადაძრომისას რომ და-  
 გეხა, როცა პატივცემულმა ლუკასმა წაგავლო ხელი, თქვენს მზეთუნახავებთან  
 რომ მიიპარებოდი...

— აა, აი თურმე რის კითხვა გინდოდა! — მოაგონდა როზაროოს და გაე-  
 ცინა. — გირჩენია ის გვიამბო, ღომბარდში როგორ დაავიარავე შენი საათი, ჯე-  
 ნი ვილსონი რომ უნდა წაგეყვანა კინოში.

— რას იზამ, ძმაო, ყველაფერი შეემთხვევა კაცს! შენ არ გახსოვს? — მო-  
 მიბრუნდა ბობი და, პასუხისთვის არც კი დაუცდია, ისე შეუღმა მოყოლას: —  
 წითური ვილსონი ხომ გახსოვს, მარცხენა გარემარბი რომ იყო ჩვენს გუნდში?  
 ამ ვილსონს მშვენიერი და ჰყავდა — ჯენი; მერე ვიღაც ავსტრალიელს გაჰყვა  
 ცოლად და სიდნეიში წავიდა. ჰოდა, ერთხელ კინოში დავპატიყე იმ იმედით,  
 რომ სიმონ ფურნიეს ჩემი ხუთი დოლარი ემართა და შემპირდა, პირველ საათ-  
 ზე მოგიტანო. შაბათი იყო. ვზივარ და ველოდები. ორის ნახევარი გახდა —  
 ფურნიე არა ჩანს. ორი შესრულდა — კიდევ არ ჩნდება. უკვე ვღელავ. ხუმრო-  
 ბა ხომ არ არის, სამ საათზე პაემანი მაქვს დანიშნული. „გრანდში“ ვაპირებთ  
 წასვლას და, კარგად იცი, იქ ბილეთი სამოცი ცენტი ღირს. თან ჩემს ჯიბრზე  
 წვიმამაც დაიწყო ცრა. ტაქსი თუ არ დავიქირავე, არ შეიძლება. სამის ნახევარ-  
 რია — ფურნიე არ მოდის! რა ვქნა, აღარ ვიცი. სახლში სალანძღავ ბარათს ვუ-  
 ტოვებ და გავრბივარ ღომბარდში. სწორედ იმ ხანებში მამაჩემმა ოქროს საათი  
 მაჩუქა. სხვა გზა არა მაქვს, უნდა დავავიარავო. გზად მინც შემხვდებოდეს რამე  
 ღომბარდი, სხვა ქუჩაზე ძებნის დრო აღარ არის. ჯენისთან პირველად მაქვს პა-  
 ემანი და დავვიანება ყოვლად შეუძლებელია. რიქმა ავიყვანე. ჯინაზე ისეთი შე-  
 მხვდა, ძლივს ადგამდა ფეხს, და ასე მივლასლასებთ ჯიბეში კი ერთი გროშიც  
 არ მიჰყავის. თუ საათის დავიარავება ვერ მოვახერხე, რიქმასაც ვერ გავუსწო-  
 რებდი. როგორც იქნა, თვალი მოვკარი ღომბარდს. შევიღვივარ და რკინის ბაღეში  
 ჩემს ოქროს საათს ვუწვდი ღომბარდის პატრონს. ეს ფერმკრთალი, გამოთაყვა-  
 ნებული კაცი ნიანგის თვალებით შემომცქერის, მერე საათს ატრიალებს ხელში,  
 ხან ხსნის, ხან ხურავს, ხან ყურთან მიაქვს. ბრაზით ვივსები. „რას უსმენ, ტან-  
 გეიზერის უვერტიურის მოსმენა ხომ არ გნებავთ?“ — ვფიქრობ გულში. ბოლოს





ხმამოუღებლად მიწვდის საათს (გული კინაღამ არ ჩამწყდა ამის დანახვაზე) და თავზარდამცემი პაუზის შემდეგ, შვიდი დოლარით, მეუბნება. შენ შემოგველე! მეტი არც მინდა! გახარებული ვუქნევ თავს თანხმობის ნიშნად. ოღონდ ჩქარა, ჩქარა, მისი თანაშემწე ბიჭი საშინლად ნელა წერს ქვითარს. ისე წაეავლე ამ ქვითარს ხელი, თითქოს მილიონიანი მემკვიდრეობის მიღების ცნობა ყოფილიყოს, დამთხვეულივით გამოვვარდი ლომბარდიდან და ეტლში ჩავხტი. ჩქარა, ჩქარა... სიხარულისაგან თავბრუ მესხმის და უცებ, ღმერთო მაღალო! უცებ მაგონდება, რომ ფული არ ამიღია! ქვითარს დავტაცე ხელი გახარებულმა, ფულის აღება კი დამავეიწყდა. დავიღუპე. მომცემს ახლა ის თვალზე გამოვლევტილი ფულს? მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. ცოცხალმკვდარი შევედივარ ლომბარდში. ლომბარდის პატრონი სიბრალულითა და დაცინვით დამყურებს თავისი მაღლობიდან. მერე ხელი თავთან მიაქვს და თითს იკაკუნებს შუბლზე: „ფა-ცი?“<sup>1</sup> რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ფა-ცი. გულზე მომეშვა — მაძლევს ფულს. კიდევ ერთი წუთიც და — ფულიანი მივქირი ქუჩაში, ახლა უკვე ტაქსით, ჯენისთან შესახვედრად. ასეთი ამბავი ვაღამხდა, ბიჭებო...

მის ლაპარაკში დარბაზი თანდათან შეივსო.

ჩვენ განზე ვიდექით, შედარებით ჩაბნელებულ კუთხეში, და ამიტომ უმრავლესობა ვერც კი გვაძინევდა შემოსვლისას.

მე მახარებდა ეს, რადგან საშუალება მიძლეოდა არა მარტო შევჩვეოდი, არამედ დავეკვირვებოდი კიდევაც დარბაზში მყოფთ.

ასე დიდხანს რომ არ ვყოფილიყავი მოწყვეტილი ამ სამყაროს, ალბათ ასე ძალიან არ მეცემოდა თვალში მისი თავისებურებები, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ დამახასიათებელი შტრიხები და სასაცილო სიტუაციები. მაგრამ ამ აღამიანებს შორის სრულიად უცხო ვიყავი, როგორც მგლის ქურქში გამოწყობილი ცხვარი და ეს საშუალებას მაძლევდა სხვებისთვის უხილავი წვრილმანები შემემჩნია.

ყველაზე მეტად ის მხვდებოდა თვალში, რომ ზოგი სულ ახალგაზრდად გამოიყურებოდა, ზოგი კი მეტისმეტად გამოცვლილიყო. თუმცა ამ დარბაზში თავმოყრილებმა ერთსა და იმავე წელს დაამთავრეს უნივერსიტეტი და თითქმის ერთი ხნისანი იყვნენ — უცხო კაცს ეგონებოდა, სხვადასხვა თაობის აღამიანებს მოუყრიათ თავიო.

აი როი ტემპერი. იგი ყველაზე ახალგაზრდა ჩანს, სახეზე ერთ ნაოქსაც კი ვერ შენიშნავთ, ისევ ისეთი ხშირი წაბლისფერი თმა, ხმელი, წერწყტი ტანი და ჭაბუკივით ნათელი თვალები აქვს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ერთხელაც არ მინახავს და ალბათ ესეც არის იმის მიზეზი, რომ როცა შეეყურებ, ასე მგონია, თითქოს უნივერსიტეტში ვიყვე: საცაა უნდა ზარის ხმა შემომემსას და ლექციის მოსასმენად გავეშურები.

როის ჯერ არ გამოუხედავს ჩემსკენ. ნეტავ მიცნობს თუ არა?

როგორ შეიძლება მისი შედარება, მაგალითად, აი ამ გამხდარ, მოღუშულ აღამიანთან, რომელსაც ასე ჩამოგრძელებია სახე და ასეთი გაბოროტებული გამომეტყველება აქვს. ვერაფრით ვერ ვიგონებ მის გვარს, თუმცა მისი სახე, მიუხედავად ასეთი ავადმყოფური იერისა, კარგად მახსოვს. იგი ეს წუთია შემოვიდა დარბაზში და კარებთანვე შეჩერდა, რომ სული მოეთქვა. ეტყობა, სულის ხუთვა აქვს; სახეზე უქმაყოფილება და დაბნეულობა ეხატება, თითქოს

<sup>1</sup> გიფი (ჩინ).



ვერ გაუგია, რატომ მოხვდა აქ და რატომ გაცოცხლდნენ მის თვალწინ ეს ადამიანები, რომლებიც დიდი ხანია დაიშორებოდნენ მის მეხსიერებაში. ბევრი მათგანი სულ აღარ ახსოვს და მათი მოგონების არავითარი სურვილი აღარა აქვს.

მისი აქ გამოჩენა აშკარა შეუსაბამობაა. გარეგნობით მამად უფრო შეიფერება როი ტემპერს, ვიდრე ტოლ-ამხანაგად. მახსოვს, ისინი კარგი ამხანაგები იყვნენ და მგონი ეს, ნაადრევად მობერებული, უმცროსიც კი იყო. დიახ, იყო, მაგრამ ახლა იგი უფრო მეტი ხნისაა, რასაც არ უნდა ამბობდეს ფორმალური არითმეტიკა.

ანდა კიდევ ეს, ახლა რომ შემოვიდა. ვინ არის ნეტავ? ჰო, მომაგონდა, ეს არჩი კროსმენია, ჩვენი აულელვებელი ბრიტანელი. ახლა მას უკვე ვეღარ უწოდებ არჩის, თუმცა წინათაც არჩიბალდი უფრო შეეფერებოდა.

ესეც ძალიან შეცვლილა. მის შესახებ ზოგი რამ ვიცი: უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საღლაც პროვინციაში წავიდა, რადგან მატერიალურ ხელმოკლეობას განიცდიდა. რას აკეთებდა პროვინციაში და რითი ცხოვრობდა, არ ვიცი, ოღონდ ეს კია, რომ მთელ მის მაგარ, ძარღვიან აღნაგობას და ნაოჭებით დაღარულ მკაცრ სახეს გამოვლილი გაჭირვების, მძიმე და უსიხარულო ცხოვრების ბეჭედი ახის. მისი თვალები მშვიდად, მკაცრად და უცხოად იცქირებიან. ძალიან ღარიბულად და პროვინციულად აცვია, თუმცა რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ამჟამად არ უნდა უჭირდეს.

სხვებისგან განსხვავებით ის ხელად ამჩნევს ჩვენს ჯგუფს და გვიანლოვდება. მისალმებისას მაგრად გვართმევს ხელს და, თითქოს არ ყოფილიყოს ეს მძიმე წლები, ისე უწყევბს საუბარს როზარიოს. მე არ ვლბებულბმ საუბარში მონაწილეობას და მხოლოდ დროდადრო ვურთავ არაფრის მთქმელ, მაგრამ სასესებით შესაფერ სიტყვებს: „მართლა?!“, „რასაკვირველია“, „ცხადია!“ და სხვა ამის მაგვარს.

მე მხოლოდ თვალყურს ვადევნებ აქაურობას, ჩუმად თვალყურის დევნება კი უფრო ადვილია.

რაც არ უნდა თქვას კაცმა, ამათი ცქერა ძალიან საინტერესოა. არჩი კროსმენისთანები, რომლებიც სხვებს არა გვანან, ცოტანი არიან. უმრავლესობა კი მკვეთრად შეიძლება ვაპყო ორ ჯგუფად: ადამიანებად, რომლებსაც წარმატება ხვდათ ცხოვრებაში, და ადამიანებად, რომლებსაც ხელი მოეცარათ.

აქ, ამ დარბაზში, ცხოვრებით გალაღებულნი ჰარბობენ. მათ უბრალოდ უჭირავთ თავი, გულლიად არიან და მფარველის აღერსიანობით ურტყამენ მხარზე ხელს ხელმოცარულებს, რომლებიც დამნაშავის გამომეტყველებით და აშკარა პირმოთენობით შეჰყურებენ მათ.

დღეს ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ — ასე გადასწყვიტეს ცხოვრებით გალაღებულებმა.

ეს მათი თამაშია, ეს თამაში ართობს მათ და ისინიც ცდილობენ რაც შეიძლება კეთილსინდისიერად ითამაშონ.

მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ორი ექსპანსიური ფრანგი: დიუჟარდენი და ბანსი, რომლებიც ისე გვანან ერთმანეთს, რომ კაცს ეგონება, ერთერთ მათგანს მეორის გრიმი გაუკეთებია და დასცინისო. ორივე დაბალი ტანისაა, ლოყაწითელი და ჩასუქებული. ისინი საშინლად ხმაურბენ, ფუსფუსებენ და აღტაცებულნი არიან — ყველას ეხვევიან და კოცნიან, ყველას მაგრად ურტყამენ მხარზე ხელს და ისეთი ხმამაღალი შეძახილებითა და სიხარულით ზვდებიან ყოველ შემოსულს, თითქოს უახლოესი მეგობრები დაინახესო. ყველაზე სასაცილო კი ის არის, რომ ბევრ მათგანს თითქმის ყოველდღე ხედავენ:





დიუქარდენსა და ბანსს საკუთარი კანტორა აქვთ ქალაქის ცენტრში, მთელი ეს წლები აქ გაატარეს, მათ ყველა იცნობს და ისინიც ყველას იცნობენ.

მაგრამ ვალაღებულთა შორის სხვანაირებიც არიან. ისინი აქაც, დღესაც კი, ინარჩუნებენ თავიანთ ჩვეულებრივ მანერებს. ისინი უკვე დიდი ხანია მოექცნენ კეთილდღეობის მწვერვალებზე და მათი გამომეტყველება და მოძრაობა აღსავსეა იმ სიმშვიდითა და საკუთარი ძალის რწმენით, რომელსაც დიდი ხნის სიმდიდრე შობს და რომელსაც არაფერი აქვს საერთო ახალდაწინაურებულთა გამომწვევ თვითკმაყოფილებასთან.

ისინი ყურადღებას არ აქცევენ სხვებს, მაგრამ თვითონაც ვერა გრძნობენ ამას; ვერ ამჩნევენ, რაც მათთვის საინტერესო არ არის და გულგრილად ავლებენ თავს იმ ადამიანებს, რომლებიც მათ წრეს არ ეკუთვნიან; მექანიკური თავაზიანობით პასუხობენ თავმდაბლურ მისალმებებზე, შეუხედავად უწვდიან ხელს მისალმებისას და მაშინვე თავის ჯგუფს უბრუნდებიან. ამ ადამიანებს არ ძალუძთ დღევანდელ თამაშში მონაწილეობის მიღება, მაგრამ ეს რაიმე პრინციპული მოსაზრებებით არ არის გამოწვეული — ვერ გაიტაცა ისინი ამ თამაშმა, ვერ ჩასწვდნენ მის არსს, დღევანდელი საღამო მათთვის მხოლოდ მორიგი შეხვედრაა მათი წრის ადამიანებთან და მეტი არაფერი. ამიტომ არის, რომ ცალკე პატარა ჯგუფი შეუქმნიათ ამდენ ხალხში და წყნარად ბაასობენ რაღაცაზე, რაც დანარჩენებისათვის არა თუ საინტერესო, გაუგებარიც კი იქნებოდა.

ამ ხალხში, რომელმაც დღეს ამ კლუბში მოიყარა თავი, ყველაზე კარგად ბობ ჰილმენი გრძნობს თავს. იგი მხიარულად გადარბის ერთი ჯგუფიდან მეორეში, რაღაცას გასძახის მოშორებით მდგართ, ვიღაცას ბუფეტთან მიათრევს კიდევ რამდენიმე ჭიქის გადასაკრავად (მე უკვე ორჯერ მიმათრია), და საერთოდ ისე უჭირავს თავი, თითქოს დღევანდელი ზეიმის მთავარი და ერთადერთი მიზეზი თვითონ ყოფილიყო.

სულ ბოლოს დარბაზში შემოვიდა წვერიანი კაცი, რომელსაც სწორი სახის ნაკეთები და მაღალი შუბლი ჰქონდა. ერთბაშად ვერც კი მოვიგონე, რომ იგი სვენ სანდბერგი იყო.

საკმაოდ ძველი მოდის სმოკინგში გამოწყობილმა დარბაისლურად შემოღდა დარბაზში ფეხი, მაგრამ იქაურობას რომ მოავლო თვალი, როგორცაც შეყოყმანდა და დაბნეულობა დაეტყო, თითქოს ეჭვი შეეპარა, სხვაგან ხომ არ მივიდო. ეს იყო ერთადერთი ადამიანი ჩვენს შორის, რომელიც თავის სპეციალობას გაჰყვა და დიდ წარმატებასაც მიაღწია მეცნიერებაში. იგი დიდი ხანია წავიდა ჩვენი ქალაქიდან, ბევრი იმოგზაურა ჩინეთში, ზედმიწევნით შეისწავლა ჩინური ენა, ჩინეთის ისტორია, კულტურა და ზნე-ჩვეულებები, დაწერა შესანიშნავი წიგნი დასავლეთის პროვინციების ფოლკლორის შესახებ, რომელიც მრავალ ენაზე ითარგმნა და იმთავითვე აღიარეს, როგორც დიდი წვლილი თანამედროვე სინოლოგიაში, დაუსწრებლად იქნა არჩეული რამდენიმე სახელგანთქმული სამეცნიერო საზოგადოების წევრად, უკვე მრავალი წელია რომელიღაც ბუდისტურ მონასტერში ცხოვრობს და მთელ თავის ძალღონეს ამ რელიგიის ფილოსოფიის შესწავლას ახმარს.

მისი გამოჩენა უმრავლესობისათვის მოულოდნელი იყო.

რამდენიმე წამს გასტანა მომქანცველმა პაუზამ, რომლის განმავლობაშიც სვენი არაბუნებრივად ვაკიმული იდგა კართან და ერთ-ერთ დარბაზში მყოფთავანს აცქერდებოდა; ვერ მიხვდებოდი, მის მოგონებას ცდილობდა თუ ელოდა, როდის მიცნობენო.





ბოლოს, როგორც იქნა, იცნეს. ვიღაცა ხმამაღალი შეძახილით მიესალმა, ვიღაც მივიდა და მაგრად ჩამოართვა ხელი და ორი-სამი წუთის შემდეგ იგი უკვე გარშემორტყმული იყო თავისი ყოფილი ამხანაგებით, რომელთაგანაც მისი ცოდნის მეათედიც კი არავის გააჩნდა, სამაგიეროდ, თითქმის ყოველი მათგანი ათჯერ უფრო მდიდარი მაინც იყო მასზე.

იმ დროისათვის, როცა სვენი შემოვიდა დარბაზში, საერთო გამოცოცხლება უმალღეს წერტილზე ავიდა ამდენი შეხვედრის, მოგონებების, მეგობრული ხელის ჩამორთმევისა და, რა თქმა უნდა, მაგარი სასმელების გავლენით. ყველა ხმამაღლა ლაპარაკობდა, ბევრი ყურადღებასაც არ აქცევდა, უსმენდნენ თუ არა, როგორც ეს სინაურლისაგან აღზნებულ და შემთვრალ ადამიანებს ჩვევით ხოლმე.

მე როგორღაც ჩემდა შეუმჩნევლად ჩამოვცილდი როზარიოსა და ჰილმენს და სხვა ჯგუფში აღმოვჩნდი, რომელიც რთი ტემპერის, დევიდ სმაილისა და კიდევ ორი კაცისაგან შედგებოდა.

დევიდ სმაილი აშკარად იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც კარგად წაუვიდათ საქმე ცხოვრებაში. იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში ქალაქში ცხოვრობს, უკვე დიდი ხანია საკუთარი კანტორა აქვს ერთ ჩინელთან ერთად და ბეწვეულის ექსპორტს ეწევა ამერიკაში. აქ მყოფთაგან ყველაზე დიდხანს მასთან ვინარჩუნებდი კავშირს და სტუდენტობის წლებშიც ყველაზე ახლოს დევიდთან ვიყავი.

უქანასკნელად მაშინ შევხვდით ერთმანეთს, როცა მე და კეი ერთად ვიყავით, და ნახევარი ბოთლი ვისკიცი კი დავლიეთ ერთად.

მთელ ამ კრებულში მარტო მან იცოდა ჩემი უქანასკნელი კატასტროფის ამბავი (და იქნებ როზარიომაც: იგი ხომ ბანკირია). მაგრამ დეივი ყოველთვის გულისხმიერი მეგობარი იყო და ახლაც, საუბრის დროს, მის დაკვირვებულ ნაცრისფერ თვალებში განსაკუთრებული სითბო და თანაგრძნობა ამოვიკითხე.

— გამარჯობა, ბებერო! — მომესალმა იგი, მაგრად ჩამომართვა ხელი და ხელი მომხვია წელზე. გასუქებულა და გაჰლარავებულა, მაგრამ საერთოდ ისეთივეა, როგორიც იყო. იგივე გვერდზე გაყოფილი და საგულდაგულოდ გადავარცნილი ხშირი თმა, ფართო, ოდნავ ამობურცული შუბლი, რომელიც მხოლოდ ერთი, ვერტიკალური ნაოჭით არის გასერილი წარბებს შორის, რაც მის სახეს სიღინჯისა და სიღარბაისლის იერს ანიჭებს, და რელიეფური სახის ნაკვთები, სწორედ ისეთი, როგორიც მოქანდაკეებს სჭირდებათ ხოლმე გამოსაძერწად, მაგრამ რომლებიც, მათი სწორი მოყვანილობის მიუხედავად, სილამაზეს ვერ ანიჭებენ სახეს. კარგად ჩასკვნილი, საშუალოზე მაღალი, პროპორციული ტანი, მკვეთრი მოძრაობა და ელევანტური ჩაცმულობა, რომელიც ძალად არ გეჩხირება თვალში. მთელ მის გარეგნობაში გემოვნება და თავშეკავებულობა იგრძნობოდა.

დიახ, ეს ის დეივი სმაილი იყო, რომელსაც სტუდენტობისას ვიცნობდი — სერიოზული, მაგრამ არც თუ ისე ბრწყინვალე სტუდენტი, კურსის უცვლელი მამასახლისი, არბიტრი ყოველგვარი უთანხმოების დროს და უცილობელი ავტორიტეტი ამხანაგობის საკითხებში. ოღონდ ეს იყო, რომ მის საქციელში მეტისმეტად ჭარბობდა გონება და მუდამ იგრძნობოდა ოდნავი სიცივე.

როცა პასტორ სიმსს ნება მივეცი დავერწმუნებინე, რომ ამ საღამოს შეეძლო რაღაც როლი შეესრულებინა ჩემს ცხოვრებაში, მართალია, კონკრეტულად დევიდი არ მომგონებია, მაგრამ ვიცოდი, რომ რაიმე დახმარების მიღება მხოლოდ დევიდ სმაილისთანა ადამიანებისაგან იყო მოსალოდნელი. და თუ პას-



ტორ სიმსს ოდნავ მაინც სწამდა ის, რაშიაც მე მარწმუნებდა, მხოლოდ ასეთი ადამიანი შეიძლებოდა ჰყოლოდა მხედველობაში.

ამიტომ იყო, რომ როდესაც დეივი მომიახლოვდა ხელის ჩამოსართმევად, ერთი მხრივ თითქოს მხნეობა შემემატა, მეორე მხრივ კი ისეთმა მღელვარებამ შემიპყრო, რომელსაც რაიმე დიდი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების წინ განიცდის ხალხმ ადამიანი.

— როგორა ხარ, დეივი! — მივესალმე მას და ალბათ მანაც აშკარად ამოვიტხა ჩემს სახეზე, რომ გულწრფელად გამიხარდა მისი დანახვა.

— არა მიშავს, არა მიშავს, ვცხოვრობ, როგორც ჩვენისთანა ბებრებს შეეფერება, — და დეივმა ოდნავ გაიღიმა. მის მშვიდ ღიმილში აშკარად იგრძნობოდა, რომ იგი სრულიადაც არ თვლიდა თავს ხანშიშესულად და სიბერის მაგვარს არაფერსა გრძნობდა. — შენ როგორა ხარ?

— მეც არა მიშავს. ვცხოვრობ ნელ-ნელა... — მიუუგე და უცებ შემეშინდა, ვაითუ ჩემს თვალებში დანაშაუვის ის პირმოთენობა გამოკრთა, რომელიც აქ ზოგიერთებს შეგნიშნენ-მეთქი.

— კარგა ხანია არსად შემხვედრიხარ, — თქვა დეივმა. — I guess time was not particularly brilliant for you, old man? <sup>1</sup>

იგი ოდნავ დაიხარა ჩემსკენ, მხარზე მომხვია ხელი და დამაცქერდა თავისი გამომცდელი თვალებით, რომლებშიაც კეთილი სურვილები გამოსჭვიოდა.

— ჰო, გაძნელდა ცხოვრება, მაგრამ, ჯონი უოკერისა არ იყოს, still going strong <sup>2</sup>, — მიუუგე მე, თუმცა ვგრძნობდი, რომ ამაოდ ვცდილობდი ხალისიანი იერის შენარჩუნებას, ამით მხოლოდ ვაგვიანებდი იმ წუთის მოახლოებას, რომელიც ასე მჭირდებოდა. მაგრამ როგორღაც არ შემეძლო ერთბაშად, საუბრის დაწყებისთანავე გამენდო ამ კეთილმოსურნე, მაგრამ მაინც უტხო ადამიანისათვის ის, რამაც აქ მომიყვანა. თანაც იმ ორისთვის, ჩვენთან ერთად რომ იდგნენ (როი ტემპერი დაგვცილდა), სრულიად გაუგებარი იყო ის ფარული დიალოგი, რომელიც ჩემსა და დეივის შორის გაიბა.

— მართალი ხარ, მართალი, — დამიქნია თავი დეივმა და გამამხნეველად გამიღიმა. „ცდილობ, რომ სულით არ დაეცე. ეს კარგია“, — მეუბნებოდა მისი, ღიმილი.

— მშვენივრად გამოიყურები, დეივი, სულ არ შეცვლილხარ, — ვეუბნებო მე. „შენ მშვენივრად გამოიყურები, დეივი, მე კი...“

— არც ისე მშვენივრად, შენ რომ ამბობ... ყველანი დავბერდით. რაც არ უნდა იყოს, წლები გვემატება. „ძალიან გამოცვლილხარ, ძალიან. რა მოგივიდა?“ — მესმოდა მის ხმაში. — მაგრამ მაინც მეგობრებად ვრჩებით, ხომ მართალს ვამბობ? შეგიძლია მომენდო, მეგობარო. მე ისევ ის დეივი სმაილსი ვარ, ჭაბუკობისას რომ იცნობდი...“

— ჰო, დეივი, ოდესღაც კარგი მეგობრები ვიყავით. მე არასოდეს დამვიწყინხარ... „მე ძალიან დაბლა დავეშვი, დეივი. ძალიან უბედური ვიყავი. შემიძლია შენი დახმარების იმედი ვიქონიო?“

— ვიყავით და კიდევაც დავრჩით. რა გვიშლის ხელს? — ღიმილით მეუბნება დეივი და მის გამამხნეველ ღიმილში ვკითხულობ: „შეგიძლია იქონიო იმედი. მე დაგეხმარები. მაგრამ ყველაზე დიდი დახმარების გაწევა შენი თავისთვის შენვე შეგიძლია!“

— მართალი ხარ, არაფერი გვიშლის ხელს. ოღონდ ეს არის, რომ მეტიცმე-

<sup>1</sup> მგონი, ეს დრო მაინცდამაინც კარგი ვერ იყო შენთვის? (ინგლ.)

<sup>2</sup> მაინც მხნედ ვდგევარ. (ინგლ.)





ტად დიდი ხანი გავიდა, რაც ერთმანეთი აღარ გვინახავს. ამ ხნის განმავლობაში ძალუწუნებურად გადავეჩვიეთ ერთმანეთს. „მე ვგ ვიცი, დევი, და ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩემზეა დამოკიდებული. მაგრამ შენ იცი ყველაფერი ჩემს შესახებ? ანდა რომ გაიგებ, არ გადაიფიქრებ დახმარებას?“

— მართლაც დიდი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ერთ ქალაქში ვცხოვრობდით და ერთმანეთის ამბავს შორიდან მაინც ვგებულობდით. ხომ მართალს ვამბობ? მით უმეტეს, რომ სირცხვილიც კია ძველი მეგობრის დაიწყება, — ამბობს დევი და მე მესმის მისი სიტყვები: „მე გაცილებით მეტი ვიცი შენზე, ვიდრე შენ გგონია. მაგრამ ხელს შეგიწყობ, რომ ფეხზე წამოდგე...“ მერე კი, პაუზის შემდეგ, მეკითხება:

— ცოლი არ შეგიერთავს?

„ხედავ, მე კეის ამბავიც ვიცი“.

მე ვღუმვარ. ან კი რაზე უნდა ვილაპარაკო? სღუმს დევიც. ჩვენ ისე კარგად ვაუვგეთ ერთმანეთს, რომ ღუმილი არ გვეუხერხულება. რა უბრალოდ და ადვილად მოგვარდა ყველაფერი! ნუთუ შესაძლებელია ჩემი უგუნური გეგმის განხორციელება, რომელიც პასტორ სიმსის ოპტიმისტურმა მსჯელობამ ჩამინერგა? არა, შეუძლებელია, შეუძლებელი! რაღაც მეტისმეტად ადვილად, მეტისმეტად უბრალოდ მოგვარდა ყველაფერი. ცხოვრებაში კი ასე არა ხდება. იქნებ სხვის ცხოვრებაში ხდება, მაგრამ ჩემსაში ჯერ არასოდეს მომხდარა. მე არ მწამს ცხოვრებისა, არა მწამს! რაღაც აუცილებლად შემიშლის ხელს, სადაც აუცილებლად მახეა დაგებული! ეს აზრი გონებას მიმღვრევს. იმ თბილ ტალღებში, რომელიც დევიდთან საუბარმა მოჰფინა ჩემს სულს, უეცრად ცივი, გამყინავი ნაკადი იჭრება.

რაღაც გაურკვეველი, შეუცნობელი შეშფოთება მეუფლება. რატომ დამებადა ეს გრძნობა? მხოლოდ იმიტომ, რომ ასე ადვილად მოგვარდა ყველაფერი: ამაოდ ვცდილობ მის ჩახშობას. წყალგამყოფი მეტისმეტად გარკვევით მოჩანს: აი აქ თბილი დინებაა, აქ კი ცივი, ყინულოვანი ნაკადი. რაღაც აუცილებლად მოხდება და შემიშლის ხელს... მაგრამ ხომ შეიძლება, რომ არაფერი მოხდეს? იქნებ მაქმაროს ბედმა? მე ვღუმვარ... სღუმს დევიც.

მაგრამ აი, უცებ ყველა ამოძრავდა და ვილაცამ რამდენჯერმე მიგვიწვია მეორე დარბაზში, სადაც სუფრა იყო გაშლილი. ყველანი მეორე ოთახში გავედით, რომ მაგიდას შემოვსხდომოდით.

ამ შეხვედრის მომწყობთა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ თამაშის წესს კეთილსინდისიერად იცავდნენ. დემოკრატიული პრინციპი ბოლომდე იყო შენარჩუნებული. თევშებთან არ ეწყო არავითარი ბარათები, თუ ვის რომელი ადგილი უნდა დაეკავებინა. ყველა იმ ადგილას ჯდებოდა, სადაც მოესურვებოდა და ვის მეზობლად ყოფნაც უფრო ესიამოვნებოდა. ბოლოს ეს მხიარული ჩოჩქოლიც მიწყნარდა და ყველანი მაგიდას შემოუხსდნენ სცილ-ხუმრობით.

მე მაინცდამაინც კარგ ადგილას ვერ მოვხვდი. ჩემს მარცხნივ მღუმარე და მოღუმული კროსმენი იჯდა, მარჯვნივ კი ჩასუქებული, ღიპიანი, სახეწამო-შუპებული მური. თვალის უპეები ტომსიკებივით ჰქონდა ჩამოკიდებული. მისი გვარი მაშინ არც კი მახსოვდა, მერე მომაგონეს.

ეს მური ყველაზე უფრო მობერებული ჩანდა ჩვენს შორის; რამდენადაც მახსოვს, მართლაც ბევრად უფროსი იყო ჩვენზე.

მური ძალიან მდიდარია, დიდი ოჯახი აქვს და ავადმყოფობისა და მრავალი საზრუნავის მიუხედავად საკმაოდ ხალისიანი და მოძრავი კაცია. როგორც კი დაჯდა ჩემს გვერდით, მაშინვე გამიბა ბაასი თავისი ბავშვების შესახებ; მამ-



ბო ნიკის მოგზაურობა იაპონიაში (წიკი ალბათ მისი ერთ-ერთი შვილია) და ის სასაცილო ამბები, რაც ამ ნიკს იაპონიაში შეემთხვა იაპონელი ჩინოვნიკების ეკვიანობისა და პედანტობის წყალობით.

მერე ჩემი საქმეების შესახებ ჩამომიგდო ლაპარაკი, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, სხვა ვეგონე. მერე კი მიხვდა, რომ ის არ ვიყავი. ვისკისა და საჭმელს მიეძალა და მალე კარგა გვარიანდაც დაითრო.

მეც ვაპირებდი ჭამის დაწყებას, მაგრამ მოულოდნელად სულ დამეკარგა მადა.

უცნაური არსებია ადამიანი. აქ მოსასვლელად რომ ვემზადებოდი, სადაც პასტორის შეგონებით ჩემი ბედი უნდა გადაწყვეტილიყო, ის მაინც არ მაგიწყიდებოდა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში, როგორც იქნა, მეძლეოდა გემრიელად ვახშობის საშუალება.

და ახლა, როცა იმდენნაირი კერძი მეღაგა, რამდენის მოგონებაც კი არ შემეძლო: თეთრ საწებელში ჩაწყობილი ასთაკები, სატაცური, შანდუნურად შემზადებული თევზი-მანდარინი, რუსული ხიზილალა და ხბოს ღვიძლის პაშტეტი, ჩემი საყვარელი შეუდარებელი შაბლი და ხერესის კონიაკი — პირი ვერაფერს დავაკარე, ლუკმა ყელში მეჩხირებოდა.

მხოლოდ ვისკის მივეძალე მურთან ერთად, რამაც ცარიელ კუჭზე მალე იმოქმედა. თავი გამიბრუვდა და ყველაფერი როგორღაც უფრო მოზრდილი მეჩვენებოდა, თითქოს ყოველი საგანი ჩემს ცხვირწინ იყო და გამადიდებელი მინით ვუყურებდი.

აი გულმოდგინედ შეპუდრული მუწუკი ტონი როზარიოს ზემო ტუჩზე, აი ღვინის პატარა ლაქა დიუჟარდენის საინთან, აი ზიხსნილი დილი დეივ სმაილისის სახელოზე. ხმები ერთიან, გაბმულ ღუღუნად მესმის, ბურუსივით ეღება ირგვლივ ყველაფერს და მინანავებს. უკვე მიჭირს საუბარში მონაწილეობის მიღება და გაურკვეველად ვბუტბუტებ რაღაცას ჩემი მეზობლებისა და ჩემს პირდაპირ მჯდარი სმაილისის შენიშვნებზე.

ვახშამი დასასრულს უახლოვდება. უკვე რამდენიმე სადღეგრძელო წარმოითქვა, რომელთაგან ორი მართლაც გონებამახვილური იყო, უკვე დაირღვა საზეიმო ბანკეტის მწყობრი მსვლელობა — ზოგიერთებმა ადგილები გადაუცვალეს ერთმანეთს, ზოგნი შეჯგუფდნენ და ძველი სტუდენტური სიმღერა წამოიწყეს... უეცრად გაისმა მურის ბოხი ხმა:

— ეშმაკმაც დაგლახვროთ, ვინ ამაცალა საფულე?

მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვები ხმამალა იყო წარმოთქმული, ყველას არ მიუტყევია მისთვის ყურადღება, რადგან დარბაზში ხმაური იდგა; იმათ კი, რომლებმაც გაიფონეს, გაიღიმეს ახალი ხუმრობის მოლოდინში.

— გეკითხებით, ვინ ამაცალა-მეთქი საფულე? — გაიმეორა მურმა. როგორც ჩანდა, ის იყო ჩაიყო ჯიბეში ხელი და საფულე ველარ იპოვა, რადგან სახეზე ჯერ კიდევ ემჩნეოდა იმ ადამიანის დაბნეული და ოდნავ სულელური გამომეტყველება, რომელმაც ეს-ეს არის რაღაც დაკარგა და ჯერ კიდევ ვერ შეჩვევია ამ აზრს.

— ეი, სემ, იმის თქმას ხომ არ აპირებ, რომ საფულეში მილიონი დოლარი გედო? — გაეპასუხა მას ვილაც, რომ ამ შეკითხვით საშუალება მიეცა მისთვის, უფრო მალე მიეყვანა ბოლომდე თავისი ხუმრობა.

— არა, ბიჭებო, ამ ჯიბეში ყოველთვის მიდევს საფულე, ახლა კი აღარ მაქვს... — შეშფოთებით ჩაილაპარაკა მურმა და, ვინც კი ყურადღებით უსმენდა, ყველა მიხვდა, რომ იგი არ ხუმრობდა.



— სად უნდა წასულიყო? — ცივად იკითხა არჩიბალდ კროსმენმა და გაკვირვებით ასწია თავისი ხშირი, წითური წარბები. — იქნებ დაგივარდა?

— როგორ უნდა დამეარდნოდა, არ დაეხრილვარ და არ მიბტუნია... ჯიბეც მთელია, უკვე შევამოწმე...

— Boy! — გასძახა კროსმენმა ოფიციატს. — ერთი, მაგიდის ქვეშ შეიხედე, ჩვენი სკამების ქვეშაც ნახე! მისტერ მურს საფულე დაუვარდა.

თეთრებში გამოწყობილი ჩინელი ოფიციატის, რომელსაც ტანსაცმელზე ლითონის კრილა ღილები ეკერა და მკერდზე ნომერი ეკეთა, დაიხარა, ერთ ხანს აფათურა ხელი იატაკზე და მერე ისევ ამოჰყო თავი.

— არაფერი არ არის, სერ! — განაცხადა მან, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და შეჩერდა შემდგომი ბრძანების მოლოდინში, მაგრამ კროსმენმა ხელით ანიშნა, წადიო, და ისიც ისევ კედელთან დადგა წესისამებრ.

— რას დაეძებ, არჩი? — გადმოიხარა მაგიდის მეორე მხრიდან დევიდ სმაილსი.

— მე კი არა, სემი დაეძებს, საფულე დაეკარგა.

— სად გელო საფულე? — მოუბრუნდა დევიდ სმაილსი მურს.

— აი აქ, მარჯვენა ჯიბეში. ყოველთვის მარჯვენა ჯიბეში მიდევს ხოლმე, ახლა კი არ არის...

— მაინც ჩაიხედე მარცხენაში.

— მარცხენაშიც ვეძებ და მარჯვენაშიც, შარვლის ჯიბეებიც კი გავიხევე. ეშმაკმა იცის, სად ჩაიყლაპა!

— ნამდვილად გახსოვს, რომ წამოიღე?

— ნამდვილად. ტონი როზაროოსა და კიდეც ვილაცას ჩემი სავიზიტო ბარათებიც კი მივეცი. სავიზიტო ბარათები კი ყოველთვის საფულეში მიდევს.

არასასიამოვნო სიჩუმე ჩამოვარდა.

მთელი ამ საუბრის განმავლობაში ხმაამოუღებლად ვიჯექი. მაინცდამაინც არ მიმიქცევია ამ ამბისათვის ყურადღება, რადგან დაწმუნებული ვიყავი, საფულე მალე აღმოჩნდებოდა. მაგრამ არ ჩანდა, ჯიბიდან კი მართლაც შეუძლებელი იყო, რომ დავარდნოდა მის პატრონს.

ლაქიებზე ეჭვის მიტანა ყოვლად შეუძლებელი იყო. ამ კლუბში სამუშაოდ მოწყობა ბევრად უფრო ძნელი იყო, ვიდრე მის წევრად გახდომა. ლაქიებსა და ოფიციატებს აქ ინგლისური სკოლა ჰქონდათ გავლილი და ზედმეტი იყო ლაპარაკი, რომ არა თუ საფულეს, ასანთის კოლოფსაც კი არავინ აიღებდა.

ყოველივე ამან გამიელვა გონებაში ამ უხერხული პაუზის დროს და, დევიდის, არჩიბალდისა და სხვათა სახეებს რომ მოვაგლე თვალი, ვიგრძენი, რომ ისინიც ამასვე ფიქრობდნენ.

ეს რა სულელური რამ მოხდა? ღვინო სწრაფად გამომინელდა. კაცმა რომ თქვას, მთვრალი არცა ვყოფილვარ, გაბრუნება კი ნერვიული დამაბულობით უფრო იყო გამოწვეული, რომელიც ამ ბოლო ხანებში და განსაკუთრებით კი ამ დღეს განვიცადე.

— აი რა ქენი, სემ, — დაარღვია ბოლოს ღუმელი დევიდმა. — სახლში დაურეკე, შეამოწმონ ყველა შენი კოსტუმის ჯიბეები, იქნებ შინ დაგრჩია...

მური წამოდგა და ფოიესაკენ გაემართა დასარეკად. იგი ისე სწრაფად დაემორჩილა დევიდს, რომ აშკარად იგრძნობოდა, თვითონაც ძალიან უნდოდა, რამდენიმე წუთით მაინც გაათვისსუფლებულიყო მძიმე აზრისაგან.

<sup>1</sup> ბიჭო (ინგლ.) — ასე მიმართავენ ხოლმე მომსახურე პერსონალს.

მალე იგი ისევ გამოჩნდა დარბაზში.

— არა, შინ არ არის, — წარმოთქვა მან და დამნაშავეის დაბნეული გამო-  
მეტყველებით გაშალა ხელები. — კარგად მახსოვს, სავიზიტო ბარათები რომ და-  
ვარიფე, საფულედან ამოვიღე ისინი. მგონი, შენც მოგეცი, არა? — მომიბრუნდა  
იგი მე.

— არა, სემ, ჩემთვის ბარათები არ მოგიცია, — მივუბე ცივად. კატასტრო-  
ფულად მიფუტქდება გუნება.

რა სულელური, რა საწყენი შემთხვევაა! რა უნდა შემთხვეოდა საფულეს,  
ხად უნდა დაკარგულიყო, ვის რად უნდოდა... ჩემს გარდა! ეს უეცარი აზრი  
ცეცხლივით შემომენტო და სისხლი თავში ამივარდა. რაღა თქმა უნდა, მურის  
საფულის აღება მხოლოდ მე შემეძლო, მეორე ჩემისთანა დარბაზში არ არის.  
რა საშინელება მოხდება, ჩემი საქმეების ამბავი თუ გაიგეს, თუ გამომქდავდა  
ჩემი ნამდვილი მდგომარეობა!

ამ დროს დევიდს უფროსი ლაქია მიუახლოვდა — ხანში შესული, წარმოსა-  
დები ჩინელი, რომელმაც თითქმის ოცდაათი წელი იმსახურა ამ კლუბში და  
ყველა მისი წევრის ამბები თავისი ხუთი თითივით იცოდა. იგი მოკრძალებით  
დაიხარა სმილისსაკენ, ამ შემთხვევის შესაფერისი ოდნავ სევდიანი და შეწუ-  
ხებული სახე მიიღო და მოახსენა, ჩემი ბრძანებით ლაქიებმა მთელი პირველი  
დარბაზი, კიბეები და პირველი სართულის ფოიე დაათვალიერეს, მაგრამ საფუ-  
ლე ვერსად იპოვესო.

გაურკვეველმა და გულის გამაწყვრილებელმა შეშფოთებამ შემიპყრო. უკ-  
ვე ვგრძნობდი, რომ ეს ამბავი უბრალოდ არ ჩაივლიდა, რომ რაღაც აუცილებ-  
ლად უნდა მომხდარიყო.

— მითხარი, სემ, — იკითხა დევიდმა, — რამე ძვირფასი გედო იმ საფუ-  
ლეში?

— მთავარი ის კი არ არის, ძვირფასი რამ იყო შიგ თუ არა, — ჩაერია ლა-  
პარაკში კროსმენი სერიოზული და გოროზი გამომეტყველებით, — არამედ ის,  
თუ სად უნდა დაკარგულიყო საფულე ამ შენობაში.

— ასიოდე დოლარი, ჩეკების წიგნაკი და ორი მნიშვნელოვანი საქმიანი  
ქაღალდი მედო შიგ.

ამასობაში მურის ირგვლივ ატეხილმა ლაპარაკმა მაგიდის მეორე ბოლოში  
მსხდართა ყურადღებაც მიიპყრო. მხიარული განწყობილება თანდათან ვაჭრა  
და ყველამ ჩამოუშვა ცხვირი. ჯერ კიდევ ერთი წუთის წინათ ეს სახეები ისე  
ხალისიანად, მხიარულად და კეთილი გამომეტყველებით იცქირებოდნენ, ისეთი  
კარგები ჩანდნენ ყველანი. ახლა კი თითქოს საკარნავალო ნიღბები ჩამოხსნეს  
და ნამდვილი სახე გამოუჩნდათ: ცივი, უცხო და მტრული სახეები.

მე ხომ ფარშევანგის ფრთებით მორთული ყვავი ვიყავი მათ შორის, ერთი  
საათით გამეფებული ვიგინდარა მეფეებისა და პრინცების კრებულში. სანამ მე-  
ფეები და დიდებულნი თამაშით იყვნენ გართულნი, მე შემეძლო შიში არ მქო-  
ნოდა, მაგრამ ახლა, როცა კარნავალი ასე უეცრად და ასე სულელურად დამ-  
თავრდა, ჩემი მდგომარეობა სახიფათო ხდებოდა.

გავიდა რამდენიმე დაძაბული წუთი, რომლის განმავლობაშიც იქ მყოფნი,  
ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილნი, ხმადაბლა მსჯელობდნენ მომხდარი ამბის შესა-  
ხებ და სწორედ ამ დროს ვიგრძენი მთელი სიმძაფრით ჩემი სრული მარტოობა  
ამ მრავალრიცხოვან და ხმაურიან კრებულში.

სწრაფად მოვაველე იქაურობას თვალი და შევნიშნე, რომ ყველა იღებდა მო-  
წაწილებას ამ არაჩვეულებრივი შემთხვევის ირგვლივ გამართულ სჯა-ბაასში





ჩემს გარდა. ამ ხალხში არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომ საჭიროდ ან შესაძლებლად ეცნო ამ შემთხვევაზე ჩემთან საუბარი.

დიახ, ისინი კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, ყოველ შემთხვევაში თითოეულ მათგანს ჰყავდა აქ თავისი ჯგუფი, რაც შეუძლებლად ხდიდა რომელიმე მათგანზე რაიმე ექვის მითანას. მარტო მე არა მყავდა არავინ, ვინც თავდებობას გამიწვევდა და ექვისაგან დამიფარავდა.

რა საშინელებაა, როცა მარტობას გრძნობ ასეთ პირობებში, ამ შეუბრალებელ, ცივ სამყაროში! გული ისეთი ძალით მიცემდა, მეშინოდა, ჩემმა მეზობლებმა არ გაიგონონ-მეთქი. ხელები ჩვეულებრივზე უფრო ძლიერ მიკანკალებდა. რომ არ შეენიშნათ, სწრაფად ავიღე ხელი მაგიდიდან და სწორედ ამ დროს ვიგრძენი კროსმენის ექვიანი მზერა ჩემსკენ იყო მოაპყრობილი.

ბოლოს წამოდგა სტენლი კუპერი, რომელიც სუფრას ხელმძღვანელობდა. ძალიან მალალი და კარგად ჩამოსხმული მამაკაცი, რომელსაც ხშირი ჭაღარა თმა, ფეროვანი სახე და საოცრად ახალგაზრდული გამომეტყველების გამჭრიახი ცისფერი თვალები ჰქონდა.

მდიდარი და ძალიან გავლენიანი კაცი იყო, დაჩვეული იყო საჯარო გამოსვლებს და მისი ბოხი, ოდნავ დახშული ხმა იმ სიმშვიდითა და დამაჯერებლობით ჟღერდა, რომელსაც მბრძანებლობის ხანგრძლივი ჩვევა წარმოშობს ხოლმე.

მისი სიტყვის ზუსტად გადმოცემას ალბათ ვერ შევძლებ. მან მომსახურე პერსონალს ოთახიდან გასვლა უბრძანა და მერე ძალიან ფრთხილად, შერჩეული გამოთქმებით დაიწყო ლაპარაკი იმ საკმაოდ უხეირო ხუმრობის გამო, რომელმაც უსიამოვნება მიაყენა ჩვენს ერთ-ერთ მეგობარს, იმის გამო, რომ უკვე დრო იყო დამთავრებულიყო ეს ხუმრობა.

ყველანი გარინდებულნი უსმენდნენ კუპერს და, როცა იგი ისევ დაეშვა სკამზე, დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს დუმილი, ჩემთვის კი იგი მთელ წელიწადს უდრიდა!

როცა კუპერი ისევ წამოდგა, სახე ჩვეულებრივზე უფრო ფერმკრთალი ჰქონდა, თვალები ჩამუქებოდა და სახეზე როგორღაც უფრო გამოერჩეოდა მძიმე, ოდნავ ჩამოზიდული ნიკაბი. სანამ ხელმეორედ ლაპარაკს დაიწყებდა, თვალი მოავლო დარბაზში მსხდომთ და, როგორც მაშინ მეჩვენა, მზერა მცირე ხნით ჩემზე შეაჩერა. ალბათ ცდილობდა მოეგონებინა, ვინ ვიყავი.

„რას შემომყურებ, წითურო მიმიანხ? რას შემომყურებ? რა განზრახვა გიდევს გულში? გეცოტავება მამაჩემის მშვენიერი პეკინური ხალიჩები, რომლებიც მუქთად გაიყიდა აუქციონზე, კაბინეტის იატაკს რომ ვიმშვენებ? რომ კეიმ, ჩემმა კეიმ, რომელმაც ათეულ ხელში გამოიარა, შენს შვილთანაც ვაათაა დამე, იმ გონებაჩლუნგ უქნარასთან, რომლის ფასიც ყველაზე უკეთ შენ თვითონ იცი, რადგან დიდი ხანი არ არის, რაც მემკვიდრის უფლება წაართვი?“

ო, როგორ მძულდა კუპერი და თავისი თავით კმაყოფილ ჩასუქებულთა ეს ხროვა, პირქუშად რომ დუმდა ჩემს ირგვლივ.

რალა თქმა უნდა, თქვენზე ექვის მიტანა შეუძლებელია. თქვენ ამაზე მალა დგებართ. თქვენს ხელთაა ბანკები, კანტორები, მალალი თანამდებობები და ამიტომ უფლებაცა გაქვთ ქურდი მიწოდოთ. წყეულიმც იყავით! რას შემოვეჩარე თქვენს წრეში, რატომ ვცადე თქვენს სამყაროში დაბრუნება? განა შეიძლება, ქარიშხლისაგან ჩამოტეხილი ტოტი ისევ შეეზარდოს ხეს?

ჩემს გულში აბოზობრებული მდულარება ამოხეთქვას ლამობდა. ნებისყოფის უდიდესი დაძაბვით ვიკაებდი თავს.



კუბერი რაღაცას ამბობს. რას — უკვე ვეღარ ვიგებ, რადგან მთელი კუბე-  
რადღება საკუთარ თავთან ბრძოლაზე მაქვს გადატანილი. ჩემამდე მხოლოდ მი-  
სი უქანასკნელი სიტყვები აღწევს:

— ჩვენს შორის არის უფროსი ინსპექტორი ლოვანი. ეს მისი პირდაპირი  
მოვალეობაა. ვთხოვოთ, შეასრულოს თავისი ვალი. ჩემგან დავიწყოთ...

დარბაზში აღელვებული წამოძახილები გაისმა. მურმა თავი გაიქნია უარის  
ნიშნად და ხელი აიფარა სახეზე. ეტყობოდა ძალიან წუხდა, რომ მისი გულისა-  
თვის ასეთი ამბავი ატყდა.

— *A ça alors, c'est trop!*<sup>1</sup> — გავიგონე აღმფოთებული დიუჟარდენის  
სიტყვები, საკმაოდ ხმადაბლა წარმოთქმული.

კუბერისაკენ გავიხედე. იგი ფეხზე იდგა, პიჯაკი გაეხსნა და ხელები გან-  
ზე ეჭირა, უფროსი ინსპექტორი ლოვანი კი, ჩვენი სტუდენტობის ამხანაგი,  
ჩლუნგი პოლიციური გულმოდგინებით უჩხრეკდა ჯიბეებს, იღებდა ყველა-  
ფერს, რაც კი ხელში ხვდებოდა, და მაგიდაზე ალაგებდა.

აი ის ხაფანგიც, რომელიც ჩემთვის იყო დავებული! ადრევე ვიცოდი,  
ვგრძნობდი, რომ რაღაც ასეთი მელოდა. *Too good to be true!*<sup>2</sup> — სულ რაღაც  
ათი ან ოცი წუთი და — ჩემი რიგიც მოაღწევდა.

მურის საფულე მე, რა თქმა უნდა, არა მქონდა, მაგრამ სამაგიეროდ არც  
ჩემი გამაჩნდა. და საერთოდ არაფერი არ მქონდა ჯიბეში — არც ჩეკების წიგ-  
ნაკი, არც პასპორტი, არც საეიზიტო ბარათები. არაფერი, რაც აუცილებლად  
თან უნდა ჰქონდეს ჯენტლმენს. წარმოდგენილი მქონდა დარბაზის რეაქცია,  
როცა ლოვანი ჩემს ცარიელ ჯიბეებს გადმოაბრუნებდა, როცა უეცრად, ერთ  
წამში, ყველასთვის ნათელი გახდებოდა, რომ მათ წინაშე მათი წრის კაცი არ  
იდგა, არამედ უცხო, გარიყული არსება, რომელიც შემთხვევით ან იქნებ ბო-  
როტი განზრახვითაც კი შეიჭრა მათს საზოგადოებაში.

ის, რის გამხელასაც ამდენი მერყეობისა და აწონ-დაწონის შემდეგ მარტო  
დვეიდან ვაპირებდი, — ისიც არა აქ და არა ღღეს, — ახლავე უნდა გამოამჟა-  
რავებულიყო ჩემთვის ამ უცხო და საქულველი ადამიანების წინაშე.

ჩემს ცარიელ ჯიბეებს კი არ გადმოაბრუნებდა ინსპექტორი ლოვანი —  
ჩემს სულს გადმოაბრუნებდა ამ ადამიანების სასიეროდ და გასაკიცხად.

არა, ამის ნებას არ მოგცემთ! მე ქურდი არა ვარ, არავისთვის არ მიმიყე-  
ნებია ზიანი, და ჩემი განხრეკის ნებას არ მოგცემთ! მერე რაა, რომ  
მურის გვერდით ვზივარ? რაკი მის გვერდითა ვარ, ეს იმას სულაც არ ნიშნავს,  
რომ მე მოვიპარე?

სამინლად აღელვებული, ისე, როგორც არასოდეს არ ავლევებულვარ  
ცხოვრებაში, სკამიდან წამოვდექი. შინაგანი ხმა დაბეჯითებით მიმეორებდა:  
„ხმა არ ამოიღო, იჯექი, არ მიიპყრო საერთო ყურადღება!“ მაგრამ უკვე ვე-  
ღარ დავძლიე თავი, ავდექი და ლაპარაკი დავიწყე. უფრო სწორად, დავპირე  
ლაპარაკი, მაგრამ ხმა დამეკარგა. ხმის მაგიერ რაღაც ჩახლექილი ბგერები ამომ-  
დის პირიდან, რომელიც არავის ესმის, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მე შემომ-  
ყურებს. მე ვახველებ და ისევე ვიწყებ ლაპარაკს.

ბევრი რამის თქმა მაქვს განზრახული. გადაწყვეტილი მაქვს, გამოვაცხადო,  
ვინცა ვარ, აეუხსნა იქ მყოფთ ჩემი მდგომარეობა და ის მიზანი, რამაც აქ მო-  
მიყვანა. მინდა დავამტკიცო, რომ, თუმც ღატაკი ვარ, ფაქტიურად მათხოვარიც  
კი, მაგრამ ეს არავის არ აძლევს იმის უფლებას, რომ ქურდობა დამწამოს, რომ

<sup>1</sup> ეს უკვე მეტისმეტია! (ფრანგ.)  
<sup>2</sup> იმდენად კარგად იყო საქმე, რომ სიმართლეს არც კი ჰგავდა! (ინგლ.)





მე არასოდეს არ მიმიყენებია ვინმესთვის ზიანი და, თუ ჩემი მიზეზით ვინმე დაზარალდა, როცა საქმეში მენდო, ყველაზე მეტად მე დავზარალდი და მეტის-მეტად ძვირადღაც დამიჯდა ჩემი შეცდომები.

კიდევ ბევრი რამის თქმას ვაპირებ, ყოველივე იმის თქმას, რაზეც ბევრ-ჯერ მიფიქრია სადამოშობით ჩემს მანსარდაზე განმარტოებულს, და რაც მაშინ ესოდენ ადვილად დასამტკიცებელ ჭეშმარიტებად მეჩვენებოდა. მაგრამ ახლა ჩემ წინაშე მტრულ, უნდო სახეებს ვხედავ, რომლებიც მზად არიან ბრალი დამ-დონ, მაგრამ არ მომისმინონ, დამსაჯონ, მაგრამ არ გაერკვნენ საქმეში. სიტყვე-ბი თითქოს ყელში მეჩხირება. რა მნიშვნელობა აქვს ჩემს არგუმენტებს, როცა მათ უკვე გამოტანილი აქვთ თავიანთი განაჩენი.

და იმ უტყუარისა და ცხადის ნაცვლად, რის თქმასაც ვაპირებდი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, უსუსური სიტყვებიდა აღმომხდა პირიდან:

— არ მოგცემთ ნებას... ეს უსინდისობაა... თქვენ ჩემზე უარესები ხართ...

ყველა გაშტერებული შემომყურებს, თითქოს მხოლოდ ახლა გამოვჩენი-ლიყვე აქ, ზოგს გაკვირვება ეხატება სახეზე, ზოგს გაბოროტება, ზოგს შიში და ზოგსაც ზიზღი. მაგრამ ახლა ჩემთვის უკვე ყველაფერი სულერათია.

და აი უცერად დევიდ სმაილსს მოვკარი თვალი. იგი გვერდულად ზის სკამ-ზე, იდაყვი სკამის ზურგზე დაუყრდნია, ლოყით ხელისგულს დაყრდნობია და ინტერესით მისმენს. მისი ნაცრისფერი თვალები დაჟინებული ყურადღებით მომჩერებია. მათში შეკითხვაც არის, სიბრალულიც, უარყოფაც და თანაგრძნო-ბაც, მაგრამ ისეთი თანაგრძნობა, რომელიც გონებიდან მოდის, და არა გული-დან. მისი გული აღშფოთებულია ადამიანური საქციელის იმ ნორმების დარღვე-ვით, რომელსაც იგი ასეთ პატივს სცემს და რომლის დარღვევაშიც მე მედება ბრალი. მაგრამ მთავარი, რაც ასე მაძრწუნებს მის გამოხედვაში, არის სრული, საბოლოო ვარიულობა, რომელსაც უკვე ეღარაფრით ვეღარ გამოასწორებ.

ამის ატანა უკვე აღარ ძალმიძს. აბობოქრებულმა მდულარებამ უკიდურეს წერტილს მიაღწია და ამოხეთქა. მახსოვს მხოლოდ ლოგანის ნახევრად მელოტი პრიალა შუბლი, რომელიც ის იყო მომიახლოვდა. უკან დაეხიე, მაგრამ უკან სკამი აღმოჩნდა. იძულებული გავხდი სკამზე ავმბტარიყავი, მაგრამ იმას იქით წასასვლელი გზა აღარ იყო. საცა იყო წამავლებდნენ ხელს. უცებ ჩემს ხელ-ში მარმარილოს საფერფლე გაჩნდა და რაც ძალი და ღონე მქონდა ჩავარტყი იმ გამოტყინებულ გოგრაში... მეტი აღარაფერი მახსოვს.

ეს არის და ეს. ხომ მართალს ვამბობდი? ხომ გავართოთ ამ ამბავმა?

რამდენი ფულიც არ უნდა გადაიხადოთ, ყოველდღე ვერ დაესწრებით ასეთ სანახაობას, ვერ იხილავთ, როგორ კლავენ თქვენ წინაშე პოლიციელს საუკე-თესო კლუბის საბანკეტო დარბაზში.

მე მგონი, არ უნდა ნანობდეთ, რომ უნივერსიტეტის ამხანაგების შეხვედრა მოხერხდა. წამოწყებულმა თამაშმა კარგად ჩაიარა...

როგორც ვფიქრობ, თქვენ მხოლოდ ერთი კითხვა შეიძლება გქონდეთ: ვინ მოიპარა მურის საფული? — არავინ. დიხხ, სულელური ამბავია, მაგრამ ასეა. იგი მურის პალტოს ჯიბეში აღმოაჩინეს შემდეგ. ცოლმა მოაგონა, სმოკინგი რომ ჩაიცვი, საფულის ჯიბეში ჩადება დავავიწყდა და უკვე ჩაცმულმა საზა-ფხულო პალტოს ჯიბეში შეინახეო.

მგონი კმარა. ხომ კმაყოფილი ხართ? ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც კონან დოილს აქვს ხოლმე. თუმცა — პარდონ! — საეიზიტო ბარათები! საეიზიტო ბარათები კი მურს საფულის გარდა უბის წიგნაკშიც ელაგა. ეს მერე რო-ზარიმაც დაადასტურა.

ერთი სიტყვით, მთლიანად მეხსნებოდა ბრალი, ლოვანის სულელი თავი ასე უდროოდ დროს რომ არ შემჩვებოდა.

ყველა იმ დაციწვიდან, რაც კი ბედისაგან მიმიღია ცხოვრებაში, ეს ყველა-ზე უფრო საძაგელი დაციწვა იყო.

ეს ამბავი ხომ სწორედ იმ წუთში მოხდა, როცა უფროსი ლაქია უკვე ამო-დიოდა კიბეზე, რომ მურისთვის შეეტყობინებინა, ცოლი გირეკავთო. მას უკვე მოპოვებოდა, თუ სად შეინახა მისმა კმარმა საფულე.

ანდა ეს საცოდავი ლოვანი? რას მეჩრებოდა! იმ ადამიანებს შორის, ვინც იმ საღამოს იმ დარბაზში იმყოფებოდა, ყველაზე ნაკლებ, მგონი, სწორედ იგი მძულდა, იმიტომ რომ თავისი ინსპექტორის ჩინით იგი დაჩაგრული და საბრა-ლო არსება იყო.

მე ვამთავრებ, ოღონდ აი რისი თქმა მიმანია აუცილებლად:

თქვენ გგონიათ, რომ გაიმარჯვეთ, რომ თქვენ ჩემზე ძლიერი ხართ, ბორო-ტება (როგორც ეს თქვენ გესმით) ალაგმულია და თქვენი კანონი ზეიმობს.

ძალიან ცდებით. მე თქვენს ხელთ ვარ და ჩემზე, ისევე როგორც მრავალ სხვა ჩემისთანაზე, თქვენი კანონი მოქმედებს. მაგრამ რა ვარ მე? ერთი პატარა კენჭი. თქვენ შეგიძლიათ მტვრად აქციოთ იგი და ქარს გაატანოთ. მაგრამ აბა სცადეთ ქვიშნარის მოსპობა ზღვის პირად!


თქვენა გგონიათ, რომ სიკვდილისა მეშინია? — არა. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს.

მაგრამ ჩემ წინაშე ალტერნატივაა. ჯერ კიდევ არ ვიცი, რას დამაბრალებს სასამართლო: მკვლელობას თუ სასიკვდილო კრილომების მიყენებას ჩხუბის დროს. პირველ შემთხვევაში სიკვდილი მეღის. მაგრამ მოკვდები იმის ურყე-ვი რწმუნებით, რომ თქვენი ბოლო ჩემსაზე უფრო საშინელი იქნება.

მეორე შემთხვევაში კი — არსებობის გაგრძელება, რომელსაც მე სიცოცხ-ლეს არ ვუწოდებ, მაგრამ რომელსაც, ჩვეულებრივ, ამ სიტყვით აღნიშნავენ.

მაშინ კი... მაშინ კიდევ ვნახავთ, ვინ ვისზე მეტ ხანს იცოცხლებს...

მე არა ვარ ამ ცხოვრების მონაწილე. მე მხოლოდ მოწმე ვარ მისი. დაკვირ-ვებულები, მოკრძალებული მოწმე...





ზაურ ბოლქვაძე

დედა, ზამთარი და შუაღმოსავლელი

•  
•

ნავალი თოვლში, წელამდე თოვლში,  
გურიის მთების ზეაერიელ თოვლში,  
დასველებული და გაყინული,  
ხმაწართმეული ღამეულ თოვლით —  
მე გიკაკუნებ კარებზე, დედა!

მე, შენი შვილი, მოვედი, დედა,  
და თოვლს ვიბერტყავ ხელებით ახლა;  
მე, შენი შვილი, მოვედი, დედა!

რად ჩაგიჭრია სინათლე, დედა,  
შენ ხომ ყოველთვის სინათლე გენთო,  
რად ჩაგიჭრია სინათლე, დედა  
აღბათ ნავთი თუ გამოგელია...

თოვს, დედა, დიდი თოვლია გარეთ,  
ჩვენი ლედვისთვის თოვლის სიმძიმეს  
დაუმტვრევია ტოტები, დედა,  
შენ აღბათ გძინავს, ტკბილად გძინავს,  
კარგი, იძინე!

მე ლედვებიდან ჩამოვყრი ჯერ თოვლს  
და მერე სახლის სახურავიდან,  
(დიდი თოვლია, საშიშია, ჭერი არ ჩატყდეს),  
შენ კი იძინე, დაღლილი ხარ,  
ცოდვა ხარ, დედა  
და მაპატიე ის პირველი დაკაკუნება.

არა, მე აღარ გაგაღვიძებ,  
გათენდეს ბარემ,  
მაგრამ სინათლე? —  
რად ჩაგიჭრია სინათლე, დედა?..



დგება კვამლი და თვალები ეწვის  
და იწმენდს ცრემლებს თავსაფრით ჩითის,  
სულს უბერავს და ინთება ცეცხლი  
და ბჟოლის ჯირკი ტკაცუნობს დიდი.

კეცს დაადგამს და გამოვა გარეთ,  
რომ მეზობლებში ისესხოს ფქვილი;  
მიხურავს სახლის გაჭვარტლულ კარებს,  
თოვლში გაჰყვება გაკვალულ ბილიკს.

შორს დანთებული ის შუაცეცხლი  
სულს ჩემსას სითბო-სინათლედ ერთვის;  
დედის ჭაღარის ხალასი ვერცხლი  
აუწონელი ოქროა ჩემთვის.

დღე არ გაივლის, ჭაღარა მისი  
სულში სინათლედ არ გამიბრწყინდეს,  
შორს ახლა, ალბათ, თოვლია დიდი  
და დედაჩემი მე მიქსოვს წინდებს.

წინდებში აქსოვს ჩემზე ვედრებას  
და დედის წმინდა ჭაღარის ნათლით  
ეზოში თოვლი უფრო თეთრდება,  
თოვლისფერდება საწინდე მატყლიც...

ზღვას ებრძვის ჩემი ცხოვრების გემი  
მშობელის კაბის კალთის აფრებით  
და იქსოვება მოწყენა ჩემი  
დედის ჭაღარა თმების ძაფებით.

დგება კვამლი და თვალები ეწვის  
და იწმენდს ცრემლებს თავსაფრით ჩითის;  
სულს უბერავს და ინთება ცეცხლი  
და ბჟოლის ჯირკი ტკაცუნობს დიდი...



შენ აღგებოდი შუალამისას  
ჩუმი ცრემლებით სახენაბანი,  
შენ აღგებოდი შუალამისას,  
რომ დაგეხურა მისთვის საბანი.

შენ აღგებოდი გამთენიისას,  
დაღლილი დედა, მოხუცი ქალი...



შენ ადგებოდი გამთენიისას  
და უსწორებდი ტირილით ბალიშს.

შენ ახლაც დგები შუალამისას,  
ცარიელ საწოლს მოუსვამ ხელებს,  
შენ ახლაც დგები შუალამისას  
და ღამეს თეთრად ათენებ მერე...

ჩაგეძინება გამთენიისას,  
მოგტეხავს ამდენ ტირილით დაღლა,  
გამოგეცლება ბალიში თავქვეშ  
და ჩაცურდება საბანი დაბლა...

•  
\* \*

თურმე მისუსტდა ბურანით ტკბილით,  
ამოიკვნესა და ჩაიკეცა...  
თბილი წყალი და გაცრილი ფქვილი  
და შუაცეცხლზე შედგმული კეცი,  
შქერის ფოთლები — დატოვა დედამ.

გაცივდა წყალი, გახურდა კეცი,  
ატირდა ძაღლი, ვით ჩვილი ბავშვი.  
მოშავო კვამლად გარდიქვა ცეცხლი  
და სული დედის წაიღო ცაში.  
ჩაქრა ცეცხლი და ნაცარი დარჩა...

ქარმა შეაღო ჯარგვალის კარი,  
დაუბერა და დაიბნა ფქვილი.  
მოვიდა თურმე მეზობლის ქალი  
მეორე დილით, წვიმიან დილით  
და ამცნო სოფელს ცივი კივილით.

მერე მოწველა მან ჩვენი ძროხა,  
დედა იტირა ხმადაბალ მოთქმით,  
ჯოხით გადენა ეზოდან ძროხა  
და რძე წაიღო პატარა ქოთნით —  
ჩაიბუტბუტა: „ვისლა უნდაო“.

დედას ჩააცვეს სოფლის ქალებმა  
ჩემი ნაყიდი უბრალო კაბა,  
ნათესავთ ამცნეს გარდაცვალება,  
დაგროვილ ფულით უყიდეს კუბო  
და დედაჩემი დაასაფლავეს...



აბესალომ იმერაშვილი

იბრძვის კომკავშირის ძველი გზარდი

ბაიოზ დევდარიანი

1920 წელი...

თბილისის ობერისა და ბალეტის თეატრი...

გაჩიარდნებულ დარბაზში მენშევიკური მთავრობის წევრებისა და მათი თანამოაზრეების თავყრილობაა. კათედრაზე აღის საქართველოში დენიკინელებთან ერთად ჩამოსული სეით დევდარიანი. იწყება დემოგოგიური, გაყალბებული მოხსენება საბჭოთა რუსეთის შესახებ. ხანგამოშვებით პარტერში ტაშს უქრავენ.

უცებ ქრება შუქი და იარუსებიდან პროკლამაციები ცვივა. გაისმის ხმები:

„გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს!“  
„გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციას!“

დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. გვარდიელები იარუსებს ეცნენ, მაგრამ უკვე გვიანდა იყო...

რამდენიმე შეხებათიანი ახალგაზრდა სწრაფად გადაველო თეატრის ბალის მოაჯირს და მიხვეულ-მოხვეული ბილიკით ალექსანდრეს ბალისაყენ დაეშვა.

— კარგი შეხვედრა მოგუწყვეთ შენს სახლიკაცს, არა, გაიოზ? — სამშვიდობოს გასულეებმა ასე მიმართეს საშუალო ტანის ახალგაზრდას, გიმნაზიელის ქული რომ ეტხრა.

— ეს ერთი და სხვა ათასი, — იღიმილით მიუღო გაიოზმა, შემდეგ ამხანაგებს ხელის ქნევით გამოშვებდობა და ღამის წყვიდაღს შეეფარა.

...16 წლის იყო გაიოზი, როცა ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელი დაამთავრა და ბედის საძებნელად ბათუმს გაემგზავრა.

რამდენიმე თვე იმუშავა ბათუმის წყალგამყვან სახელოსნოში ხარატად. 1918 წლის დამდგეს ისევ ბორჯომში დაბრუნდა და შუშის ქარხანაში მოეწყო.

მძიმე და აუტანელი იყო მაშინ მუშების მდგომარეობა. გაიოზი მაინც იმედიანად შეპყურებდა მომავალს. მარქსისტული მოძღვრების შესწავლას დაეწაფა და რამდენიმე ახალგაზრდა მუშას-

თან ერთად ბოლშევიკური პარტიის რიგებში შესვლა გადაწყვიტა. აქედან დაიწყო გაიოზ დევდარიანის მოღვაწეობა მუშა ახალგაზრდობას შორის...

...უჩუქლო სანახავი იყო იმ საღამოს გორათის ეკლესიის ნანგრევები. ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი ქვებზე ჩამომსხდარიყო, მეორენი — ფეხზე იდგნენ, სხვები ეკლესიის კედლებს მიყრდნობოდნენ და სულაანაბულნი უსმენდნენ ახალგაზრდას, რომელსაც გვერდით ტყავის მოკლე პალტოში გამოწყობილი შავგვერმანი ვაჟაცი ედგა.

— ჩვენ მხურვალე რევოლუციური მოწოდებით მიემართეთ ყველა მშრომელს და, კერძოდ, ამიერკავკასიის ქალაქებისა და სოფლების პროლეტარულ ახალგაზრდობას, რომ გაერთიანდნენ გარეშე და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლისათვის! — დაამთავრა გაიოზმა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციის კითხვა და სიტყვა ტყავისპალტოიანს დაუთმო...

გვიან ღამით დამთავრდა კრება. თითო-ორიად დაიშლნენ ახალგაზრდები. სულ ბოლოს გაიოზი და ტყავისპალტოიანი წავიდნენ.

— დავალემა ძნელა და პასუსსაგებია, გაიოზ, ეცადე კარგი ახალგაზრდები შეარჩიო, ყველას ნუ ენდობი, აჯანყების შესახებ ჯერ არავის არაფერი უთხრა, — ასე დაარიგა გაიოზი იმ ღამეს ამას ამირბეგოვმა.

...დაიწყო რევოლუციონერის პირველი ნაბიჯები. დაუსრულებელი სიარული ხაშურის ახლო მდებარე სოფლებსა და დაბებში; სუმბათოვის ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ბორჯომი, ისევ ხაშური, კრებების ჩატარება ტყეებში, მინდორად, საუბრები სამუშაო დაზღვევითან, პროკლამაციების გავრცელება ინგლისელთა ჯარის ნაწილებში. სულ მალე ხაშურის კომკავშირის ორგა-





ი ა შ ა მ ო მ ე შ ი

ნიზაცია ორასზე მეტ ახალგაზრდა მუშასა და გლეხს აერთიანებდა.

...აჯანყების დღე ახლოვდებოდა. ხაშურის ბოლშევიკების კომიტეტმა კომკავშირის სერიალული დავალებები მისცა; საჭირო იყო იარაღის შოვნა, გაძლიერებული მზადება ოქტომბრის აჯანყებისათვის. დაიწყო ახალგაზრდობის რაზმების შედგენა. ტყეებში მეთაურთა განკარგულებანი და გაუტუნაფი თოფების ჩჩაკუნნი გაისმოდა. მოდიოდნენ ახალგაზრდები ზოგი ჭეჭითაღ, ზოგიც ცხენებზე. ახალგაზრდების ერთი რაზმი სადარაჯოდ ვეირანობთან დადგა. მაგრამ არც მენშევიკურ მთავრობას ეძინა. იმ დღეს დაპატიმრებული იქნა აჯანყების მთავარი შტაბი თბილისში. დაპატიმრეს ხაშურის ბოლშევიკების ხელმძღვანელებიც, მათ შორის გაიოზ დევიდარიანიც.

5 თვე გაატარა გაიოზმა მეტეხის ციხეში. სულ მალე ენერგიული ახალგაზრდა ბოლშევიკი საოლქო კომიტეტის თბილისის ბიუროს შემადგენლობაში შეიყვანეს. პარტიამ ხელახლა დაიწყო აჯანყებისათვის მზადება. რევოლუციური ახალგაზრდობა კვლავ მხარში ამოუდგა თავის ნაცოდ ხელმძღვანელს. შეიქმნა ახალგაზრდა კომუნისტების წითელი გვარდიის მთავარი შტაბი. შეიარაღების განყოფილების ხელმძღვანელობა გაიოზ დევიდარიანს დაევალა. გაათქვამული ინერგიით შეუდგა იგი დავალების შესრულებას. პირილში პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა იგი ოსეთში რევკომის წევრად მიაგონინა აჯანყებულ ოსი ხალხის დასახმარებლად. გლადიკავკავიდან თბილისს მომავალი გზაში დაპატიმრეს, მაგრამ მალე მოახერხა განთავისუფლება.

1920 წლის 25 აგვისტოს საქართველოს კომკავშირის პირველმა „ლეგალურმა“ ყრილობამ იგი ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩია. კომკავშირის ცეკამ მიჭეფაძე მუშაობა გააჩაღა ახალგაზრდობის დარაზმებისათვის მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. გაიოზ დევიდარიანი იგზავნება ხაშურში, სოხუმში, ბათუმში, სამეგრელოში. ნოემბერში გაიოზი თბილისშია. 6 ნოემბერს თბილისის კომიტეტის წევრებთან ერთად ისიც დაპატიმრეს. ისევ მალე დააღწია ციხის თავი. კვლავ ბრძოლათა და საშუაროებით აღსაესე დღეები. ბოლშევიკური პროკლამაციების ბეჭდვა და გავრცელება, ახალგაზრდობის მებრძოლი ათეულების შედგენა, ახალი ორგანიზაციების შექმნა და, ბოლოს, იბარადით ხელში ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში იგი ცენტრალური კომიტეტის მდივნად გვევლინება.

უკან დარჩა ბოლშევიკური წრთობის პირველი პერიოდი. დაიწყო კომუნისტების დაიდი მშენებლობის ნათელი გზა.

მოსკოვში ვაგანკის სასაფლაოზე არის უბრძოლო თეთრი ძველი, რომელსაც დიდი ასოებით აწერია: „ამიერკავკასიის კომკავშირის პიონერს. იაშა ოქოვი (იაშა სპარტაკელი). 1902 — 1924 წ.წ.“.

იაშა ოქოვი... ალბათ ყველამ არ იცის მისი სახელი — მან ხომ მხოლოდ 22 წელი იცოცხლა. მაგრამ მათ, ვინც იცნობდა ამ ენერგიულ, სიცოცხლით აღსავსე ახალგაზრდას, კარგად ემახსოვრებათ მისი მიჭეფაძე, შინაარსიანი ცხოვრება; ცხოვრება, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს არალეგალურ კომკავშირულ ორგანიზაციასთან.

ვეიცნობთ არქივის გაყვითლებულ ფურცლებს, ვესალუბრებით ნათესაებს, მეგობრებს და ჩვენ წინაშე წარმოდგება კომუნისტებისათვის ჰაბუკი მებრძოლის, „სპარტაკის“ ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ხანმოკლე, მაგრამ მრავალფეროვანი მოღვაწეობა.

იღმა 1917 წელი. უკან დარჩა თებერვლის ბოლოები დღეები. შორეული ციხიბრიდან სამშობლოში თანდათანობით ბრუნდებოდნენ გადასახლებული რევოლუციონერები. ჩამოვიდა იაშას ბიძაც არაქელ ოქუაშვილი. იაშას ძალიან ბუნდოვანად ახსოვდა ბიძა. მისი დაპატიმრებიდან ხომ უკვე 10 წელი გავიდა. მაგრამ ისინი მალე დამეგობრდნენ. ანთებული თვალებით უსმენდა ძმისშვილი ძია არაქელის ნაამბობს ცარიზმის წინააღმდეგ რუსეთის მუშათა ბრძოლების შესახებ.

თანდათანობით ღვივდებოდა ძველი რევოლუციონერის მიერ ჰაბუკ სულში დანთებული ნაპერწკალი.

1917 წლის სექტემბერში იაშა „სპარტაკის“ — ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაციის აქტიური წევრი ხდება.

ბორის ძნელაქესთან, იაშა იონიდან და სხვებთან ერთად ახალგაზრდა ოქოვი ეწევა დიპაბულ პროპაგანდისტულ და ორგანიზატორულ მუშაობას თბილისის „სპარტაკის“ უჯრედების შექმნისათვის.

1918 წელს იგი „სპარტაკის“ პირველი რაიონული კომიტეტის წევრია. სპარტაკელები აწყობენ კრებებს, მუშათა, სტუდენტთა და მოსწავლე ახალგაზრდობის მიტინგებს, ატარებენ საუბრებს და მოხსენებებს დიდი ოქტომბრის რევოლუციის შესახებ, ეხმარებიან ბოლშევიკურ ორგანიზაციას არალეგალური ლიტერატურის, გაზეთების, პროკლამაციების ბეჭდვა-გავრცელებაში.

კომკავშირელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში, ქმნიან შეიარაღებულ და მშვერავთა რაზმებს. იაშა ოქოვი კომკავშირის საოლქო კომიტეტის საბრძო-



ლო უჯრედის წევრია. 1920 წელს იაშა წარმოტეხით ასრულებს XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს უძნელეს დავალებებს, აწვდის არმიის სარდლობას ცნობებს მენშევიკური რაზმებისა და ანტანტის ქვეყნების ჯარების განლიგების, შეიარაღების სახეობათა და რაოდენობის შესახებ. 1920 წლის საპირველმისო დემონსტრაციის დროს იაშას ადვილად შეამჩნევდით საბარგო მანქანაზე შემომსხდარი ახალგაზრდების ჯგუფში; მას ხელთ ეჭირა წითელი დროშა და მაღალი ხმით გაიძახოდა: „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციას!“

1920 წლის 6 ნოემბერს, კომკავშირის თბილისის კომიტეტის სხდომის დროს, გ. დედეაზრინთან, ს. ჯავახიძესთან, კოვინოვთან და კალაშევიანთან ერთად იაშა ოქოვეიც დეპუტატურეს. რამდენიმე დღის შემდეგ იგი საქართველოდან გაასახლეს. იაშა მიემგზავრება ჩრდილოეთ სომხეთში, სადაც მუშაობს კომკავშირის სამაზრო კომიტეტში, ხოლო შემდეგ ილავერდის რაიონის რევკომად ინიშნება.

1921 წლის თებერვალში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, წითელი არმიის ნაწილებთან ერთად საქართველოში ჩამოდიან სამშობლოდან განდევნილი პარტიული და კომკავშირული მუშაკები. მათ შორისაა იაშა ოქოვეიც. 1923 წლამდე იგი სა-

ქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკია, ხოლო შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება მოსკოვს პლენარის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში.

ერთ-ერთი მისი მეგობარი, რომელიც იაშას პარტიის XIII ყრილობაზე შეხვდა, ამ შეხვედრის შესახებ მოგვითხრობს: „ყოველთვის მხნე, მხიარული, ენერგიული იაშა ცოცხლად ეხმარებოდა შინაპარტიული ცხოვრების საკითხებს. — შეიძლება ბევრი უშეებენ შეცდომებს, მაგრამ მოლიანად პარტია გაიმარჯვებს, ვინაიდან იგი ლენინური პარტიააო, — მტკიცედ და დამაჯერებლად ამბობდა იგი“. ეს სიმტკიცე თან ახლდა იაშას მაშინ, როდესაც იგი 1924 წლის იანვრის სამგლოვიარო დღეებში საპატიო ყარაულში იდგა.

„უდიდესი ღირსებაა იდგე საპატიო ყარაულში ლენინის კუბოსთან, — წერდა იაშა უფრო გვიან ზიაშა რაბინოვიჩს. — ახლაც განვიციდი მღელვარებას... აი, ჩემს წინაშე დგება ილიჩის დიდებული სახე, მისი არაჩვეულებრივი შუბლი, მისი გამოხედვა! „შენი პასუხისმგებლობა ვინაზარდა!“ — აი, რას მეუბნებოდა მე ილიჩის სახე“.

იმავე წლის დეკემბერში იაშა ოქოვეცი გარდაიცვალა და დატოვა ნათელი მოგონება, როგორც კომკავშირის პირველი თაობის ღირსეულ წარმომადგენელზე.





## ჯანსუღ გელოვანი

### ქარიზმდანი ღმებები

— პატივცემულ ვალერიან, მე დავამთავრე ჩემი პატარა ნარკვევი თქვენი კომკავშირული მუშაობის შესახებ. ახლა გადაბეჭდვალა აკლია... შემდეგ კი ჟურნალი „ცისკარი“ გაესაუბრება ჩემსა და თქვენს მავივრად ქართველ მკითხველებს.

— თუ ღმერთი გწამს, წამიკითხე რა დასწერე, ჟურნალისტებს ცოტა არ იყოს ზედმეტი მოსდით ხოლმე, — ღიმილით მითხრა და მეც დღიწყე ჩემი პატარა ნარკვევის კითხვა:

... იგი დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1899 წელს. (თუმცა მისი გარეგნობის მიხედვით ეს დღეჯერებელია).

სამოქალაქო სასწავლებელი... შემდეგ თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ქაბუჯი ხონის გიმნაზიაში სწავლობს. 1916 წელს ქუთაისის გიმნაზიაში გადადის და ამთავრებს 1918 წელს.

ხონისა და ქუთაისის გიმნაზიებში გატარებული წლები მისი რევოლუციური ნათლობის წლებია. 1907 წელს ციმბირში გადაასახლეს ერთი ქართველი ქუთაისელი მარქსისტი. სწორედ მისი ბიბლიოთეკის ნაწილი იყო, პატარა ვალერიანმა რომ იპოვა მეზობელი მეღუტქნის საწყობში. ეს ბროშურები და წიგნები 1905 წელს გამოსული რუსული სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა იყო. 15 წლის ვალერიანი უკვე იცნობდა ლიბკნეხტის, ბრაკესისა და ბახის ნაწარმოებებს. აქედან მოყოლებული იგი არალეგალური მარქსისტული წრეების აქტიური წევრი გახდა. კმაყოფილებითა და დიდის გრძნობით იფანებს ვალერიან იმედაძე ყრმობის მეგობრებს — სიმონ ჩხილაძეს და დავით მიქაძეს. ლენინის თხზულებათა კრებული „3а 12 лет“, ა. წულუკიძის „პოლიტიკური ეკონომიის ნაწყვეტები“, ისტორიის მასწავლებელი მარქსისტი ხრისტოლიუბოვი, ბოლშევიკური არალეგალური საზღვარგარეთული ორგანო „სოციალ-დემოკრატი“ უდიდესი რწმენა და იმედო იყო მისი და იმდროინდელი პროგრესული ახალგაზრდობის მომავლისა, შორისკვრეტისა.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქუთაისში შეიქმნა ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკი“. „სპარტაკს“ თავისი თეორიული ორგანოც ჰქონდა — „III ინტერნაციონალი“. 18 წლის იყო ვალერიანი, როდესაც „სპარტაკის“ დავალებით გიმნაზიაში საფუძველი ჩაუყარა ახალგაზრდობის კომუნისტურ ორგანიზაციას.

1918 წელს ქუთაისის ახალგაზრდობის ორგანიზაციის საგუბერნიო კომიტეტი დეგალებს ღებულობდა პარტიის საგუბერნიო კომიტეტიდან. სასტუმრო „ფრანკის“ ერთი პატარა ოთახიდან გასულს, სად არ ნახავდით ჯანსაღი აზრებითა და იდეებით გამაჰვილულ ვალერიან იმედაძეს: ლანჩხუთი, ოზურგეთი, ჩოხატაური... დიდ სიფრთხილს, დამეგობი, დღეებზედ თერთი, ვაკირვება და მინც უდიდესი რწმენა გამარჯვებისა და პასუხისმგებლობა ნათელი საქმისა. დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონში მიჰქონდა პატარა დროშები წარწერით — „გაბედულნი, მამაცნი, ამყანო, მამათა საქმე ჩვენ დავამთავროთ!“

1917 წლის აგვისტო... ღირსეული ახალგაზრდა პარტიის წევრი გახდა. ქუთაისში ეწევა პროპაგანდისტულ მუშაობას.

1919 წლის აგვისტო... ფოთი. ცირკის შენობაში მენშევიკური დამფუძნებელი კრების წევრის დ. ონიანცილის მოხსენება ჩაიშალა. მძლავრი ანტიმენშევიკური დემონსტრაცია, რომელშიც ჯარისკაცები მონაწილეობდნენ. ყველაფერს ამას ხელმძღვანელობდა ამ ნარკვევის მთავარი გმირი.

ისევ ბობოქარი დღეები და შეუწელებელი ბრძოლა სიმათლისათვის, ნათელი მომავლისათვის.

1919 წლის სექტემბერში ბაქოში არალეგალურად შედგა ამიერკავკასიის კომუნისტური ახალგაზრდობის პირველი კონფერენცია. ვალერიან იმედაძე, რომელიც დღევანდელი იყო საქართველოდან, აირჩიეს კონფერენციის პრეზიდიუმის წევრად და კონფერენციის მდიანად. გულსიყუ-



რით ისმენდა იგი ნაკადი ბოლშევიკების მოხსენებებსა და გამოსვლებს.

შემდეგ ვალერიანს ცოტა ხანს თბილისის პოლიტიკურ სასწავლებელში სწავლობდა, მაგრამ პარტიული საქმიანობა თავისას ითხოვდა.

— საქართველოს კომუნისტური პარტია შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. საჭირო იყო მენშევიკების შეიარაღებული ძალების, კერძოდ, გვარდიის შესახებ ზუსტი ცნობების შეგროვება, — ამბობს პატივემეული ვალერიანი. ეს დიდი დავალება კი პარტიამ კომკავშირს დაეკისრა.

ამ დროისათვის ახალგაზრდა კომკავშირელი სწავლობდა ნაძალადევის მენშევიკური გვარდიის შტაბის განლაგებასა და შეიარაღებას, რათა შემდეგ უპირატესად საჭირო ცნობები გადაეცა ბოლშევიკური შტაბისათვის.

იმ კომკავშირელებში, ოპერის თეატრის იორუსებიდან რომ ჰყრიდნენ პროკლამაციებს, ვალერიანიც იყო, მკვერცხლი და შეუპოვარი. ღმილით იფრენებს ვალერიანი, თუ როგორ შეიკრებოდნენ ხოლმე კომკავშირელები რუსთაველის სახელობის თეატრში სპექტაკლის დროს და ბოლშევიკურ პროკლამაციებს ფანტავდნენ. შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი თურმე ცოფსა ყრიდა. მაღვ იმედაძე თბილისის საღებურნიო კომიტეტმა ხაშურში გაავაზნა შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად, მაგრამ მენშევიკების მიერ მოსყიდულმა ჯაშუშმა რაზმამდე დააბათილებინა იგი და ვალერიანი რკინიგზის ციხეში მოათავსეს. ხაშურის აჯანყება ჩააჭრეს, ხელმძღვანელებიდან ბევრი დახვრატეს. ვალერიანს ციხე მიუსაჯეს.

1920 წელი... გორის ციხე... ცნობილი დიდი მიწისძვრა გორში... შემდეგ მეტეხის ციხე და ციხეში რამდენიმე ასული ძლიერი და მართალი კაცი. მათ შორის ფ. მახარაძე, ს. ჭავჭავაძე, კამო. ციხეში უქმად როდი ისხდნენ, აქ ს. ჭავჭავაძემ ხელმძღვანელობდა მარქსისტულ წრეს.

მეტეხში მრავლად იყო რევოლუციური გლეხობა დღეშიდან, ლავოდნიდან — აჯანყების მონაწილენი, რომლებიც სასამართლოს მოიხიბოდნენ, მაგრამ ამაოდ. მაშინ მეტეხში ბოლშევიკების თაოსნობით გამოცხადდა პოლიტიკური გაფიცვა — შიმშილობა.

ცხრა დღის განმავლობაში ვალერიანს ცხრა გრამი პური არ უქამია. გაფიცვამ უდიდესი როლი შეასრულა: მენშევიკური მთავრობა იძულებული გახდა ნაწილი ტუსაღებისა გაეთავისუფლებინა. შემდეგ, სხვა რევოლუციონერებთან ერთად, ვალერიანი იმედაძე თბილისიდან ქუთაისის ციხეში გადაჰყავთ. გზაში სადგურები დაპყრობილი ჰქონდა რევოლუციური სიმღერებს, შეძახილებს; მიდიოდა ვალერიანი იმედაძე ციხის გზით და სწამდა, რომ მომავლის დიდ გზებამდე ამ შოკულ და სასიკვდილო გზას დიდი მნიშვნელო-

ბა ჰქონდა. მიდიოდა ციხეში ბორკილებით, რომ არ სწამდა ციხე და ბორკილი.

1920 წლის მაისში საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს მენშევიკურ მთავრობას შორის შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კომუნისტებს ლეგალური მუშაობის პირობები შეექმნათ. გამოდიოდა ვახეთი „კომუნისტი“ — საქართველოს კომპარტიის (ბ) ორგანიზ; ამისათვისვე გამოვიდა ვახეთის დამატება „ახალგაზრდობის ფურცელი“, რომლის რედაქტორი ვალერიანი იმედაძე იყო. ამ ვახეთში მოღვაწეობა ერთი შესანიშნავი ეტაპია მის ცხოვრებაში. ხშირად ნომერში სამი წერილი რედაქტორისა იყო. სხვადასხვა ფსევდონიმს იყენებდა იგი — „ლოლინო“, „პარტიორიჯი“, „საფონარო“.

თბილი დღეფიყარი წელი სავსეა გამაჩვენებთა და წინსვლით იმედაძის ცხოვრებაში: კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პრეზიდენტის წევრი, აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე.

კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესზე წასასვლელად საქართველოს ახალგაზრდობიდან წ. ძნელკისთან ერთად ვალერიანი იმედაძეც აირჩიეს. საქართველოს კომპარტიის ცეკადან იყო ამხ. ს. თოდრია. მიდიდნენ სამხედრო გზით კავკავში შვიარეს პარტიულ ორგანოებში; იქ დეპუტატი დახვდათ — ვალერიანი დაუყოვნებულად დაბრუნებულყო ბაქოში. ამხ. თოდრია კი განაგრძო გზა მოსკოვისაკენ. „ანუ მომავალი უდიდესი ბედნიერება — დავსწრებოდი II კონგრესს და პირადად მენახა და მოამესინა ამხ. ლენინისათვის,“ — ამბობს ვალერიანი იმედაძე.

ბაქოში ჩავიდა უშინარი ახალგაზრდა. რამდენიმე დღე და — საქართველოში არალეგალურად შემოიპარა. ოცდაათხ საათში ფეხით ვაიარა თითქმის 100 კილომეტრი გზა კავკავიდან თბილისამდე.

თბილისში დიდი მზადება იყო კომკავშირის პირველი ლეგალური ყრილობის მოწვევისათვის.

— მეც მივიღე მონაწილეობა ამ დიდ ღონისძიებაში. პირველი ლეგალური ყრილობა შესდგა 1920 წელს, აგვისტოში. იგი ჩატარდა დღევანდელ თბილისის მილიციის სამმართველოს შენობაში, მტკვრის პირას, — განაგრძობს თბილისის ამხ. იმედაძე. კარგი იქნებოდა ამ შენობას მემორიალური დაფა გაუკეთებდებოდესო, ესეცა თქვა პატივემეულმა ვალერიანმა.

ამ ყრილობას, მიუხედავად მისი ლეგალურობისა, მაინც შეუშალა ხელი მენშევიკურმა მთავრობამ. ყრილობაზე ვალერიანი იმედაძე ცეკასა და პრეზიდენტის წევრად აირჩიეს. მეორე ყრილობა რამდენიმე თვის შემდეგ ჩატარდა. ამ ყრილობაზეც აირჩიეს იმედაძე ცეკას წევრად, ხოლო შემდგომ პლენუმმა იგი პრეზიდენტში შეიყვანა. ამავე დროს იგი აგიტაცია-პროპაგანდის განყოფი-





ლებას ხელმძღვანელობს და რედაქტორობს კომ-  
კავშირულ ფურცელს.

— ამ პერიოდში უდიდესი ღირსშესანიშნავი  
ამბავი მოხდა ჩემს ცხოვრებაში, მე შევხვდი  
სერგეი კიროვს, — იგონებს ვალერიან იმედაძე.  
კიდევ რამდენი ბრძოლა!.. უძილო ღამეები!..  
მასების რევოლუციური აღმავლობა!..

...ქუთაისში იყო ვალერიან იმედაძე, როდესაც  
მე-11 გამათავისუფლებელი არმია შემოვიდა სა-  
ქართველოში. გასაქცევად გამზადებული მენშე-  
ვიკური მთავრობა სასტიკად უსწორდებოდა ბოლ-  
შევიკებს. ვალერიანი ქუთაისელ კომუნისტებ-

თან ერთად ალტაელებით შეხვდა წითელ არმიას,  
რომელმაც გმირული ლაშქრობა ჩაატარა სუს-  
ხიან ზამთარში — გადმოლაზა მამისონის უღელ-  
ტეხილი, რომ მიშველებოდა მოძმე ქართველ  
ხალხს.

შემდეგ... ორჯონიკიძის დებუმა ლენინს და  
სტალინს...

— პატივცემულო ვალერიან, მე დავამთავრე  
ჩემი პატარა ნარკვევის კითხვა თქვენი კომკავში-  
რული ცხოვრების შესახებ. მე მგონი ზოგიერ-  
თივით ზედმეტი არ მითქვამს. ამას დამიმოწმებთ  
თქვენც — ამ ნარკვევის პირველი მკითხველი...





რევით კაკახაძე

### 3. ი. ლენინი ახალგაზრდობის კომუნისტური კლზრდის შესახებ

საბჭოთა ადამიანები, ჩვენი ქვეყნის ქაბუკები და ქალიშვილები, გამოირჩევიან მაღალი იდეურობით, ხალხის კეთილდღეობაზე დაულაღვი ზრუნვით, მისი ძირეული ინტერესებისადმი — კომუნიზმის მშენებლობის საქმისადმი — უანგარო სამსახურით. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის მასობრივი გამირობა, რასაც ჩვენი ახალგაზრდობა იჩენს. შრომის სიყვარული, ცოდნისადმი მისწრაფება, შეუბოვრობა მიზნის მიღწევაში, სხვა ქვეყნების მშრომელებთან ძმური თანამშრომლობა, ყველაფერი, რაც თან სდევს ნამდვილად ლამაზ, კომუნისტური შორალის მატარებელ ადამიანს — დამახასიათებელია ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

ასეთი ადამიანის აღზრდა შედეგია ვ. ი. ლენინის, კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის, ლენინიზმის ცხოველყოფელი იდეებისა, რომელთა საფუძველზე პარტია ზრდიდა და ზრდის ჩვენს ახალგაზრდობას, კომუნისტური საზოგადოების მომავალ მშენებლებს, სიძნელების წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ 1906 წელს ვ. ი. ლენინს მოჰყავდა ენგელსის ცნობილი სიტყვები და წერდა: „... განა ბუნებრივი არ არის, რომ ჩვენს პარტიაში, რევოლუციის პარტიაში, ახალგაზრდობა სჭარბობს? ჩვენ მომავლის პარტია ვართ, მომავალი კი ახალგაზრდობას ეკუთვნის. ჩვენ ნოვატორების პარტია ვართ, ხოლო ნოვატორებს ყოველთვის მეტი ხალსით მიჰდევს ახალგაზრდობა. ჩვენ ვართ პარტია ძველი სიღამპლის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლისა, ხოლო თავგანწირულ ბრძოლაში ყოველთვის პირველი წავა ახალგაზრდობა“ (თხზ., ტ. 11, გვ. 422).

ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა ახალი საზოგადოებრივი წყობილების პირობებში, სოციალიზმის მშენებლობის პირობებში ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის კონკრეტული გზები, მოგვცა გზის მაჩვენებელი მითითებები, რომელთა განხორციელებით პარტია ყოველთვის აღწევდა და აღწევს წარმატებებს ახალგაზრდათა თაობის კომუნიზმის აქტიურ მშენებლებად აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

ოქტომბრის რევოლუციის შედეგად აღმოცენებულ საბჭოთა სახელმწიფოს უნდა აეშენებინა სოციალისტური საზოგადოება, ამისთვის კი საჭირო იყო საკუთარი კადრები. საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე კომუნისტური პარტიის წინაშე დისახა ამოცანა — აღეზარდა ახალგაზრდა





კადრები, შეექმნა საბჭოთა ინტელიგენცია მშრომელთა ფენიდან: ვ. ი. ლენინმა ახალგაზრდობის წინაშე წამოაყენა მთავარი ამოცანა — ისწავლოს კომუნნიზმი, დაეუფლოს კაცობრიობის მიერ შემუშავებულ ყველა ცოდნას. ამასთან პროლეტარიატის ბელადი ამბობდა, რომ საკმარისი არ არის მარტო ცოდნის შეთვისება, არამედ საჭიროა ახალგაზრდებმა სწავლის, აღზრდისა და განათლების თვითეული ნაბიჯი დაუკავშირონ მშრომელთა ბრძოლას ძველი, ექსპლოატატორული საზოგადოების წინააღმდეგ, დაუკავშირონ კომუნნიზმისათვის ბრძოლას. ვ. ი. ლენინი კომკავშირის III ყრილობაზე, ეხებოდა რა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის საკითხს, ახალგაზრდებს ასწავლიდა: კომუნნიზმის მშენებლობისა და კომუნისტური აღზრდის ამოცანების გადაწყვეტა შეიძლება მაშინ, „...თუ დაეუფლებით მთელ თანამედროვე ცოდნას, თუ უნარი გექნებათ — კომუნნიზმი მზამზარეული დასწავლილი ფორმულებიდან, რჩევადარბევებიდან, რეცეპტებიდან, ბრძანებებიდან, პროგრამებიდან გადააქციოთ იმ ცოცხალ რამედ, რაც აერთიანებს თქვენს უშუალო მუშაობას, გადააქციოთ კომუნნიზმი თქვენი პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელოდ“.

ლენინის უკვდავ იდეებზე დაგვიკაცებულმა კომკავშირმა სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინა როგორც პარტიის ერთგულმა და საიმედო თანაშემწემ. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წლებში საბჭოთა ახალგაზრდობა ერთუზიანობით გამოდიოდა შრომის ნაყოფიერების, გადიდებისათვის, დამკვრელობის განვითარებისათვის, იყო შემხვედრი გვეგმების, წარმოებაში ტექნიკური პროგრესის დანერგვის ინიციატორი. ინდუსტრიალიზაციის წლებში ასიათასობით ჭაბუკები და ქალიშვილები აშენებდნენ ახალ ქარხნებს, ფაბრიკებს, შახტებს, გაჰყავდათ რკინიგზის მაგისტრალები. მათი აქტიური მონაწილეობით აღიმართა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა და დნეპროპეტოვსკი, მაგნიტოგორსკისა და კუზნეცის მეტალურგიული კომბინატები. ა. მ. გორკი განცვიფრებაში მოდიოდა ახალგაზრდობის საქმიანობით და წერდა „მე ვნახე ეს ახალგაზრდობა „მოქმედების ადგილზე“ 1928 წელს, როცა უზარმაზარ შიშველ მინდვრებს შორის მხოლოდ აქა-იქ დადიოდა მომავალი გიგანტის რკინის ჩონჩხები, რომლებიც ამ ახალგაზრდობის ენერჯის შეექმნა მტვრის კორიანტელში, რკინის ვამაჩრუბელ გუგუნში, ქვის სამტვრევეების, ბეტონმრევეების ჭრილსა და ხრიალში... მეგონა, თითქოს არც რკინა, არც ძალა არ იქნებოდა საკმარისი. მაგრამ აი — საკმარისი აღმოჩნდა!“

ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა ახალგაზრდობას — ჰყვარებოდა თავისი სამშობლო, თავისი ხალხი, მკერდით დაეცვა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ამ იდეებზე აღზრდილმა საბჭოთა ახალგაზრდებმა თავი გამოავლინეს როგორც სამშობლოს ნამდვილმა პატრიოტებმა. კომკავშირლები იარაღით ხელში იცავდნენ ოქტომბრის მონაპოვარს სამოქალაქო და სამამულო ომებში.

კომუნნიზმის მშენებლობა განუყრელად არის დაკავშირებული ტექნიკურ პროგრესთან, შრომის ნაყოფიერების ამაღლებასთან: კომუნნიზმი, წერდა ლენინი, იწყება იქ, სადაც ჩნდება უბრალო მუშების თავგანწირული, მძიმე შრომის დამძლევი ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ლენინი გვასწავლიდა, რომ შრომის ნაყოფიერება ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად. ჩვენს ახალგაზრდობას ყოველთვის ახსოვს დიდი ბელადის ეს მითითება, იგი სოციალისტური მშენებლობის ყოველ უბანზე იჩენს თაოსნობასა და ინიციატივას. საბჭოთა სამშობლოს ჭაბუკები და ქალიშვილები თავდადებული შრომით სასახელოდ ასრულებ-



ბენ ილიჩის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი უნდა იყოს დამკვრელი ჯგუფი, რომელიც ყოველ საქმეში გვეწვევს დახმარებას, ყველაფერში იჩენს ინიციატივას, თაოსნობას.

ახალგაზრდობის სწავლას და განათლებას, როგორც კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვან საშუალებას, ლენინი მუდამ მთავარ ყურადღებას აქცევდა. იგი საჭიროდ თვლიდა მეცნიერების შეგნებულად, გააზრებულად, კრიტიკულად დაუფლებას. კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს, — ამბობდა ლენინი, — როცა მეხსიერებას გაიმდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუძლებელია.

კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი მიზანია შეაგნებინოს ადამიანს, რომ მიღწეულით არასოდეს არ დაკმაყოფილდეს. ადამიანი, განსაკუთრებით, თუ ის კომუნისტია, თავმდაბალი და კეთილშობილი უნდა იყოს. დიდი ლენინი ახალგაზრდობის საყურადღებოდ ამბობდა: „თუ მე ვიცი, რომ ცოტა ვიცი, მაშინ მივალწევ იმას, რომ მეტი ვიცოდე, მაგრამ თუ ადამიანი დაიწყებს ლაპარაკს, მე კომუნისტი ვარ და ჩემთვის არც არის საჭირო რაიმე მტკიცედ ვიცოდეო, მისგან კომუნისტის მსგავსი არა გამოვა რა“. ლენინი გვასწავლიდა, რომ თუ ადამიანს სურს განახორციელოს კომუნისტიკის მშენებლობის მიზნები, მასში ბავშვობიდანვე უნდა აღიზარდოს მტკიცე და შეგნებული დისციპლინა. დისციპლინის აღზრდის საუკეთესო საშუალებაა სკოლა. მაგრამ სკოლაში დისციპლინის აღზრდა წარმოუდგენელია მოსწავლეთა მეგობრული კოლექტივის გარეშე, რომელიც მასწავლებლის ხელმძღვანელობით მუშაობს. კომკავშირი ასეთი კოლექტივის ბირთვია. კომკავშირი თავისი მაგალითით და საზოგადოებრივი ზეგავლენით განამტკიცებს დისციპლინას სკოლაში.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას ახალგაზრდობაში კომუნისტური მორალის აღზრდას აქცევდა. ლენინი ზნეობრივად თვლიდა ყოველივე იმას, რაც ემსახურება ახალი საზოგადოების განმტკიცებას, ადამიანებში ახალი, კომუნისტური თვისებების აღზრდას, რაც მნიშვნელოვანი პირობაა ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთებისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ჩვენი — ამბობდა ილიჩი კომკავშირის III ყრილობაზე, — უცვლელი ზნეობა არა გვწამს. ჩვენი ზნეობა ემსახურება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს, იმას, რომ ადამიანთა საზოგადოება ამაღლდეს, განთავისუფლდეს ექსპლოატაციისაგან.

ახალგაზრდობის იდეური აღზრდის საქმეში უმნიშვნელოვანესია მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლება. საბჭოთა ადამიანის ძლევა მოსილ სვლას კომუნისტიკისაკენ გზას უნათებენ მარქსიზმ-ლენინიზმის უქცნობი იდეები. მათი ძალა და უძლეველობა დამტკიცებულია პრაქტიკით, ისტორიული გამოცდილებით. იგი სავალდებულოა ყველასათვის, ვინც მიისწრაფვის გახდეს მოწინავე ადამიანი, კომუნისტიკის მშენებელი ადამიანი. ახალგაზრდობის იდეური, მორალური აღზრდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაზე. ამიტომ არის, რომ ახალგაზრდობა ჩვენი შემოქმედებითი მუშაებისაგან — მწერლების, მხატვრების, თეატრისა და კინემატოგრაფიის მუშაებისაგან მოითხოვს კარგ და მრავალფეროვან ნაწარმოებებს, რომლებიც განამტკიცებენ ჩვენი დროის მოწინავე იდეებს, ეხმარებიან ადამიანებს იცხოვრონ და იბრძოლონ კომუნისტიკისათვის.

საბჭოთა ახალგაზრდობა, კომკავშირი, რომელიც ერთგულია ლენინის ანდერძისა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების შესახებ, წარმოადგენს ყველა ქვეყნის დემოკრატიული ახალგაზრდობის ავანგარდს მშვიდობი-





სათვის ბრძოლაში. საბჭოთა ხალხის მაღალი მორალური სახე, რომელიც ჩამოყალიბდა კომუნისტური პარტიის მიერ გაწეული ტიტანური მუშაობის შედეგად, წარმოადგენს კეთილშობილურ მაგალითს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, წარმოადგენს მაგალითს მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის.

ვ. ი. ლენინი საჭიროდ თვლიდა ახალგაზრდობის თავისებურებების გათვალისწინებას. ახალგაზრდობას კი არ უნდა ვკამანდრობდეთ, არამედ ვარწმუნებდეთ. იგი ამბობდა, რომ ახალგაზრდებს, რომლებსაც, როგორც წესი, ჯერ კიდევ არა აქვთ ჩამოყალიბებული მტკიცე შეხედულებები და რწმენა, ყოველნაირად უნდა დავეხმაროთ, მეტი მოთმინებით უნდა მოვეკიდოთ მათ შეცდომებს, უნდა ვეცადოთ გამოვასწოროთ ისინი თანდათანობით, უპირატესად დარწმუნების გზით. ლენინი ყოველთვის მოგვიწოდებდა ანგარიში გავვეწვია იმისათვის, რომ ახალგაზრდობა თავისი ასაკის, ხასიათის, მომზადების გამო არის მჩქეფარე, მაძიებელი და ამიტომ მნიშვნელოვანია ყოველმხრივ განვაავითაროთ მისი ენერჯია და ინიციატივა.

საბჭოთა ადამიანების, ახალგაზრდების კომუნისტურ აღზრდაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიურ მუშაობას. მაგრამ გაუბრალოება იქნებოდა გვეფიქრა, რომ მარტო ამით უზრუნველყოფთ წარმატებას. ახალგაზრდობა, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღიზარდოს პრაქტიკულ სამუშაოებზე, ფაბრიკებში, მშენებლობებზე, საკოლმეურნეო მიწვრებზე შრომაში. შრომის სიყვარული, ღრმა ინტერესი რომელიმე პროფესიისადმი, ამხანაგობის, კოლექტივიზმის გრძნობა, სიძნელეთა გადალახვის უნარი — ყოველივე ეს წარმოიშობა და მტკიცდება მხოლოდ აქტიურ შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ლენინი გვასწავლიდა ისე მოგვეწყო მოზარდი თაობის აღზრდა და სწავლება, რომ ყოველდღე, ყოველ სოფელსა თუ ქალაქში ახალგაზრდობა პრაქტიკულად წყვეტდეს საერთო შრომის ამა თუ იმ, თუნდაც სულ მცირე, თუნდაც სულ უბრალო ამოცანას.

ვ. ი. ლენინის ამ იდეებზე აღზრდილი საბჭოთა ახალგაზრდობა, კომკავშირლები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პირნათლად ახორციელებენ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, თავიანთი წვლილი შეაქვთ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების შემდგომ განვითარებაში. ჩვენი ქვეყნის ისტორიის მატთანში ოქროს ასოებით ჩაიწერა ახალგაზრდობის მონაწილეობა 35,9 მილიონი ჰექტარი ნასვენნი და ყამირი მიწების ათვისებაში; მისი გმირული შრომა ქარხნების, ფაბრიკების, შახტების, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობებზე ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, დონბასის რაიონებში. 50 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი გულის კარნახით, კომკავშირული საგზურებით წავიდა ყამირის გასატეხად.

სასახელო შრომითი საქმეებით თავი ისახელეს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდებმაც. გასული წლის ზაფხულში ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილმა 6.500-ზე მეტმა ახალგაზრდამ თავდადებული შრომით არნახული მაგალითები გვიჩვენა ყამირ მიწებზე მოსავლის აღების დროს. მათ იქ ნამდვილი წრთობა მიიღეს. რესპუბლიკის ახალგაზრდები, კომკავშირლები აქტიურად იბრძვიან სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. უკანასკნელ სამ წელიწადში მუდმივად სამუშაოდ მეცხოველეობის ფერმაში გაემგზავრა 6.000-ზე მეტი კომკავშირელი. კომკავშირებით დაკომპლექტებულია მელორეობის, მერქეობის, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მრავალი ფერმის მუშაკთა

შტატი. წელს საქართველოს კომკავშირმა იკისრა მეცხოველეობის ფერმებში ხამუშაოდ დამატებით გაგზავნოს ორი ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა რიცხვიდან.

საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელიც აღზრდილია ლენინიზმის იდეებზე, კომუნისტური მორალის პრინციპებზე, თავის მაღალ მორალურ თვისებებს, სულიერ სიმტკიცეს ავლენს არა მარტო სწავლასა და შრომაში, არა მარტო ჩვენი ქვეყნის შიგნით, ის ყველგან და ყოველთვის მაგალითის და ნიმუშის მიძემია. მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ჭაბუკებისა და ქალიშვილებისათვის.

ვ. ი. ლენინი თავისი მოღვაწეობის პირველი წლებიდანვე მთავარ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეს. ლენინი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდგომაც, როცა უამრავი სახელმწიფო და პარტიული სამუშაოებით იყო გადატვირთული, ყოველთვის ნახულობდა დროსა და საშუალებას თვალყური ედევნებინა ახალგაზრდობის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისათვის, ყოველდღიურ დახმარებას უწევდა ახალგაზრდობის კავშირს, მზრუნველობით წარმართავდა მის საქმიანობას. კომკავშირის პირველი ყრილობის დროს, 1918 წლის ოქტომბერში, ლენინმა მიიღო ყრილობის დელეგაცია, ესაუბრა ახალგაზრდობის ცხოვრების, ადგილებზე არსებული მდგომარეობის შესახებ და ბევრი პრაქტიკული მითითება მისცა.

ყოველად შეუძლებელია ადამიანის მეხსიერებიდან წარიშალოს ის შთაბეჭდილებანი, რაც ლენინმა მოახდინა დამსწრეებზე, როცა 1920 წლის 2 ოქტომბერს გამოვიდა კომკავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე. მისი სიტყვა უბასუხებდა ცხოვრების, ახალგაზრდობის შრომისა და სწავლის ყველაზე საქირბოროტო საკითხებს. კომკავშირის III ყრილობის მონაწილენი ივანებენ, რომ ლენინი ლაპარაკობდა მხურვალედ, დამაჯერებლად, ყველაზე მნიშვნელოვანს იმეორებდა ორჯერ, სამჯერ. ეს იყო ბელადის გულითადი, მამობრივი საუბარი ქვეყნის მთელ ახალგაზრდობასთან. ლენინის გამოსვლის დიადი ძალა იმაში იყო, რომ იგი წარმოადგენდა ახალი ცხოვრების ფაქტებისა და ამბების ღრმა მეცნიერულ განზოგადებას, ახალგაზრდობას უსახავდა კომუნისტური საზოგადოების აშენების ნათელ პერსპექტივას.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეს ლენინურად წარმართავდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც ათეული წლების მანძილზე სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი. ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ ვ. ი. ლენინის მოძღვრება სულ უფრო ახალ ძალასა და აქტუალობას იძენს, იგი წარმოადგენს გზის მაჩვენებელ შექურას ჩვენი ახალგაზრდობისათვის, რომელიც აშენებს კომუნიზმს. პარტიული და საბჭოთა მუშაკები, პროპაგანდისტები, მასწავლებლები, კომკავშირული აქტივისტები და ყველა საბჭოთა ადამიანი ლენინის ნაწარმოებებში აღზრდის შესახებ პოულობენ სულიერ საზრდოს, სახელმძღვანელო მითითებებს ახალგაზრდობაში ყოველდღიური მუშაობის გაუმჯობესებისათვის.





## გიორგი მაკვჯეაშვილი

### სიმონ ჩიქოვანი

გამაჩენილი ქართველი საბჭოთა პოეტი და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწე სიმონ ჩიქოვანი დაიბადა 1903 წელს ნაესაკოვოში (აბაშის რაიონი). მამამისი სიყრმიდანვე ინვალიდი იყო, ყავარჯენს ხმარობდა, მაგრამ კარგი ხელოსნის სახელი ჰქონდა და რამდენიმე ხელობაც იცოდა. როგორც ეს ხშირად ხდება საქართველოში, ამ უბრალო სოფლის მშრომელს გატაცებით უყვარდა პოეზია. ზეპირად იცოდა მრავალი ნაწყვეტი „ვეფხისტყაოსნიდან“, თავიანთ სცემდა ილიასა და აკაკის. დედა პოეტს არ დამახსოვრებია — იგი გარდაიცვალა ბავშვის დაბადების მესამე თუ მეოთხე დღეს, მაგრამ მაინაურთა გადმოცემებით აღმდგარი მისი სახე ღრმად აღიბეჭდა ბავშვის შეგნებაში, მამამისსა და აღრე გარდაცვლილი დის სახეებთან ერთად. მამა, დედა, და, მშობლიური სოფელი — ეს სახეები ვაცოცხლდა შემდგომ პოეტის სტრიქონებში და ჩვენ ვხედავთ ახლა, თუ როგორ ჩაჰყურებდა ბავშვი ჰას დედის ხატების დანახვის მიმდებარე, ან უფრო გვიან, უკვე პოეტის თვალთ, როგორ ამსგავსებდა იგი დედის ოქროსფერ თმას კოლხურ კერიაზე ავარდნილ ალს. ლექსი გადავიწეროთ ასეთ სურათსაც: კაკლის ჩეროში არწევს ბავშვი დის აკვანს, ჭადართან კი დავს ბრგე და ახოვანი, ყავარჯენს დაყრდნობილი მამა. შორიდან მოსულა ნაშრომ-ნაჯადვარი, ჩუმად ახველებს და უსიტყვოდ ცლის ჰიქას, ნაწვიმარ თვალებს ახამხამებს, ერთადერთი დარდი ქვეჯნის — საღმე ბავშვები არ დაეჩაგროს.

უდევოდ დარჩენილი ბავშვი გამზრდელთან იზრდება მეზობელ სოფელში — ტყვირში. ტყვირი განთქმულია ასწლოვანი მუხებით და ქანდრებით განსუმორტყმული ძველი ტაძრით, რომლის კედლებს უძველესი წარწერები ამშვენებს. „მე ხშირად ვყოფილვარ ტყვირში სიყრმის წლებშიაც, — იგონებს პოეტი, — შესაძლოა იქ ჩაისახა ჩემში მშობლიური ქვეყნის ისტორიის სიყვარული“. შემდეგ მომავალ პოეტს უფლის ბებია — მამის დედა, ისიც მწიგნო-

ბარი. ბებია ხშირად ეჯიბრება მამას ლექსების, უპირატესად რუსთაველის, ზეპირად კითხვაში. „საერთოდ ჩემი გვარეულობა ცნობილი იყო შინაური პოეტებით — ბევრი ჩემი წინაპართაგანი და ნათესავთაგანი ლექსად აწარმოებდა მიწერ-მოწერას, და მე ვფიქრობ, რომ პოეზიისადმი მიდრეკილება ჩამესახა ბავშვობაში, საკუთარ ოჯახში“.

ნაესაკოვო ვაკეზე იყო გადაშლილი და სამი მხრიდან გარშემორტყმული ლილისფერ ნისლში გახვეული მაღალი მთებით. ივანე ჩიქოვანს ლექსებთან ერთად ბუნებაც უყვარდა, და იქნებ იმტომაც ოცნებობდა თავისი ერთადერთი ვაჟისათვის სამთო ინჟინრის განათლება მიეცა. ამ მოწინით სიმონ ჩიქოვანი მიაბარეს ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, სადაც ტექნიკური დისციპლინისაიენ იგრძნობოდა მიდრეკილება:

„ხშირად ფერფლივით გაფითრდებოდა, სტუდენტის წმინდა ღირსება სწამდა, თვალს მიულუჯადა, ჩაფიქრდებოდა და გულს ოცნების საკვესით სწავადა. ჩემს სტუდენტობას ნატობდა მშვიდი, არ იშურებდა მამობრივ ძალას, უერთდებოდა ოცნების ხილით ნვეის ნაპირზე ამართულ ქალას...“

წარზე ეყარა წიგნების შტვერი, მახალსებდა სურვილი მისი, რომ გავხდებოდი მთის ინჟინერი და დამლურსავდა მდლოზზე ნისლი.

ვერ შევასრულე ანდერძი მამის, დიდხანს ველოდე ჩემს დავაცებას. ვერ დავამგვანე ვერც ერთი წამი მშობლის ოცნებას და გატაცებას. მაგრამ მკვებადა მულამ ფესცივით მისი სპეტაკი გულის ტრფიალი, და მალეიძებდა საწერად ლექსის მამის ნათესა ყანის შრიალი“.

მამის ოცნება არ ახლა. უკვე მოწაფეობის წლებში სიმონ ჩიქოვანი მეგობრობდა არა იმ-



დენად რეალური სასწავლებლის მოწაფეებთან, რომელთა უმრავლესობა სწორედ „მთის ინჟინრობაზე“ ოცნებობდა, არამედ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებთან, რომლებიც გატაცებულნი იყვნენ ლიტერატურითა და ხელოვნებით. ახალგაზრდა სიმონ ჩიქოვანს კვლავ გულდღეობდა ბავშვობიდანვე ჩანერგილი სიყვარული პოეზიისა. მან დაიწყო ლექსების წერა და გიმნაზისტების მიერ მომზადებულ ხელნაწერ ჟურნალბეჭედაც კი იღებდა მონაწილეობას.

1918 წელს სიმონ ჩიქოვანს გარდაეცვალა მამა. მან დაიწყო დამოუკიდებელი ცხოვრება. ზაფხულობით იგი სოფლად მუშაობდა და მეზობლების ბავშვებსაც ამეცადინებდა, რათა ჰქონოდა საშუალება განეგრძო სწავლა. 1922 წელს მან დაამთავრა რეალური სასწავლებელი და გადავიდა საცხოვრებლად თბილისში, სადაც სწავლობდა უნივერსიტეტში და მუშაობდა კიდევ წითელი არმიის ქართული ნაწილების პოლიტიკანყოფილებაში. ლექსების ბეჭედა სიმონ ჩიქოვანმა დაიწყო 1924 წელს.

სწორედ ამ დროისათვის შეიქმნა საქართველოში, რუსული ფურტურიზმის გავლენით, ლიტერატურული დაჯგუფება „მემარცხენეობა“, რომელიც აერთიანებდა სიმონ ჩიქოვანის თბილისელ და ქუთაისელ მეგობრებს — მწერლებსა და მხატვრებს. ამ ჯგუფში შედიოდნენ მომავალში ცნობილი მოღვაწეები: ნ. შენგელია, ა. ბელაშვილი, ბ. ქლენტი, დ. შენგელია, ნ. ჩაჩავა, შ. ალხაიშვილი, ბ. გორდენიანი, ირ. გამრეკელი, დ. გაჩეჩილაძე და სხვები. „მე თვითონ ვაზრდილი ვიყავი ქართულ და რუსულ პოეტურ კულტურაზე, — იგონებს სიმონ ჩიქოვანი, — რუს პოეტთაგან პუშკინისა და ლერმონტოვის გარდა განსაკუთრებით მიყვარდა ტიუტჩევი, ამიტომ ფურტურიზმის პოზიციებზე გადასვლა ნიშნავდა ჩემთვის ჩვეულ შეხედულებათა და მიდრეკილებათა შეცვლას. როგორც მოსალოდნელი იყო, სიტყვაზე თავისებურად მუშაობის რამდენიმე წლის შემდეგ მე და ჩემი მეგობრების უმრავლესობა დაეცილდით „მემარცხენეობას“. ეს მოხდა იმდრო, რომ თანამედროვე ცხოვრება გახდა ჩემი შემოქმედების მთავარი თემა“.

როგორ უნდა შეგაფასათ სიმონ ჩიქოვანის „ფურტურისტული პერიოდი“ ან, უფრო სწორად, რა ხვედრითი წონა უნდა მიეანიჭათ მას პოეტის შემოქმედებაში? ეს პრინციპული საკითხია.

თუ მაქსიმ გოგივი რუსული ფურტურიზმის მიმართ ამბობდა, რომ „არ არსებობს არავითარი ფურტურიზმი“ და არიან მხოლოდ ცალკეული ნიჭიერი პოეტები, ეს სიტყვები თავისუფლად შეგვიძლია გავავრცელოთ იმ მწერლებზეც, რომლებიც ქართულ „მემარცხენეობას“ შეადგენდნენ. მართლაც, ამ ჯგუფს თავისი არსებობის

პირველ წლებში საერთოდ არავითარი ლიტერატურული პრობლეტიკა არ მოუცია, გარდა თეორიული მანიფესტებისა, ხოლო მომდევნო პერიოდში, ერთი-ორი კოლექტიური კრებულის გამოსვლის შემდეგ, დაჯგუფების თითქმის ყველა მონაწილემ მონახა საკუთარი გზა მწერლობაში და თითქმის არც ერთი მათგანს შემოქმედება არ თავსდებოდა ორთოდელქალური ფურტურიზმისა და ლეფელობის პროკრუსტეს სარეცელზე. ყოველივე ეს პირველ რიგში ეხება „მემარცხენეობის“ უთვალსაჩინოეს პოეტს — სიმონ ჩიქოვანს.

მაგრამ არც საკითხის გაიოლებაა საჭირო. სიმონ ჩიქოვანის გზა პოეზიაში საკმაოდ რთული იყო. თვით პოეტმა თავისი შემოქმედების აღრინდელ ეტაპს „სიყმაწვილის სენი“ უწოდა, თავის შეცდომებს „სიკბაბუის ბორძიკი“ დაარქვა (იხ. ლექსები „პირველთქმა“ და „პასუხის მაგიერ“). რა დასამალოა, ჰქონდა ადგილი „წმინდა ექსპერიმენტატობისაც“ და თვითმიზნური „ორკესტრული ლექსალობით“ გატაცებას; პოეტი ყოველთვის როდი ახერხებდა „გალობისა და სურათის შეთანხმებას“, „მოსულ სიტყვის დათმობას“, სანამ „გაგჩნობა მიიღებდა სახეს“, „დამგვანებოდა პანესა და სურათს“; მეტაფორებისა და შედარებების სირთულე ხშირად აძნელებდა მისი ლექსების აღქმას, მაგრამ ამ ლექსების დიდ ნაწილში (რამდენიმე ყველაზე აღრინდელი თვითმიზნური ბერათა თამაშის ნიმუშთა გამოკლებით) უსაბუღოდ იყო ცოცხალი, მხებილი აზრი, ნამდვილი გრძნობა, თუმცა ხანდახან საგანგებო პოლემიკური უცნაურობით გამოხატული. სიმონ ჩიქოვანის მიერ ოციან წლებში დაწერილი მრავალი ლექსი ქეშმარიტად რეალისტური იყო, ხოლო ცალკეული ხნიჯე მათში შედარებით ადვილად გამოსასწორებელი. მართლაც, მომავალში ავტორის მცირე შესწორებებმა საცესებით გაწმინდა და დახვეწა არა ერთი მისი ადრინდელი ნაწარმოები („ბარათები“, „წვიმაში“, „პირველი მიძენა“, „პირველი განწორება“, „როცა თბილისში“, „ლამეს ვათევ და“, „მეორე მიძენა“, „ქალაქში მაგონდება ჩემი სოფელი“, „მგზავრის სიმღერა“, „ქალწული კოშკი“ და მრავალი სხვა). პოეტის ფართოდ გავრცელებულ კრებულებში (განსაკუთრებით რუსულ კრებულებში) ამ პერიოდის ლექსებიდან უფრო ხშირად შეაქვთ „გზა საბჭოეთში“, ლექსი, რომელიც საკმარის წარმოდგენას იძლევა ახალგაზრდა პოეტის დიუნური მოწიფულობაზე და მხატვრულ ოსტატობაზე:

„თითქო გველავში ლიანდაგზე გალობს  
ბუღბუღი,  
მოგჭკრი მინდორზე, ხმას იმადლებს გული  
მღერალი.“





რუსეთის სივრცეს და მშვენებას  
დახარბებულნი,  
გაშლილ მინდორზე გადაჰყავის რეინის  
მერანი.

მიქრის, მიმაფრენს მოელვარე წყება  
ბორბლებს,  
მგონია, მხარეე სანატრელო, კიდევ მელოდია.  
თითქო წამომყენენ მე მთებდიან დიდი  
ორბები —  
და შენს ძმობაზე საქართველოს მთებშიც  
გმღეროდია.

დიდო ქვეყანავ, საწმობლო ხარ ჩემი  
მამულის,  
დიდო მინდვრებო, შემეყვარეთ სწრაფი  
ბორბლები,  
დროშა მომყვება მოშრიალე და მეწამული  
და მეც თქვენთან ვარ ჩემი მითი და ჩემი  
ორბებით.

აზოვის ზღვიდან, პონტოს წყლიდან  
და ყოველ მხრიდან  
ლელავს პურისფრად მყოზადი რუსულ  
თვალეებში.  
ხალხის მარჯვენა ოფლიანი შრომაში  
მზრდიდა  
და წკრიალებდნენ ბუბულები მყუდრო  
ღამეში.

აზლაც გვალვაში ლინდავთან გალობს  
ბუბულები,  
მივჭრი მინდორზე, ხმას იმაღლებს გული  
მღერალი.  
რუსეთის სივრცეს და მშვენებას  
დახარბებულნი,  
ქვეყნის მყოზადში მიმაქროლებს ჩემი  
მერანი.

ამ ლექსში საგულისხმოა აგრეთვე ქართულ კლასიკურ პოეზიასთან, კერძოდ, ბარათაშვილთან შეხმიანების მომენტი, რაც „მართლ-მორწმუნე“ ფუტურისტისათვის დაუშვებელი უნდა ყოფილიყო. ისიც აღსანიშნავია, რომ ძველი პოეზიის ტიპური მოტივები აქ უბრალოდ განმეორებული კი არაა, არამედ გათანამედროვებულია, სახეშეცვლილია ახალი ეპოქის შესაბამისად. აქ ტრადიციის გაგრძელებაა და ტრადიციულობასთან პოლემიკაც. იგივე ითქმის სიმონ ჩიქოვანის ცნობილ ციკლზე „ფიქრები მტკრის პირას“.

მაგრამ თუ ოციან წლებში სიმონ ჩიქოვანის ლირიკის საუკეთესო ნიმუშებსაც კი დაჰკრავდა ერთგვარი ელფერი განყენებული პოეტური აზროვნებისა, პოეტის შემდგომმა ძიებებმა მი-

ივანეს იგი სწორედ სახეების მზარდ კონკრეტობასთან, აღწერისა და თხრობის ეპიკურ ხასიათთან, ლექსის შეგნებულ პროზაიზაციასთან (შემთხვევითი როლია, რომ ამ პერიოდში სიმონ ჩიქოვანი ხშირად მიმართავს ორიგინალური ნარკვევების ეპინასტ). რა რიგ განსხვავდებიან, მაგალითად, ზემოთ ციტირებული ლექსისაგან სიმონ ჩიქოვანის ოცდაათიანი წლების დასაწყისში დაწერილი ლექსის („შემოღამება ხანმატში“) პირველივე სტროფები:

„მთაში მრავალი განველეთ ბილიცი,  
პირიქეთს უკვე ვასრულებთ თითქმის,  
ხვალ გადავდივართ მგზავრნი პირიქით,  
ძნელია,

მაგრამ  
იოლად ითქმის.

ღამის გათევა დაღლილებს ვესურდა,  
აუ დახედეღება,

გზა კი ცუდია,

დავრჩი ხანმატში ალუდაურთან,  
მასპინძელ ხეგსურს ერქვა ყულია.  
დავვიგო ქურქი ბანზე ყულიამ,  
დავვისხა ქერის არაყი წმინდა,  
ხანმატი გმირთა ძველი ბუღვა,  
ყულიაც ამბავს გვიყვება მშველად.

მასპინძლის სახეს არნა წყლული,  
ხანმატს გვაცნობს და გვიყვება ივავს.  
ქვები დამსკდარა

და დასიცხულა,

ბილიკს სოფელი ციხისკენ მიჰყავს.  
ყულია ამბობს: — ხო არა გიჭირთ,  
საქონელ თუ გყავთ, ბარელი ხალხო?  
თვალთ ვაგვზომავს დაბლობის ბიჭებს  
და საბაასოდ მოჯდება ახლო“.

განსხვავება მართლაც რომ თვალსაჩინოა და პრინციპული ხასიათის. ეს ლექსი, ისევე როგორც ამ პერიოდის სხვა ლექსები („უშგული“, „სვანური იავნანა“, „როშკელა ძილა“, „ძროხები რიშკაში“, „ფშაგ-ხეგსურეთის ბილიკებზე“) მოასწავებენ პოეტის მისწრაფებას თანამედროვეობის ნათელი და სისხლჭარბი რეალისტური საღებავებით ხატვისაკენ. ეს ჯერ კიდევ არ იყო პოეტისათვის საბოლოო სიმშვიდის ხანა, მაგრამ ეს უკვე სწორი და ფართო გზა იყო დასრულებული ოსტატობისაკენ. ეს ის ეტაპია პოეტის შემოქმედებაში, რომლის წინააღმდეგ თვით სიმონ ჩიქოვანმა სთქვა ჩინებულად ერთ-ერთ თავის უძვირფასეს შედეგზე:

„არის სიყრმის და სიმშვიდის შორის  
შესვენების თუ სიმორცხვის ყაპი.  
ხელში შეგრჩება დაღლილი ქორი,  
ჯამში დაშრება სპეტაკი შხამი.  
ეს ყაპი დაღდა, დავეუწვი, ძმანო



გამხდარ თითებში ნელდება ალი.  
პირველი ცეცხლის დახარჯვას ვწაბობ,  
როგორ ავანთო ფურცლებზე ბჭვარი!  
სულის თვისება, მღერა და ცრემლი,  
როგორ გამგევანო აპრილის კოვორს!  
ანუ ოსტატის გაწვრთნილი ზელი  
აღსარებისთვის აღმართო როგორ!

ფრთები მოტყდა თუ დამშვიდდა ქორი,  
გულს სიკაბუკე ამორის ლამის,  
არის სიყრმის და სიმწიფის შორის  
სინანულის და სიმორცხვის ეამი.  
ეს ეამი დაღა, მეცვლება ფერი,  
ველო დაქვანა და მცირე ხნით მოთოვს,  
მინდა მიწაზე ცხოვრება ჩემი  
ჰგავდეს ქარიშხალს და არა ფოთოლს.

ჩემო მამულო, მაჩუქე ნამი,  
შვეველე მინდვრად გამოსულ მთესველს.  
მტირალი მოველ მიწაზე ღამით  
და მინდა მღერით ავიღე მთებზე.

შემომამველე მისის თქორი,  
გულში ყვავილი დამიტყენს ლამის.  
არის სიყრმის და სიმწიფის შორის  
შესვენების და სიმორცხვის ეამი“.

როგორ გვხდავთ, „ფერისცვალების“ ეამს  
პოეტი შველას სამშობლოსაგან, თვით ცხოვრე-  
ბისაგან, სინამდვილისაგან მოელოდა, მამულს  
უნდა შთაებერა მისთვის ქარიშხლის სული.  
პოეტის იმედს სავსებით გამართლდა. ოცდა-  
ათიანი წლების ქარიშხლისაგან ცხოვრებამ შე-  
უქმნა მყარი ნიადაგი პოეტის შემოქმედების  
ახალ გაქანებას, მის „ფერისცვალებას“.

აი, რას წერს თვით სიმონ ჩიქოვანი ერთ-  
ერთ თავის წერილში (იგი რუსულადაა დაწე-  
რილი) მისთვის და საერთოდ საბჭოთა ლიტე-  
რატურისათვის ოცდაათიანი წლების მნიშვნე-  
ლობის შესახებ:

„Трудно сказать, какая пора — юность  
или умудренные опытом годы — более зна-  
чительна для писателя. У каждого из нас  
свой особый путь творческого развития.  
Одни рано достигают зрелости, другие дол-  
го сохраняют молодость, юношеский задор  
души. И у каждого возраста есть свое оча-  
рование и свой особый угол зрения на от-  
крывающийся мир. Наша советская лите-  
ратура еще очень молода, но и у неё уже  
есть разные периоды, каждый из которых  
чем-то своеобразен, в чем-то неповторим.  
По-моему глубокому убеждению, как для  
моих ровесников, так и для более старше-  
го поколения писателей весьма значитель-  
ными были 30-е годы.

В начальную пору моей литературной ра-  
боты основной творческой задачей я счита-  
л поиски необычной, оригинальной формы.  
И как раз 30-е годы, богатые бурными со-  
бытиями в жизни страны, ознаменованные  
глубочайшими процессами коренной пере-  
стройки всего её уклада, властно вторглись  
в творческую жизнь моего поколения, внес-  
ли в неё свои перспективы, обновили её, из-  
менили многие представления о сущности  
литературы, о её назначении, о подлинной  
революционности и подлинном новаторстве  
в поэзии.

Многие мои склонности и потребности —  
тяга к просторам и путешествиям, к жи-  
зни различных уголков моей родной Грузии  
и к жизни других народов — получают в эти  
годы новый глубокий и конкретный смысл,  
точную целеустремленность.

В плане творчества это был верный путь  
к реализму. 30-е годы стали для моего по-  
коления годами возмужания и зрелости.  
Для старшего дореволюционного поколения  
грузинских писателей они были порой твор-  
ческой молодости, второго рождения. Зре-  
лое мастерство и профессиональный опыт  
этих литераторов получили духовное под-  
спорье, жизненную и духовную опору.  
Именно тогда, например, создали свои луч-  
шие произведения о современности „Гвади  
Бигვა“ и „Похищение луны“ такие вполне  
сложившиеся мастера как Лео Киачели и  
Константин Гамсахурдия.

Я бы добавил, что 30-е годы для всей со-  
ветской литературы были годами зрелости  
и одновременно молодости, годами больших  
успехов и побед, годами торжества бес-  
конечно разнообразного социалистического  
реализма, реализма „Поднятой целины“,  
„Соти“, „Страны Муравин“, „Гвади Бигвы“,  
многих и многих прекрасных произведений  
прозы, поэзии, драматургии, принадлежа-  
щих перу писателей всех народов нашей  
многонациональной Родины“.

ასეთი ევოლუცია განიცადა ოცდაათიან  
წლებში სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში. საგანგებოდ  
უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ წლებში გა-  
მოვლინდა იგი, როგორც შესანიშნავი პეიზაჟის-  
ტი და ჟანრისტი. სწორედ ამ წლებში გამოქე-  
და მან აგრეთვე თავისი სასუეკარი და უსაყვარ-  
ლესი პოეტური იარაღი — ნათელი ფერმწერლუ-  
რი სახე და ელვარე მეტაფორა.

პოეზია—სახეებით აზროვნებაა. ეს ცნობილ  
ფრაზა დიდი ხანია გახდა კრიტიკოსებისა და  
ლიტერატურის მკვლევართა კეთვნილებად და  
ჩვენ ყოველთვის მივმართავთ მას საკამათო





თორიული საკითხების გადაწყვეტისას. მაგრამ განა ასევე ზშირად გვაგონდება ჩვენ იგი, როდესაც უშუალოდ პოეზიასა და პოეტებს ვაფასებთ? განა იშვიათია შემთხვევა, რომ ყოველად უმსგავსო „უსახეობა“ პოეტური სახის პრეტენზიას აცხადებს და ჩვენ კი წავუყრებთ ხოლმე და დუმილით გვერდს ვუვლით ამ სიხავედეს? ნამდვილი, ბედნიერად მიგნებული პოეტურის სახეების ღირსეულად შეფასებაც გვიჭირს ზშირად, რის გამო არა ერთი პოეტური შედეგია, რომელიც მკითხველმა შეიყვარა, კრიტიკოსების მიერ ჯერ არც კია „აღმოჩენილი“. სახეებით აზროვნება ბედნიერი ნიჭია და ეს ნიჭი მთელი სისრულით გააჩნია სიმონ ჩიქოვანს — პოეტური ხედვის, დიდი პოეტუციის მქონე პოეტს. მაგრამ „პოეტური სახის“ ცნების ამ ფართო მნიშვნელობის გარდა (რაც მოიცავს მხატვრული გამომსახველობის ყველა საშუალებას, ლექსის ინტონაციის, მელოდიკისა და რიტმიული ორგანიზაციის ჩათვლით), არსებობს მისი უფრო ვიწრო გაგებაც, რომელიც გულისხმობს ლექსის სურათოვნებას, ფერმწერულ თვალსაზიროებას და მოითხოვს პოეტისაგან არა მარტო სახეებით აზროვნებას საერთოდ, არამედ, პირველ რიგში, ფერმწერულად და მეტაფორულ აზროვნებას. სიმონ ჩიქოვანის სახეებით არის დაუფლებული სავანში ახალ-ახალი წახაგების აღმოჩენის უნარს, იგი ხედავს სავანს არა ერთ სიბრტყეში, არამედ მის ყველა განზომილებაში, პოეტის თვალი თითქოს ჰკვეთს კიდევ სავანს, ბოლომდე განსუკრეტს მას, ხედავს მის მიღმაც, მის გარშემოც, ამჩნევს იმას, რაც დამალულია ჩვეულებრივი თვალისთვის. სიმონ ჩიქოვანისთვის ყოველი სავანი თუ მოვლენა — ურიცხვ ასოციაციათა წყაროა, ისინი ახაზრობებენ ფიქრსა და გრძნობას, ოცნებასა და მოგონებას, ჰბადებენ მახვილ აზრსა და ღრმად ღრამატიზირებულ განცდას.

...ვინ არ მოხიბულა დამესული თბილისით, მაგრამ განა ყველას შემუშინებია, რომ ქალაქში მოციმციმე ჩირაღდნები მოუსვენარი კიაფით კალიებს მოგვაგონებენ, ხოლო მთებზე გადმომდგარი სახლები კი კარებგაღებულ გაღიბებს? ან თუ შეგიმჩნევიათ, რომ „მტკვარი თბილისში შუქით შემოდის“ და „შენობის ფანჯრებს უერთდება“? აი, უცერად ქუქუნა წვიმა მოვიდა, დაირეკა თბილისის ქუჩებზე კალთები და კვლავ ქურღულად მიიშალა — თითქოს არაფერი მოხდოდა. ქუჩები ისევ აივსო ხალხით, პოეტი კი გაშეშდა მონუსხული, იგი ხედავს საოცარ მეტამორფოზებს: წვიმას უადრებისათვის სილამაზე შეუმატებია, ხოლო მთაწმინდას თუ გახედვ კვეთიდან, დანახავ, რომ მთაზე მაღლა ამავალი სახლები მთასველღებვით ისვენებენ. რა სჯობია ასეთ ღროს გამოაღო ჯერ კიდევ წვიმიან დაორთქლილი კარი,

გარეთ გამოხვიდე ბავშვების ძახილზე და გამოთან ერთად გაშრე პირდაბანილო მზის ქვეშ („მდინარის შემოსვლა“, „ნაწვიმარი“), ანდა აი სამეგრელოს საღამოს პეიზაჟი — მიგნებულ ფერებით შესრულებული:

„ზღვაზე მზე დადა, როგორც ირემი, ალანდა რქები მოლურჯო ბრილში, ალღები, როგორც ტურფა ცირები, დაისს ელიან სამეგრელოში.

შეირხევიან მეტყველ შრიალით, ამავალ მზისგან იღებენ ფერებს, და ზღვაზე ვაგვით სხვი წყლიანი თითო ხეს თითო ვარდს მიაკარებს.

შეიჩერებენ გლენები თოხებს, უყვართ ნიაფი და ჩერობი. სამეგრელოში ოდებს და ქოხებს ამკობს ალღების კენწერობი.

ქალიც დონჯით დგება დოჭივით. გადატეხილა მუხა ბებერი, შორს ორთქლმავალი გზაზე მოპკივის და ზღვისკენ მიჰქრის მატარებელი.

ახლაც შრომობენ სოფლის გმირები, გზაზე სიმღერა და ურმებია, როგორც ცირები ატყორცნილები, ალღებიც ზღვისკენ ეშურებიან.

ღგება საღამო და ოტარილი ტყიდან ამოდის ზეცის ტილოზე, ბინდია მშვიდი და მოსარილი ზღვის შექალაქებულ მარმარილოზე.

მწუხრი მყარდება, სივრცე წყნარდება, ზღვის სუნთქვაც აკრთობს მყუდრო სავანეს. თითქო ბუნება შრომით ლოდდება და მშვიდად ყოფნას ზღვისაც ავალებს.

ზღვის ფირუზებში ყრთან საფირებს, ძვირფასი თვლებს მნები გროვდება. და შორს გაწეულ პონტოს ნაპირებს მატარებელი უახლოვდება“.

იური ოლქში შენიშნა ერთხელ: მეტაფორის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მხატვარი თითქოს უკარნახებს მკითხველს იმ მსგავსებას, რომელიც მკითხველსაც მოსდიოდა თავში, მაგრამ ვერ ჩამოუყალიბებიაო. აქედან გამომდინარე იგი აკრიტიკებს ზოგიერთ თავის მეტაფორას, რომლებიც მას მეტად განატიფებულად მიაჩნია. იქნებ ოლქმა მართალიც არის, როდესაც უპირატესობას აძლევს პირველი რიგის მეტაფორებს, მაგრამ განა ცუდია, თუ მეტაფორა მოგვანიჭებს ჩვენ არა მარტო ნაცნობის დანახვის, არამედ აღმოჩენის სიხარულსაც? თუ იგი არა



მარტო „გვიბრუნებს სამყაროს პირველადს აღქმას“, არამედ გვიანებს კიდევ მას? სიმონ ჩიქოვანი მეტაფორის ნამდვილი და დიდი ოსტატია, იგი უზიარებს მკითხველს როგორც ცნობის, ისე აღმოჩენის სიხარულს (იგივე ითქმის თვით ოლეშაზე პროზის დარგში). პოეტი მხოლოდ ორ ამოცანას, ორ წინაპირობას სახავს თავის წინაშე, რათა ნაწოს გამოძახილი მკითხველის გულში: პოეტური სახე უნდა წარმოშვას ნამდვილმა, გულწრფელმა განცდამ, „სტრქიონი“ უნდა დაბადოს „წრფელმა პანგმა“ და „გალობა“ შეთანხმებული უნდა იყოს „სუ-რათთან“, „გრძნობამ“ უნდა მიიღოს „სახე“.

„ხმების ოსტატი არა ვარ, ვციცი, ხმა მიწყდება თუ მიწვივის ყური, მე მხოლოდ ხილულ მშვენიერებით ვიწვი და ბაღს მიაგავს პატარა გული.

თვალი ბაღებში საღებავს ეძებს, მზიბლავს ბუდეში ელვარე კვერცხი. გულზე მოვიხვევ მაშულის ფეხებს და გზას მინათებს ჩიბუნის ცეცხლი.

ვიცი, სურათსაც სჭირია ფრთები, უფერულია გაშლილი კალოც, თუ ზედ არ დაქრის მომღერლის ხმები და თუ ხორბალთან პაპა არ გალობს.

ამიტომ, სანამ საღებავს ვერთავ, ან წრფელი პანგი სტრქიონებს პბადებს, მეგობარ მკითხველს გულისთქმა ვუთხარ, რომ ხმის ჰაშინიკა აიღოს ადრე...

როცა ხმის კილოს და გულის კოკორს ყურით და თვლით გასინჯავს ტოლი, მაშინ შეგრჩება გალობა, როგორც ირმის ნახტომად ნარჩენი ზოლი“.

ეს სიმონ ჩიქოვანის პროგრამული ლექსია, სადაც გადმოცემულია პოეტის შეხედულება ხელოვნების ბუნებასა და დანიშნულებაზე. ამ თემას იგი ხშირად უბრუნდება და ცდილობს რაც შეიძლება ხელშესახებოდ გამოთქვას თავის აზრი. რა კავშირი აქვს თითქოს შუალამით მეთევზის სტუმრობას და პოეტის შემოქმედებითს ძიებას, მის დაძაბულ ფიქრებს? მერამ აი, პოეტი ავირიდება წყლიდან ამოცევილ, აჯანკალბულ ცოცხალ თევზებს, სულს რომ დათავუნ თავიანთ მყუდრო სამყაროებს მოწყვეტილნი. როგორ არ აგვესება გული სიამაყით, რომ ადამიანი ხარ, რომ თევზის სისხლი არა გაქვს, რომ შენს ლექსს არ ეშინია უბინაობის, არ უფრთხის სივრცეებს, შორეულ გზებსა და აღმართებს! რაც თევზისათვის წყალია, ის პოეზისათვის დედაქალაქის უსასრულო სივრცეა!

ისე იბადება შედარება აჯანკალბულ თევზსა და ათრთოლებულ პოეტურ სტრქიონს შორის:

„ხელს შეახებ და მოკვდება თევზი! სტრქიონი ხელის შეხებით ცოცხლობს; თევზს ეკარგება ოთახში ფესვი და ეკუმება თვალები მომცრო.

სტრქიონი ეძებს სხვის გულში ბინას, ხავერდის დარად ოხულობს ალერსს, პოეტის სულშიც მებადურს სძინავს და მხოლოდ წყალთან გაახელს თვალებს.

თევზი წყალში და სტრქიონი გულში, ან გაზაფხულში კვირტების ფეთქვა, იღუმალი ხმით მეძახდა გუშინ, რომ შესაფერი სიმღერა მეთქვა.

ჩემო მეთევზევ, გრძნობები წიადს მოწყვეტილან და ხალხთან წასულან. გულიც ვარდივით უღიმის ნიავს, თუ კი სიხარულს ვიღებ პასუხად.

ჩვენ ცეცხვოვობთ მთაში, გადაშლილ ბარში, ქარიშხალში და მდინარის პირად, ჩვენ ცეცხვოვობთ ხალხში, წინაპრის ხმაში, და შთაგონებით ვიღლებით ხშირად.

ფერებს ბუნების წიადში ვპოვებთ, სიბოზს გვიწერავს მისივე ფესვი. ჩვენ ვეტრფით წყალთან შენს სიახლოვეს და, როგორც ბადე, ირჩევა ლექსი.

მშობლის სიტყვა და კერიის ფერი, მოულოდნელი წვიმა მაისის, წარბზე დაყრილი წიგნების მტერი და სილამაზე მეგრულ დაისის,

მეგროვდება და ჰაბუკის გულში ახალ მდინარის სათავეს ბადებს, თუ ვერ შევიპყრეთ თევზები გულში, დღეს ამოვიღებთ აგებულ ბადეს.

შემდეგ, როდესაც აღიონივით შეგვეპარება ჰალარა თმაში, მოეწიფდებით და წელთა რონინი სიბრძნელ იქცევა სამღერად ხმაში“.

„ბრწყინვალე ფერმწერლური სახეების ოსტატი“ უწოდა სიმონ ჩიქოვანს ბორის პასტერნაკმა. ჩვენ კვლავ მივმართავთ ამ პოეტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რადგან ამ შემთხვევაშიც მან, როგორც მთარგმნელმა, რომელიც ღრმად არის ჩახედული სათარგმნელი პოეტის „ოსტატობის საიდუმლოებაში“, შეს-





ქლო მისი პოეტური თავისებურების ზუსტად განსაზღვრა.

თვთ სიმონ ჩიქოვანი ასე ასახულებს თავის პრინციპალურ ორიენტაციას პოეზიის სახეით საშუალებათა გაფართოებისაკენ ერთის მხრივ ფერმწერლური ხერხების, ხოლო მეორეს მხრივ „მაღალი პროზის“ ელემენტების ხარჯზე: „მე ვაშინვე ვფიქრობდი, და ახლაც მგონია, რომ ფერწერის თუ მუსიკის ზომიერი შექრა პოეზიაში დიდი ცოდვა არ არის. მე ყოველთვის მომხრე ვიყავი ლირიკული პოეზიის ჩარჩოების გაფართოებისა და ვიცავდი ლირიკულ ლექსშიც მაღალი პროზის ელემენტების შექრის აუცილებლობას. პროზის თვისებები ლირიკულ პოეზიას ამდიდრებს და მისი საშუალებით იგი ახალ საფეხურზე ადის, მისი პორიზონტი იზღებდა, პოეზია დიდ პოეტურ განზოგადებას. და ფართოდ გაგებულ მხატვრულ აზროვნებას ეჩვევა. რასაკვირველია, სხვა ხელოვნების თვისებები ისე უნდა იყოს შესული ლირიკულ პოეზიაში, რომ ისინი პოეზიის ენად უნდა იქცენ და, ამდენად, არ უნდა წარმოადგენდნენ ლექსში ფერწერის თუ მუსიკის ენის განმეორებას. მაღალ საფეხურზე ასული ლირიკული პოეზია არ ერიდება არც აღწერას და არც პოეტურ თხრობას. თუ რომელიღაც და მაღალი გემოვნება დაკულია, მაშინ ხსენებული თვისებები პოეტური კულტურის სიმაღლის მაჩვენებელია და არა მისი გადაგვარებისა“. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას, ოღონდ არ უნდა გამოვაცხადოთ იგი ყველასათვის აუცილებელ პროგრამად და საერთოდ ყოველგვარ მაღალ საფეხურზე ასული ლირიკის უქველ თვისებად. გალაქტიონ ტაბიძის პოეტურმა პრაქტიკამ საყვებით დადასტურა, მაგალითად, პოეზიაში მუსიკალური ხერხების დანერგვის კეთილისმყოფელობა, ხლო თვით სიმონ ჩიქოვანის გამოცდილება პოეზიაში ფერწერისა და „მაღალი პროზის“ ხერხების გამოყენებისა მოწმობს ამ გზის პერსპექტივიანობასაც. (გაეხსენოთ აგრეთვე, რომ ახალგაზრდა მიაკოვსკის პოეტიკაშიც ძალზედ დიდი ზედიერთი წონა ჰქონდა ფერწერიდან შემოქმედებითად გაღმონერგულ ხერხებს. ის ხომ ხანდახან თავის ნაწარმოებებს სახეით ხელოვნების ტანრების სახელწოდებებსაც კი არქმევდა, მაგალითად „შარვლიან დრუბელს“ მან „ტეტრაპტიხი“ უწოდა. ასევე მოიქცა ალექსანდრე გრიგორევი თავისი შესანიშნავი „პოეტური გრაფიურების“ ციკლში). აღსანიშნავია, რომ თუ ოცდაათიანი წლების მიჯნაზე, სწორედ „ფერისცვალების“ ხანაში, სიმონ ჩიქოვანის პოეტური სტილის ზემოთ მინიშნებული ელემენტები — ფერმწერლური სახე, მეტაფორა და „მაღალი პროზა“ გამოყენებული იყო უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთისაგან იზოლირებულად, სხვადასხვა ნაწარმოებებში (მაგალითად,

თხრობითი, პროზაული, „შემოღამება ხანმატემა“ და მეტაფორული „სამეგრელოს საღამოები“, უფრო გვიანდელი ლირიკაში ისინი უფრო ხშირად სინთეზირებულია და ორგანიულად შერწყმული ლექსის ერთიანი ლირიკული კომპოზიციის ფარგლებში.

უნა, რაც შეეხება კომპოზიციის (რაც სიტყვამ მოიტანა: ჩიქოვანის ლექსის მეტაფორულ სტრუქტურა განსაზღვრავს მის კომპოზიციურ აღნაგობასაც, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ემყარება არა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და სახეთა ლოგიკურ თანმიმდევრობას, რაც ჩვეულებრივი ლირიკული დეკლარაციისათვის და ეპოსისათვის არის დამახასიათებელი, არამედ შინაგან, მეტაფორულ ასოციაციებს. როგორ აფართოებს ეს ლექსის სახეთს შესაძლებლობებს, როგორ აძლიერებს მის გამომხატველობას და შთამბეჭდაობას! მეტაფორა ეხმარება პოეტს ისტორიისა და თანამედროვეობის დიაგნოზირებაში, გეოგრაფიულად აშორებული მხარეების დაახლოებაში, ერთმანეთისაგან თითქოს მეტად შორს მდგარი საგნებისა და მოვლენების შინაგანი, უხილავი ნათესაობის აღმოჩენაში. იქ, სადაც ასეთი კავშირის დასამყარებლად პოეტს ურცელი ლირიკული მონოლოგი ან დეტალურად მოტივირებული აღწერა ან თხრობა დასკირდებოდა, მეტაფორა უმალ, ხშირად ერთი სახის მეშვეობით აღწევს მიზანს. ასე, მაგალითად, ერთადერთი მეტაფორის თანამიმდევრული რეალიზაცია (ლექსის შედარება ჭოგრიტთან, რომელიცაც პოეტმა განსკვრიტენ მომავალს) აძლევს სიმონ ჩიქოვანს საშუალებას ბრწყინვალედ გადაწყვიტოს თეიმურაზ პირველის ტრაგიკული ბედის თემა თანამედროვეობასთან მიმართებაში:

„გაალებს სარკმელს, ჰდარიდან გვრიტო  
გადმოფრინდება ქამთასელის აქეთ,  
ბერი მგოსანიც ლექსის ჭოგრიტით  
შორიდან უჭვრეტს წრეგანდელ კახეთს.

და ამბობს მეფე: მეფეთა ქომავს  
ვერ ვხედავ, ალბათ დადგა ავღარი,  
ნუთუ დაშვენდა ტახტს შემოდგომა  
და შემოდგომის ზოკყვა ზამთარი?

არსად არა ჩანს ქოხები ისლის,  
აივანზეა მოდგმა ღარიბის.  
მოძმის ძახილი ჩრდილოეთს ისმის,  
კახეთში. რეკენ შვევის ზარები.

აზარფეშაში სჯობნის წინანდელს  
ღვინის ქაშნიკი და ხელოვნება.  
ღვიძავს ალაზანს, ღვიძავს წინანდალს  
და სხვაგვარია ქართლის ცხოვრება.



გხედავ, რომ ტახტი მოუსრავს იღბალს, ღირ ვახსოვარ სოფლებს შეფენილს, საუკუნეთა მანძილის მიღმა ლექსი მეფობს და არა მეფენი. — მოხუცი დარღობს მამთა ძვლებზე, ლექსის ჭოგარტი ხელთ გაფარდება, გაღიშულიებს ჭოგარტი წლებზე, ჩამოვარდება გლეხის ვარდებთან. აიღებს გლეხი უძველეს შაირს, მტვერს მოაშორებს და შიგ ჩახედავს, ვერ გამოიცინობს კახეთის პაერს და ვერც ბილიჯე მომავალ მხედარს. მაგრამ იფიქრებს, თხზავდნენ ამფერად ოდესღაც მტანჯველ ცხოვრების ლექსებს. აიყვანს სტრიქონს და გასაწვრთნელად როგორც მიმინოს, მიუალერსებს. ხედავს მეფე და ბრახდება თითქო: ჩემი შაირი მე თვით მაფუქებს. დახურავს ფანჯრებს და მეფე თვითონ მუშტს ჩამოკრავს და ვარამს აყუჩებს.

ჩაიკარგება ნამყოში მეფე,  
და კახელები მოსვალს კრეფენ“.

როტული ჩანაფიქრის ასე შიამბეჭდავად განსახიერების საშუალება მხოლოდ ორიგინალურმა მეტაფორამ მისცა პოეტს. ვერცერთი სხვა, პირდაპირი და შემოვლითი ხერხი ვერ შეახსანიებდა ერთი ლექსის ლირიკული კომპოზიციის ჩარჩოებში მეჩვიდმეტე და მეოცე საუკუნის საქართველოს თვინათი პეიზაჟითა და აღმანიებით, ვერ შეახვედრებდა თეიმურაზსა და დღევანდელ გლეხს, ვერ შეაუღლებდა დროისა და სივრცის ყველა განზომილებას. რომელი ლირიკული მონოლოგი ან ეპიკური თხრობა აუცილოდა ამ ამოცანას? ამავე დროს სწორედ ამ ლექსში არის მეტად თვალსაჩინოდ მოცემული მეტაფორული წყობის, ფერმწერული საღებავებისა და „მალხლი პაროზის“ ელემენტების სინთეზური შერწყმა, რაზედაც ზემოთ გვეჩინდა ლაპარაკი.

ანალოგიური პოეტური პრინციპის გამოყენება ერთერთი თავის უახლეს ლექსში („პოლონეთის გზაზე“) აძლევს სიმონ ჩიქოვანს შესაძლებლობას არანაკლებ ბრწყინვალეობით გადაჭრას როტული ლირიკულ-პუბლიცისტური ამოცანა. მეტაფორა აკავშირებს აქ ერთმანეთისაგან დაცილებულ ისეთ სახეებს, როგორცაა პოლონეთის თოვლიანი გზები, სამშვიდობო მოქონების გაშლილი ქათქათა ფურცელი, თეთრი სუფრა მატარებლის კუბეში, სადაც მეგობრობის სადღეგრძელო დაილია. მეტაფორა აახლოებს ვოლგას, ვისლას და მტკვარს, მეტაფორას გადაკაყავს პოეტი მშობლიურ თბილისში, მეტაფორა აცოცხლებს პოლონეთის გზაზე შორს დაჩრდილი რუსეთის სახეს:

„არ მეგონა, თოვლის ფიქვი  
რომ თვალს აგრე გაართობდა,

მოფრიალე თეთრი ფიქვი  
ამდენ გრძნობას დამათოვდა.  
ახალ გზაზე მიქრის ფიქვი,  
ფიქრის არე გაფართოვდა.  
გზას კეცივ და ვლანდავ ნაწილს,  
სოფლის გზას თუ დაბად ოლეს.  
არყის ხე ჰგავს ქერა ყმაწვილს,  
ჩაურბენ და ჩივებოვლებს.  
თოვლს დანათის თეთრი ქერტით,  
ჰგავს რუსეთის პირველ შიკრიკს.  
მე არყის ხეს თოვლში ვეტრეფი,  
რტოს მირხვეს და გზაზე მიქრის,  
არ ატყვია ნისლის ბადე,  
მტერმა არყი ვერ დაბნდა.  
მოსკოვიდან ვარშავამდე  
ფიქვი ყველაგან ვადაფრინდა.  
გალაშორდა სახლეგრის მიჯნას,  
შორს მიჰყვება არყის ნათელს  
და სამშობლოს მიღმაც გხედავ  
ჩემი ქვეყნის სიღიადეს.  
გავათენე თეთრად წუხელ,  
განვვლე წლები და მინდვრები,  
პოლონეთის ყანას ვუმზერ  
და არყის შუქს ვეწინდები“.

სიმონ ჩიქოვანი ლექსის შეკრული კომპოზიციის ოსტატია. მისი პოეტიკა ამ მხრივაც დამეტარალურად ეწინააღმდეგება გიორგი ლეონიძის პოეტიკას. გვეხსენათ ლეონიძის პოეტურ სახეთა თავშეუყავებელი, მჩქეფარე ნაკადი, გრძნობისა და სიტყვის ბოზოქარი წყალიდობა, როდესაც ხანდახან ისეთი შიამბეჭდილება გრჩება, თითქოს პოეტი ვრთადერთ კომპოზიციურ ხერხად მკაცრი კომპოზიციის უქონლობას სცნობს და შეეადაროთ ეს სიმონ ჩიქოვანის პრინციპულ გამიზნულობას:

„დიდი პოეტის თვისება არი  
გრძნობას სიფრთხილით გაუღოს კარი,  
თუ გაედენთილი არ არის ქანარი,  
არ შეაშფოთოს მთვლემარე ლარა.  
არ დააყვინოს დაშვება ლუნის,  
ნაწვიმარ სულში დაწრიტოს ღვარი  
და მიმოქცევას მღელვარე მუხის  
გზა უჩვენოს და დაუღოს ზღვარი“.

ეს არ ნიშნავს, რომ ორივე პოეტი არ ჰქონია გადახვევები ამ პრინციპებიდან. გიორგი ლეონიძისა და დღევანდელი ზღვარი მღელვარე მუხის მიმოქცევისათვის და სიმონ ჩიქოვანისა შეუშფოთებია მთვლემარე ლარი წინასწარ გაუთვალისწინებლად, ვერ დაუთმოა „მოსული სიტყვა“, მაგრამ მთავარი აქცენტები მათი პოეზიისა და მთავარი შიამბეჭდილებაც მკითხველისა სწორედ ისეთია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. მამიტიური კითხვა იქნებოდა, თუ რომელი პრინციპია უფრო სწორი,



რომელი გზა უფრო სასიკეთოა. პოეზიის მთელი მომზიდლობა და მისი ჭეშმარიტი სიმდიდრე სწორედ ასეთ მრავალფეროვნებაშია. ორივე პოეტის შემოქმედებითი პრაქტიკა საცნებით ადასტურებს ორივე გეზის კეთილმოყოფილობას და კიდევ ერთხელ ამტკიცებს მთავარის მოსწრებულ თემის სიპართლეს „კარგი და განსხვავებულ“ პოეტების შესახებ.

ჩვენ აქამდე ვლახარაკობდით სიმონ ჩიქოვანის ლექსის ბუნებაზე, მისი პოეტური სახეების თვისობრივ თავისებურებაზე, იმ „ლექსის ჭოგრიტზე“, რომლითაც იგი ხედავს სამყაროს. როგორიღაა თვით ეს სამყარო? რა თქმა უნდა, პოეტის სახეების შესწავლისას ჩვენ არ შეგვეძლო არ შეგვენიშნა ისიც, თუ რას ვამბობტავენ ისინი (პოეტური სახე ხომ ფორმისა და შინაარსის ერთიანობაა), პოეტის „ჭოგრიტის“ ობტექურ თვისებებსაც ვერ შევადვანებდით, მასში რომ არ ჩაგვეხედა და არ დავვენახა ის სახეები და მოვლენები, რომელთაგენაც იგი პოეტმა მიმართა. ამიტომ ჩვენ ამჯერად დავემყოფილდებით მხოლოდ ზოგიერთი განზოგადებით, შევეცდებით სიმონ ჩიქოვანის პოეტურ ხილვათა თუნდაც პარობითი წრის შემოფარვლას. მაგრამ მესხიერება აქვე გეკარანახოს სტრიქონებს, რომლებიც თითქმის საცნებით უარყოფენ ასეთი ცდის უფლებამოსილებას:

„თვალს არ უნდა წრის შედობვა,  
მშური გრძნობა გულმა თესოს.  
მცირე ეზო რას მყვოდა,  
მე მეზობელს ვუღებ ეზოს.  
არ ვიზომავ მიწას მტკაველს,  
ლარ ვხმარობ ჰაპის საკეკს,  
თერგის დარად ხევით გაველ  
და თვალს ვაჩევე ფართო ვაკეს.  
შორით ვუმზერ მალალ მყინვარს,  
მთაში რომ ქმნის მრავალ სივრს,  
მინც რამდენს გავწვდე, მითხარ,  
მტკვარს გავწვდე თუ ვნისეის?  
თვალი აპყვა მთაში არწივის,  
მივუღობე ფიქრი არეზს,  
და საბჭოთა ქვეყნის ნაწილს  
უსაზღვროდ ვთვლი მშობელ მხარეს.

მშური გრძნობის განტოტებამ  
მრავალ სახლში მარგო წილი,  
შინ დნებარის ხმა მაგონდებდა  
და შორს გზაზე უშმის ჩრდილი.

მე მუდმივად მტკვართან ვსახლობ,  
ცა-ფირუხი მადგას ჭერი,  
თხუთმეტი მმა ცხოვრობს ახლო  
და შინ ქართულ ხმაზე ვმღერი.

წმინდა ნიავს მთები მახლის,  
არ ვიკარებ გულზე ღრუბელს,

და მტკვრის პირას ჩემი სახლი  
მოსკოვის ზღვას კარებს უღებს“.

და თუ მართლაც არ ღირს პოეტის პოზიონტის, მისი თვალთახედვის „წრის შედობვა“, თვით ასეთი განწყობა შემოქმედისა, მისი ლტოლვა ცხოვრების „ფართო ვაკეებისაკენ“ განა არ შევადგენს სიმონ ჩიქოვანის პოეზიის იმ საძიებელ კოფიციენტს, რომლის მონახვასაც ჩვენ ვცდილობდით? და სწორედ იმისათვის, რომ პოეტურად გამოხატოს თავისი ლირიკული გმირის ინტერესთა სიფართოვე, „უსაზღვრობა“, პოეტმა უნდა გამოქმენოს კონკრეტული, ვარეგნულად განსაზღვრული, „წრეშემოლობილი“ სახეები, რომლებიც, ამევე დროს, შინაგანად საკმაოდ ტევანდე იქნებიან პოეტის შემოქმედებითი მიზანდასახულობის განსახორციელებლად.

აი რას ვკითხულობთ ჩვენ სიმონ ჩიქოვანის ავტობიოგრაფიაში (ისიც რუსულად არის დაწერილი ერთი რუსული გამოცემისათვის): „С юношеских лет меня влекло к дорогам — близким и дальним. Я пешком обошел почти все уголки Грузии. Много путешествовал по братским республикам. Тема дороги органически вошла в мою поэзию, и мои стихи о России, Украине, Армении — лирическое выражение этой, близкой моему сердцу, темы. Дорога, однако, для меня понятие гораздо более широкое, чем это непосредственно подразумевается в этом слове“.

და მართლაც, გზა სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში არის არა მარტო გზა მტკვრისპირეთისაკენ და შვი ზღვისაკენ, სეანეთისაკენ და ხევსურეთისაკენ, რიცხისაკენ და სეკანისაკენ, რუსეთ-უკრაინის ველებისაკენ და ოდერსა თუ ვისლასკენ, — იგი ყველგან და ყოველთვის არის სიყვარულის „გზა და ხიდი“, გზა სატრფოსა და მეგობრის გულისაკენ, თვისტომისა თუ უცხოელი მომძის გულისაკენ. ეს გზა გაწოლილია ხშირად არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიც — მის მიჰყავს მკითხველი სამშობლო მხარის წარსულისაკენ და მომავლისაკენ, თუმცა საწყის და საყრდენ წერტილად მას ყოველთვის თანამედროვეობა აქვს.

როგორც ვხედავთ, გზა, რომელიც აბრჩია სიმონ ჩიქოვანის მუზეუმ, მართლაც არ არის „წრეშემოლობილი“, იგი გაწოლილია და ფართო, მაგრამ სიფართოვეცაა და სიფართოვეც. ამიტომ ჩვენ აქ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ სიმონ ჩიქოვანისათვის ლექსის ექსტენსივობის ზრდა არასოდეს არ ნიშნავდა მისი ინტენსივობის შენელებას, ზერელობის შემოჭრას პოეზიაში, პოეტური ბალობით გატაცებას, რაც, სამწუხაროდ, მეტად ხშირად მოსდით ზოგიერთ „მრავალთემიან“, „აქტუალისათვის თავშეწირულ“ პოეტებს. სიმონ ჩიქოვანის ღრმა რწმენით (კვლავ მოგვყავს ციტატა მისი ერთ-ერთი რუსული წერილიდან), —



„Для написания стихотворного цикла недостаточно впечатлений, полученных во время путешествия... Каждому путешествию, которое в будущем должно стать предметом поэтического воспевания, должна предшествовать предварительная духовная подготовка, и только в этом случае путевые впечатления органически входят в духовную биографию поэта. Без этого нельзя создать стихотворение большого общественного звучания. Даже для маленького лирического стихотворения требуется зрелость впечатлений, взятых из жизни и выношенных в глубине души. Если высокие чувства и мысли не успевают пустить корни в душе поэта, то вместо лирического раскрытия действительности мы часто видим только восклицательные знаки“ (Симон Чиковани — „Высокая простота“. „Литературная газета“, 1955, 29/III).

მხოლოდ ასეთი მიდგომა პოეტისა მასალისადმი უზრუნველყოფს მისი თვალთახედვის ნამღვივალ სიფართოვეს, მისცემს მას შესაძლებლობას ლირიკულად გახსნას სინამდვილე, რომელიც არ იქნება არც „წრეშეღობილი“ და არც „მტკაველებით გაზომილი“, დაანახვინებს მას თავისი სამშობლო მხარის ჭეშმარიტ „უსასრულობას“ და მიანიჭებს უფლებას მთელის ხმით განაცხადოს:

„ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,

ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე, ვინ მოიგონა სიმცირე მისი.“

აბა, შეადგით ერთმანეთს მთები, მთები, შემკული სხივების სირმით, ააშრიალეთ არწივის ფრთები, კლდით გაიგონეთ ყვირილი ირმის.


ყოველ მაღლობზე ციხე და კოშკი ნახეთ, აზომეთ ოსტატის მზერით, ან მოაგროვეთ უხსოვარ დროში ჩვენში დაღვრილი ბუნების ფერი.

გაზომეთ ქარი თუ ქარიშხალი, ჩამწყვედული რომ დმუოდა ხევით. წყალი მქუხარი და სამშობარი და ავარდნილი გუმბათი ზევით,

წინაპრის მიერ განვლილი სივრცე, ეამი, ძლეული გაფრენილ ცხენით და გორგასალის ნაბიჯი მტკიცე, მთად აღბეჭდილი ქართველის რწმენით.

შეაღეთ ბრძოლით გაწვრთნილი ხელი დარუბანდიდან მოტანილ კარებს და გაიხსნება სამშობლო ჩემი, უსასრულობის შემცველი მხარე.

ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი, ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე, ვინ მოიგონა სიმცირე მისი“.





### ბ. გვინეჯაძე

### ილია გვახედაშვილი

## მაქსიმ გორკის პირველი ჩამოსვლა საქართველოში

ცნობილია, რომ დიდი პროლეტარული მწერლის მ. გორკის ცხოვრებასა და შემოქმედებაში საქართველოს საპატიო ადგილი უჭირავს. მან საქართველოში დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა და აქვე მიიღო რევოლუციური წრთობა მოწინავე ინტელიგენტებსა და მუშებს შორის. 1931 წელს თვითონ გორკი საქართველოს შესახებ წერდა: „სწორედ ამ ქვეყნის დიადმა ბუნებამ, მისი ხალხის რომანტიკულმა სილიბოემ, სწორედ ამ ორმა ძალამ მომცეს მე ბიძგი, რათა მონებთალიდან ლიტერატორი გავმხდარიყავი“. აქედან გამომდინარე უდავოა, რომ მ. გორკის ცხოვრებისა და შემოქმედების გაგებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მწერლის საქართველოში ყოფნის პერიოდის შესწავლასაც.

მ. გორკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას ჯერ კიდევ ცხრაასიანი წლების დასაწყისში ეყრება საფუძველი საქართველოში. მის შემდეგ ამ თემას არა ერთი და ორი მკვლევარი შეჰხვებია. მაგრამ თითქმის ყველა ისინი ნაკლებად იყენებდნენ საარქივო მასალებს, რის შედეგადაც საქართველოში გორკის მოღვაწეობა ჯერ კიდევ არ პრის სათანადოდ გაშუქებული. ამიტომ საარქივო მასალებზე შედგენილი ყოველი ახალი ნარკვევი ამ საკითხს მეტ სინათლეს ჰყენს. ამ მხრივ ყურადღების ღირსია ბ. პირადოვის შრომა „მაქსიმ გორკის შემოქმედების სათავეებთან“, რომელიც ახლახან გამოაქვეყნა გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“.

ამ შრომაში საარქივო მასალების საფუძველზე აღწერილია მ. გორკის პირველი ჩამოსვლა საქართველოში 1891 — 1892 წლებში და თბილისის მოწინავე, რევოლუციური ახალგაზრდობის ის წრე, რომელშიც ტრიალებდა მომავალი პროლეტარული მწერალი. მ. გორკის საქმიანობა ავტო-

რის მიერ გაშუქებულია საქართველოს მუშათა მოძრაობასთან მჭიდრო კავშირში. იგი დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ რა დადებითი გავლენა მოახდინა ამ მოძრაობამ მ. გორკის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ეს ის პერიოდი, როცა ჩვენში თანდათანობით ვრცელდებოდა მარქსიზმი და ეუფლებოდა მუშათა მოძრაობას.

ავტორი ზოგჯერ მკითხველს აწოდებს ისეთ ფაქტებს, რომლებიც აქამდე ან სრულებით არ იყო ცნობილი, ან კიდევ ნაკლებად იყო გაშუქებული ლიტერატურაში. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მასალები თბილისის მუშათა პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ, რომელიც ჩამოყალიბდა ფარულად 1887 წელს. ამ ორგანიზაციის ჰქონდა თავისი „პროგრამა“. ეს „პროგრამა“ მოითხოვდა მუშათა მოძრაობისადმი ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციას, მუშათა საბრძოლო რაზმების შექმნას, ჯგუფური მეცადინეობებისა და კრებების ჩატარებას და სხვ. როგორც აღმოჩენილი საბუთებიდან ჩანს, ამ ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მუშათა გაფიცვების მოწყობის საქმეში. ეს ორგანიზაცია, რომელიც უკანასკნელ ხანებში „მუშათა კავშირის“ სახელწოდებით მოქმედებდა, ეანდარმერის მიერ 1889 წელს განადგურებული იქნა. ნაშრომში ნაჩვენებია მ. გორკისა და „მუშათა კავშირის“ ყოფილ წევრთა ახლო ურთიერთობა.

სარეცენზიო წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ამიერკავკასიის რეინოვის სახელისნოში მ. გორკის მუშაობის პერიოდს. იმ დროისათვის ასეთ მსხვილ წარმოებაში მუშაობამ დიდი გავლენა იქონია მომავალ მწერალზე და კიდევ უფრო დაუახლოვა იგი მუშათა კლასს. აქ გორკი ახლო ურთიერთობას ამყარებს ისეთ მოწინავე მუშებთან, როგორებიც იყვნენ ვ. სტურუა, ს. ალილუევი და სხვ. ამ აღმანიებთან ერთად მ. გორკი ეწევა აქტიურ პროპაგანდისტულ მუშაობას მუშებს შორის.

\*) Б. Пирадов. „У истоков творчества Максима Горького“, изд. „Заря Востока“, 1957 г.



თბილისში ყოფნის დროს მ. გორკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მუშა-რევოლუციონერ თ. აფანასიევთან დაახლოვებას, რომელიც მისი ერთგული მეგობარი გახდა როგორც პირად ურთიერთობაში, ისე რევოლუციური მოღვაწეობის სფეროში. ამ დაახლოების შედეგად მ. გორკი ხდება ეგრეთ წოდებული „კრასნოგორსკაია კომუნის“ ერთ-ერთი დამაარსებელი. ნაშრომის ავტორი ვრცლად გვაცნობს კომუნის წევრთა გინაზას და მათ ურთიერთობას მომავალ მწერალთან.

„კრასნოგორსკაია კომუნა“ დიდად დაეხმარა მ. გორკის რევოლუციური იდეების პროპაგანდის საქმეში. ამასთანავე მან საშუალება მისცა გორკის გაცნობოდა ქართულ ლიტერატურას, რომლისადმი ინტერესს იგი შემდეგაც იჩენდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ მ. გორკი ამ პერიოდში გაეცნო ქართველ რევოლუციონერ მწერალს ევგენო ნინოშვილს, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ გაცნობას გორკის, როგორც მწერლის, ჩამოყალიბებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

სარეცენზიო ნაშრომს გააჩნია ზოგიერთი ნაკლიც.

სარეცენზიო წიგნში ვრცლადაა განხილული რუსი მუშის თ. აფანასიევის რევოლუციური მოღვაწეობა. მაგრამ, სამწუხაროდ მასში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ თ. აფანასიევი საქართველოში მცხოვრები რუსი სიცოცხლე-დამოკრატებიდან ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც თბილისში დააარსა წრეები და ხელი შეუწყო მარქსისტული იდეების გავრცელებას ჩვენში. ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გორკის საქმიანობის შესწავლისათვის საქართველოში 1891 — 1892 წლებში.

ჩვენს აზრით, გადაჭარბებულად შეიძლება ჩაითვალოს ავტორის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს „ე. ვ. ბერვის (ფლეროვსკი მისი ლიტერატურული ფსევდონიმი) საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული მოღვაწეობა თითქმის სრულებით არაა შესწავლილი და უმართებულთა მიეწეება“<sup>1</sup>. ავტორის მტკიცებისა სწინააღმდეგოდ საკმარისია დავასახელოთ 1956 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული ორტომიანი ნაშრომი „სსრ კავშირის ხალხთა ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“, სადაც სპეციალურ თავში განხილულია ე. ვ. ბერვი-ფლეროვსკის მოღვაწეობა (იხ. ტ. 2, გვ. 371 — 367).

ძნელია გავიზიაროთ ავტორის დასკვნები მ. გორკისა და თ. ჩეხინის ურთიერთობის შესახებ. მე-4 გვერდზე იგი არ ეთანხმება საარქივო მასალებში მოცემულ ჩეხინის ბიოგრაფიულ უარყოფას შეფასებას და წერს, თითქოს გორკი ჩეხინს აძლევდეს მაღალ შეფასებას. ამასთან ერთად

თად ავტორი არ მიუთითებს თუ სად აქვს გორკის გამოთქმული ჩეხინზე ასეთი შეხედულება.

არ არის სწორი წიგნის მე-9 გვერდზე გამოთქმული აზრი, თითქოს მ. გორკი რომისისთან ერთად სოფელ კრასნოვოდოვოში ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას. ჯერ ერთი, რომისი იყო ხალხისების ტიპური წარმომადგენელი, რომელთა საქმიანობა 80-იანი წლებისათვის რეაქციული იყო და არა რევოლუციური; რომ ეს ასეა, ამის ბრწყინვალე მაგალითია ის, რომ გლეხებმა კრასნოვოდოვოში, თვითონ რომისის მალაზია დაწვეს, რომლითაც ის ცდილობდა განხორციელებინა მცდარი ხალხსნერი იდეალები. ამასთან ახალგაზრდა გორკი თავიც დიდი ინტუიციით და ცხოვრების გამოცდილებათუ დაყრდნობით აღრევე შეიგნო ხალხსნების საქმიანობის რეაქციულობა და კატეგორიულად უარი თქვა რომისისა და მისი ამხანაგების საქმიანობაში მონაწილეობაზე<sup>1</sup>.

არ არის სწორი ავტორის ცნობა 63-ე გვერდზე, თითქოს გორკი განთავისუფლებული იყოს მეტეხის ციხიდან 1898 წლის 31 მაისს და იმავე დღეს გაემგებინათ ქალაქიდან. სინამდვილეში გორკი მეტეხის ციხიდან გაათავისუფლეს 28 მაისს. იგი დარჩა თბილისში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ 31 მაისამდე 2. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ გორკის შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა თავის ნაცნობებს და თუ მწერალი სამარაში ჟანდარმერიისათვის მიცემულ განცხადებაში მეტეხიდან განთავისუფლების თარიღად 31 მაისს ასახელებს, ეს მზნა იმიტომ, რომ იგი თავს არიდებდა ზედმეტ ძიებას.

ეყრდნობა რა ჟანდარმერიის საარქივო მასალებს, რომლებიც ცალმხრივად აშუქებენ შიო ჩიტაძის მეკვლეობას, ავტორი თავისი შრომის 63-ე გვერდზე შეცდომით აღწერს მეფის მოხელეების ამ მეტად საზიზარო საქმიანობას საქართველოში. ამ ფაქტის გაშუქების დროს ავტორი წერს, თითქოს შ. ჩიტაძეს და მის მეგობრებს ჟანდარმებისათვის აეტეხათ საბასუხო სროლა. სინამდვილეში შ. ჩიტაძეს და სხვა მასწავლებლებს ამ დროს იარაღი არ ჰქონდათ. შ. ჩიტაძე მოკლული იქნა მხეცურად თავის საცხოვრებელ ბინაში და არავითარ პერდავითურ საბჭოს სხდომას ის არ ატარებდა.

ჩვენ საეკვოდ მივგაჩინა ავტორის დასკვნა, თითქოს „კონსპირატული ბინა“, რომელზედაც მიუთითებს სემიარისის ინსპექტორი 1892 წ. 23 იანვარს, იყო აფანასიევისა და გორკის კამუნა. როგორც თვითონ ინსპექტორის ცნობიდან

<sup>1</sup> М. Горький, Собр. сочин., в 30 томах, т. 13, стр. 627—632.

<sup>2</sup> მარქსისტულ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველო ფილიალის არქივი, ფ. 31, ს. 166. ფურც. 393, 395; ავტრევე ს. 167, ფურც. 18.





ჩანს, აღნიშნული დროისათვის დასახელებულ „კონსპირატულ ბინას“ ჰქონია უკვე თავისი ტრადიცია და გარკვეული სამოქმედო პროგრამა (იხ. სარეც. წიგნი, გვ. 69); ამავე დროს ავტორი შრომის 56-ე გვერდზე წერს, რომ გორკის, აფანასიევის და სხვების კომუნა ჩამოყალიბებულა 1892 წლის იანვარში. აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ სემინარიის ინსპექტორს მხედველობაში ჰქონდა სხვა „კონსპირატული ბინა“. ამასთანავე ეტყვის გარეშეა, რომ ჩუღურეთის რაიონში იყო არა მარტო გორკისა და აფანასიევის კომუნა. ასეთივე აზრისაა თვითონ

ავტორი წიგნის 73-ე გვერდზე, როდესაც ის წერს ლეიფავს კონსპირატული ბინის შესახებ.

შრომის 49-ე გვერდზე ავტორი არასწორად მიუთითებს, თითქოს ე. ნინოშვილი გარდაიცვალა 1893 წელს. იგივე შეცდომა განმეორებულია 75-ე გვერდზე.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ბ. პირადოვის შრომა — „მაქსიმ გორკის შემოქმედების სათავეებთან“ გარკვეულ დაზარებას გაუწევს საკითხით დაინტერესებულ მკითხველებს.



## თეიმურაზ ჩიქოვანი

### რუსული კულტურისა და ისტორიის მემკვიდრე

1949 წელს ჟურნალში „Вестник Воздушного флота“ (№ 11) გამოქვეყნდა აერონავიგაციის ისტორიის მკვლევარის პ. კორნიჩინის წერილი კრიაკუტნის საჰაერო ბურთის შესახებ. აღნიშნულ წერილს ქვესათაურად წამძღვარებული აქვს შემდეგი სახის მინაწერი: „Рукопись А. Сулакадзева является свидетельством приоритета воздухоплавания нашей родины“.

პ. კორნიჩინის წერილში განხილული აქვს XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთში მოღვაწე ქართველი მკვლევარის ა. სულაკაძის მიერ 1819 წელს დაწერილი ხელნაწერი შრომა, რომელიც ეხება რუსეთის აერონავიგაციის ისტორიას ა. სულაკაძის აღნიშნული ხელნაწერით ცხადი ხდება, რომ მსოფლიოში პირველი საჰაერო ბურთის გამოგონებელი იყვნენ არა ქმები მონგოლეთიდან, არამედ რიანანელი პოლიაჩი კრიაკუტნი. წლების მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგად ლენინგრადის, მოსკოვისა და ქ. რიანანის სათანადო წიგნთსაცავებსა და არქივებში აღმოჩნდა მასალა, რომელიც ნათელს ჰყენს ამ საინტერესო პიროვნების — ა. სულაკაძის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა.

როგორც ცნობილია, საქართველოდან რუსეთს გამგზავრებულ არილ მეფეს, განსაკუთრებით კი ვახტანგ მეექვსეს, თან გაჰყავდა საკმაოდ ხალხმრავალი ამაღა, რომლის შემავსებელმა ქართველებმა დროთა განმავლობაში რუსეთის ქვეყნებში დროთა მივლინების და სამსახურშიც გამწესდნენ. საქართველოდან გადახიზნულებმა რუსეთში შექმნეს მოსკოვის ქართული კოლონია, რომელმაც გარკვეული პროგრესული როლი შეასრულა ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის განმტკიცების საქმეში. რუსეთში გადახიზნული ქართველები სამხედრო, პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეობის სარბიელზე მალე დაწი-

ნურდნენ და, თავის მხრივ, დიდად შეუწყვეს ხელი რუსეთ-საქართველოს შემდგომ პოლიტიკურ დაახლოებას. რუსეთში დასახლებულმა ქართველებმა და შემდეგ მათმა შთამომავლებმა ახლო გაიცნეს რუსეთის სინამდვილე, ეზიარნ მის კულტურას და სულთა და გულთ შეიყვარეს რუსი ხალხი. რუსი ხალხის გამოჩენილ შეილებთან ერთად ზოგიერთი პროგრესულად მოაზროვნე ქართველიც რუსული კულტურისა და ისტორიის უანგარო მოამბე გახდა.

ასეთ ქართველთა რიცხვს ეკუთვნის XIX საუკუნის პირველი მეოთხედის მოღვაწე, თავისი დროისათვის ცნობილი პალეოგრაფი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და ბიბლიოგრაფი ალექსანდრე ივანეს-ძე სულაკაძე. პალეოგრაფ მიკოლა მაკარენკოს სიტყვებით რომ ვთქვათ, უკვე XIX საუკუნის დასაწყისისათვის ა. სულაკაძე საკმაოდ სახელმძღვანელო პიროვნება იყო. მას კარგად იცნობდნენ იმდროინდელი რუსეთის ისტორიკოსები, არქეოგრაფები, პალეოგრაფები და სხვ. მას საქმიანი ურთიერთობა ჰქონია ისტორიკოს კარამზინთან, ბოროზდინთან, რუმინცევთან და სხვებთან. განსაკუთრებით დიდად აფასებდა მის მოღვაწეობას ცნობილი პოეტი გრ. დვრჟაინი. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ცხადი შეიქნა, რომ ალ. სულაკაძე თავისი დროისათვის საყოველთაოდ ცნობილი ბიბლიოგრაფი და უმდიდრესი ბიბლიოთეკის პატრონი ყოფილა. იგი თითქმის ერთნაირი ინტერესით ეკიდებოდა ყველა საკითხს და მრავალი ხელნაწერი შრომაც აქვს დატოვებული.

ბიოგრაფიული ცნობები, ა. სულაკაძისა და მისი წინაპრების შესახებ ვაფანტულია სხვადასხვა ავტორის შრომებში. მის შესახებ მართალია ენოტოდ ძუნწად, მაგრამ მინიმ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან ა. პიპინი, ნ. ბარსუკოვი, ა. როდნიხი, მ. მაკარენკო და საბჭოთა მკვლევარი, ზემოხსენებული პ. კორნიჩინი. სულაკაძისან გვარის წარმოშობის შესახებ თვით ა. სულაკაძის ხელნაწერი შრომაში — „Летописец Рязанский“ — ეხვედებით ცნობებს, რომელთა საფუძველზე ირკვევა, რომ ჩვენი მკვლევარის ბაბა —



გრიგოლ მაქსიმეს-მე სულაქაძე საქართველოდან რუსეთში XVIII საუკუნის პირველ ნახევარში გადასახლებულა. გრიგოლ სულაქაძე რუსეთის მეფის კარზე მალე დაწინაურებულა და, როგორც თვითონ ა. სულაქაძე წერს თავისი „რიაზანული მატიანის“ ავტობიოგრაფულ ნაწილში, მეფის კარის კომისრადაც კი უმუშავებია. ჩვენი მკვლევარის მამა — ივანე გრიგოლის-მე დაბადებულია მოსკოვში 1741 წლის 25 მაისს (ძველი სტილით). ეს უკანასკნელიც მეტად საინტერესო პიროვნება ყოფილა. იგი არის ერთ-ერთი პირველი ქართველთაგანი, რომლებსაც განათლება მოსკოვის უნივერსიტეტში მიუღიათ. ივანე სულაქაძეს დაუმთავრებია უნივერსიტეტი ხეროთომოდერგების განხრით. 1760 წელს მას მუშაობა დაუწყო სამეფო კანცელარიაში, 1763 წელს ამავე კანცელარიაში „სტრიჰანაჲ“, ხოლო 1775 წელს — სამეფო კანცელარიის არქიტექტორის თანაშემწედ. როგორც ეტყობა, ივანე სულაქაძეს გარკვეული წარმატება მოუპოვებია არქიტექტორულ სარბიელზე და ამიტომაც 1782 წლის 4 აპრილს იგი დაუნაწივთ რიაზანის გუბერნიის შთავარ არქიტექტორად, სადაც მეტად ნაყოფიერი შრომა გაუწევია ქ. რიაზანის კეთილმოსაწყობად.

ჩვენი მკვლევარი „რიაზანული მატიანის“ აღნიშნულ ნაწილში დაწვრილებით აღწერს სულაქაძისათვის ოჯახის ყველა ღირსშესანიშნავ მოვლენას, განსაკუთრებით ხაზს უსვამს მათი ოჯახის დაკავშირებას ბოგოლეპოვების გვარეულობასთან, რადგანაც მას ბავშვობის პერიოდი ამ გვარეულობაში გაუტარებია. ივანე სულაქაძემ 1771 წელს 23 იანვარს იქორწინა რიაზანის მემუშელის ქალიშვილზე — ეკატერინე სტეფანეს ასულ ბოგოლეპოვაზე, რომელსაც მზობიერში მოყვა გუბერნიის რიაჯის მარხის სოფ. პეხლეცი, სადაც 1771 წლის 23 ოქტომბერს დაიბადა ალექსანდრე ივანეს-მე სულაქაძე. ალექსანდრეს გარდა ივანეს და ეკატერინეს სხვა შვილებიც ჰყოლიათ, მაგრამ ისინი ბავშვობაშივე გარდაცვლილან. პატარა ალექსანდრე იმავე წელს მოსკოვში მამისეულ სახლში ჩაუყვანიათ, მაგრამ იქ უმზიანობა გაჩენილა და ისევე პეხლეცში წაუყვანიათ. მომავალ მკვლევარს დედა ადრე გარდაცვლია და მისი აღზრდა მამასთან ერთად უქისრია პაპას — სტეფანე ბოგოლეპოვს, რომელიც თავისი დროისათვის მეტად განათლებული ადამიანი ყოფილა და ძველი ხელნაწერებიც საკმაოდ უგროვებია. რასაკვირველია, ეს უკანასკნელი გარემოება გარკვეულ გავლენას მოახდენდა მომავალი მკვლევარის ცნობიერების ჩამოყალიბებაზე. ეს ასეც მოხდა. ა. სულაქაძეს ბავშვობაშივე მიუყვანია ხელი ბიბლიოგრაფიისათვის. ბავშვს, როგორც ეტყობა, კარგი სკოლა გაუვლია, რადგანაც მამაც და პაპაც, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, საკმაოდ შეძლებული ხალხი იყო და პატარა

ალექსანდრეს აღზრდას დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

ივანე სულაქაძეს 1795 წელს „ტიტულიარნი სოვეტნიკის“ რანგისთვისაც კი მიუღწევია და 1808 წელს დეაფლოსილი არქიტექტორი პენსიაზე გასულა. იგი გარდაიცვალა 1821 წლის 5 აპრილს ქ. რიაზანში და იქვეა დასაფლავებული.

შინ მიღებული არგი განათლების შემდეგ როგორც რუსეთში ჩცობვრებ ქართველთა უმეტესობას, ისე ა. სულაქაძესაც თავისი მიღწეობა სამხედრო სამსახურით დაუწყო. საქვეყნოდ ცნობილ სემიონოვის პოლკში იგი ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე და ფრიად განათლებულ ოფიცერად ითვლებოდა. ჯერ კიდევ სამხედრო სამსახურში ყოფიისას მას გულდამით შეუსწავლია არა მარტო რუსეთის, არამედ მისი მეზობელი ხალხების ისტორია. ძველი კულტურითა და ისტორიით გატაცებულს სამხედრო კარიერა აღარ აინტერესებდა და ჯერ კიდევ ახალგაზრდას, ბრწყინვალე მომავლის მქონე ოფიცერს, სამხედრო სამსახურისათვის თავი დაუნებებია. ამის შემდეგ მან მთელი თავისი ძალა და ენერჯია საყვარელ საქმეს — რუსეთის ისტორიისა და კულტურის შესწავლას მონადგმა. მაგრამ, როგორც ეტყობა, ხელმოკლეობის გამო იძულებული გახდარა საშოქალაქო სამსახურში შესულიყო და სულ მალე ტიტულიარნი სოვეტნიკის“ ხარისხისთვის მიუღწევია. ა. სულაქაძე გარდაიცვალა 1830 წელს 3 სექტემბერს (ძველი სტილით), პეტერბურგში.

თითქმის ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ა. სულაქაძე ძველი რუსული კულტურისა და ისტორიის მოამავე იყო. ამის ნათელმყოფელია მის მიერ მრავალი წლის განმავლობაში შეკრებილი ისტორიული მნიშვნელობის ხელნაწერები და წიგნები, რომელთა რაოდენობა რამდენიმე ათასს აღწევდა: მისი ბიბლიოთეკა ითვლიდა ისტორიული მნიშვნელობის 1438 ძვირფას ხელნაწერსა და წიგნს, აქედან — 212 გერმანულს, 193 ფრანგულს, 76 ლათინურს, 13, ინგლისურს, 7 ჰოლანდიურსა და 6 იტალიურ ხელნაწერსა თუ წიგნს. გარდა ამისა, მის ბიბლიოთეკაში დაცული იყო მეტად ძვირფასი ხელნაწერები არაბულ, ებრაულ, ბერძნულ, ჩინურ, შვედურ და ესპანურ ენებზე. ძველი რუსული ლიტერატურის მკვლევარი და ცნობილი მწერალი ა. პიპინი ვადმოვკევის, რომ ა. სულაქაძეს ქართული სიგელ-გუჯრები და სხვადასხვა ხასიათის ხელნაწერებიც მრავალად ჰქონია შეკრებილი. სამწუხაროდ, ა. სულაქაძის სიგელილის შემდეგ ძვირფასი ბიბლიოთეკა ხელში ჩაუვარდა მისივე მეუღლეს, ეროვნებით გერმანულს, სოფია შრედერს, რომელც ქმრის გარდაცვალებიდან ორი თვის შემდეგ ხელახლა გათხოვდა ვილაც გერმანულ ოფიცერზე. ფულს დახარბებულ სოფია შრედერს ძვირფასი ხელნაწერებით და წიგნებით სპეკულაციაც დაუწყო. ამგვარად, მოკლე ხანში



ა. სულაქაძის ბიბლიოთეკის ნაწილი (სხვათაშორის) — ქართული ხელნაწერები უგზოუკვლოდ განიავდა; ნაწილმა კი ნახა კარგი პატრონი რუსეთის „ძველი ხელნაწერების მოყვარულთა საზოგადოების“ სახით.

ა. სულაქაძის მეცნიერული ინტერესი ერთი რომელიმე დარგით არ შემოიფარგლებოდა. იგი თანაბრად იყო დაინტერესებული პალეოგრაფიით, ისტორიით, ეთნოგრაფიით, არქეოგრაფიით და ეკონომიური გეოგრაფიით. მის ბიბლიოთეკაში არსებული შრომებისა და წიგნების სათაურებიდან ჩანს, რომ იგი თავისუფალი იდეების მქადაგებელი თუ არა, მაიტი მოზიარე მძინე ყოფილა. მას ჰქონდა შემონახული ისეთი წიგნები, რომლებიც მეფის ცენზურის მიერ ოფიციალურად აკრძალული ანდა ეკლესიის მიერ შეჩვენებული იყო.

ა. სულაქაძის ბიბლიოთეკაში არსებულ ხელნაწერთა უმეტესობა მეტად ძვირფასს, ზოგჯერ კი ერთადერთ ეგზემპლარსაც წარმოადგენდა. ამის ნათესაყოფად ის ფაქტიც კმარა, რომ მის მიერ შეკრებილი რუსული მანიფესტებისა და ბრძანებების ხელნაწერთა კრებული თავის დროზე რამდენიმე ათას მანეთად იქნა შეფასებული.

შემორჩენილი ხელნაწერებიდან აღსანიშნავია მისი „Летописец Рязанский от 860 до 1818 года“ (С.-Петербург, 1818 г.), ინახება ვ. ლენინის სახელობის მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. ხელნაწერი შეიცავს საკმაოდ მოზრდილი ზომის ქაღალდზე დაწერილ 42 გვერდს. თავფურცელზე ა. სულაქაძისავე ხელით დახატულია ქ. რიაზანის გერბი — თავად ოლეგის გამოსახულება მახვილით ხელში. როგორც თვითონ ა. სულაქაძე წერს, მას ეს მატთან სხვადასხვა ძველთაძველი ხელნაწერიდან ამოკრებილი ისტორიული ცნობებისაგან შეუდგენია. ყველა მის მიერ მოტანილ ცნობას თანდართული აქვს მთელი მეცნიერული აპარატი: წყარო, ნასარგებლები ლიტერატურა, სათანადო გვერდები და ა. შ.

შემდეგი არის 1810 წელს პეტერბურგშივე შედგენილი ხელნაწერი შრომა — „ბუკუეზორი“. აღნიშნული ხელნაწერი შედგება დიდი ფორმატის 56 გვერდისაგან და შიგ მოტანილი და განხილულია სხვადასხვა ხალხთა დამწერლობის ნიმუშები: რუსული, გერმანული, არაბული, ფრანგული და ა. შ. სხვათა შორის, „ბუკუეზორში“ ავტორისავე ხელით ჩაწერილ-კლასიფიკირებულია ქართული ანბანის ოთხი ნიმუში. ეს ხელნაწერი ზემოაღნიშნულ წიგნთსაცავში ინახება.

მესამე ხელნაწერი შრომა არის მატიაწური ხასიათისა და მიძღვნილია პეტერბურგის პოლიტიკური ცხოვრებისადმი. აქ თავმოყრილია ზოგ-

ჯერ იშვიათი ცნობები ა. პუშკინის, უუკოვსკის, ზღვასან კრუჟნეშტერნის და სხვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა შესახებ. ხელნაწერი 1826 — 1827 წლებს მოიცავს.

ა. სულაქაძის დღემდე შემონახული ნაშრომებიდან ყველაზე საყურადღებოა ხელნაწერი — „აერონაოსნობის შესახებ რუსეთში“, რომელიც საკაშვირო მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება და 1819 წელს არის დაწერილი. მეფის ჩინოვნიკებმა და იმდროინდელი რუსეთის საზოგადოებამ თავის დროზე ამ ნაშრომს ყურადღება არ მიაქციეს. რუსეთში საფრენოსანო საქმის ჩასახვისა და მისი განვითარებისადმი მიძღვნილ ეს პირველი ნაშრომი თითქმის 100 წლის განმავლობაში უყურადღებოდ იყო მიტოვებული. მხოლოდ 1911 წელს, მთელ მსოფლიოში საფრენოსანო საქმის აღმავლობის პერიოდში, ა. სულაქაძის ნაშრომი გამოაქვეყნეს ფოტოგრაფიულად.

ა. სულაქაძის ნაშრომი ადრე ითარგმნა გერმანულად და ორიგინალთან ერთად მრავალი წლის განმავლობაში იყო გამოფენილი მიუნხენის მუზეუმის აერონაოსნობის განყოფილებაში.

აერონაოსნობის ცნობილი მეცნიერი პროფ. ბ. ვორობიოვი აღნიშნული ხელნაწერის შესახებ წერს: „ა. სულაქაძემ გასწია მეტად მნიშვნელოვანი მუშაობა და მისი ხელნაწერი წარმოადგენს ძვირფას განმს რუსული აერონაოსნობის ისტორიოგრაფიაში“.

ა. სულაქაძის აღნიშნულ ნაშრომში აღწესდული და განხილულია ყველა ის ცდა საფრენოსანო საქმის ჩასახვის პერიოდისა, რომლებიც თავის დროზე რუსი ხალხის გამოჩენილ შეილებს მოუხდენათ 906 წლიდან მოყოლებული ვიდრე XIX საუკუნის დასაწყისამდე — 1819 წლამდე. ამ ნაშრომში ჩვენ ვხვდებით ერთ მეტად საყურადღებო ცნობას, რომლითაც ნათელი ხდება, რომ მსოფლიოში პირველად რუსეთში იქნა გამოცდილი თბოაეროსტატი. 1731 წელს რიაზანის ვოევოდას სამსახურში მყოფ ნერეხტელ პოდიაჩკრაიკუტნოის გამოუგონებოა აერობურთი, რომლის საშუალებითაც მას რამდენიმე ხნის განმავლობაში უფრენია. მაგრამ აღმფიქვრებულ სასულიერო ხელისუფლებას და რიაზანის ვოევოდას „უწმინდური ძალის თანამოზიარე“ კრაიკუტნოსისათვის კოცონზე დაწვა მიუსჯიათ. ბოლოს მსი.ჟლიოში პირველი აეროსტატის გამოგონებელი ვითომც „მოიწყალეს“, შეაჩვენეს და რიაზანიდან წყველა-კრულით გააძევეს.

აღსანიშნავია, რომ კრაიკუტნოის ეს შესანიშნავი გამოგონება 52 წლით უსწრებს საფრანგეთში ძმები მონგოლფიერების მიერ პირველი აერობურთის გამოცდას.





# ნოღაჩ გომიანოვი

ისტორიულ მემკვიდრებათა კანდიდატი



ვახტანგ VI მიერ  
1706 წელს აშენებული  
ურბნისის სამრეკლო წა-  
წერით

## ურბნისი—სამართველოს უძველესი ძეგლი

ძველი წელთაღრიცხვით პირველდ ათასწლეულის შუა ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებას და ორი ქართული მონათმფლობელური სახელმწიფოს — კულხეთისა და ქართლის წარმოქმნას, როგორც ცნობილია, თან სდევდა პირველი ქართული ქალაქების გაჩენა-განვითარებაც.

მონათმფლობელობის პერიოდის საქართველოს ქალაქებიდან წერილობითი წყაროები ასახელებენ: მცხეთას, სარკინეს, ურბნისს, კასპს, ოძრხეს, სამშვილდეს, რუსთავს, ბიჭვინთას, ფასიდს, დიოსკურიას და სხვა.

1953 წლიდან აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა და აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიცია იკვლევს ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ უ რ ბ ნ ი ს ს. შეკრებილი და დამუშავებულია წერილობითი წყაროები და ჩატარებულია 4 გათხრითი კამპანია (1953, 1954, 1955 და 1956 წლებში). ნაქალაქარ ურბნისის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლა ჯერ თავის დასაწყის სტადიაშია და ქალაქის ისტორიის რამდენადმე სრული დადგენა მომავლის საქმეა. ამ წერილის მიზანია წერილობითი, ეპიგრაფიკული და არქეოლოგიური მასალების საფუძველზე წარმოადგი-

ნოს საქართველოს ამ უძველესი ქალაქის თავდადასავლის სქემატური სურათი<sup>1</sup>.

### ძალაქის წარმოშობა

ქართული წერილობითი საისტორიო წყაროები («მოქცევაჲ ქართლისაჲ», «ნინოს ცხოვრება», ლეონტი მროველი, ვახუშტი ბაგრატიონი) ურბნისს ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს უკვე არსებულ ქალაქად თვლიან. კერძოდ, IX ს-ის წყარო — «მოქცევაჲ ქართლისაჲ», რომელიც თავის მხრივ უძველეს, ჩვენამდე მოუღწეველ წყაროებს ეყრდნობა, ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში შემოსვლაზე 2 თხრობის დროს იხსენებს 4 ქალაქს: სარკინეს, კასპს, ურბნისს და ოძრხეს. აქედან ორი, მემბტიანის ცნობით, ციხე-ქალაქია: ურბნისი და ოძრხე, ხოლო ორს — სარკინესსა და კასპს აქვს თავისი მფარავი ციხეები: ციხედიდი და უფლისციხე.

<sup>1</sup> წერილობითი და ეპიგრაფიკული წყაროები ამ საკითხზე უშუალოდ გამოვიკვლიეთ, ხოლო არქეოლოგიური მასალა სათანადო სპეციალისტთა მიერ დამუშავებული — გამოვიყენეთ. — შ.

<sup>2</sup> ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში შემოსვლა ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს უარყოფილია.



მეორე ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი (XI ს.), რომელსაც გამოყენებული აქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ როგორც წყარო, გარდა აღნიშნული ოთხი ქალაქისა, ქართლის ქალაქებდალექანდრე მაკედონელის შემოსვლის დროს ასახელებს წუნდას, ხერთვისს, თუხარისს, უფლისციხეს, მცხეთას, რუსთავს, სამშვილდეს და ხუნდას<sup>1</sup>.

ძველი ქართული წერილობითი წყაროების მიმართ, როგორც ცნობილია, დღეს უარყოფილი ძველად გაბატონებული სკეპტიკური თვალსაზრისი, რომლის თანახმად ამ წყაროების თხრობა ჩვენი ისტორიის უძველეს პერიოდზე არ იმსახურებს ნდობას. წყაროთმცოდნეობითმა კვლევამ ცხადყო, რომ ეს წყაროები (ცერძოლ ლეონტი მროველი და მასში შესული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“) ეყრდნობიან სხვა, უფრო ძველ წყაროებს. ამასთან, არქეოლოგიურმა მონაპოვებმა დაამტკიცა აღნიშნულ წერილობით წყაროებში შემონახული, მანამდე ზღაპრულად მიჩნეული ზოგიერთი ცნობის ქეშმარიტება. ამდენად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ცნობას იმის შესახებ, რომ ქალაქი ურბნისი უკვე ძვ. წ. IV ს-ის ბოლოს არსებობდა, ჩვენ ვერ უგულებელვყოფთ. მაგრამ ამ ცნობის შეუმოწმებლად მივლიტ, ცხადია, არ შეიძლება. პარალელური წერილობითი წყაროები ამ საკითხზე არ შემონახულა (ყველა სხვა წყარო ეყრდნობა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“), ამიტომ, შესაძომეზღვლად უნდა მივმართოთ მატერიალური კულტურის ძეგლებს — მიწისზედას და მიწის ქვეშ შემონახულს.

ურბნისის ნაქალაქარი მდებარეობს ქარელის რაიონში, ქ. გორიდან 12 კმ დაშორებით, დასავლეთისკენ, იქ, სადაც დღეს ამავე სახელწოდების სოფელია. ქალაქი გაშენებული იყო მტკვრის მარცხენა, ქარაფიან ნაპირზე და ეკავა 23 ჰექტარი ფართობი. ამ ნაპირის სიმაღლე ურბნისთან, მნიშვნელოვან მანძილზე, დიდი, აღწევს რამდენიმე ათეულ მეტრს და ამდენად ის წარმოადგენდა ქალაქის ბუნებრივ თავდასაცავს. დანარჩენი სამი მხრიდან კი (დასავლეთით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით) მას გარს ერტყა ხელოვნური ზღუდე და მის გასწვრივ ფართო თხრილი. სოფ. ურბნისს ამჟამად უკავია ზღუდის შიგნით მოქცეული ტერიტორიის ორი მესამედი, მის აღმოსავლეთ ნაწილში.

არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომელიც გაიშალა როგორც ზღუდის შიგნით, ისე მის გარეთ და თვით ზღუდეზეც, ცხადყო, რომ ეს ტერიტორია დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ 5000 წლის წინ — ენეოლითის ხანაში (ძვ. წ. III ათასწლეული). კერძოდ, ენეოლითური (ანუ სპილენძ-ქვის ხანის) ძეგლები აღმოჩენილ იქნა ზღუდის შიგნით, მტკვრის პირას მდებარე

ბორცვზე, ე. წ. „ხიზინანთ გორაზე“. ენეოლითური ხანისავე ძეგლები (ხელსაფეკვაები, სამსხვერპლოები, კერები, თიხის ნაირნაირი ჭურჭელი და სხვა) გამოვლენილ იქნა აგრეთვე სოფლის აღმოსავლეთით, 2 კმ მოშორებით, ამჟამად თითქმის სავსებით მოსწორებული ბორცვის ქვეშ, ე. წ. „ქვატყელებზე“. ენეოლითის ხანიდან მოყოლებული, ურბნისის ტერიტორია უწყვეტლევ დასახლებული ხანს. მართალია, დღემდე მობევებულ არქეოლოგიურ მასალაში პერიოდების მხრივ მცირე ხარვეზები გვაქვს, მაგრამ ისინი ალბათ შეიგევათ თანდათანობით.

ამრიგად, იმ პერიოდში, როცა აღმოსავლეთ საქართველოში კლასობრივი საზოგადოება, მონათფლობელური სახელმწიფო (ქართლი ანუ იბერია) წარმოიქმნა (ძვ. წ. IV — III ს. ს. მიჯნა) და პირველი ქართული ქალაქები გაჩნდა, ურბნისის ტერიტორია (ყველაზედი სიდიდის ფართობზე) ორი ათას წელზე მეტი ხნის დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა. ამასთან, ეს დასახლებული ადგილი მდებარეობდა საქართველოს ისტორიულ შიდა დასავლეთის კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის ყველაზე ინტენსიურად მიმდინარეობდა და, ამდენად, ქალაქების აღმოცენებისთვისაც ყველა ხელსაყრელი პირობები იყო (სწორედ ასეთ ზოლში იხსენიებენ კიდევ პირველ ქართულ ქალაქებს საისტორიო წყაროები). ამ დასახლებული ადგილის ისტორიაში თვისობრივი ცვლილებების გარეგნული გამოხატულება იყო მისთვის ზღუდის შემოღება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამ დროისთვის მისი მნიშვნელობა დიდად გაზარდილა და ის საეპრო-სახელისწო (და ფეკრებელია აღმინისტრაციულ) ცენტრად ქცეულა.

ურბნისის ზღუდე აგებულია დიდრინი ალიზებისგან და შემდეგ ვარუთა მხრედან გამგრებულია მიწისა და ახელილი თიხის კალთებით. ზღუდეს გასწვრივ მოუყვება ფართო თხრილი (30 — 40 მეტრის სიგანის), რომელიც, როგორც ჩანს, წყალი იესებოდა და ხელოვნურ დაბრკოლებას წარმოადგენდა მტრისთვის. კედლის დაძველება-დანგრევის შემდეგ მისთვის ყოველი მხრიდან დაუყრიათ მიწის საკმაოდ სქელი ფენა და ასე, მიწაში ჩაძვდარმა, მოაღწია მან ჩვენამდე. ალიზის კედელში (მისი სიგანე 4-დე, ხოლო სიმაღლეზე 10-დე მეტრია) ერთმანეთისგან თანაბარი მანძილის დაშორებით დატანებულია რვა მეტრის სიგანის კოშკები, რომელთაც გარეთა მხრისკენ პატარ-პატარა სამხერი სარკმელები აქვთ. კოშკები ერთმანეთს უკავშირდება შინაგანი კორიდორით.

ფრთ ალიზის კედელში (მიწაყრისის გაუთვალისწინებლად) შემჩნევა შენეებლობის ორი-

<sup>1</sup> ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის გამ., 1955, გვ. 17—18.



სამეურნეო-ეკონომიური სახე

ფენა მიიწი, რომელთაგან უძველესი გვიანდტი-  
კური პერიოდისა (ახალი წელთაღრიცხვის  
I — III საუკუნეები) ჩანს. ამასთან ქალაქის  
წარმოქმნა წინ უსწრებდა ზღუდის აგებას და  
არა პირიქით. მაგრამ რამდენად დიდი იყო  
ეს ქრონოლოგიური ზღვარი, ეს ჯერ-ჯერობით  
არ ჩანს (საერთოდ, საქართველოში მონათ-  
მფლობელობის ხანის ციხე-ქალაქებში უმრავ-  
ლეს შემთხვევაში ციხე წარმოიშვებოდა ქალაქ-  
თან და არა პირიქით, მაშინ როცა ფეოდალიზ-  
მის ხანაში ქალაქი ზმირად წარმოიშვებოდა  
ზოლმე ფეოდალის, მთავრის ან მეფის ციხეს-  
თან), ამრიგად უდავოა, რომ ურბნისი პირველ  
ქართულ ქალაქებს მიეკუთვნება.

ქალაქ ურბნისის წარმოქმნა ბუნებრივად  
დაუცველ ზეგანზე (რამაც საკირო გახადა თხრი-  
ლით გარს შემოვლებული ზღუდის აგება) აიხს-  
ნება საამისოდ ხელსაყრელი სოციალ-ეკონომიუ-  
რი და პოლიტიკური პირობებით, რომელიც შე-  
ექმნა ძვ. წ. პირველ ათასწლეულში აქ უკვე  
ენეოლითის დროიდან დამკვიდრებულ მოსახ-  
ლეობას. ეს ხელსაყრელი პირობები შემდეგი  
იყო: მტკვრის სანაპირო ზოლში ვაჭრობა-ხელო-  
ვნობა და მიწათმოქმედების განვითარება, ამ რა-  
იონის კავშირი სანაოსნო თუ სახმელეთო გზებით  
მონათმფლობელურ გარეშე სამყაროსთან (აქემე-  
ნიდების სპარსეთი, საბერძნეთი, წინა აზიის ელი-  
ნისტური სახელმწიფოები, რომი...), ყოველივე  
ამასთან დაკავშირებული კოსმობრიგი დიფე-  
რენციაციის ინტენსიური პროცესი და ამ რაიონ-  
ის ქვეყა აღმოსავლეთ საქართველოს სახელ-  
მწიფობრივ ცენტრად.

ურბნისის სახელწოდების წარმოშობის შესა-  
ხებ რეკოლუციამდელ მკვლევართა მიერ გამო-  
თქმული იყო მოსაზრება, რომელიც ამ სახელს  
უდავობრივად ლათინურ urbs-ს — ქალაქი. შეიძ-  
ლება გვეფიქრა, რომ ურბნისი სიტყვა ორბი-  
დანაა ნაწარმოები (ო და უ ძველ ქართულში  
ერთმანეთს ენაცვლება და ურბნისიც ბევრჯერ  
ორბნისადაა მოხსენებული), მით უმეტეს, რომ  
ამ სიტყვიდან ქართული სახელების წარმოების  
სხვა მრავალი მაგალითი გვაქვს (ორბეთის ციხე  
ქვემო ქართლში, ამ ციხიდან წარმოდგარო ორ-  
ბელთა გვარი, ორბელ ბარათაშვილი XVI ს-ში,  
აქედან წარმოდგარო ორბელიანთა გვარი, ლე-  
ონტი მროველთან მოხსენებული ორბის ციხე  
და სხვა). მაგრამ ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგე-  
ბა ურბნისი-ს ძირველ ასო ნ. ის გარემოე-  
ბა, რომ ურბნისი ძველ წყაროებში როგჯერ  
„ორბანი“-ს სახითაა მოხსენებული, გვაფიქრებს,  
რომ ურბნისის საწყისი ფორმაა სწორედ ეს  
ორ-ბანი, ურ-ბანი, რაც იმავე დროს, შესაძლოა,  
ომანი, უბანის არქული ფორმაც იყოს. ამ  
შემთხვევაში უნდა დავესკვნა, რომ ურბნისი  
და უბანი ერთი საერთო ძირიდან — ორ-ბანი-  
დან მივიღეთ.

ურბნისის ქალაქობის პერიოდში მისი მოსახ-  
ლეობის დიდი ნაწილის ძირითადი მოსაქმეობა,  
ცხადია, ქალაქური ხასიათის იყო, ე. ი. — ვაჭ-  
რობა-ხელოსნობა, მაგრამ, ქალაქის მეურნეობა-  
ში მიიწი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მიწათ-  
მოქმედებასა და მესაქონლეობას, რაც აკმაყო-  
ფილებდა (შესაძლოა მეზობელ სოფლებთან ერ-  
თად) ქალაქის მოთხოვნილებას პურზე, ღვინო-  
ზე, ხორცზე, ხილზე და სოფლის მეურნეობის  
სხვა პროდუქტებზე.

ურბნისის ტერიტორიაზე მიწათმოქმედებისა  
და მესაქონლეობის განვითარებას ენეოლითის  
დროიდანვე ნათელიყოფს არქეოლოგიური მონა-  
პოვარი. კერძოდ, ამაზე მიუთითებს გათხრების  
დროს გამოვლენილი სამეურნეო ნაგებობები  
(მარცველულის შესანახი ორმოები, თინეები,  
ქვევრები და მარნები), პურველი მცენარის  
დანახშირებული მარცველები (ერთ ადგილას  
ენეოლითის ხანიდან შემონახული ძნაც კი —  
ასევე დანახშირებული), ხელსადაქვაები, შინაურ  
ცხოველი — ცხვრის, ღორის, ხარის ძვლები  
და სხვა.

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგამ  
განვითარებაზე ურბნისში მიუთითებს აგრეთვე  
ზოგიერთი ტიპონიმიური სახელი (შემორჩენი-  
ლი უმთავრესად ფეოდალური ხანიდან), ასე, მა-  
გალითად: სოფლის ახლოს, აღმოსავლეთის  
მხრის მდებარე საკმაოდ დიდ ფართობს დღესაც  
უწოდებენ „ნაბალურჭს“, თუმცა არავის ახსოვს,  
რომ აქ ყოფილიყო ბაღები. იქვე ახლოს მდებ-  
არე მიწებს ეწოდება „ხვედაბუნები“. „ხვედა-  
ბუნი“ ანუ ხოდაბუნი სპარსული ენიდან შემო-  
ტული სიტყვაა და ფეოდალიზმის ეპოქაში აღ-  
ნიშნავდა დიდი ფართობის სახნავ მიწას (უმთავ-  
რესად ფეოდალის ან მეფის უშუალო მფლობე-  
ლობაში მყოფს). სოფლის ჩრდილო-დასავლეთ-  
ით მდებარე ადგილს იქ, სადაც ეხლაც  
წისქვილება გამართული, ეწოდება ღვეთო-სე-  
რები (ღვეთი ძველად წისქვილს აღნიშნავდა).

ურბნისის მიწების მოსარწყავად ძველად გა-  
მოუყვანათ არხი ლიხვიდან, რომელიც სოფ-  
რუისზე გადართობდა. ამ არხთან, ე. ი. რუსთან  
(ასე ეძახდნენ არხს საქართველოში ძველად)  
უნდა იყოს დაკავშირებული სოფ. რუსისის სახე-  
ლი. თუ ეს ასეა, მაშინ დაბუჯიებით შეიძლება  
ითქვას, რომ აღნიშნული არხი გაყვანილია არა  
უგვიანეს V საუკუნისა, რადგან, VI საუკუნის  
დასაწყისში (506 წ.) რუსისი ერთი სომხური წყი-  
როს — ე. წ. „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობით  
უკვე საუბისკოპოსოს წარმოადგენს, ე. ი. რუსისის  
სახელი ამ სოფელმა მიიღო არა უგვიანეს V სა-  
უკუნისა და შესაძლოა რამდენიმე საუკუნით  
ადრეც — ცხადია, არა უგვიანეს ამ დროისა უნ-  
და დათარიღდეს აღნიშნული არხიც. აღნიშნა-



გია, რომ ამ ძველი არხით დღესაც ირწყვება ურბნისის მიწები. როგორც ჩანს, ამავე არხის საშუალებით ავსებდნენ წყლით ზღუდის გასწვრივ ამოღებულ თავდასაცვ თხრილს, რადგან მტკვრის დონე ამ თხრილის დონეზე 30 მეტრით უფრო დაბალი იყო და იქიდან წყალს ვერ ამოიყვანდნენ. თხრილში დაგროვებულ წყალს იყენებდნენ აგრეთვე ქალაქის ტერიტორიის მოსარწყევად. ზღუდის შიგნით წყალი ამ თხრილიდან შეჰყავდათ ზღუდეში დუალებული, თლილი ქვითა და კირით ნაგები სპეციალური გვირაბებით რომელთაგან ჯერჯერობით აღმოჩენილია ორი (გვირაბის კრილი 40×50 სმ).

ურბნისის საქალაქო მეურნეობის ერთ რთულ პრობლემას ალბათ მისი სასმელი წყლით მომარაგება შეადგენდა, რადგან ურბნისის ტერიტორიაზე ასეთი წყალი არ მოიპოვება და ის უნდა შორიდან მიეწოდებინათ ქალაქისათვის, წყალსადენის საშუალებით. თხრილისა და ზღუდის საზღვარზე, სოფლის აღმოსავლეთით, გათხრების შედეგად, აღმოჩნდა თიხის მიწის ფრაგმენტები. მიწები კირის ხსნარში იყო ჩასმული და შეადგენდა წყალსადენის ორ პარალელურ ხაზს. წყალსადენი, როგორც ჩანს, წყალს დებულობდა ურბნისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 3 კმ მანძილზე მდებარე წყაროებიდან და ქალაქში შესვლამდე გაივლიდა 5—6 მეტრის სიღრმის თხრილს. წყლის ასეთი მოწოდება, რა თქმა უნდა, დიდ ტექნიკურ დახელოვნებას მოითხოვდა.

საეარაუდოა, რომ სოფლის დასავლეთ ნაწილში ზღუდის შიდა მხარეს მიდგმული ქვითკირის შენობა თავდაპირველად აბანო უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგ კი მისი ერთ-ერთი განყოფილება მარნად უქცევიათ. შენობა, როგორც ჩანს, ურბნისის ქალაქობის პერიოდშია აშენებული.

ქალაქის მოსახლეობის ძირითადი ნაწილის უმთავრესი მოსაქმეობა ვაჭრობა-ხელოსნობა იყო. ხელოსნობის დარგებიდან გათხრების შედეგად უდავოდ დადგენილი იქნა ურბნისში კერამიკული წარმოების არსებობა გვიანანტიკურ და აღრეფეოდალურ ხანაში. კერძოდ, ზღუდის შიგნით მოქცეული ფართობის აღმოსავლეთ ნაწილში გათხრები იქნა ნასახლარი, რომელიც 2 ფენას შეიცავდა: გვიანანტიკურს და აღრეფეოდალურს. აქ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კერამიკული წყინი და წილი, რაც მოწმობს აქ თიხის კურკლის საწვავი ქურის არსებობას. ამავე უბნის თხრისას ნაპოვნი იქნა მინის დიდი, უფრომზო ზოდები, რაც მიუთითებს აქ მინის კურკლის წარმოებაზე. მომავალში არქეოლოგიური გათხრები გამოავლენს, ალბათ, ხელოსნური წარმოების სხვა დარგებსაც.

ურბნისში, მისი ქალაქობის ხანაში, განვითარებული იყო ვაჭრობა. ამას დიდად უწყობდა ხელს მისი მდებარეობა ანტიკური ხანის სავაჭრო-სატრანზიტო, სანაოსნო გზის იმ მაგისტრალზე, რომ-

ლის ნაწილს შეადგენდნენ მტკვარი და ჩინანდის მაგისტრალი აკვშირებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს ერთმანეთთან ანტიკურ ხანაში. ის იწყებოდა ინდოეთის ზონაში, და ამუდარიის (რომელიც მაშინ კასპიის ზღვას ერთვოდა), კასპიის ზღვის, მტკვრის, რიონისა და შავი ზღვის გავლით ჩადიოდა მცირე აზიის ქალაქებში და საბერძნეთში. ამ სავაჭრო მაგისტრალის გარდა მტკვრის სანაპირო ზოლი საქართველოში დაკავშირებული იყო ჩრდილოეთთანაც — კავკასიონის გადაღმა მხარესთან — მცხეთიდან არაგვის გაყოლებით და შემდეგ კასპიის, ანუ არაგვის კარის (დარიალის), გავლით. მტკვრის ხეობას გასდევდა აგრეთვე სახმელეთო სავაჭრო-სამომხმარებლო გზა, რომელიც საქართველოს საზღვრეთ ამიერკავკასიისთან და მცირე აზიისთან აკავშირებდა. ამ გზის შესახებ, ურბნისთან დაკავშირებით, ცნობას გვაწვდიან ძველი ქართული წყაროები „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ნინოს ცხოვრება“, ხოლო ამ უკანასკნელის მიხედვით — ლეონტი მროველი და ვახუშტი ბაგრატიონი. ამ ცნობის თანახმად, ქართულითა განმანათლებლად მიჩნეული წმ. ნინო სომხეთზე გავლით მოვიდა ჯავახეთის მთებში, ფარავნის ტბაზე, აქ მეთევზეებს სთხოვა სასწრაღო და დაჰყო ორი დღე-შემდეგ გამოჰყვა ტბიდან გამომდინარე წყალს — ჯავახეთის მტკვარს, რომელიც დასავლეთით მიმართებოდა. მან ჯერ გაქირვებით იარა, ხოლო, როცა მტკვარი მიაღწია, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმდინარეობდა, მაშინ გზა უკეთესი გახდა, მგზავრებიც შეხვდნენ და ნინო ამ გზით ურბნისში წავიდა. მოვიყვანოთ თვითონ „ნინოს ცხოვრების“ ერთ-ერთი ნუსხის (წ. პულოშვილი) ტექსტი:

„... წარმოებართე მათა ზედა ჯავახეთისათა, რათა ცენა თუ სადეთ არს მცხეთათა. და მივემთხვეე მათა ზედა ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა ერქუა ფარავნა. და დაეღე მუნა ორ დღე. ვითხოვე საზრდელი მეფეზურთავან და განვძლიერდი ძალათა მით საზრდელისა და მადლი შევწირე ღმერთსა. და მწყემსნი იყვნენ მასვე ადიღლსა და ქმუილიდეს საკმილავსა ღამისასა, სამწყხოთა შინა მათთა. და ხადოდეს ღმერთთა მათთა და წყულთა არმას და ზადენს და უთქომიდეს შესაწირავთა, რაჟამ მოვიდეთო. დილასა აღრე მივე და ვჰკითხე ერთსა, მათვანსა, თუ: რომლისა სოფლისანი ხართ თქუნენ? ხოლო მან მომიგო ჰეზოგნი დაბით<sup>2</sup> და ზოგნი საფურცლით და

<sup>1</sup> ე. ი. დარაჯობდნენ სადარაჯოზე.  
<sup>2</sup> მონათმფლობელობის ხანაში საქართველოში ზოგიერთ ქალაქებს ჰქონდათ თავისი დაბებიც. აქ იგულისხმება მცხეთის დაბა.





ზოგნი ქინჯარენი<sup>1</sup> და რაბატენი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ. მივხედნენ მათა ჩრდილო-სა, რომელ დღეთა ზაფხულისთა საცხენი ჩნდეს პაერთა და თოვლთა სასტკიოთა. და შევძრწუნენ და ფრიად და ვთქუ: უფალო, უფალო, მიმიღე სული ჩემი ჩემგან. და მოვიღე ლოდი ერთი და დავიდევ სასთუნალად თავსა და გარდასადინალსა მის ტბისსა დაეძინე... გარდამოსადინალსა მის ტბისსა მოვყევ და წარუვევმართე და იყო დინება წყლისა დასავლეთ კერძო და მიუღევ წყალსა მას. და მივემთხვევ გზათა ძნელთა და ფიცხელთა. და ვნახენ ჰირნი დიდნი გზათა მათგან და შოშნი მხეტთაგან, ვიდრე არა მივიწიე, სადა იგი იწყო წყალმან დინებად აღმოსავლეთით. მაშინ-და იქმნა მოღინება ჩემი და ვბოვენ მოგზაურნი და შევიმოყსიე მათ და მოვიწიე სანახებსა ქართლისსა და ორბნისსა<sup>2</sup>.

აქ ჩვენთვის, რა თქმა უნდა, საყურადღებო ის კი არაა, ეს ცნობა ისტორიული ფაქტია თუ შეთხზული ამბავი, არამედ ის, თუ წყაროს ავტორმა რა იცის სამხრეთიდან ქართლში შემავალი გზის შესახებ. მართალია, ეს ავტორი IX საუკუნისადა მიჩნეული (თუმცა ზოგიერთი მკვლევარი მას უფრო ადრინდელი ხანისად — VII საუკუნისად თვლის), მაგრამ ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იცნობს უფრო ძველ სინამდვილეს სხვა წყაროების საშუალებით.

ამრიგად, „ნინოს ცხოვრების“ ზემოაღნიშნული ცნობის თანახმად, გზა მტკვრის ვაკელებით, ახალი წელთაღრიცხვის IV ს-ში, საკმაოდ კეთილმოწყობილია და მასზე გაცხოველებული მიმოსვლაა. ეს გზა შიდა ქართლს სამხრეთის ქვეყნებთან აჯავშირებდა და გაივლიდა ურბნისში. ადგილობრივი მცხოვრებლების ცნობით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მიმავალ სამხედრო გზას წინათ „საქარაგო გზას“ უწოდებდნენ. ეს სახელწოდება, ცხადია, იმ დროზე მიუთითებს, როცა ეს გზა სავაჭრო-საქარაგო იყო. ამ გზასთან ურბნისი დაკავშირებული ყოფილა ძველად ქვითი-რით ნაკვები ხილით, რომლის ბურჯები ახლაც შემორჩენილია. ამ ადგილს ახლა „ნახიბარი“ ეწოდება.

„ნინოს ცხოვრება“ გვამცნობს აგრეთვე, რომ ურბნისსა და მცხეთას შორის გაჩაღებული ყოფილა ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა.

...დაღსა ერთსა აღიძრნეს ერნი ძლიერნი და ურიცხუნი სიმრავლითა, მით ქალაქთ ც. ი. ურბნისიდან — ნ. შ.), წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად, რომელი იყო საჯდომელი დიდთა

მეფეთაჲ, ვაჭრობად და ლოცვად არმაზ — ღვთისა მათისა<sup>1</sup>.

ურბნისი რომ მისი ქალაქობის პერიოდში ჩამული იყო საგარეო ვაჭრობაში, ამას მოწმობს აქ 1956 წელს გათხრების შედეგად აღმოჩენილი უცხოური მონეტები, კერძოდ, ნაპოვნია ვერცხლის რომაული მონეტები — ე. წ. ავგუსტის დინარები და ვერცხლისავე სპარსული (სასანური) მონეტები ახ. წ. V — VI საუკუნეებისა. XIX ს-ის მკვლევარნი დიბუა დე მონპერე და დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავენ თავიანთ ნაშრომებში, რომ ურბნისში მათ დროს სწორად პოლიტიკურად ძველ ფულს. სამწუხაროდ, ამ ფულებმა ჯერ-ჯერობით ჩვენამდე ვერ მოაღწიეს და ურბნისში შემთხვევით ნაპოვნ მონეტათაგან დღემდე მხოლოდ ერთი მონეტაა შექმნილი ურბნისის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ავგუსტის დინარი).

საგარეო ვაჭრობის კვალზე მიუთითებს აგრეთვე ქალაქის ნამოსახლარის, გვიანანტიკურ ფენაში ნანახი ე. წ. „შეკიდული ბეჭედი“ (ან „ბულა“) — თიხის მრგვალი ფირფიტა 3 სხვადასხვა უცხოური ბეჭდის ანაბეჭდით, რომელიც უცხოეთიდან შემოსულ საქონელზე უნდა ყოფილიყო შებეჭდილი.

ექსპედიციის მიერ ნაპოვნი ზოგიერთი ნივთი ურბნისის ქალაქობის პერიოდისა: საბეჭდავი თუ სამაკული ბეჭდები (ოქროსი, ვერცხლის, ბრინჯაოსი და რკინის) ფერადი ქვის თვლებით, ოქროთი მდიდრულად შემკული ქინძისთავი, ოქროს მძივი, ვერცხლის ლამაზი კოვზი და სხვა ჯერ დაუთმუშავებელია და ამდენად გაურკვეველია, უცხოეთიდანაა შემოტანილი, თუ დამზადებულია ადგილობრივად (თავით ურბნისში, ან საქართველოს სხვა ქალაქში). ისევე როგორც მონეტები, ურბნისში მოსახლეობის მიერ წარსულში შემთხვევით მოპოვებული სხვა მრავალი ნივთიც აგრეთვე ხელმოუწველშია ჩვენთვის. ასეთი ნივთები კი, დიმიტრი ბაქრაძისავე ცნობით, საკმაოდ ბევრი ყოფილა. პატივცემული მკვლევარი ამის შესახებ აღნიშნავდა: „ძველი მონეტები და სხვადასხვა ნივთები ახლაც ჩნდება და არ არის სახელი, რომ არ ჰქონდეს ოქრო-ვერცხლის, ან სხვა ნივთები მიწაში აღმოჩენილი“. ურბნისში აღმოჩენილ ამ ოქრო-ვერცხლის სამაკულთა თუ სხვა საყოფაცხოვრებო ნივთთა ნაწილი ალბათ შემოტანილი იყო უცხოეთიდან, ან საქართველოს სხვა ქალაქებიდან, მაგალითად, მცხეთიდან, ხოლო ნაწილი შესაძლოა მზადდებოდა თვით ურბნისში.

„ნინოს ცხოვრების“ ცნობით ურბნისში მრავალრიცხოვანი მოსახლეობა სახლობდა IV ს-ში. კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ზემოთ ციტირებული ადგილი „ცხოვრებისა“, სადაც საუბარია ურბნელთა სავაჭროდ წასვლაზე მცხეთაში: „...აღიძრნეს ერნი, ძლიერნი და ურიცხუნი“

<sup>1</sup> საფურცლედ და ქინჯარა, ანუ ქინძარა გეოგრაფიული სახელებია.

<sup>2</sup> ე. თაყაიშვილი, Описание, II., გვ. 749 — 750.

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილი, Описание, II., გვ. 750.



ხუნი სიმრავლითა, მით ქალაქით<sup>1</sup>. ზღუდის შიგნით მოქცეული ფართობი რომ მჭიდროდ იყო დასახლებული, ამას რამდენადმე ცხადყოფს უკვე არქეოლოგიური გათხრებიც. საყურადღებოა ამ მხრივ აგრეთვე XVII ს-ის ფრანგი მოგზაურის შარდენის ცნობა, რომელმაც 1672 წელს იხანულა ურბნისი. შარდენი აღნიშნავს, რომ მის დროს ურბნისი დანგრეული იყო და 12.000 კომლიდან, რაც შეადგენდა ოდესღაც მის მოსახლობას, 500 კომლია დარჩენილთა თქმა უნდა, შარდენის ცნობას აქ ოდესღაც 12.000 კომლის სახლობის შესახებ სიზუსტის პრეტენზია ვერ ექნება, მაგრამ მაინც საყურადღებოა, რადგან მოწმობს, თუ რა წარმოდგენა არსებობდა ამ დროს საქართველოში ურბნისის სიდიდებზე წარსულში. უნდა ვიფიქროთ, რომ ურბნისის მოსახლეობის ნაწილი, მისი ზრდის პროცესში, დასახლებდებოდა ზღუდის ფარგლებს გარეთაც და მხოლოდ საშინარების დროს ჩაიკეტებოდა ხოლმე ზღუდეში. არქეოლოგიური გათხრები დააზუსტებს ზღუდის გარეთ ურბნისის დასახლების საკითხს მისი ქალაქობის პერიოდში.

მონათმფლობელობისა და აღრეფეოდალური პერიოდის საქართველოს ქალაქები შედგებოდა უზნებისაგან. ასეთი უზნები ჰქონია, მაგალითად, ლეონტი მროველის ცნობით, მცხეთას. ასეთივე უზნები ჰქონია, როგორც ჩანს, ურბნისს. ურბნისის ერთ უზნად ლეონტი მროველი ასახელებს ებრაელთა უზნად („უზანი ურიათა“)<sup>1</sup>, სადაც, მისი ცნობით, ცხოვრობდა წინო ერთი თვის განმავლობაში. „წინოს ცხოვრების“ ცნობით, ამ უზანში ებრაელებს თავიანთი ბაგინი ანუ სამლოცველო ჰქონიდა („ბაგინი ჰურიათა“)<sup>2</sup>. ურბნისის ზღუდის შიგნით მოქცეული ფართობის დასავლეთი ნაწილი რღეს დაუსახლებელია. მოსახლეობას ძველად რელიგიური შიში ჰქონდა ამ ადგილისადმი — „ეკრპეზის ადგილად“ მიაჩნდა ის და ამიტომ გაურბოდა იქ დასახლებას. მაგრამ ქალაქობის პერიოდში, როგორც ამას ცხადყოფს არქეოლოგიური გათხრები, ეს მხარე საქმალ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. აღმოჩენილი მასალის შიხედით აქ თავმოყრილი ყოფილა ხელოსნური მოსახლეობა. წინაქრისტიანულ ხანაში, ცხადია, ქალაქს ეწებოდა სათანადო საკულტო ადგილი, სადაც გამართული იქნებოდა წარმართული სამლოცველო და იცხოვრებდნენ კულტის მსახური მოგვნი (ლეონტი მროველის ცნობით ქრისტიანობამდე ურბნისის მცხოვრებნი თავიანთ სტემდნენ ტეცხლს, ქეასა და

ხეს<sup>3</sup>). ქალაქ ურბნისის სხვა ნაწილებზე ურბნისის ჯერობით ვერაფერს ვიტყვი. მასალის სიმცირის გამო ძნელია აგრეთვე ლაპარაკი ურბნისის მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაზე მისი ქალაქობის ხანაში. არქეოლოგიური მონაპოვარი ცხადყოფს მხოლოდ, რომ ამ პერიოდში აქ ცხოვრობდნენ ხელოსნები, ვაჭრები და თავისუფალი მიწის მფლობელები. ოქროვერცხლის სამკაულთა აღმოჩენა ცხადყოფს აქ შექმნილთა ფენის არსებობას, რომელსაც შეადგენდნენ, ალბათ, მიწათმფლობელები და მსხვილი ვაჭრები. მონათმფლობელობის ხანაში ურბნისში, როგორც ქალაქი, გარდა აღნიშნული სოციალური ფენებისა, უნდა ვიგულისხმეთ აგრეთვე მონების არსებობაც, ხოლო აღრეფეოდალურ ხანაში — ყმა-გლეხებისა. ურბნისის საქალაქო მმართველობის სისტემა ჯერჯერობით უცნობია მკვლევართათვის.

**ურბნისი — ეპარქიის ცენტრი. ეკლესიაზე შემორჩენილი V საუკუნის წარწერა**

IV საუკუნეში ურბნისის, ისევე როგორც მთელი ქართლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მკვეთრი გარდატეხა ხდება. ფეოდალური ურთიერთობა იმდენად იზრდება, რომ ის გაბატონებული, წამყვანი ხდება. ამ საუკუნეში ფეოდალები თავიდან იშორებენ გვაროვნულ და მონათმფლობელურ წყობილებათა დროის რელიგიას — წარმართობას და ქრისტიანულ რელიგიაში პოულობენ თავიანთი ბატონობის იდეოლოგიურ დასაყრდენს.

ცხადია, ფეოდალიზაციის პროცესი საქართველოში თავის გაგუნას ახდენს ქალაქების განვითარებაზეც. მონათმფლობელური ხანის ქალაქები განსხვავდებიან ფეოდალური ხანის ქალაქებისაგან, როგორც თავისი გარეგნული სახით, ისე შინაარსით (ე. ი. ეკონომიკით, მოსახლეობის სოციალური სტრუქტურით, შინაგან მმართველობის სისტემით). ფეოდალურ ხანამანამდე არსებულ ქალაქთა ნაწილი ვერ ეგუება, ზოგი მათგანი ქრება როგორც ქალაქი, ზოგის მნიშვნელობა მცირდება, ზოგი კი ეგუება ახალ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და იცვლის თავის შინაარსს. ამასთან ჩნდებიან ახალი — ფეოდალური ქალაქები. ურბნისი — ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქი — შეეგუა რამდენადმე აღრინდელ ფეოდალურ ურთიერთობას, თუმცა, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ახალ ვითარებაში საქმარისი აღმოჩნდა ერთი მძლავრი ბიძგი, რომ ის საბოლოოდ გამქარაღყო, როგორც ქალაქი.

ურბნისი რომ V საუკუნეში ჯერ კიდევ მნ-

<sup>1</sup> ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება (ანასტული), 1942, გვ. 54.

<sup>2</sup> ე. თაყაიშვილი, Описание, II., გვ. 750.

<sup>3</sup> ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 87.





შენელოვანი ეკონომიური და ადმინისტრაციული ცენტრია შიდა ქართლში, ამას მოწმობს აქ, ამ პერიოდში საეპისკოპოსოს დაარსება, ტაძრის აგება (ძველ საქართველოში, როგორც აღნიშნავდა აკად. ს. ჯანაშია. ჩვეულებრივ საეკლესიო ცენტრი ემთხვეოდა საერო-ადმინისტრაციულ ცენტრს). VI საუკუნის დასაწყისში ქართლის სამეფოში 33 საეპისკოპოსო ჩანს, ურბნისის ჩათვლით. შემდეგ მათი რიცხვი მატულობს. აქედან შიდა ქართლში, გარდა ურბნისის საეპისკოპოსოსი, არსებობდა კიდევ რამდენიმე: რუისის, სამთავისის, წილენის, ნიჭოზის და მცხეთის. ურბნისის ეპარქიის საზღვრების დადგენა ამ დროულ ხანისათვის არ ხერხდება.

ურბნისის ტაძარი, რომელიც დღესაც დგას (თუმცა აღდგენილ-გადაკეთებული სახით), თავისი ხუროთმოძღვრული ფორმების მიხედვით V—VI საუკუნეთა მიჯნით თარიღდება. ტაძრის ასეთ დათარიღებას ეთანხმება და უფრო ახუსტებს ჩრდილოეთით მის კედელში ჩატანებული (რა თქმა უნდა, აღვიღწენაცალეებული), პატარა, სამსტრიქონიანი, ასომთავრული დამწერლობით შესრულებული წარწერა, რომელიც, თავისი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, V საუკუნით უნდა დათარიღდეს. წარწერას ქარაგმების გაუხსნელად შემდეგი სახე აქვს:

1. ო ო ე ჯ
2. კ ტ მ მ ქ ლ შ წ ყ ნ
3. ას სნა მ შ მ ლ ნ

ქარაგმების გახსნის შემდეგ წარწერა ასე აკითხება:

1. ოფალო იესუ ქრისტე
2. კონსტანტი, მამა მიქელ შეიწყალენ
3. ამის სიონისა მამუნებულნი 2.

როგორც ვხედავთ, წარწერა საშუენებლო ხასიათისაა. ტაძრის ამშენებლებად ის იხსენიებს ვინმე კონსტანტის, რომელიც შესაძლოა იგივე ლობრივი ფეოდალი იყო, და სასულიერო პირს — მამა მიქელს.

V—VI საუკუნეთა ქართული ეპიგრაფიული დამწერლობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ზოგიერთ ასოთა მუცელი. ან თავის შერეულობა. შემდეგში ეს შერეული მუცელი და თავი თანდათან იხსნება (თუმცა, გამონაკლისის სახით, ზოგჯერ ესა თუ ის ასო გვიანდელ წარწერებშიც გვხვდება შერეული მუცლით თუ თავით). ურბნისის აღნიშნული წარ-

წერის არქაულობაზე მიუთითებს განსაკუთრებით 3 ასო: თავშერეული ყ (ყ), ზ (ღ), თავ და მუცელშერეული შ (გ), რომ ადარაფერით ვთქვათ თავშერეული ჯ (ძ) -ზე და წ (წ) -ზე თავშერეული ზ ბოლნისის V საუკუნის წარწერების შემდეგ აღარა გვხვდება (VII საუკუნის დასაწყისის მცხეთის ჯვრის კოხლ-სტეფანოზის წარწერაში ზ უკვე თავგახსნილია). მაგრამ ურბნისის ამ წარწერაში განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას ასო შ-ს მოხაზულობა. თვით ბოლნისის V საუკუნის წარწერებშიც კი შ-ს მხოლოდ ერთხელ აქვს თავი შერეული (გ), ორჯერ კი თავი და მუცელიც გახსნილი აქვს (ყ), ასევე გახსნილი აქვს შ-ს თავი და მუცელიც მცხეთის ჯვრის ორ წარწერაში და წყისეს ძეგლში (VII საუკუნის დასაწყისი). ურბნისის აღნიშნულ წარწერაში კი შ ორჯერ გვხვდება და ორჯერვე მას შერეული აქვს არა მარტო თავი, არამედ მუცელიც (გ, ასეთი არქაული მოყვანილობის შ ჩვევს არც ერთ დღემდე ცნობილ ქართულ წარწერაში არ მოგვეტოვება.

ამდენად, ურბნისის წარწერა V საუკუნით თარიღდება. ის გვერდით უდგება დღემდე ცნობილ ქართულ წარწერათა შორის უძველესად მიჩნეულ ბოლნისის წარწერას და მასზე უფრო არქაულობის ნიშნებითაც ხასიათდება.

**ძალაქის დაღუპვა**

VII საუკუნის შუა წლებში, როგორც ცნობილია, ქართლის ერისმთავარი იძულებული იყო არაბთათვის, მორჩილება გამოეცხადებინა და მათთვის ხარკის ძლევა ეყისრა. მაგრამ ქართლის მორჩილება მოჩვენებითი აღმოჩნდა: ხალხმა შეურიგებელი ბრძოლა გააჩაღა დამპყრობთა წინააღმდეგ და არაბები იძულებული იყვნენ დაშორება დაშორებაზე მოეწყით მის დასამორჩილებლად. VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბთა დამსჯელი ექსპედიცია, რომელიც თავისი ძალით აღმეტებოდა ყველა მანამდე ჩატარებულთ, კატასტროფად დაატყდა თავს მთელ საქართველოს. ექსპედიციას სარდლობდა მურვან ბენ-მამკალი, რომელსაც არაჩვეულებრივი გულქვაობისა და უღმობლობისათვის ხალხმა ყრუ შეარქვა. მურვან-ყრუმ დაანგობა და მიწის პირს გაუსწორა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ასობით სოფელი, მრავალი ციხე-ქალაქი, მათ შორის ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჯი, აფხაზეთის დედაქალაქი ცხუმი (სოხუმი), ქართლის ძველი დედაქალაქის მცხეთის შიდა ციხე (აერობლი) — არმაზი და სხვა.

არაბებს ამჯერად როგორც ჩანს, ვერც ურბნისი გადაურჩა — მურვან-ყრუს დაშვარს ეს დაუნგრევია და გადაუწვეას. ამის შემდეგ ურბნისი ეცემა და მისი ქალაქობის პერიოდში სრულდება. XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი გვამცნობს თავის გეოგრაფიაში, რომ ურბნისი „იყო ქალაქი

1 იხ. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1, 1936, გვ. 32.


2 ურბნისის ეს წარწერა (ისევე როგორც ყველა დანარჩენი). ფოტოს გარეშე გამოცემული აქვს პროფ. ვ. თაყაიშვილს (არქეოლოგიური მოგზ. 1, 1907, გვ. 48—52). მაგრამ პატივიმულ მეკლევარს ისინი არ დაუთარიღებია. ამასთან, „კტი“-ს ის კითხულობს როგორც „კალატონი“ და არა როგორც „კონსტანტი“.

ურუსადმდე“. მართლაც, ამის შემდეგ, ურბნისის, როგორც ქალაქის, ხსენება საისტორიო წყაროებში ქრება და საერთოდაც მას რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამდე (1103 წ.) აღარ ახსენებენ.

ურბნისის რომ აღნიშნულ პერიოდში კატასტროფა განუცლია, ეს თვალნათლივ დადასტურდა არქეოლოგიური გათხრების პროცესში. ზღუდის შიგნით მოქცეული ფართობის დასავლეთი ნაწილის გათხრის შედეგად, როგორც აღვნიშნეთ,

სიონისაჲ. ოდეს ღმერთმან ღირს მცოცხემი სიონისა ებისკოპოსად, იყო ესე სიონი დამკლემულ უფროს ზომასა. თთხნი კუთხენი და კონქი განკებულ იყუნეს, სუეტნი ქტცი (?) დამპალ იყუნეს და მომპაღლა ღმერთმან ამის ყოვლისაჲ აღშენებად, ყოველთა ვაკეთებად. ძალითა ღმრთისაჲთა, შეოჭეობითა ღმრთისაჲთა, ყოველი გათავებითა მიქმნია“.

წარწერას თარიღი არა აქვს, ხოლო პალეოგრაფიული ნიშნებით ის X საუკუნით თარიღდ-



ურბნისის 1668 წლის წარწერა (მარამ დელოვის)

გამოვლინებულ იქნა ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ნასახლარი. ამ ნასახლარის გათხრის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ქალაქის ეს მხარე ხანძრის შედეგად დაღუპულა ადრეფეოდალურ ხანაში და შემდეგ აქ აღარც განახლებულა ცხოვრება. აღნიშნულ კატასტროფაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ნასახლარების თრისას, ზღუდის შიგნით, ხშირად ჩნდებოდა ადამიანთა ჩონჩხები, რომლებიც იშვიათად იყვნენ საგანგებოდ დამარხულნი და უმრავლეს შემთხვევაში ნანგრევებში მოყოლილთა შთაბეჭდილებას სტოვებენ.

არაბთა ლაშქარს დაუზიანებია ურბნისის ტაძარიც, რაზეც მიუთითებს მის სამხრეთ კედელზე შემონახული ასომთავრული წარწერა. ქარაგმების გახსნის შემდეგ წარწერა შემდეგნაირად იკითხება:

აოფალო ღმერთო, შეიწყალე თეოდორე ებისკოპოზი, ქეა ლუქასი, მაშენებელი ამის

ბა: V—VIII საუკუნეების ძეგლებიდან მას გამოირიყვას ნაცხებით თავგახსნილი ბ (Ⴀ), ყ (Ⴁ) და შ (Ⴂ); აგრეთვე ორფეხიანი (Ⴃ) და ლ (Ⴄ); V—VII საუკუნეებში ჩვეულებრივ ე და ლ ცალფეხიანია—ႥႦ შემდეგ კი ისინი ორფეხიანი ხდება; IX საუკუნის ძეგლებიდან წარწერას გამოირიყვას ასო მ, რომლის მუცლის შემკვერელი ხაზი აქ მარჯვნივ არ გადადის (Ⴇ); X საუკუნეზე ადრინდელ წარწერებში კი ეს ხაზი ყველგან მარჯვნივ გადადის (Ⴈ); XI საუკუნის ძეგლებიდან აღნიშნულ წარწერას გამოირიყვას უბირველეს ყოვლისა უყელო დ, რაც VIII — X საუკუნეთა ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი მხოლოდ !; ამასვე მხარს უჭერს ო-ს განსაკუთ-

1 უყელო დ-ს შესახებ იხ. რ. შმერლინგი, უბისის ტაძრის დთარიღებისთვის, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, 1955 წ. № 2.





რებით სწორი, წრიული მოყვანილობა, კაუჭისებური ფეხით (ქ), რაც XI ს-ზე აღინიშნული ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი და წარწერის სიმეტრიულობა, ასობების თანაბრობა სტრიქონებში, რაც აგრეთვე სივრცის ნიშანია.

ამრიგად, VIII ს-ში არაბების მიერ დაზიანებული და შემდეგ, ორი საუკუნის მანძილზე უუურადღებოდ დატოვებული ურბნისის ტაძარი X საუკუნეში აღუდგენია ურბნელ ეპისკოპოსს თეოდორეს. ამ პერიოდში ქართლში შედარებით ხელსაყრელი, მშვიდობიანი განვითარების პირობები შეიქმნა, არაბთა ბატონობის უღლისგან ქვეყანა თითქმის სასუსებით გათავისუფლდა. ქვეყნის სოციალ-ეკონომიური წინსვლა დამჭარდა. ტაძრის აგებაში თეოდორეს დახმარება ვინმე კონსტანტინე, მიქელის ძე (ალბათ ადგილობრივი მსხვილი ფეოდალი), რაზეც ცნობას გვაწვდის ტაძრის აღმოსავლეთის კედელში ჩატანებული ასომთავრული წარწერა. წარწერაში აღნიშნულია: „იდებდა შენდა ქრისტე, რამეთუ მომადლე თეოდორე ეპისკოპოსსა ამის სიონისა აღშენება, თანაშემწეწინთა მიქელ, ძისა კონსტანტინესითა. ქრისტემან შეუნდვენ. მე, აბათარ დაწვერე“. ამავე წარწერის გვერდით ამოჭრილია X საუკუნისავე ასომთავრული წარწერა, რომელიც გვამცნობს, რომ ვინმე ქავთარი და შუშანი (შესაძლოა აგრეთვე ადგილობრივი ფეოდალთა სახლი) რილაკით შესწევინა ეკლესიას — ალბათ შეუწირავთ რამე: „სამებოა წმიდაო, შეიწყალე მონაა შენი ქავთარ, შუშანი და ნაშობნი მათნი, შემწენი ამის სიონისანი. ქრისტემან შეუნდვენ, ამინ“.

ურბნისის შემდგომი ბაღი

მურვან-ყრუს მიერ დანგრეული ქალაქი აღარ აღორძინებულა. როგორც ჩანს, სამამისა პირობები მის აღარ ჰქონია. ურბნისი სიამთმელობებური წყობილების წიაღში წარმოშობილი ქალაქი იყო. ახალი სოციალური ურთიერთობა ისეთ პირობებში აყენებდა მას, რომლებიც, შესაძლოა, იმდენად ხელშემწყობი აღარ იყო აქ ქალაქური ცხოვრების განვითარებისათვის. აღრფეთვალური ხანის დასაწყისში ურბნისმა, როგორც აღვნიშნეთ, შეინარჩუნა თავისი ქალაქობა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ერთმა ბიძგმა (თუნდაც ისე ძლიერმა, როგორც იყო მურვან-ყრუს ლაშქრის მიერ მისი აიხრება) საბოლოოდ ჩაჰკლა აქ ქალაქური ცხოვრება, ცხადყოფს, თუ რა სუსტი სოციალის უნარი ჰქონდა ფეოდალური ურთიერთობის პირობებში ურბნისის ქალაქობას (სწორედ ამავე მიზეზით დაეცა საბოლოოდ არმაზი მურვან-ყრუს მიერ მისი დანგრევის შემდეგ).

IX—XI საუკუნეებში ურბნისის ახლოს ხდება სხვა ბუნქტების დაწინაურება — ქალაქად გადაქცევა კერძოდ, მატულობს უფლისციხის

მნიშვნელობა და ის შიდა ქართლის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი ხდება.

XII საუკუნის დასაწყისში ქალაქად იქცა გორის ციხე და ის შიდა ქართლის უმთავრესი ქალაქი ხდება. XI საუკუნეში ბაგრატ IV-ის ბრძანებით ატენში აშენებენ ქალაქს.

როგორც საეპისკოპოსო, ურბნისი განაგრძობს არსებობას, მაგრამ, როგორც ჩანს, ურბნისის ეპარქიის მნიშვნელობაც მცირდება. ყოველ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ XI საუკუნის შუაწლებში ლიპარიტ ბაღვაში ბაგრატ IV-ის ძეს გიორგის რუისის ტაძარში აკურთხებს მეფედ და არა ურბნისში, იმაზე მიუთითებს, რომ რუისის საეპისკოპოსო ამ დროს უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ურბნისისა.

ქალაქობის შემდგომ პერიოდში ურბნისი სავლესიო სოფელი იყო, მისი მცხოვრებლები ურბნისის ეკლესიის ყვებო იყვნენ და ფეოდალურ გამოსაღებებს უხდიდნენ მას. ამ პერიოდში ურბნისში ვაჭრობა-ხელოსნობა ჩაყვდა, მდიდართა ფენა გაჰქრა, მოქალაქეთა ადგილი მთლიანად ყმა-გლეხებმა დაიკვირეს, საქალაქო-სამეურნეო ნაგებობები დაიწვრა. რაც შეეხება ალიზის ზღუდეს, ის, როგორც ჩანს, საკმაოდ დანგრეულა და გასამაგრებლად მისთვის მიწა დაუყრიათ ყოველმხრივ, რადგან ურბნისის არც ქალაქობის შემდგომ პერიოდში ჰქონდა მოსვენება გარეშე მტრისგან. უშუალო მწარმოებელი მოსახლეობა — ყმა-გლეხები, ერთის მხრივ მძიმე კლასობრივ ჩაგვრას განიცდიდნენ, ხოლო მეორეს მხრივ — სისტემატურ რბევა-აწიოკებას საგარეო მტრისგან. ამ რბევა-აწიოკებათა მძიმე შედეგებზე ნათლად მიუთითებს თვით ურბნისის საეპისკოპოსოს ბედი. საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის ხანიდან (XV—XVIII საუკუნეები) შემონახულია საბუთები, რომლებიც მოწმობენ, რომ ქართლის მეფეები, როცა კი მშვიდობა იყო, ზრუნავდნენ ურბნისის საეპისკოპოსოს შემწეობაზე, მისი ტაძრის შეკეთება-აღდგენაზე, მისთვის სხვადასხვა შესაწირავის მიერთებაზე. ამასთან შეფეები ხაზს უსვამენ იმ ზარალს, რაც მიაყენეს მტრებმა ურბნისის ტაძარს. ცხადია, თუ ურბნისის ეკლესია ასე ზარალდებოდა საგარეო მტრების მიერ, არც თვით სოფელს დაადგებოდა უკეთესი დღე-კერძოდ, როგორც ჩანს, XIII—XVI საუკუნეთა დაუდგრომელ, შემოსევა-რბევა-აიხრებით აღსავსე ხანაში, როცა ქართველი ხალხი გმირულად იცავდა თავის არსებობას და თავისუფლებას მონღოლთა, თემურ-ლენგისა ურდოების და ბოლოს სპარსელ-ოსმალთა წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლებში, ურბნისის საეპისკოპოსოს სავსებით მოშალა. ქართლის მეფე სიმონ I (1556—1601 წ. წ.) ზრუნავს მის აღდგენაზე. ამას გვამცნობს მისი 1566 წლის სიგელი, სადაც აღნიშნულია: „...ძეგლითგან მრავალეამ დავიწყებულ საეპისკოპოზო ურბნისი... მოშოლ



იყო ეამთა ვითარებისგან და უღმრთოთა აგარიანთა კელითა ტყუელ ქმნილ იყო განძი და გუჯარი მისი... ძალითა შეწყვენითა ღთისათა ჯელ ვაჟად და ვიწყეთ განახლებად ამისად<sup>1</sup>. მეფე უახლეს ღრბნისის ტაძარს მამულების მფლობელობას. სიგელში აღნიშნული „განახლება“ გულისხმობს არა ეკლესიის შენობის შეკეთებას, არამედ—„მოშლილი“ საეპისკოპოსოს განახლებას.

ღრბნისის ტაძრის სამხრეთის კარის თავზე მთავდებულია 1668 წლის მხედრული წარწერა, რომელიც ცნობას გვაწვდის მარამ დიდოფლის (ქართლის მეფის ვახტანგ V-ის მეუღლის) მიერ ამ ეკლესიის აღდგენა-აშენების შესახებ:

„ქ. შენ, ყოვლად სანატრელო, ღვწლმარავლო და დიდებულო, ყოველთა მოწამეთა უწინარესო და უწარჩინებულესო წმინდაო სტეფანე, შემწე მექმენ ორსავე შინა ცხოვრებასა, რომელმან აღვაშენეთ ძირითურთ ამოუხვრელი ტაძარი შენი ჩვენ, დადიანის ასულმან, დედოფალმან, პატრონმან მარამ, რათა მეოხ ექმნა სულსა ჩემსა და სულსა ძისა ჩვენისა სასურველისა ოტიასასა, წინაშე ღვთისა შენისა, დღესა მის გაკითხვისასა, ქორონიკონსა ტნგ“<sup>2</sup>.

როგორც ჩანს, 1566 წლიდან (ე. ი. სიმონ I-ის ზემოაღნიშნული სიგელის გაეციმიდან) 1668 წლამდე ღრბნისის ტაძარი ნაწილობრივ დანგრეულა ბუნებრივად თუ ხელოვნურად (შესაძლოა ეს მართლაც შაჰ-აბაზის ლაშქრობის შედეგი იყოს, როგორც ამას ფიქრობს პროფ. გ. ჩუბინაშვილი, თუმცა საამისო საბუთით არ ჩანს).

1706 წელს ღრბნისის ტაძრის გალავანი და სამრეკლო, აგრეთვე პალატი და სხვა ნაგებობები აღშენებია ვახტანგ VI-ს. ამის შესახებ გვამცნობს ღრბნისის სამრეკლოს მხედრული წარწერა. ვახტანგ VI-ის კულტურულ-საამშენებლო მოღვაწეობაზე, კერძოდ მის ზრუნვაზე ღრბნისის ეკლესიაზე, გვამცნობს აგრეთვე ერთი თავისთავად მერად საინჟინერო ლექსი. მთავარსებელი ღრბნისის ეკლესიის ერთ ხელნაწერში:

„ოე უმცირესმან ძმათაგან — ვახტანგმან სახელდებულად, ვქმენ ოთხ წელ მცხეთა, უ რ ბ ნ ი ს ი, საღვურ კამარაგებულად, ტფილის სიონი კვლახლა შევამარწე ქანდაკებულად, და ჩემთვის სახლი სარკისა, შიგ ლხინი მოწონებულად.

სტანბა მოვიღე ვლახეთით<sup>1</sup>, გამარტულე წიგნი, მელანი, ქციის რუ ხუნანს წაიღე, გაღმითად მოვრწყე ველანი, მაშვარის რუ ხომ ტბას შვერთე, შიგ თეჯი ჩავსხი ყველანი, და ესე მთა მოვინადირე, ვხოცე ირემი ძველანი. სამართლის წიგნი დავსწერე, მსაჯულსა არა ცილობა, ვეფხის ტყაონის თარგმნობა, სხუა წერილ არ ვსთქუთა ცილობა, და ბოლოს მიიღონ სოფელმან სიმდიდრე, მეფეთ შვილობა“.

ვახტანგ VI-ის შემდეგ ღრბნისის ეკლესიის გალავანი კვლავ ასაშენებელი გამხდარა. 1739 წელს ის აღშენებია ურბნელ ეპისკოპოს ნიკოლოზ ხერხეულიძეს, რაზეც გვამცნობს ექვთ. თაყაიშვილის მიერ ნახაზი და გადმოცემული (ამჟამად დაკარგული) ქვაზე ამოპრილი ჰატირა ლექსი:

„ქ. განვასრულე გალავანი ქორონიკონს უნ კან ზენით<sup>2</sup>, ისმიტელთ ერთა მიერ ჩვენ ვიყვენით განუსვენით, რაც დამცალდა კარგად ვამკობ, აქ მყოფო ნუ მოიწყენით, და შემდგომ ჩემსა ვინაც დამკვიდრდეთ, უხადარუკი მომხსენით, ამინ. ურბნელი ნიკოლოზ“<sup>3</sup>.

როგორც ჩანს, ისმალეხს, რომლებიც ვახტანგ VI-ის არსებობაში გახიზვნის შემდეგ (1724 წ.) დამკვიდრდნენ ქართლში, დაუფრევით მის მიერ ურბნისში აშენებული გალავანი, რომელსაც 1739 წელს ხელახლა აშენებს ნიკოლოზ ურბნელი.

მოტანა ურბნისის ეკლესიის რბევაჟობრების საბუთებისა, რომლებიც ამავე დროს გავიხატავენ მთელი სოფლის მძიმე მდგომარეობას, სავარაუდო მტრებთან გამუდმებული ბრძოლებით აღსავსე ფეოდალიზმის ბოლო სტუკუნეებში, კიდევ შეიძლებოდა.

ასეთია ურბნისის ისტორიის სქემატური სურათი. ამ სურათის რამდენადმე სრული სახით დადგენა, ურბნისის ქალაქობის პერიოდთან დაკავშირებული მრავალი საკითხის გარკვევა ახალი არქეოლოგიური მასალის მოპოვებისა და მოპოვებულის შემდგომი დამუშავების საფუძველზე მოხდება.

<sup>1</sup> ი. თორნიანი, ქრონიკები, II, გვ. 407.  
<sup>2</sup> ე. ი. 1668 წელი.

<sup>1</sup> ივლისხმება ვახტანგ VI-ის მიერ პირველი სტამბის დაარსება საქართველოში.  
<sup>2</sup> ე. ი. ქორონიკონს უკზ. — 1739 წელს.  
<sup>3</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა, I, გვ. 49—50.





626-3672

## ღალი ყაჯღაფშიდი

### სცენის ზაღოქარი

ნახევრად ჩაბნელებულ სცენაზე, პოლისანდრის ხესთან, თითქოს ზედ შებრდილი, დგას მუქ სამოსში გამოწყობილი მოხუცი ქალი. მთელი მისი არსება დაბაგრულია, ერთ სურვილადია ქცეული — არ აგრძობინოს მახლობლებს მოახლოებულ სიკვდილთან გამართული ბრძოლა. დგას ამაყი, შეუდრეკელი, მაღლა აზიდული ხელებით ხის ტოტებს ჩაქედვია — თითქოს სურს აქედან მიიღოს უკანასკნელი ძალა, რომ არ დაეცეს. დგას ქალი — უსაზღვრო კდვმა, ქალი — ნებისყოფა, და გარეგნულად დამშვიდებული, შიშიმდ, მაგრამ ოდნავ აჩქარებულად, თითქოს სურს ყველაფრის თქმა მოასწროსო, კარნახობს რაღაც სასმელის რეცეპტს. აზრი კი ნებას ეურჩება; ბაგეს წყდება ის სიტყვები, ის აზრები, რომლებიც მთელ მის არსებას დაუფლებიან, მაგრამ ეუხენა სწრაფად უბრუნდება თავის რეცეპტს — მოხუცმა, რაღაც უნდა დაუჯდეს, უნდა გაანდოს საყვარელ გოგონას ოჯახის საიდუმლო — ესაა ხომ ერთადერთი, რითაც შეუძლია მადლობის გამოხატვა, და აზრების ამ ქილიში იგი ჩვენს თვალწინ კედება; კედება ზეზეულად, როგორც მხოლოდ ხეები კედებიან ხოლმე; კედება ვ. ანჯაფარიძის ეუხენა, ქანდაკებად ქცეული, ხის ტოტებში ამაყად ჩაწული, თავაწეული. და აქ უეტრად მოგონებაში ამოცურდება უმ. ჩხეიძის შესანიშნავი სტროფი:

„რომ გაქვავდე, ქალი, ამ დროს — შეგაქლება გაღმერთება“.

მოკვდა ეუხენა. და ეს იყო რაღაც უზომოდ დიდი... ახალი... ეს სიკვდილი არ ჰგავდა ივლითის, მარგარიტას, კლემენტას, ანო ბატონიშვილის, დეზდემონას, მზეთვალას, ჯავარას სიკვდილს... ეს სულ სხვა იყო, რაღაც უჩვეულო... ან კი რა გასაკვირია — განა მარტო ეუხენა წავიდა ამ ქვეყნიდან განსხვავებული, თავისებური სიკვდილით? არა, ვ. ანჯაფარიძის ყველა გმირის სიკვდილი თავისებურია, ისევე, როგორც ყოველი მათგანის სიოცხლე. მასავით ხომ არც ცოცხლობს ვინმე სცენაზე, არც კედება მისი

ცხოვრება ყოველთვის აზრებისა და გრძობების მთელ ქარაშოტს იწვევს; მისი სიკვდილი მუდამ ცრემლსა ჰგავს, მაგრამ იმედსაც უღვიძებს მაყურებელს.

40 წლის აქტიორული ბიოგრაფიის მქონე ვერიკო ანჯაფარიძემ გვაჩვენა კიდევ ერთი ახალი, უბადლო, განუმეორებელი სიკვდილი. და განა მარტო სიკვდილი? — ეუხენა არაფრით არ ჰგავს თავის წინაპრებს — ვერიკოს სხვა გმირებს. ესაა სრულიად ახალი სახე. ესაა ახალი ცხოვრების დასაწყისი ვ. ანჯაფარიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, მისი მეორე გაზაფხული.

მოხუცი ეუხენა ოცი წელია ელის შვილიშვილს — მაურისოს, ცოცხლობს მხოლოდ მისთან შეხვედრის იმედით და, ჯილდოდ შიშიმე მოლოდინით აღსავსე წლებისა, მაურისოთ მოდის. აი საცაა ჩამოვია... სულ რაღაც წუთებიღა დარჩა, მაგრამ, ღმერთო, რა გრძელია ეს წუთები... განვიღო ოც წელზე უფრო გრძელი... ეუხენა ფუსფუსებს, ეშველება მოახლე ქალს ხენოვანს მაგიდის გამლაში, ყოველ საგანს თვითონ შეაღებს ხელს, ყველაფერში თვითონ ერევა — და ეს იმიტომ, რომ უნდა შვილიშვილს ყველაფერი ისე დაახვედროს, როგორც ოცი წლის წინათ იყო; ან იქნებ იმისათვის, რომ დრო წუთმწევლად გავიდეს საქმიანობაში? მაგრამ არა, ვერიკო-ეუხენა ყველა მოძრაობას მხოლოდ მექანიკურად ასრულებს — მთელი მისი არსება მოლოდინად ქცეულა, ყოველი ნერვო ყალყზე დგას. თვალები, მსახიობის ეს გასაოცარი თვალები, მოუსვენრად გადადიან ერთი საგნიდან მეორეზე... ჩუ! რაღაცამ გაიხმაურა, მგონი ის არის! — და თვალები ახალგაზრდული სიხარულის ცეცხლით ენთება. მაგრამ არა... ეს მაურისოთ არაა. და მზერაში კვლავ მოლოდინის ნისლი ჩაუწყება, მოუსვენარი, დაძაბული მოლოდინის ნისლი.

ძლივს ბოლო მთელი მოლოდინს — ოთახში ქარიშხალივით შემოიჭრა მაურისოთ და ვერიკო-ეუხენა ერთბაშად, ჩვენ თვალწინ რამდენიმე წლით გაყმაწვილდა. მისი სიხარულის ცრემლით



საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

დამინდული თვალები ახლა უზომო, უნაპირო ბედნიერებას, ძალასა და ენერჯიას გამოხატავენ.

ღაბაზში დაირხა ესპანური საცეკვაო მუსიკის ჰანგები. ამ ჰანგებს აპყვენ მაურისო და ოსაბელა. მათი ცეკვა მგზნებარა და ლამაზი. და შეეცად... მათ შეუერთდა ვერიკო-უუხენა. არა, ეს აღარ არის მოხუცი ქალი, მის მხრებს თითქოს უცებ მოეხსნა ნახევარი საუკუნის ტვირთი. იგი ცეკვავს ღრმა ექსტაზით, და ამ ცეკვაში ვხედავთ იმ ცეცხლს, რომელსაც ოდესღაც აგზნებდა ახალგაზრდა ეუხენის ცეკვა.

გ. ანჯაფარიძის გზა ხელოვნებაში არ არის ჩვეულებრივი. მისი დიდება არ მოსულა თანდათანობითი დაოსტატების შედეგად. პირველივე გაელეება სცენაზე — და მან მოიპოვა სამუდამო სამყოფელი ყველა მნახველის გულში. მის წილად ხვდა ის ბედნიერება, რომელიც მხოლოდ იშვიათ რჩეულთა ხედრია.

ის პირველი, თვალისმოპყრელი შუქი, რომელიც მან მოაფინა მაყურებელს, იყო იაჟმა — უძველესი ღროის ეგვიპტული ქალწული — ეშში და სილამაზე გ. ჯაბღარის სტუდიის სპექტაკლისა „სარწმუნოება“. ვერიკოს ნარნარა, მსუბუქი, ოდნავ ტენილი მოძრაობები ქმნიდნენ გაცივლებული ძველი ეგვიპტური ქანდაკებების მთელ სერიას. ეს სპექტაკლი დაიდგა მხოლოდ ერთხელ, მაგრამ მთლიანად მისი და განსაკუთრებით კი იაჟმის ზემოქმედებით ძალა იმდენად დიდი იყო, რომ ვერც ერთმა მძლავრმა შთაბეჭდილებამ ვერ განდევნა იგი მნახველთა გულიდან.

უკვე ამ პირველ სპექტაკლში გამოჩნდა ანჯაფარიძის დიდი უნარი გმირის შინაგანი განცდების ძუნწად, მაგრამ საოცრად სახიზრად გამოვლენისა. თუ პირველ სცენაში ტერასაზე წამოწოლილ გარინდებულ იაჟმას სახეზე, მის ჩაიებულ მზერაში მაყურებელი ნათლად ხედავდა მოლოდინის გრძობას, რომელსაც მთლად მიუცევა ქალწულის არსება, ხედავდა უზომოდ შეყვარებულ ქალს, შემდეგ სცენაში იგი უკვე ერთიან შეპყრობილი იყო სულ სხვა გრძობით — სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავის შეწირვის სურვილით. და როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ვერიკო-იაჟმას გრძობებზე, მის სურვილებზე ყველაზე უფრო მკაფიოდ მეტყველებდნენ განსაკვიფრებელი შუქით გასხივისებული თვალები და ძუნწი მოძრაობები.

ეს ბრწყინვალედ დაწყებული სცენური ცხოვრება შემდეგში აღარასოდეს მიმქალა. პირიქით, იგი თანდათანობით გაძლიერდა, გამტკიცდა, მალალო ოსტატობის სამაჟოსით შეიმოსა. ერთი-მეორეს მიჰყვენ შესანიშნავი სახეები: სალომეა, ანალია, პეგინ მაიკ, ოფელია, იელითი, დეზდემონა, ლუიზა, გრაფინია ალმაფივა, დედოფალი („რუი ბლანკ“), მარგარიტა, მირანდოლინა, ჯესი, კლოპატრა, ვარვარა პეტრიჩი, მარია სტიუარტი, ეუხენა — და მათი მუღმივე თანამგზავნი: მა-

ყურების ერთობლივი აღტაცება, საყოველთაო აღიარება, გულიდან ამოხეთქილი საზოტო სიტყვები, ატრემლებული თვალბები, თიგულები, წერილები, ლექსები... აი ვერიკოს ქართველი ქალებიც — ფატი, გინატრე, მზეინარი, მაყვარა — მზეთვალა, ანო, ცაბუ, დარეჯანი და ჯავარა — გასაოცრად თავისებურნი, თვითმყოფადნი, განსხვავებულნი, მაგრამ ესოდენ ნაცნობნი, მახლობელნი... და, სამწუხაროდ, ძალზე ცოტანი... ალბათ ამ სიმირემ თუ ათქმევინა სინანულით ლილო ასათიანს:

„...მინდოდა ერთი ნატერა მენატრა და სანატრელი ისეგ შენა ხარ: მოგმეკვდარიყავ და ქართულ სცენაზე შენი ქართველი ქალი მენახავ; მოგმეკვდარიყავ და ქართულ ლეჩაქში მენახავ შენი ქართველი დედა, დამაბრმავებდა, ვერიკო, მაშინ, შენი მიმქრალი შარაგანდელი“.

პოეტი ვერ მოესწრო საუკეთესო ვერიკოს ქართველ ქალთა შორის — ანოს, მაყვალას, მზეთვალას; ვერ მოესწრო ქართველ დედას ჯავარას — ვერიკოს რეპერტუარის ამ ჯავარასა და მშვეენებას.

ჯავარა ღრმა ტრაგიზმით აღსავსე გმირია. იგი გზას აცდენილი შვილის, სამშობლოს გამყიდვლის დედაა. ამაზე მძიმე კი არაფერია ქართველი დედისათვის.

გულააკიდებული, ჯოხზე დაყრდნობილი დედის ჯავარა ხეებში, ტყეში, უგზოუკვლოდ დახეტებდა ღამის წყვდიადში — ეძებს შვილს. ეძებს, რომ გაპყციხოს, შეუძახოს, იქნებ გონს მოიყვანოს. დედის არ შეუძლია დამშვიდებით იჯდეს შინ მაშინ, როდესაც მისი ერთა განსაცდელშია — ხვალ, ხატბაში, იგი უნდა შეჩვენონ მოიყვეთონ, განდევნონ მშობლიური სოფლიდან. ვერიკო-ჯავარას სიმძიმელი უზომოა სწორედ იმიტომ, რომ მან იცის, მისმა შვილმა, მისმა გაეკაცმა ღამისახურა ეს სასჯელი. განრისხებულ ჯავარა დაუნდობლად უტეგს შვილს, მაგრამ ამ შეტეგვაში მართო შიშველი რისხვა როდია — არა, აქ შურისძიების გრძობით აღსავსე პატრიოტთან ერთად გულგოვლი, შვილის უზომოდ მიყვარული დედაც არის და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი უზარმაზარი გრძობის შექილები გამოსახატავად მსახიობს ძალიან მცირე ტექსტუალური მასალა აქვს, გ. ანჯაფარიძისათვის ესეც საკმარისია, რომ მისი ჯავარა იყოს ისედი ძალის გმირი, როგორთა დანატევი მხოლოდ ვერიკოს შეუძლია.

რთული, მრავალფეროვანი, მძიმე ცხოვრების გზა აქვს განვლილი ლ. გოთუას მზეთვალას. იგი აღსართანის მხვევალიც იყო, მისი მსტოვარიც, მისთვის არ იყო უცხო არავითარი დამტყრება, არავითარი სიცრუე და ვერაგობა. ასეთი წარსლის ქალს შეუყვარდა, შეუყვარდა



უმანკო, წმინდა სიყვარულით — იგი აამალა ამ სიყვარულმა, აქცია სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლად, თავგანწირვამდისაც კი მიიყვანა. ვერცხოს მადლიანმა ნიჭმა ხორცი შეასხა ამ მრავალჭირნახულ ქალს, აღამალა იგი.

დავით აღმაშენებლის კარზე, გელათის ვალავანში, დავითის საცოლდ გურანდუხტთან ერთად გამოჩნდა მზეთვალა — გამოჩნდა და შემოიტანა მზის ნათელი, ხალისი, სიკისკაც... გამოჩნდა და დაატყვევა ჭაბუკი მეფის მგზნებარე გული... გამოჩნდა და თვით დაემონა მისთვის დღემდე უცნობ გრძნობას სიყვარულისას.

ვ. ანჯაფარიძის ჯადოსნური განცდა იყო საჭირო იმისათვის, რომ ცხოვრებისგან გათვლილი მზეთვალას ტრფილიც ესოდენ სულში ჩაშვდრომი გამზდარიყო; მისი სიტყვის ღრმა ემოციურობა იყო საჭირო, რომ მეორე მოქმედების პირველ სურათში მზეთვალასა და დავითის სცენა უნახეს პოემად ქვეუღიყო; მხოლოდ ვერიკოს სულიერ ძალას შეეძლო მზეთვალას თავგანწირვა იყვანა ჭეშმარიტ ტრაგიზმამდე, და ამავე დროს მისთვის ოპტიმისტური ძალა შეენარჩუნებინა.

მზეთვალას განცდათა გამოსახატავად ვერიკოს მიერ გამოყენებული საღებავები აქაც, როგორც ყველა სახეში, მკვეთრია და სისხლსაცხე; მისი სიტყვა ამაღლებულია და სასწაულებრივად მუსიკალური, გრძნობებით სავსე; მოძრაობები ღამაზია, მოქნილი, ვერიკოსეული, და ამავე დროს სრულიად ახლებური — ისეთი, როგორც არც ერთი მისი გვირისათვის არ შეგვინუნავს აქამდე.

ბიოგრაფიით თითქოს რაღაცით წააგავს მზეთვალას თანამედროვე ამერიკელი ქალი — ჯესი, რომლის ბრწყინვალე სახე, დახატული ვ. ანჯაფარიძის მიერ, არაფრით ტოლს არ უდებს სახელგანთქმულ ივლითსა და მარგარიტს. მანაც განვლო გრძელი გზა დამკირვარი, ხასობისა, ალბათ მსტოვრობისაც, მასაც შეუყვარდა... მაგრამ სულ სხვაგვარია ჯესის სიყვარული, და მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მას თავდაპირველად სჯერა, რომ ნამდვილად უყვარს სმიტი, ვ. ანჯაფარიძის ჯესი ხალდაც, გულის ძალიან შორეულ კუნძულში, თავიდანვე გაუქვებთ. გაუქვებთ არა იმით, უყვარს თუ არა; არა, ახლა მას ნამდვილად უყვარს. როდესაც ჯესის სატრფო არჩევანის წინაშეა — ან რუმენის უარყოფა და სიმდიდრე, ან ერთგულება რუმენისა და სიღატაკე — თქვენ შიში გვაპრებთ გულში: სმიტმა რომ მეორე გზა აირჩიოს, ეყოფა-კი ჯესის ძალა მხარში ამოუდგეს მას? აი, უცქერით გულთან მოსაუბრე ჯესის, რომელსაც მოთმონებულით აღსაცემ მზერა კარისკენ მიუბყრობა, ისმენთ მის ოდნავ შიშნარე იქვს, რატომ დაგვიანა სმიტმა, იქნება უარი თქვაო, და უკვე იცით, რომ ამ ქალს არა აქვს ის სულის სიმადლე, ის სიმტკიცე, რომელმაც ებრაელ

ქალს ივლითს ზამალა ათქმევინა — „რამინო, სტუი“. მას არც საიმისოდ ეყოფა ძალა, რომ მოკვდეს რუმენისათვის, ისე როგორც მოკვდა მზეთვალა, ან სიყვარულისათვის — როგორც მარგარიტა; იგი ვერც იმას შესძლებს, რომ ცაბუს მაგვარად მხარში ამოუდგეს მიუღლეს და მასთან ერთად იბრძოლოს. იგი თვითონ მოთხოვს მსხვერპლს და სმიტიც თმობს — თანმდებდა დასწეროს წიგნი რუსეთზე. და ჯესი უზომოდ ბედნიერია — როგორც იქნა მოიბოვა მუდრო კუთხე, სადაც ცხოვრობს სიყვარულ ადამიანთა ერთად — ეს მისთვის საკმაოდია.

მთელი სპექტაკლის მანძილზე ვ. ანჯაფარიძე თვითონაც ემზადებოდა და მაყურებელსაც აზხადებდა გაპარვის იმ განუყოვრებელი სცენისათვის, რომელიც ჯესის სახისათვის ესოდენ ბუნებრივ წერტილს წარმოადგენს. ჯესის ესმის, რომ მას არა აქვს უფლება მიატოვოს ქმარი, როდესაც იგი სრულიად გადატყვევებულია, მაგრამ იცის ისიც, რომ სიღარიბეში ჩავარდნილი სმიტისათვის იგი მხოლოდ ერთი ზედმეტი უბედურება იქნება. ჯესი ხომ უმწეო, ჩია სულის ადამიანი და ასეთევე უნდა იყოს მისი ყოველი მოქმედება. ასეთევე ჩია, უხადრუქია მისი წასვლა სმიტისაგან. ვ. ანჯაფარიძის ჯესი, თანამედროვე ამერიკის ნამდვილი შვილი, ებრძვის თავის ერთადერთ კეთილშობილ გრძნობას სმიტის სიყვარულს, რადგან მისი ლტოლვა უზრუნველი ცხოვრებისადმი უფრო ძლიერია. და იგი სტოვებს სმიტს; კი არ მიღის, თავის თავს, თავის გრძნობას ვნარება, მის ეშინია სიყვარულმა არ დაძლიოს. და ეს უსიტყვე გამოთხოვნიც ცხოვრების ნათელ დღეებთან ისე ძლიერია, იმდენად ემოციურია, რომ ყველზე გულცივი, მშვიდი მაცურებლის გულშიც კი სევდას ჰხადებს. ვერიკოს თვალეზში, მის მოძრაობაში მაცურებელი ხედავს, რომ ამ ქალისთვის ყველაფერი გათავდა, დასრულდა მისი ხანმოკლე ბედნიერება და ახლა იგი ისევე წარსულ მწარე ცხოვრებას უბრუნდება.

გარეგნულად ნაზი, კდემამოსილი, მომზიბლავი, მწყაზარი, ნაკადულივით მოზარკავე და სმენის დამატკნობელი ნარნაა ზმით, გრაციოზული, დიდებულეზის იერი, შინაგანად სათუთი, მაგრამ ძლიერი, უდრეკი სულის მქონეა ვ. ანჯაფარიძის ანო ბატონიშვილი ლ. გოთუას ჰიესიდან „მეფე ერეკლე“ — პოეტის სატრფო და შთაგონება, ძლიერი და გავლენიანი მამის ერთა. იგი ჭეშმარიტი მამულიშვილიც არის, სამშობლოს ბედობლით ღრმად დაინტერესებული, გულთბოი, გულსხმიერი ადამიანიც, მგზნებარე მიჯნურიც — და ყოველივე ამას მსახიბით აღწევს მხოლოდ თვალეზისა და სიტყვის მეოხებით. ანოს გამოხედვა, მისი თვალთა ელვარება არაფრით არ ემსგავსება სხვა მის დობილთა გამოხედვას, ის რაღაც სრულიად განსაკვეთული უშეთი არის გასხივისნებული, ხოლო სიტყვა, ვერიკოს შესა-



წინავე, გრძელი სიტყვა — ასე რომ ატყვე-  
გებს მსმენელს, ასე ღრმად რომ უძვრება სულის  
ხვეულებში! რა შესანიშნავად მიუღდა ვერცხოს  
თავისებურ, ყველასაგან განსხვავებულ მეტყვე-  
ლების მანერას პიესის სტილი.

შავი მიჯნური ბესიკი მოისწრაფის სატრფო-  
საკენ და შორიდანვე ესაუბრება მას მგზნებარე  
ლექსით. მამის განაჩენით შეძრწუნებული ანო  
ნაწყვეტილი ხმით, ძლიერ გასაგონად იმეორებს  
შაჯერის სტროფის ბოლო სიტყვებს, ხოლო  
სატრფოს შეკითხვაზე, რად დამხუდრ შავით მო-  
სილოო, სასოხილდელი უნასუბებს: „გული შავად  
მაქვს, ბესიკ ჩემო, გული და გრძობა“ — და ამ  
სიტყვებში ისეთი განწირულება, უიმედობა მოი-  
მის, რომ არ შეიძლება მაყურებელი გულგრი-  
ლი დარჩეს, თვალის უბე არ ტრანამოს. ეს მოკლე  
სცენა მსახიობს ქუმარბაღ ტრაგედიის სიმძლ-  
ვლეს აყავს. აი ტრედიანტი უნებურად მოწყენი  
შეიქნენ საშინელი განზრახვისა — და ჩვენ თვალ-  
წინ გაქრა მიჯნური, მის მავიჯარად იშვა აღზნე-  
ბული მამულიშვილი, ქალი, რომლისთვისაც სიტ-  
ყვა „სამშობლო“ წმიდათა წმიდაა. ვერცხოს ანო  
დაჩოქილი, ხელაპყრობილი, თვალათბუბული,  
უღრეკი, შეჭლიადებს ღმერთს — მთელი გზნე-  
ბით აწვდრებს სამშობლოს კეთილდღეობას.  
„არა, არც ბესიკს, არც მამას, არც მეფე ერეკ-  
ლეს, არც ჩემს უბედურ თავსა და სიყვარულს  
ალარ გვედრებ — სამშობლოს, ოღონდ სამშობ-  
ლოს, ყოვლად ძლიერი!“ — შესთხოვს ზეციერს  
ანო.

მომდევნო სურათში ანოს კიდევ უფრო მოკლე  
სცენა აქვს — იგი შეიტყობს მეფისაგან, რომ  
ალარც მამა ჰყავს, ალარც მიჯნური, გაქვავდება  
მწუხარებისგან; ყრუ, ჩაწყვეტილი ხმით მიმარ-  
თავს იგი მეფეს: „მამა... ბესიკი... ამით მა-  
მულს თუ კი უწევს ნამძღვლ მამობას — მეც შე-  
გინდობ, ცდომილი ვეალი“. და ამ სიტყვების  
წარმოთქმისას ვ. ანჯაფარიძის სახეზე, მის თვა-  
ლებში თანდათან მწაფდება რაღაც აზრი, მტკი-  
ცი გადწყვეტილება. ეს გამომეტყველება სი-  
მტკიცისა ალარ სცილდება მის სახეს, მის უძირო  
თვალს.

სულთ მალალი, შინაგანად ძლიერი, მრავალ-  
ჭირნახული, თვალსედიანი, კუშტად შუბლ-  
შეკრული, მტკიცე ნაბიჯით მავალი, მოძრაო-  
ბებში ძუნწი, გრძნობების გამოხატვაში მეტად  
თავშეკავებული — ასეთია სოფლის მასწავლ-  
ბელი ვარვარა პეტრიჩი. მას ქუმარბაღი, ღრმა  
სიყვარული უყვარს ლუკა, მაგრამ ამ გრძნო-  
ბას არაფერი ამკლავებს. მხოლოდ ლუკას გა-  
მოჩენაზე ან მისი სახელის ხსენებაზე ვარვარას  
თვალმბის, სიღრმეში აკიადდება პატარა ჭიკო-  
კონიერი. დიად, მას უყვარს ლუკა, მაგრამ უფრო  
სილიერად, უფრო სრულად უყვარს მრავალჭირ-  
განანახალი სამშობლო. ვარვარა მამულის უნ-  
გარო მსახურია და მისი კეთილდღეობისათვის

თავისი ხელით უსპობს სიცოცხლეს მსახურს  
აღამიანს. და აი, უკანასკნელ სცენაში, ლუკას  
მოკვლის შემდეგ, ვარვარა შემოდის სცენაზე ვა-  
რვარულად წინანდებული მშვიდი და ძლიერი;  
მაგრამ სადღა მისი თვალმბის ციმციმი? ახლა  
ეს თვალმბი, მხოლოდ თვალმბი ამკლავებენ  
ვარვარას სულში ატეხილ ქარიშხალს და გვაუ-  
წყებენ, რომ მისი პირადი ცხოვრება ვითადა ამ  
მკვლელობით, მან შესარულა თავისი ვალი —  
გამოასაღო სიცოცხლეს სამშობლოს გამოძიდე-  
ლი და საკუთარი ხელითვე მოიკლა გულიც.

დიდი ეპიური ტილო შექმნა ვ. ანჯაფარიძემ  
მაყვალას როლით სპექტაკლში „მოდერნი“. მან,  
შ. ლამაზიძესთან ერთად, ამ სპექტაკლს მოუ-  
პოვა ქუმარბაღ ყანხვისეული ძალა და სიმ-  
ძაღვე. იგი ჩაწვდა მაყვალას მღვღინარე შინაგან  
სამყაროს, ესოდენ სათნოსა და კეთილშობილს,  
ამოიტანა მისი სიღრმეიდან ამ ბედკრული ქალის  
ყველა საუკეთესო გრძნობა, მისცა თავის გმირს  
რომანტიული იერი, შთაბერა ამბობი სული,  
რომელიც ესოდენ სიძლიერით გამოვლინდა  
მოდერნის ქოხში, მარტად შთენილი მაყვალას  
შეპაუქრებაში ღმერთთან.

ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ შეუქმნიდა  
ვ. ანჯაფარიძეს განწილი 40 წლის სასცენო  
ცხოვრების მანძილზე — მათი თუნდ ორიოდ  
სიტყვით მოხსენიება ძალიან შორს შეგვიყვანდა.  
ამიტომ შეგვიჩრდიტ მხოლოდ ზოგიერთ მათგან-  
ზე — ძალიან მკირედ ნაწილზე. შეგნებულად  
დუმილით ავუარეთ გვერდი ისეთ სახეებს.  
როგორცაა ივლითი, თვლია, მარგარიტა და  
სხვები, რომლებზედაც ისეც ძალიან ბევრია და-  
წყირილი; მაგრამ არ შეიძლება ავუარეთ გვერდი  
ვ. ანჯაფარიძის შემოქმედებას კინოში. ეს საკ-  
მაოდ დიდი თემაა და მოითხოვს სპეციალურ  
სტატიას (მეტი რომ არა ვთქვათ). ამიტომ აქ  
მხოლოდ მოვიგონებთ მის ზოგიერთ სახეს ეკ-  
რანზე. ვერცხომ თავისი დეაქალი შეიტანა სურ-  
რათებში „ძინა ძაღუ“, „წარსულის კომპარე-  
ბი“, „საბა“, „კომუნარის ჩიბუხი“, „არსენა“,  
„გიორგი სააკაძე“, „ბედნიერი შეხვედრა“ და  
სხვ. მაღალმხატვრული, სრულყოფილი სახეებში  
შექმნილი ყველა ამ სურათთანაგ გამოირჩევა „გი-  
ორგი სააკაძე“, სადაც ვ. ანჯაფარიძემ შექმნა  
გმირი მეტროპოლის ღირსეული თანამემკვიდრის  
სახე. რუსუდანი არის განსახიერება სულით მა-  
ლალი, ძლიერი, უღრეკი ქართველი დედისა. ამ  
სახეს ბევრი რამით ენათსაყვება ალბანეთის სა-  
ხალხო გმირის სკანდერბეგის აღმზრდელის და-  
ფინას სახე, რომელიც ვ. ანჯაფარიძემ განასა-  
ხიერა ეკრანზე 1954 წელს. ამ ორი ქალის ბიო-  
გრაფიაში ძალიან ბევრი რამ არის საერთო.  
უფრო მეტიც — მათი სცენებიც კი ერთგვარო-  
ვანი აქვთ — თუნდაც სცენა შეივლის ექვდართან.  
მაგრამ მსახიობის ძალა უკირედ იმაშია, რომ  
რუსუდანი არ ჰგავს დაფინას, ორივე მათგანს  
თავისებურად უყვარს და სძულს, თავისებურად



უხარია და სწყინს, თავისებურად განიცდის, თავისებურად დიდის ლაპარაკობს.

... სექტემბრის ნათელი, მზიანი დღე თენდებო. წინანდალში, ალ. ჭავჭავაძისეულ მამულში, აუარებელი ხალხია. სახლის ფასადზე მიშენებული განიერი, მდიდრული კიბის ქვეშ, ქვედა სართულის დერეფანში, ძაბებში მოსილი ქალები და ჩოხებში ჯამოწყობილი მამაკაცები ირვიან. დერეფნის შუა ადგილას დიდებულ გრძელ მაგიდაზე, სარკის წინ, გაშლილია ნაირფერსადგენავებიანი შუშის პატარა ქილები, ყუთები, ფუნჯები, თმის სამაგრებლები, ულვაშები, წვერები, ნაწნავები და მრავალი სხვა წერტილანი. იქვე ხანძრისეული მამაკაცი დგას და გულმოდგინედ ვარცხნის ქალის გრძელ თმებს. ჩანს, ეს მაგიდა ვიღაცას ელის. და აი, ისიც გამოჩნდა. ირველივ შემოჯარული ხალხის ტალღა იზობა და მაგიდას უახლოვდება შავით მოსილი ქალი — ეს ქალი ვერაიო ანჯადარიძეა. დღეს იგი რადიკულ სხვანაირია. ისეთი, როგორც იქამდე არასოდეს უნახავთ ჯგუფის წევრებს — სამყაროდან თითქოს სრულიად გამოთიშული, გაოგნებული, მღვდარე. იგი ნელი ნაბიჯით მიდის მაგიდასთან, ოდნე თვის დაქნევილ უპასუხებს დამხედურთა საღამოს და მძიმედ ემშვება სკამზე. ჩვეულებრივ, გაღაღებისთვის მზადების დროს, ის ცხოველ მონაწილეობას იღებდა ჯგუფის წევრთა ფუსფუსში, ყურადღებით ათვლიერებდა ყოველი მოქმედი პირის გრემს, თმის ვარცხნილობას, ტანსაცმელს. ყოველთვის იცოდა, ვის რა სჭირდებოდა. დღეს კი ეს ყურადღებანი და მომთხოვნი ქალი თითქოს სრულიად ვერაგის ხედავს. იგი მთლიანად ერთი აზრითაა შეპყრობილი. დღეს ორი უადრესად სერიოზული სცენა აქვს გასათამაშებელი — ოთარაანთ ქვრივის მისგლა არჩილის კარზე, გიორგის ზინიდან ვადმოვარდნის მერე, და გიორგის დაკრძალვა. მსახიობს არ შეუძლია დღეს სხვა რამეზე ფიქრი. იგი მონუსხულივით ზის სარკესთან და ელის, როდის დამთავრდება გრიბის კეთება.

ყველაფერი მზადაა. მასიურ სცენაში მონაწილე ხალხს (წინანდალისა და თელოვის გლეხობა) რეჟისორის მითითების მიხედვითაა ვანლაგებული. სინათლე დაყენებულია, დაყენებულია აპარატები. გადაღება იწყება. მოდის ოთარაანთ ქვრივი. მოდის ჩქარი, გვერდელა ნაბიჯით, შეშფოთებული სახით, და ყოველ შემხვედრს თვალებით ეკითხება — რა ამბავია ჩემს თავსო. ამ დროს მსახიობის ყოველ მოძრაობაში, ყოველ გამოხედვაში იმდენი სულისშემძვრელი, შემამარწუნებელი განწირულება ჩანდა, რომ ყველამ: რეჟისორმაც, ოპერატორმაც, ჯგუფის წევრებმაც, მასიური სცენის მონაწილეებმაც, გადაღების საყურებლად თავშეყრილმა დიდძალმა ხალხმაც სრულიად დაკარგა კონტროლის გრძნობა. ყველა დაიპყრა დიდის უძლიერესმა ტრაგედია-

ამ, რომელიც დიდმა ხელთგანმა მხოლოდ რაობითა და გამოხედვით უფრო ძლიერად გამოხატა, ვიდრე ამას შესძლებდა სიტყვა, მუსიკა, ფერი თუ სხვა რამ. ოთარაანთ ქვრივი აჩქარებული ნაბიჯით უახლოვდება კიბეს, შედგაზედ ფეხი... დაიწყო ყველაზე სამინელი წუთები — აი, კიბეც გათავდება და... მეორე თუ მესამე საფეხურზე უბედურმა დედამ წაიფორხინა... ახლაც კი, როდესაც საკმაო ხანი გავიდა მას შემდეგ, ძნელია თქმა, მსახიობმა შემთხვევით წაიფორხინა და ასე კარგად მოერგო ეს ოთარაანთ ქვრივის მდგომარეობას, თუ წინასწარ პქონდა მოფიქრებული. აღის ოთარაანთ ქვრივი კიბეზე, აღის არც თუ ნელი ნაბიჯით, და მაინც, ყოველ მის ფეხის გადაღმაზე ნათლად ხედავთ, თუ რა საოცრად მძიმეა ამ ქალის სხეული, რა რიგ უქირთ საიარული ამ მუდამ მტკიცე ნაბიჯით მავალ ფეხებს... უკანასკნელი საფეხურიც ავლილია... კიბის თავში მდგომამა შავოსანმა ქალმა თავი ჩაიღუნა, თვალი მორაიდა უბედურად დედის კითხვით საცხე მზერას... ახლაც კი ყველაფერი გათავდა. რამდენიმე ნაბიჯიც, და ოთარაანთ ქვრივი თვალს მიეფარა. მსახიობმა გადის კადრიდან. დამთავრდა ნაწყვეტი, მაგრამ კიდევ რამდენიმე წუთი გავიდა, ვიდრე მსახიობის მიერ ტყვექმნილი რეჟისორი ხმაიწყვეტილი შეძახილით შეაჩერებდა აპარატს. გადაღება დამთავრდა, მაგრამ ვერიკოს მაგიური ნიჭის ტყვეობიდან თავდახსნა არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

ეს სცენა ფილმში ერთ-ერთი უბრწყინვალესია, მაგრამ მისი ზემოქმედების ძალა იმის ნახევარსაც ვერ აღწევს, რისი მოქმენიც იყვნენ გადაღების მონაწილენი იმ ბედნიერ დღეს. როგორც ჩანს გადაღების ტექნიკა და ფილის მგრანობელობა ჯერ კიდევ არ არის იმდენად სრულქმნილი, რომ ეს უბრწყინვალესი სცენა მთელი თავისი ძალითა და სრულყოფილებით აღებუქდა.

...კიბეზე ჩამოაქვთ კუბო, რომელსაც რამდენიმე ნაბიჯზე მარტოდ მარტო მოსდევს წელში მოხბილი გაქვავებული დედა. მის გარინდებულ სახეში, მის უაზრო გამოხედვაში, მიზი ფეხების ანგარიშმიუციემელ მოძრაობაში იმდენი სიღრმე, იმდენი განწირულების გრძნობაა, იმდენი ტრაგიზმია, რომ ხალხით საცხე უზარმაზარი ეზო ერთობლივმა ქვითინმა მიიკცა.

ცხედარი კიბეზე ჩამოასვენებს და ახლა პროცესია ეზოში მიემართება. ამ სცენის გადაღებამ რამდენიმე საათს გასტანა. ის წუთებში, როცა გადაღება რაიმე მიზეზით წყდება და ყველა ცდილობდა ჩრდილს შეფარებოდა, წიშით მაინც მოეხარა მუსლი, მაგრამ ვერიკოს მაინც თვალს ვერ აცილებდნენ — ის იდგა მზისგულზე უძრავად, თავდახრილი, იდგა ქანდაკად ქმნილი, სახეზე ერთი ნერვიც კი არ

უკრთოდა, მთელი საათიც რომ გაგრძელებულიყო ასეთი პაუზა. და არც მისკენ მიპყრობილ თვალებს შემოვობიათ ცრემლი.

ეს ორი ბრწყინვალე სცენა, გვირგვინი ვერიკოს შემოქმედებისა, წარმოიშვა ორ დიდი ხელოვანის ე. ანჯაფარიძისა და მიხ. ქიაურელის ხანგრძლივი შემოქმედებითი ძიების შედეგად. ისინი ხშირად მთელ ღამეებს ათენებდნენ, ეძებდნენ, დავობდნენ, ხშირად ხმასაც აუწევდნენ ზოლმე და ამ ძიებაში, ამ ჯანსაღ, პრინციპულ დავაში იშვა ჭეშმარიტად დიდი ხელოვნება. და

ახლა ძნელიც კია თქმა, რომლის დეაწლი ჭარბობს ამ სახის შექმნაში.

ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა ე. ანჯაფარიძის დაბადებიდან 60 და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავი. უსურვა მას მარადი ახალგაზრდობა და თავისი დიდი სიყვარულის სანაცვლოდ მოითხოვა მრავალი ახალი სიხარული. მაბთლაც ასრულებულიყოს ხალხის ნება — დიდხანს იცოცხლოს და იღვაწოს ქართული სცენის სიამაყემ — ვერიკო ანჯაფარიძემ.





## აღიქსნარკი ბუსრაქვი

### საქარაკო დაფასთან და კულისებში

„საქარაკო დაფას უზის ცოცხალი ადამიანი თავისი საღღისო ფიქრებითა და განცდებით“

დ. ბრონშტეინი

ვინ იცის რამდენი ლამაზი, შთამაგონებელი ფურცელი დაწერილა გამოჩენილი მსახიობებისა და მწერლების, მუსიკოსებისა და მხატვრების ცხოვრებაზე, მათს ცხოვრებაზე, ვინც თავისი ნათელი აზრი და გრძნობა მსოფლიო კულტურის სამსხვერპლოზე მიიტანა. არა მარტო ხელოვნების ნაწარმოებები, არამედ მათ შემქმნელთა სახეებიც მარად ცოცხლობენ მაღლიერ თანამედროვეთა და შთამომავალთა გულში.

ბიოგრაფებმა წოდებულმა ადამიანებმა უკვდავყვეს მათი ტალანტი და ნება, ჩვენებში და ახირებანი.

არის მსოფლიო კულტურის ერთი დარგი, რომელსაც მარტოდენ ხელოვნებას ვერ მიაკუთვნებ. მასში საოცრადაა შერწყმული როგორც ხელოვნების, ისე მეცნიერებისა და სპორტის ელემენტები. ძნელი მისახვედრი როდია: საქმე ჰადრაკს შეეხება. არც ისაა გამოცანა, რომ საქარაკო ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლისათვის ადამიანის ათი სიცოცხლეც არ იკმარება.

მაგრამ წიგნებისა და წერილების დიდი უმრავლესობა ხომ საქარაკო ხელოვნების პრობლემებს ეძღვნება ხოლმე, ხოლო თვით მსახურებზე იმ კეთილშობილი დარგისა, რომელიც დღეს ათეული მილიონობით ადამიანის გულში პოულობს გამოძახილს, მოქარაკეთა აკარგზე, მათს ბეჯით შრომაზე, სიხარულსა და სევდაზე, მამაცობაზე და, თუ გნებავთ, მათს ახირებაზე ძალიან ცოტა, დაუმსახურებლად ცოტა იწერება.

სწორედ ამიტომ მკითხველისათვის, ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება შევიხედოთ ჰადრაკის სამყაროს კულისებში, დაწერილებით გაცენოთ იმ ადამიანთა ცხოვრების ზოგიერთ

ფურცელს მაინც, რომლებმაც ეს უძველესი და ბრძნული თამაში საკუთარ განცდათა, ვნებათაღლევის წყაროდ გაიხადეს.

თამაშიო, ვამბობთ, თორემ, რა ხანია, ჰადრაკი იქცა ხელოვნებად, მეცნიერებად, სპორტად.

#### პროზნოზები და სინამდვილე.

ჰადრაკის მოყვარულთ მოსვენება არ უწერიოთ. ის-ის იყო რიგაში საიუბილეო XXV საკავშირო ჩემპიონატი დამთავრდა, რომ მოსკოვში მარტ-რევანში დაიწყო თანამედროვეობის ორი გამოჩენილი მოქარაკის — ვასილი სმისლოვსა და მიხეილ ბოტვინიკს შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე. და მილიონობით სპორტის მოყვარული კვლავ მოუთმენლად ელის რადიომიმობილევის ვადიმ სინიავსკის ნაწიბ ხმას ეთერში: „გამოვცემთ უკანასკნელი ცნობების საქარაკო გამოშვებას“...

სმისლოვი და ბოტვინიკი მესამეჯერ ხედებიან ერთმანეთს მსოფლიო ჩემპიონის საპატიო გვირგვინის მოსაპოვებლად. პირველი შებმა, როგორც ცნობილია, ფრედ — 12 : 12 — დამთავრდა, ამან მამინ ბოტვინიკს შეუნარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. შარშან სმისლოვმა სძლიო თავისი „მრისხანე“ მოწინააღმდეგე და „საქარაკო გვირგვინს“ დაებატრონა. შარშანდელი მარტის მეორე ნახევარი ბოტვინიკმა ისე უღიმდამოდ ჩაატარა, რომ მის თავყანისმცემლებსაც კი გული გაუტყდათ. ასე რომ ბევრს ეგონა, ახლანდელი მარტ-რევანში საინტერესო არ გამოდგებაო ზოგი იქნებ იმასაც ფიქრობდა, ჰა და ჰა, ბოტვინიკის საქარაკო მზე საცაა ჩავსვენებო.



ასე განსაჯეთ, მოქალაქეთა წრეშიც შეიქმნა ამგვარი მითქმა-მოთქმა.

ხომ გახსოვთ, როგორ მძაფრ, ზედმიწევნით დრამატულ სიტუაციაში ჩატარდა XXV საკავშირო ჩემპიონატის ბოლო პარტიები. იმ დროს ეკვივ არავის ებარებოდა, რომ ტურნირში ორნი — ტალი და პეტროსიანი გაიმარჯვებდა (და ამდენად მათ შორის მატჩი გათამაშდებოდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალზე). აი სწორედ მაშინ ვადიმ სინიაესკიმ თითქოს გამოხატა მოქალაქეთა ერთი ჯგუფის აზრი და თქვა:

— ბოლო ასე, მაღე მოსკოვში დაიწყება სამი მატჩი: ტალი — პეტროსიანი, სპასკის — ავერბახი (ჩემპიონატიში შეუძლებელია ადგილისათვის, რომელიც იძლეოდა საზონათაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლებას) და... სმისლოვი — ბოტვინიკი. კეთილი და პატიოსანი. რეპორტაჟები ალბათ ასეთი შინაარსისა იქნება: დღეს, უაღრესად დამაბულ ვითარებაში, მიმდინარეობდა ორთაბრძოლა ტალსა და პეტროსიანს შორის. გათამაშდა ფრანგული დაცვა და ა. შ. (წავა პარტიის დაწვრილებითი ანალიზი). მეზობლად არანაკლები შწვავებ ბრძოლა გაჩაღდა სპასკისა და ავერბახს შორის. ვინ მოხვდება საზონათაშორისო ტურნირში? ვინ მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის შემდგომი ბრძოლის უფლებას? (კვლავ დაწვრილებითი ანალიზი) და შემდეგ: სხვათა შორის, დღეს შედგა სმისლოვ-ბოტვინიკის მატჩ-რევენშის მორიგე პარტია. შეხვედრა დამთავრდა ამ შედეგით...

იქნებ ამ სიტყვებში ბოტვინიკის შესაძლებლობათა უგულვებეზყოფაზე მეტად ის აზრი გამოსჭვივოდა, ჩვენი ახალგაზრდა ნიჭიერი მოქალაქეების მატჩები უფრო მეტ ინტერესს გამოიწვევოდა, ვინაიდან ჭადრაკის მომავალი, ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდებს ეკუთვნით. ასე იყო თუ ისე, რწმენა მატჩ-რევენშის დაძაბულობაში ერთგვარად მაინც შერყეული იყო მოქალაქეთა შორისაც კი. მაგრამ ცხოვრებამ, როგორც ეს არც თუ ისე იშვიათად ხდება ხოლმე, უკუაგლო ყველა პრაგმატიზმს.

ჯერ ერთი, სმისლოვ-ბოტვინიკის მატჩის დასაწყისში გვიჩვენა, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ფრად აგრესიულ განწყობაზეა და ყოველგვარი „ხუმრობის გაიშვ“ ფიქრობს ჩვენი პლაზმის უძლიერესი მოქალაქის ტიტულის დაბრუნებას. ვანა ამის დასტურია არ არის ბოტვინიკის სამი ქულა სამი შესაძლებლობიდან სტარტზე? ანდა ის, რომ მატჩის პირველი ნახევარი დამთავრდა 7 1/2: 4 1/2 მის სასარგებლოდ?

მეორეც, ახალგაზრდა ლენინგრადელი დიდოსტატმა ბორის სპასკიმ „მოახერხა“ წაეგო მიხეილ ტალთან უკანასკნელი ტურის გადადგმული პარტია, რომლის გაყაიმებაც მას სულ იოლად შეეძლო. ტალი ჩემპიონი გახდა. პეტროსიანმა მეთრე ადგილი იკმარა. სპასკის კი სხვა რაღა დარჩენოდა, რომ ავერბახისათვის საზონათაშო-

რისო ტურნირში გასვლა მიელოცა. თუმცა ერთმა მოთამაშემ მოსწრებულად შენიშნა: სხვა რომ არა იყოს რი, სპასკის უშუალო ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტს მოთხოვს თუნდაც ნაწილი იმ თანხისა, რომელიც ტალი-პეტროსიანისა და სპასკი-ავერბახის მატჩების ჩატარებას უნდა მოხმარებოდა, და რომელიც ლენინგრადელი დიდოსტატის „წყალობით“ აღარ დაინარჯება.

ამრიგად, სინამდვილემ უკუაგლო პროვოცირება და კვლავ რომ არ გავეციხუნდეს წინასწარმეტყველება, შევეშვით ნაადრევ საუბარს სმისლოვ-ბოტვინიკის ორთაბრძოლის შედეგებზე. მხოლოდ მატჩ-რევენშის დასრულების შემდეგ გახდება შესაძლო საბოლოო შთაბეჭდილებათა ურთიერთ-გაზიარება. ჯერჯერობით კი ჭადრაკის მოყვარულთა მესხიერებაში ცოცხლობს, დრამატიზმით აღსავსე მოფინებანი იმ ტურნირზე, რომელსაც ეტყვა

საიშბილეო ოცდამეხუთე.

ერთ თვეზე მეტს მშვინვარებდა რიგაში საჯარო ციხე-ციხელების „უბედვიანთა“. რიგელები უსადილოდ დარჩენას არჩეულდნენ, ოღონდ კი სიმუშაოს დამთავრების შემდეგ მოხვედრილიყვნენ მეცნიერების სასახლის საკონფერენციო დარბაზში, სადაც ტურნირი მიმდინარეობდა.

ერთ ასეთ ნაღდ გულშეწევას უკანასკნელი ტურის დღეს უტრიოზო შეემთხვა. ეს პატივცემული ჩასუქებული რიგელი ასობით უბილეთითა შორის აღმოჩნდა სწორედ მაშინ, როცა პირველობის ბედი წყდებოდა და ვუნებამაზნდარი ყურმოკრული ამბებიოდა იკლავდა ცნობისწაილის. მაგრამ ღმერთმა არ გასწიარა საჭადრაკო კლუბისაგან ვინაწირი კაცო და ახალგაზრდების ერთჯგუფს ზედმეტი ბილეთი აღმოაჩნდა. მეცხრეცას ეწია „ოროთოდოქსალური“ გულშემეტკივარი. აღფრთოვანებულმა ძალით შეათრია მისი გამბედნიერებები ახალგაზრდები იქვე, სატურნირი დარბაზის გვერდით, გახსნილ ბუფეტში და ისე დაბეჯითებით დაუწყო კონიაკით ვამსაპინძლება, რომ ხუთი საათის განმავლობაში ვერ მოახერხა მაყურებელთა დარბაზში შეჭვრეტა. კიოსხით კი ხშირად კითხულობდა, როგორ მიდის ჩვენი მიშას საქმეებო? ხოლო როცა უპასუხებდნენ, არც თუ ისე ბრწყინვალედო (სპასკისთან მას ხომ უარესი პარტია ჰქონდა), ლოყებლავდაცა კაცო ძლიერ შეწუხდებოდა ხოლმე, თავს აქეთ-იქეთ აქნევდა. მერე მაინც ვადაპრით დაასკვნია: „სულ ერთია, ჩვენმა მიშამ უნდა მოიგოს!“

და მიშამ მოიგო, მართალია, სპასკის „დახმარებით“. მაგრამ, ამბობენ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო. ხოლო თუ ვასამართლებსაზე მიდგა საქმე, უნდა ითქვას, რომ ტალს ზოგიერთ პარტიაში უდავოდ გაუმართლა, შეხვედრების უმეტესობა მან ძლიერად ჩაატარა: ხუმრობა-



საქმე როდია ორჯერ ზედისზედ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდების მოპოვება.

რამა ტალის გამარჯვების საიდუმლოება? ამ კითხვას ყველაზე უკეთ დიდოსტატმა კოტოვმა უპასუხა შესანიშნავ მიღებაზე, რომელიც ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამართა პირველობის დამთავრების გამო. როცა ჩემპიონის სადღეგრძელოს სემად, კოტოვმა თქვა:

— ტალის თამაში მე მაგონებს გენიოსი მუსიკოსის პავანინის დაკვრას, რომელიც, თანამედროვეთა გადმოცემით, ახერხებდა სავილინო პიენის ერთ სიმზე შესრულებას. ტალის პარტიებში ყოველთვის უფრო მრავალი ტაქტიკური სიმი. და როცა სიმების უმრავლესობა წყდება და რჩება ერთი, ახალგაზრდა ჩემპიონს ძალუქს ბრწყინვალედ დაუკრას ერთადერთ დარჩენილ სიმზე!

ვგონებ, ტალის გამარჯვებისაც არ გამოუწვევია ისეთი ტაში, როგორიც ამ ზუსტ, ურყუარ დახასიათებას მოჰყვა. მართლაც დღევანდელ ტალს — ბრწყინვალე ტაქტიკოსსა და თამაშში უსაზღვრო ოპტიმისტს — უკეთ ვერ დახატავ.

ტიგრან პეტროსიანის სამშობლო თბილისია. აქ, ბიონერთა სასახლეში გადადგა მან პირველი საჭადრაკო ნაბიჯები და რა ვასაკვირია, რომ ბევრი თბილისელი ეხლაც თანაუგრძნობს „თანამედროვე კაპაბლანკას“.

პეტროსიანის თამაშის სტილი მართლაც მოგაგონებთ სახელმწიფო კუმბელის სტილს. და უნდა ითქვას, რომ თავის დროზე, შემოქმედებითი შეხედულებათა ჩამოყალიბებაში ტიგრანს მცირე ლეაწლი როდი დასდო კაპაბლანკას ბელოვნების თავყანისმცემელმა, თბილისელმა ოსტატმა არჩილ ებრაღიმეძე.

სამშობლოს არ ივიწყებს ტიგრანი. ათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც პეტროსიანი მოსკოვს დასახლდა, მაგრამ იგი კვლავინდებურად კარგად ლაპარაკობს ქართულად. როცა ჩემპიონატის მეორე ტურის პარტიაში გურგენიძესთან პეტროსიანმა თამაში გააანაბრა, ტიგრანი ქართულად შეეკითხა ბუხუტის: „ყვიმი გინდა?“ და მოწინააღმდეგენი დაზავდნენ.

პეტროსიანმა მთელი ტურნირი თანაბრად და ძლიერად ჩაატარა. იგი ერთადერთი მონაწილე აღმოჩნდა, რომელსაც პარტია არ წაუგია და ბოლომდე გაჰყვა სიმშვიდე და გამძლეობა.

შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურითა იყო დარჩენილი, როცა ლიდერთაგანაც კი დაბეჯითებით ვერაინ იტყოდა, მოხვდებოდა თუ არა სანუჯვარ ოთხეულში, პეტროსიანმა ფაქტიურად თავისი გაიანდა და სცენაზე ისეთი იერით სცემდა ბოლოს, ვგვონებოდა, უკვე აღრიპტიკის ზღვის სანაპიროზე, საზონათაშორისო ტურნირის ქალაქ პორტოროჟში დასეირნობს.

ტიგრანი, რა თქმა უნდა, მთლად აღფრთოვანებული არ შეიძლება ყოფილიყო. იგი ხომ კარ-

გა ხანს მეთაურობდა ტურნირს, მაგრამ ყველაზე მეტად იმან დაწვევია გული, რომ არ შედგა მარტი ტალთან. მარტი კი მართლაც ფრიად საინტერესო იქნებოდა, რადგან ტალი და პეტროსიანი სკადრაკო შემოქმედების სრულიად სხვადასხვა სტილის მთაწამუნი არიან.

თანამედროვე საჭადრაკო ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ქურუმი დავით ბრონშტეინი ტურნირში მესამე საბრძოლო ადგილზე გამოვიდა. აქამდე ძნელად თუ მოინახება ისეთი დაუღალავი მაძიებელი სიახლისა ჭადრაკში, როგორიც ბრონშტეინია. მან უდიდესი წვლილი შეიტანა მსოფლიო საჭადრაკო კულტურის საგანძურში. სამწუხაროდ, ამ გამოჩენილ მოჭადრაკეს ბოლო ხანებში ნერვები დაღატობს. ტურნირის პირველი ნახევარი მან უნიათოდ ჩაატარა, ნერვიულობდა. მის მაშინდელ მდგომარეობას კარგად გამოხატავს მისივე ერთი საინტერესო საუბარი ბუხუტი გურგენიძესთან:

— შენ ოსტატ ხარ, — ეუბნება იგი ბუხუტის, — შენ რომ უდავლოდ შესწირო ბაიკი, ანდა პარტია წააგო, არავინ არაფერს იტყვის. მე კი ამას არ მაპატიებენ. მე ხომ „გროსი“ ვარ, მე ხომ ბოტინიკს ვეთამაშე მატჩში მსოფლიო პირველობაზე. მე პასუხს ვაგებ ჩემს ყოველ სვლაზე, ყოველ ჩემს ნაბიჯზე. ხომ არ შეიძლება მე ისე ვითამაშო, როგორც თამაშობს ყველა — მე აუცილებლად ორიგინალურად უნდა ვიბრძოლო.

პასუხად ბუხუტიმ გამოთქვა აზრი, რომ სწორედ თამაშია ჭადრაკის სილამაზე, რომ სწორედ ორიგინალური თამაშია ნამდვილი ხელოვნება.

— რა თქმა უნდა, ხელოვნება, — ირონიულად შენიშნა ბრონშტეინმა, — ოღონდ ოთხეულში ვინ მოხვდება? მართა ექსპერიმენტებით შორს ვერ წახვალ!

შემოხვევითი როდია ეს სიტყვები. ბოლო დროს დიდოსტატს დასჩენდა ორიგინალობა და ზოგჯერ ზომამზე მეტიც.

როცა ჩემპიონატის მონაწილეებმა სტუმართმოყვარე რიგა დატოვეს, ბრონშტეინმა გადაწყვიტა კიდევ რამდენიმე დღით დარჩენა პირად საქმეებზე. მუისევი გაჩნდა ანგელოტი, ვითომდა ბრონშტეინს დარჩენისას ეთქვას:

— ყველა მიემგზავრება, მაგრამ მე ხომ „გროსი“ ვარ, მე არ შემიძლია მოვიტყე ისეთიარად, როგორც ყველა, მე მშვენივლი ორიგინალობა, მე ვარ იგი.

ყოველივე ეს — ისე, სხვათა შორის. დავუბრუნდეთ ამ დიდი მოქალაქის თამაშს ოცდამეხუთე სათუბილო ჩემპიონატში. დაიპაულო ბრძოლის მეორე ნახევარში ჩვენ კვლავ ვიხილეთ ნამდვილი ბრონშტეინი — ღრმა სტრატეგი და მოქნილი ტაქტიკოსი, ვის არ „ააცხებებდა“ მისი მიზანსწრაფული შეტერა ან გამომოგონებლური დაცვა. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ბრონშტეინისათვის სიმშვიდისა და საკუთარი ძა-



ლის რუმენის დაბრუნებაში დამსახურება მიუძღვის დავითის უახლოს მეგობარს ბორის სამუელის ძე ვაინშტეინს, რომელიც იმ ხანად რიგაში ჩამოვიდა.

რაოდენ მრავალმხრივი და უსაზღვროა აღამიანთა ურთიერთდამოკიდებულებანი. ბორის ვაინშტეინი მამად ეკუთვნის დავით ბრონშტეინს — 20-25 წლით უფროსი იქნება მასზე; მაგრამ როგორი წრფელი, ერთგული მეგობრობა აქვთ. და თუმცა ბორის სამუელის ძე უბრალო პირველთანრიგოსანია, ბრონშტეინის დაწმინდების, მხარდაჭერასა და შთაგონებას მასზე უკეთ ვერც ერთი დიდოსტატი ვერ შესძლებს.

და ბოლოს კიდევ ერთ იღბლიანზე — იური აგერბახზე, რომელიც ტალთა, პეტროსიანთან და ბრონშტეინთან ერთად პორტორიუმში გაემგზავრება. კოტოვმა მისთვისაც შეარჩია შესაფერი პიროვნება კლასიკოს კომპოზიტორთა გალერეაში — იოჰან სებასტიან ბახი. და აქ საქმე მარტო გვარების თამაში — ა ვ ე რ ბ ა ხ ი — ბ ა ხ ი — როდია. ამ შედარებას უფრო ღრმა ფესვები აქვს. მოსკოველი დიდოსტატი ხომ „გამოუსწორებელი“ კლასიკოსია და მის შემოქმედებას მართლაც ძალუძს მესხიერებაში აღადგინოს, გააცოცხლოს ბახის ფუტეები და პორალები.

კლასიკურ სტილში თამაშობდა აგერბახი თვ. დაშვებულ ჩემპიონატშიც. ფინიშზე მას ძლიერ გაუმართლა, ზოგიერთ ხელსაყრელ გარემოებათა გამო მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა. როცა მას გამარჯვებას ულოცავდნენ, არც უარყოფდა, რომ იბაბალმა გაუმართლა; მაგრამ იმასაც მყისვე დააყოლებდა — ყველამ იცოდესო, ერთი ან-დაზისა არ იყოს, ნაიუქარ ცხენს კბილებს არ ვუხინჯავო.

ამაში კი ნამდვილად არავის ეპარებოდა ეჭვი. ხომ არ გავგვირქვოდა საუბარი გამარჯვებულზე? დროა სხვა მონაწილეებიც მოვიგონოთ და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი თანამემამულე, ვის თამაშსაც არაერთგზის აუჩქროლებია თბილისელთა გულისცემა, ის, ვინც დგას

**შმაღლესი საჰაღრაჰო წოდების ზღურბლზე.**

კენჭისყრისას ბუხუტი დაწმუნებული იყო, რომ სატურნირო ცხრილში პირველი ნომერი შეხვედებოდა. უნდა გინახათ მეგობრების სიცილ-ხარხარი, როცა ეს მართლაც ასე მიხდა. მაგრამ კენჭისყრით პირველობა ერთია და ბრძოლით მოპოვებული პირველობა კი სხვა. ჩემპიონატის მონაწილეთაგან ვინ არ დათანხმდებოდა, კენჭისყრით ცხრილში ბოლო აღმოჩენილიყო, ოღონდ ჩემპიონატის შემდეგ მისი გვაირი მეოთხედ დაწერილიყო. ამ ოცნებას ელოდიანებოდა თბილისელი ოსტატიც. თუმცა ბევრს თითქმის წარმოუდგენლად ეჩვენებოდა თერთმეტი დიდოსტატის „კედლის“ გარღვევა, ბუხუტი გურგე-

ნიძე ტურიდან ტურამდე მიინც მედგანად მიიწვევა და წინ დასახული მიზნისაკენ.

ისძენელები ჯერ კიდევ სტარტზე გადაეღობა გურგენიძეს — საეალო შეცდომები დაუშვა კორჩნოსთან და ტალთან თამაშის დროს, მაგრამ იგი სულთ არ დაეცემა. პირიქით, მოიკრიბა მთელი თავისი ძალა და ვანიერება და წელა, მაგრამ დაბეჯითებითა იუმჯობესებდა სატურნირო მდგომარეობას; თან ხშირად ტვინებდა თბილისიდან მიღებული ტელეგრაფის ტექსტს: „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტიკრისა. შთაა“. როგორც მერე გამოიარკვა, ტელეგრაფი შთაა რუსთაველის აღორიზმით ბუხუტის მეგობარმა მოჭადრაკე შთაა ინწყირებდა გააგზავნა რიგაში. მარტო თბილისში ყო არა, გურგენიძეს გულშემატკივარი რიგაშიაც ჰყავდა და არც თუ ისე ცოტა. მაგონდება: ერთ-ერთი საპასუხის-მებლო შეხვედრის წინ, რესტორან „მეტროპოლი“ სადილობისას, ბუხუტისთან ხნიერი ლატვიელი მივიდა, ხელი ჩამოართვა და უთხრა: — გურგენიძე, უბრალო ლატვიელი გისურვებს შენ წარმატებას.

ფინიშთან თბილისელმა ოსტატმა დიდი ნახტომი გააკეთა — ზღინზედ მთიეთა სამი პარტიამათ შორის ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ ბორის სასაკისთან. ახლა უკვე გურგენიძის შანსები იმდენად გაიზარდა, რომ მას თელიდენ საზონათაშორისო ტურნირში გასვლის უშუაველ პრეტენდენტად.

სამწუხაროდ, ბუხუტიმ ვერ შესძლო საუკეთესო სატურნირო პოზიციების შენარჩუნება — ორი უკანასკნელი პარტია წააგო და დიდოსტატ გელერთან ერთად შემვიდენ-მერვე ადგილზე აღმოჩნდა. მაგრამ ცდება ის, ვინც ფიქრობს, თითქოს ახალგაზრდა თბილისელმა დიდ წარმატებას ვერ მიაღწია. რალა თქმა უნდა, საწყენია, რომ მან თავისი ბოლონდელი ბრწყინვალე შესაძლებლობანი მთლიანად ვერ გამოიყენა. ისე კი მისი სპორტული შედეგი იმაზე მეტყველებს, რომ აქამად გურგენიძე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ჰუმარიტად უძლიერესი ოსტატია და დგას დიდოსტატის — უმაღლესი საჰაღრაჰო წოდების მიღების ზღურბლზე.

და თუ ბუხუტი გურგენიძეს, ერთის მხრივ, გამარჯვებული შეიძლება ეწოდოს, ხოლო, მეორეს მხრივ (თუმცა ეს ბარადოქსალურად ჟღერს), უიღბლო, ორი წამყვანი დიდოსტატი — ეფიმ გელერი და ბორის სასაკი მხოლოდ უიღბლოებს მიეკუთვნებიან. არც ერთი მათგანი ასე მოხდა საოცნებო ოთხეულში, ისე კი

**ორიპინი ლიდერობდნენ.**

ეფიმ გელერი წაუგებლად მილიოდა შეჯიბრების პირველ ნახევარში. ოდესეი დიდოსტატი ყოველდელ შესანიშნავ ხასიათზე ცხადდებოდა საჰაღრაჰო დარბაზში. აქა-იქ ჩურჩულებდნენ, თითქოს გელერს პორტორიუსისაკენ მიმავალ



## ის, რაც ისტორიაში უნდა.

გზაზე აღფრთოვანდებდა... საზღვარგარეთული სივარტების კოლოფი. ამბობდნენ იმასაც, რომ სივარტების კოლოფი მის ერთმა ოდესელმა მეგობარმა აჩუქა რიგაში გამომგზავრების წინ. აბა რას წარმოიდგენდა ან ერთი ან მეორე, რომ იმ კოლოფში აღმოჩნდებოდა ოქროს ეტონი, რომლითაც საზღვარგარეთ უამრავი ასეთივე სივარტების უსასყიდლოდ შექმნა შეიძლება თურმე (მრავალთავან ერთ-ერთ კოლოფში ასეთ ეტონს ალბათ რეკლამის თვალსაზრისით ჩაყოლებენ ხოლმე სივარტების დამამზადებელი ფირმის მესვეურები).

— გასაგებია, თუ აგრერივად რატომ ისწრაფვის ფიმა პორტოროიისკენ, — ხუმრობდნენ ჩემპიონატის მონაწილენი. — ჩანს, სივარტები მოეწონა.

ვაგლახ, ტურნირის მეორე ნახევარში გელერს ვეღარ იცნობდით. და, გასაგებია, ამის მიზეზი წარუმატებლობა იყო — ჯერ ხომ ლიდერობის დამომა მოუხდა, შემდეგ ოთხეულში მოხვედრის შესანსაც გამოესალმა. ჩემპიონატის დამთავრებას რამდენიმე ტური აკლდა, როცა რიგას დიდოსტატი პაულ კერესი იწვია. შეხვედრისას გელერმა ნაღვლიანი დიმილით უთხრა მის:

— ეგპ, მარტო თქვენთან-და დამარჩა სათამაშო, პაულ პეტრეს ძეგ. პორტოროიში წასვლაზე ხელი ამალბინეს...

კერესმა თანაგრძნობით ჩაიციინა და დიდოსტატებმა საპადრაკო მაგიდას მიუხსდნენ ამხანაგური პარტიის სათამაშოდ, თან, რა თქმა უნდა, გაიმართა საუბარი ჩემპიონატში გელერის მიერ დაშვებულ შეცდომებზე.

მართლაც ტალთან შეხვედრაში ოდესელი დიდოსტატი ისე უმოწყალოდ შეცდა, რომ უტრანო „ოგონიოკის“ კორესპონდენტს დიდოსტატის სალო ფლორი დანტერესდა, იყო თუ არა დაწესებული განსაკუთრებული პრიზი უხეში შეცდომისათვის.

— ალბათ დაწესებულია, — იხუმრა ამაზე ოსტატმა ლუბლინსკიმ, — ალბათ ეს უტრანო „ოგონიოკის“ პრიზი იქნება, და ალბათ ამ პრიზს თქვე უბოძებთ გელერს.

ფლორის, ცხადია, არ მოუხდა უცნაური პრიზის გადაცემა, ამგვარი პრიზის დაწესება შესაძლებელი კი იყო, რადგან დამატებულმა ბრძოლამ მონაწილეთა შემოქმედებას დაღი დასცა და ბევრნი, არც თუ ისე იშვიათად, უხეში, მიუტეგებელ შეცდომებს უშვებდნენ.

ამ მხრივ დანარალებულთა შორის უკანასკნელი აღმოჩნდა ბორის სპასკი, რომელმაც ტალთან წააგო მეტად საპასუხისმგებლო პარტია და ამით პორტოროიში ბრძოლის შესაძლებლობაც წააგო. მწარე დამარცხება მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემპიონატის დამთავრებამდე ექვსი ტურით აღერ სპასკი ერთადერთი ლიდერობდა.

მრავალსაუკუნოვან საპადრაკო მატიაწეში ჩვენი ქვეყნის XXV ჩემპიონატის ბევრი საინტერესო მასალა შევა. ეს იქნება მონაწილეთა ჩანაფიქრის ხორცშესხმისათვის დებიუტში გამოყენებული სიახლენი, მწვევე, ამალღებელი პარტიები და ა. შ. მაგრამ ამასთან ერთად მიეწყებას არ შეეცემა ის კომიკური შემთხვევები და სიტუაციები, რომლებიც ზემოთ აღწერეთ.

განა შეიძლება, მაგალითად, ისტორიის ალუნიშნავი გადაუტრჩეს დიდი საერთაშორისო ტურნირების პრაქტიკაში უიშვიათესი შემთხვევა, რომელიც კოტოგ-სპასკის პარტიის გათამაშებისას მოხდა. სპასკიმ მხედრით ქიში გამოუცხადა მოწინააღმდეგის მეფეს. კოტოგმა კი უცებ გრძელი როკი გააკეთა. უნდა გენახათ იმ წუთში ცეცხლტოში მყოფი სპასკის სახის გამომეტყველება, საწყალს თვალები ბუდიდან კინაღამ არ ამოუვარდა — კოტოგმა ხომ დაარღვია ელემენტარული საპადრაკო წესი, რომელიც კრძალავს როქის განხორციელებას, თუ მეფეს ემუქრება. მსაჯებმა, რალა თქმა უნდა, მყისვე მოგვარეს საკითხმა და აიძულეს კოტოგი მეფით ეთამაშა. მაგრამ დახეთ ბედის უკუღმართობას! სწორედ მეფით „საჯარმო“ სვლა აღმოჩნდა სპასკისთვის საბედისწერო — კოტოგს მოგება მოუტრანა ამ სვლაში!

არც სუეტინ-გაპსლისის პარტიაში მომხდარი ტრადიკული შემთხვევის დავიწყება შეიძლება. ახალგაზრდა რიგელმა ოსტატმა აიგორ გაპსლისმა ამ შეხვედრაში ჭარბ უპირატესობას მიღწია და უშეკველად მოსაგებ პოზიციაში აღმოჩნდა. თითქოსდა სუეტინს დანებების მეტად აღარავფირრებოდა, მაგრამ გადაწყვიტა უკანასკნელი შანსიც გამოეცადა — შექმნა შამათის საფრთხე... ერთ სვლაში. სულ ილილ იყო ამ საფრთხის თავიდან აცილება, მთელი დარბაზი ხედავდა სვლას, რომელიც სუეტინის მუქარას უუნებელყოფდა. მოწინააღმდეგის ვერავლად ჩანაფიქრს მარტო გაპსლისი ვერ მიხვდა, მისი მეფე საშაშათო ქსელში აღმოჩნდა და სატურნირო ცხრილში ასე სასურველი „ერთიანის“ ნაცვლად დაუმსახურებელი „ბუბლიკი“ ჩაიწერა.

შხლოდ ჭოკიისა და ფეხბურთის მოთამაშეს (გისლოდის სპორტის ამ სხეობათა თავიანთსმცემელიცაა) შეეძლო ასეთ მძიმე წუთებში გარეგნულად მაინც შეენარჩუნებია სიმშვიდე და მოწინააღმდეგისათვის ხელის ჩამორთმევი მიელოცა მოულოდნელი გამარჯვება.

უხეში შეცდომები, როგორც წესი, დამატებულმა ბრძოლამ იცის. ასეთი შეცდომები უდიდეს მოქადრაკეებსაც კი მოსდით ხოლმე. ბოტვინიკ-სმისლოვის შეხვედრა მატჩ-რეგენის მეხუთე პარტიაში ყაიმით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ყველაშათვის მოულოდნელად ბოტვინიკმა გააკეთა ისეთი სუსტი, ასე ვთქვათ, „გაპსლისებუ-



რი“ სვლა, რომ მისი მეფე ერთ-ორ სვლაში გამოუვალ საშამათო მდგომარეობაში ჩაეარდა.

კიდევ ბევრი რამ საინტერესო შეიძლება თქმულიყო XXV საუბილო ჩემპიონატის მონაწილეებზე. და განა მართო მონაწილეებზე?

ორიოდ სიტყვა თუნდაც ვადიმ სინიაესკიზე. ფეხბურთის ისტორიაში ხომ ჰპოვა მან საშურველი ადგილი. საქადრაკო ისტორიაც უთუოდ დააფასებს ისტატებისა და დიდოსტატების ასპარეზობათა ამ განუყრელ თანამგზავრს.

რიგაში ყოფნისას სინიაესკი გამოდიოდა არა მარტო როგორც საქადრაკო მიმოხილველი. იგი ხშირად კითხულობდა ლექციებს ფეხბურთზეც. რიგის ოფიცერთა სახლში წაკითხული ლექციის შემდეგ სინიაესკის ჰკითხეს:

— რით უნდა აიხსნას, რომ მწვერთნელი ბორის არკადიევი „ლოკომოტივიდან“ თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გულში გადავიდა?

რადიოკომენტატორი არ დაიბნა და ამ კვიმატ კითხვას ხუმრობით ასე უპასუხა:

— ბოდიშ ვიხდი, მაგრამ განა თქვენ უკეთ არ იცით, როდის გაიწვიოთ კაცი ჯარში — თვრამეტი თუ სამოცი წლის ასაკში?!

ენა უკრის სინიაესკის, გონებაც მახვილს აქვს. როცა იგი ლატვიის სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამართულ მიღებაზე დაგვიანებით მოვიდა, ბუნებრივია, იქ დამსწრეთა — ყველასი უკლებლივ — ყურადღება მიიქცია. სიტყვაც მას უბოძეს. მაგრამ რა თქვას? მან ხომ არ იცის ვისი სადღეგრძელო შეისვა უკვე ვისი არა. სინიაესკიმ აქაც ნახა გამოსავალი — გულითადი მადლობა გადაუხადა მასპინძლებს ასეთი გულთა მიღებისათვის და განაცხადა:

— დღევანდელი ტურის დანარჩენ პარტიებზე მოვითხოვთ დიდოსტატი ალექსანდრე ტოლუში!

მოულოდნელობისაგან ლენინგრადელ დიდოსტატს ლუკმა ყელში გაეჩხირა...



საუბილო ჩემპიონატი უკანაა მოტოვებულს. სმისლოვ-ბოტვინიკის მატჩ-რევანში დასასრულს უახლოვდება. წინ კი ახალი დაძაბული საქადრაკო ბრძოლებია. მართლაც რომ ჰადრაკის მოვარულთ მოსვენება არ უწყერიათ!





## შევისწავლოთ და გაემოგანგებოთ

ეს პატარა ამბავი შეიძლება ბევრმა უმნიშვნელოდ ჩათვალოს, მაგრამ ვფიქრობთ, სპეციალისტები, კერძოდ აღმოსავლეთმცოდნეები და ისტორიკოსები, დაინტერესდებიან.

ირანული ჟურნალის „ფაიაშე ნოე“-ის („ახალი ამბები“) ძველ კომპლექტებს ვათვალიერებდი. აღნიშნული ჟურნალი თეირანში გამოდის და ირან-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ყოველთვიური ორგანოა.

დაინტერესდა ცნობილი ირანელი ფილოლოგის პროფესორ სეიდ ნაფისის ვრცელი ნაშრომით „ილუსტრირებული ბექდვის ხელოვნება ირანში“ („ფაიაშე ნოე“, № 4, 1324 პიჯრით, 1946 წ. ჩვ. წელთაღრიცხვით). ნაშრომი საყურადღებო და მნიშვნელოვანია მით, რომ მასში მოკლდა აღწერილი ბექდვის განვითარება გუტენბერგიდან დაწყებული, ვიდრე პოლოგრაფიის დღევანდელ მიღწევებამდე. ავტორის კვლევის საგანს ძირითადად წარმოადგენს ირანში ბექდვის განვითარების ისტორია, სადაც განსაკუთრებით ხაზგასმულია ტყვიის სტამბის დაარსება, მისი განვითარება ირანში კერძოდ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში და სტამბის როლი ირანის კულტურის განვითარების საქმეში.

და აი ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა აბზაცმა, სადაც ლაპარაკია თეირანში ტყვიის სტამბის დამაარსებელზე, ვინმე მანუჩარ ხან მონათმბადულ გურჯიც.

აი ეს აბზაცი:

„თეირანში 1239 წელს მთვარის კალენდრით (1823 წ.) დაარსდა ტყვიის სტამბა. პირველი წიგნი, რომელიც იმავე წელს დაიბეჭდა ამ სტამბაში, იყო „მაჰარიკულ კულუბი“ („ანთებული გულუბი“). ეს სტამბა თეირანში არსებობდა 1270 (1853) წლამდე მთვარის კალენდრით; იქ გამოცემული უკანასკნელი წიგნი იყო „მოჯალი-სუნ მოთაკინი“ („ღვთისმომშიში მოსაუბრე“) შაჰიდ ლუშასათისა.

ამ სტამბის დამაარსებელი და დირექტორი მანუჩარ ხან მონათმბადულ გურჯი ერთ-ერთი სახელოვანი კაცი იყო მოჰამედ შაჰისა და ნასრედინ შაჰის კარზე. ამიტომ ამ სტამბაში გამოსუ-

ლი წიგნები „ჩაფე მონათმბადულ“ (მონათმბადულს სტამბა) სახელითაა ცნობილი“.

თითქოსდა მნიშვნელოვანი აქ არაფერია, მაგრამ თუ აღამაინმა იცის ქართველი კაცის დამოკიდებულება სიტყვასთან „გურჯი“ („ქართველი“ — აღმოსავლურ ენებში), მაშინ უნებლიეთ თვალწინ წარმოუდგება მამულიშვილი, რომელსაც, მიუხედავად თავისი პოლიტიკური, ეკონომიური თუ თანამდებობრივი და, რაც მთავარია, რელიგიური მდგომარეობისა, თავისი სამშობლოს სიყვარული და ქართველობა ამ პატარა სიტყვით შეიმოუხანავს.

იმ მრავალრიცხოვან ქართველთა შორის, რომელთაც ძველი საქართველოს პოლიტიკური ბედის უკუღმართობის გამო არ დასცადათ თავიანთი ნიჭისა და ცოდნის გამოყენება სამშობლოს კეთილდღეობისათვის, იყო მანუჩარ ხან მონათმბადულ გურჯიც, რომელსაც თავისი შესაძლებლობანი და უნარი ირანში გამოუჩენია.

ცნობილი ფაქტია, რომ მიუხედავად მუსულმანური ქვეყნების პოლიტიკური მმართველობის მკაცრი რეპრესიებისა, აღმოსავლეთ სახელმწიფოში გადახვეწილი თუ ძალით გადასახლებული ქართველობა თავი ენახა და კეთილშობილებას, ქართულ ტრადიციას, ადასა და, საერთოდ, კულტურას არა ჰკარგავდა, მაგრამ დრომ და შექმნილმა პირობებმა თავისი ქნეს და ამ ქვეყნებში მცხოვრებ ქართველთა უმრავლესობამ დაჰკარგა საკუთარი ქრისტიანული რელიგია და ძალით იქნენ გამოუსულმანებული. მუსულმანური რელიგიის კანონით კი ყველა მამკადაინი ვალდებულია ატაროს ისლამური წარმოშობის სახელი. მიუხედავად ასეთი მკაცრი რელიგიური თავიანთისა, გამუსულმანებულ ქართველობა იკავდა ისლამურ სახელთან ერთად მოღმორებლად და წმიდად ატარებდა „გურჯის“ — იქნებოდა ის ხანი, ხელისანი, მეომარი თუ გლეხი, ამით ის ინახავდა თავის წარმოშობას, ეროვნებას და თავის სახელთან მიწერილი „გურჯით“ შთამომავალს უნახავდა ეროვნულ ფუძეს.

ისტორიას მრავალ შემოუხანავს საქართველოდან გადახვეწილ თუ გადასახლებულ ამ

ქართველთა სახელი, რომელთაც თავი გამოუჩინათ უცხოეთში, მაგრამ ბევრის სახელი ჯერ კიდევ უცნობია და მკვლევარს ელის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ დღემდე შეინახულია ბევრი ასეთი სახელი უცხოეთში მოღვაწე ქართველისა, ამას უნდა ვუმადლოდეთ ისევე მათს დიდს სიყვარულს საქართველოსადმი, რასაც ვგებულობთ სწორედ ამ მოუშორებელი სიტყვით „გურჯი“.

სადაც არ უნდა ყოფილიყო გადახვეწილი ქართველი — ინდოეთის ზღაპრულ ქალაქებში თუ ჩრდილო აფრიკის ოაზისებში, ირანის შაჰის მდიდრულ სატახტო კარზე თუ ევროპის ცივილიზებულ ქალაქებში, რანაირი პოლიტიკური წყობის ქვეყანაც არ უნდა ყოფილიყო ან რომელი რელიგიის მიმდევარიც, იგი მაინც თავის იქაურ სახელთან ერთად წმიდად ატარებდა თავისი სადასურების აღმნიშვნელ სახელს — აღმოსავლეთში „გურჯის“, ხოლო დასავლეთში „ივერიელს“ ან „გეორგიანელს“. სამშობლოსაგან მოწყვეტილი ამითღა თუ იოხებდა დარღს.

სხვათა შორის ამ მხრივ აღსანიშნავია ჩეხი მოგზაურების ირეი განზელკასა და მიროსლავ ზიკმუნდის სქელტანიანი წიგნი „აფრიკა ოცნებასა და სინამდვილეში“ (ტ. I, 1956 წ., რუსულ გამოცემა), სადაც სწორედ სიტყვა „გურჯის“ კონცეფციის დამამტკიცებელი ფაქტორი მასალა მოცემული.

ეს წიგნი საერთოდ უმარავი ფოტოთა ილუსტრირებული და აი, 64 და 65 გვერდებს შუა ჩართულ ფოტოსურათებს შორის არის ასეთი: მეჩეთის შიგნითა ინტერიერი, მშვენივრად მოწყობილი მუხურები და მოხატული, რომელსაც ქვევით აწერია „მეჩეთი, ჯამააჲურჯი ტრიბოლში“, ე. ი. ქართველების მეჩეთი ჯამა.

ამ პატარა, მაგრამ ფრიად საგულისხმო ფაქტიდანაც ნათლად ჩანს, რომ შორეულ აფრიკაშიც კი ვამუსულმანებულ ქართველებს, რომელთაც თავიანთი სარწმუნოება ქრისტიანობა უკვე ისე დაუკარგავთ, რომ მეჩეთების შენებაც კი დაუწყიათ (როგორც სურათიდან ჩანს, ეს მეჩეთი მშვენიერი ხუროთმოძღვრული ძეგლია), თავიანთი ეროვნული ძირი მაინც შეუნახავთ და ამ სრულიად არაქართული სარწმუნოების სალცავისთვისაც კი ქართული დაურქმევიათ.

ამ გადასახლებული თუ გადახვეწილი ქართველობის სიმრავლე განსაკუთრებით საგრძნობია მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში (გასაგები გეოგრაფიული გარემოების გამო) და, კერძოდ, ირანში.

ირანის კულტურის განვითარების ისტორიას თუ გადახვდებით, მრავალი ქართველი მოღვაწის სახელს შეეხვებით. ზოგიერთი მათგანი ჩვენთვის ცნობილია — ესენი არიან მწერლები, მხატვრები, სარღლები, სახელმწიფო მოღვაწეები და მდივანბეგები, რომელთაც ირანის ისტორიაში დიდი როლი უთამაშიათ და მათი სახელებიც მატანეს დღემდე შემოუნახავს, მაგრამ ბევრი გადახვეწილი თუ გადასახლებული ქართველის სახელი ჩვენთვის დღესდღეობით ბურუსითაა მოკული და შეუსწავლელია, რადგან ირან-საქართველოს კულტურული ერთიერთობის ისტორია, სადღესოდ ნაკლებდაა შესწავლილი.

და აი ირეკვა, რომ ერთ-ერთ ქართველ მოღვაწეს 1823 წელს თეიხანში პირველად დაუარსებია ტყვიის სტამბა, რომ მანუჩარ ხან მოათმადულ გურჯი დიდი მოღვაწე ყოფილა ირანის კულტურის განვითარების საქმეში. ხსენებულ ტიტულში გარკვევით წერია აგრეთვე, რომ ის ირანის ორი შაჰის — მუჰამედ შაჰისა და ნასრედინ შაჰის კარზე სახელოვანი კაცი ყოფილა და წიგნებზეც მისი სახელით გამოდიოდა.

როგორც მანუჩარ ხან მოათმადულ გურჯის სახელიდან ჩანს, იგი არისტოკრატიული წარმოშობისა უნდა იყოს, სხვანაირად მის სახელს ხანის ტიტული არ ექნებოდა; წერილის ავტორი პროფ. სიედ ნაფისი არაფერს ამბობს იმაზე, თუ ვინ იყო მანუჩარ ხანი, რა მიზეზით გადიხვეწა ირანს, ან სხვა რა საქმეები გაუკეთებია და რით იყო შაჰების კარზე სახელოვანი კაცი. აღნიშნავს მხოლოდ როგორც ფაქტს, რომ მან პირველმა დააარსა ირანში ტყვიის სტამბა და სახელოვანი კაციც ყოფილა შაჰების კარზე.

კარგი იქნება ქართველმა აღმოსავლეთმცოდნეებმა და ისტორიკოსებმა ამ პატარა ფაქტს ყურადღება მიუქციონ, შეისწავლონ და გამოიშველონ ამ გადახვეწილი ქართველის ცინაობა და საქმიანობა, რაც საინტერესო იქნება ჩვენი კულტურის ისტორიისათვის.

ნოდარ კობლაშვილი





ალბანეთი

გამოცემის საქმი

უკანასკნელი 18 წლის მანძილზე ალბანეთში გამოვიდა უფრო მეტი წიგნი, ვიდრე მთელი 500 წლის განმავლობაში ალბანურ ენაზე პირველი წიგნის გამოცემის დღიდან

აუშ

პრემია... უარსი ფილიპისათვის

პარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტებმა თავიანთი ყოველწლიური პრემიები — „პარვარდის ლამიონები“ წელს შიანქეს უარესი ფილმის შემქმნელებს და როლის უარეს შემსრულებლებს. ეს არახაზარბიელო პატივი წილად ზედათ ხსილი ბ. დე შილის „სუპერ-ფილმს“ — „ათი ცნება“, მსახიობ ქალ ჯენიფერ ჯონსონს, რომელიც თამაშობს კინო-ფილმში — „რუხკოსტუმანი კაც“ და ელვის პრესლის — როკ-ნ-როლის მომღერალსა და შემქმნელს, რომელიც თამაშობს ფილმში — „ნაზად გიყვარდე“.

პემინგუეი ემდარის კოლივულს

პოლივულში დიდ ყურადღებას იჩინენ გამოჩენილი მწერლის, ნობელის ლიტერატურული პრემიის ლაურეატის ერნესტ ჰემინგუეის ნაწარმოებებისადმი.

ამის მიზეზი უბრალოა და გულახდილად გამოსთქვა კიდევ განთქმულმა სცენარისტმა დევიდ სელზნიკმა: „ჰემინგუეი მაგნიტია, რომელიც იზიდავს მაყურებელს. მისი რომანისა თუ ნოველის მიხედვით დადგმულ ყოველ ფილმში ის კვეთს მთავარ და პასუხსაგებ როლს თამაშობს“. მიუხედავად ამისა, მწერალს არც თუ ისე მეგობრული დამოკიდებულება აქვს პოლივულის — ამ „მეშვიდე ხელოვნების“ დედაქალაქის მხედვებთან.

ამას წინათ შესდგა პრემიერა რეჟისორი დერილ ცანუკის ახალი ფილმისა — „და ამოდის მზე“. ფილმი, რომელიც ვადაღებულია ჰემინგუეის ამავე ხანელწოდების ცნობილი რომანის მიხედვით, მსოფლიო კინო-კრიტიკამ დაიწუნა, ახლა კი ამ ფილმს გამოუჩინდა კიდევ ერთი ახალი კრიტიკოსი — თვით ერნესტ ჰემინგუეი. ლონდონის ერთ-ერთი ყურნალის კორესპონდენტთან საუბარში ჰემინგუეიმ განაცხადა: „ეს ფილმი არაჩვეულებრივად პრიმიტიულია. დერილ ცანუკი აქ გვევლინება ტურისტული კომპანიის „კუკის“ იაფფასიან ორატორად, რომელსაც ჯგუფურ ექსკურსიებზე დაჰყავს გულმარყვილო ტურისტები პარისის ყველაზე ცნობილი, ეგრეთ წოდებულ ბოჰემურ სასტუმროებსა და რესტორნებში. ამ ფილმს უხეირო ჩმახვის მეტი სხვა არაფერი დაერქმევა. აბა ერთი წარმოიდგინე: ცანუკი მექსიკის ქუჩებში დაგატარებთ და სურს დაგარწმუნოთ, ესპანეთში ხართო...“

ეს ამბავი რომ შეიტყო, დერილ ცანუკმა მოიწვია საგანგებო პრესკონფერენცია, გულუხვად გაუმასპინძლა კოლივსონდენტებს შამპანურით და შემდეგ მოჰყვა გოდებას: ჰემინგუეის არ ეკადრება ფილმის ასე ძაბება, რადგან სწორედ ამ ფილმიდან ჩაიჯება კარგა დიდი თანხა — 15.000 დოლარი. კორესპონდენტთა შენიშვნაზე, ჰემინგუეიმ ეს ფული ფილმიდან კი არა, მისი რომანის ეკრანისაციის ნებართვისათვის მიიღო (სცენარის დაწერაში მას ხომ არ მიუღია მონაწილეობა), ცანუკი იძულებული იყო ეპასუხა: დიახ, ეგრეთა. მაგრამ როდესაც კორესპონდენტებმა ჩაიციენ, ცანუკმა განაცხადა: „თუ ჰემინგუეის არ მოეწონა ფილმი, მას ერთხელ კიდევ უნდა გადაეკითხა თავისი რომანი. ალბათ დაავიწყდა, თუ რა ფასი აქვს ახლა 1926 წელს დაწერილ ნაწარმოებს. მე მგონი,

მას რომანი ფილმზე ნაკლებად მოეწონებოდა“.

ამ განცხადებას მაშინვე მოჰყვა ასეთი შეკითხვა: „მას რისთვისდა გადასწყვეტით ფილმის დადგმა სწორედ ამ რომანის მიხედვით?“ პასუხად ცანუკმა მხოლოდ მხრები აიჩინა და პრესკონფერენციაც ამით დამთავრდა.

ეს ჰემინგუეის პირველი შეტაკება როდია თავის ეკრანისატორებთან. რამდენიმე წლის წინ იმავე ცანუკის მიერ ეკრანისებულ ნოველა „ილიდინანჯაროს თოვლი“ ჰემინგუეიმ ასე შეფასა: „ჩემი მოკრძალებული აზრით, ეს ფილმი მიქარვია და სხვა არაფერი. მე მგონია, ფილმის უფრო მოუხეზოდა სათაური — „ძია ცანუკის თოვლი“ და არა „ილიდინანჯაროს თოვლი“. ამ ყმაწვილმა ისე შეტომა, რომ ფილმი „ჰემი ენდ“-ით დააბოლოვა“.

თავის ფილმებს შორის ჰემინგუეის ყველაზე ნაკლებ მოსწონს ფილმი „მებრძოლნი“, რომელსაც მან პირდაპირ უწოდა როშვა, ბოდვა და ახდაუბდა.

მაგრამ ეჭვი არავის ეპარება, რომ პოლივული ადრინდებულად უმარავ ფულს მისცემს მწერალს მისი ნაწარმოებების ეკრანისაციის ნებართვისათვის. საქმი იმაშია, რომ, ზემოთ აღნიშნული მიზეზის ვარდა, ჰემინგუეის ნაწარმოებები თავისი სტალიტური და კომპოზიციური თავისებურებებით საეკრანისაციოდ ფრიალ იოლია. გამოჩენილმა სცენარისტმა პეტერ ვერტელმა (მას ეკუთვნის სცენარი ფილმებისა: „და ამოდის მზე“, „მოხუცი და ჯდე“) განაცხადა: „ჰემინგუეის ნაწარმოებები იდეალურია საეკრანისაციოდ, რადგან ყოველი სცენა ბრწყინვალედაა გამოძერწილი, ხოლო დიალოგები შეუდარებელია“.

არის კიდევ ერთი, არც თუ

1 ბედნიერი დასასრული (ინგლ.).



ისე უმნიშვნელო მიზეზი: მუშის უფლებები სხვათაზე უფლებებით მცირე ჰონორარს ითხოვს.

**მუსიკალური ბრახსაბრუსნი**  
ამერიკული ჟურნალი „ტაიმსი“ წერს მუსიკალური „ბრახსაბრუსის“ შესახებ, რომელშიც მოიცვა შეერთებული შტატები. ამერიკის ქალაქებში საშუალოდ შეიქმნა ათასობით სიმფონიური ორკესტრი, ურცხვი მუსიკალური ლიგები, არტისტული ანსამბლები და საოპერო დასები. ახალ ნაწარმოებთა პრემიერების რიცხვი თითქმის სჭარბობს კიდევ ყოველგვარ ევროპულ საზოგადოებას. „მაგრამ ხანდახან — წერს „ტაიმსი“ — მუსიკალური ბრახსაბრუსი ნაინაირი ხმების მასიურ იერიშს უფრო წაავსებს, ვიდრე კულტურულ გამოფენილებას, და საზოგადოებად აღარ იცის სად დაემალოს ამ ხმებს. ზოგი ფსიქოლოგი იმასაც კი აცხადებს, ამერიკას სინიუმის შიში დაეწყო. გრამფირფიტებიდან, რადიოებიდან, რადიომიწილებიდან, ტელევიზორებიდან ისმის გრიალი, ჭრიალი და ჭინიფა მუსიკისა, რომელიც შეუკავებლად უტევს ჩვენს ხალხს“.

**გერმანია**

**გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა**

**საბჭოთა მოთხოვნების კრებული**

გამომცემლობამ „კულტურულ ფორტრიტ“ გამოცხადებულა მწერლების მოთხოვნათა კრებული — „რუსული პროზის ოსტატთა მოთხოვნები“. აქაა მ. გორკის, ალ. ტოლსტოის, კ. პაუსტოვსკის, ა. კარაევას, კ. ფედინის, ვ. კობტაევის, კ. სიმონოვის და სხვ. პატარა-პატარა მოთხოვნები და ნოველები — სულ 29 მწერლის 29 ნაწარმოები.

გამომცემლობამ კრებულს წაუძღვარა წინასიტყვაობა, სადაც ნათქვამია: „ნშირად

სწორედ მოთხოვნისა და ნოველის ფორმაში მუდავდება ხოლმე მწერლის ოსტატობა. უკანასკნელი ოთხი ათეული წლის განმავლობაში საბჭოთა მწერლებმა განამტკიცეს და დაამკვიდრეს რუსი კლასიკოსების ცნობილი ტრადიციები. ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენ მიერ გამოცემული პატარა მოთხოვნები, რომლებიც უბრწყინვალესი მსოფლიო ნიმუშებია. ექვი არ არის, რომ მოთხოვნების ეს კრებული საბჭოთა ლიტერატურას ბევრ ახალ მეგობარსა და თაყვანისმცემელს შეხსენს“.

**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა**

**„კედამგოზური ლიტერატურა“**

სახელმწიფო ინსტიტუტის თანხმობით ბავარიის სკოლების ბიბლიოთეკებში მიიღეს გამოცემები, რომლებიც ქებას ასხამენ ფაშინგს, მილიტარიზმს და ანტისემიტობას. ბავარიელ მოსწავლეთათვის განკუთვნილ წიგნებში არის მწერალთა ნაციტური კავშირის ყოფილი თავმჯდომარის ბლუნკის, რასიზმის საკითხებში პიტლერის ყოფილი მრჩეველის კლაუსისა და შპრინგენშმედტის „ნაწარმოებები“ (ეს შპრინგენშმედტი იყო, ოდენაც რომ წერდა შესაფერი ფსევდონიმით — „ჰაქენკრიეტი“, რაც „სვასტიკას“ ნიშნავს).

**ღანი**

**ჰანს კირკის 60 წლისთავი**

მარტინ ანდერსენ ნეცეს სიკვდილის შემდეგ დანიაში ყველაზე პოპულარული მწერალია ჰანს კირკი, რომლის 60 წლისთავი მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა. ჰ. კირკი ცნობილია თავისი საუტხოო რომანებით, რომლებიც ამხილებენ კაპიტალისტურ საზოგადოების წყულს, მაგრამ დანიელი მკითხველები იცნობენ მის აგრეთვე, რო-

გორც პოლიტიკურ მოქმედებების კომენტატორს, — იგი სწრაფად ეხმარება ხოლმე პოლიტიკურ ამბებს გაზეთში „ლანდოგ ფოლკ“, რომლის მდღევან თანამშრომელიცაა. მებრძოლი სულიკვეთება და ჭაბუკური შთაგონება მოწოდებენ, მწერლის შემოქმედების უბერებლობას.

**ესპანეთი**

**პროგრესული რეპისონის ახალი ფილმი**

თანამედროვე ესპანეთის პროგრესული საზოგადოებრიობა განთქმულია თავისი ორი კინორეჟისორით — ხ. ა. ბარდემითა და ლუის ბერლანგით, რომლებმაც თითქმის არაღებულურად, მდიდარი კინოფორმების დაუმხარებლად და პოლიციის გაძლიერებული ყურადღების პირობებში, შესძლეს შეექმნათ პროგრესული იდეებით განსმკვალული მაღალმხატვრული ფილმები. ლუის ბერლანგმა, რომელსაც ეკუთვნის „სალამი, ბატონო მარშალო“, შექმნა ახალი მხატვრული ფილმი, რომელიც ეხმარება თანამედროვე კაცობრიობის წინაშე მდგარ უმნიშვნელოვანეს პრობლემას — ატომური შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლას, ატომური ენერჯის ხალხთა საკეთილდღეოდ გამოყენებისთვის ბრძოლას. ფილმის გმირს, გამოჩენილ სწავლულს არ სურს თავის ცოდნა მოახმაროს ხალხთა მასობრივი ტყუილების საქმეს; ამიტომ იმალება ესპანეთის ერთ მყრუებულ, პატარა სოფელში და მიამიტად ფიქრობს, რომ ამით იხსნის კაცობრიობას. მეცნიერს ეძებენ გაზეთები, რადიო, არმა და საიდუმლო აგენტები, სამხედრო ჯარხნები ელიან მის ხერხმულს, ის კი უდარდელად ტკემა ზღვისპირა სოფლის მშვიდი ცხოვრებით, ეცნობა უბრალო, გულაღალად მიანებს და საულითა და გულით ეხმარება მათ, რომ ბედნიერად იცხოვრონ. მაგრამ როდესაც



შეაგნებენ და მის „დასაცავად“ მთელი სამხედრო ფლოტილია მოდის, შეცნობილი თვითონვე გადაწყვეტს ხელი აიღოს თავის მახიურ როლზე და დაუბრუნდეს ქვეყანას, როგორც მემამბოხე და მებრძოლი იმათ წინააღმდეგ, ვისაც კაცობრიობის წინააღმდეგ ბოროტი განუზრახავს.

**ინგლისი**

**კვლავ შოუს მემკვიდრეობის თაობაზე**

ბერნარდ შოუს ანდერძი — ჩემი მემკვიდრეობის ნაწილი ინგლისური მართლწერის რეფორმის დასაფინანსებლად მოახმარეთო, მალე განხორციელდება. შოუს გარდაცვალების დღიდან, 1950 წლიდან, მიმდინარეობს იურიდიული კამათი ანდერძის ამ ნაწილის შესრულების თაობაზე. უკანასკნელ ხანებში ეს კამათი კომპრომიზით დამთავრდა: გამოცხადებულია კონკურსი ფონეტიკური ანბანის შესაქმნელად. მწერლის მოთხოვნის თანახმად ანბანში უნდა იყოს 16 ხმოვანი და 24 თანხმოვანი. პირველი წიგნი, რომელიც გამოიცემა ამ ანბანის მიხედვით, უნდა იყოს ბ. შოუს ნაწარმოები — „ანდერძული და ლომი“.

**იტალია**

**ჩამოვი იტალიაში**

უკანასკნელ ხანებში იტალიაში ძალიან დაინტერესდნენ ჩეხოვის შემოქმედებით. ამას წინათ გამოვიდა ჩეხოვის სრული თხზულებანი, აგრეთვე რჩეულ ნაწარმოებთა მახიური გამოცემა. განთქმულმა იტალიელმა რეჟისორმა ლუკინო ვისკონტიმ დადგა ჩეხოვის პიესა „სამი და“, რომელსაც კრიტიკამ „დაუფიქსარი“ უწოდა, ხოლო ბოლონის თეატრმა მკურნებელს აჩვენა ჩეხოვის „გედის სიმღერის“ ინსცენირება. ფელტრინელის განმცემლობამ მილანში გამოსცა „ჩემი ჩეხოვის უბის წიგნაკები“, რაც

იმას მოწმობს, რომ იტალიის ხალხთაგან ბევრს ხურს უფრო ღრმად გაეცნოს დიდი რუსი რეალისტის შემოქმედებითს ლაბორატორიას.

**იუგოსლავია**

**აუშკინის ნაწარმოები ექრანზე**

დასასრულს უახლოვდება მოლაპარაკება იუგოსლავიურ კინოსტუდიის „ბოსნა-ფილმსა“ (სარაევო) და იტალიელ კინომრეწველ დე ლაურენცისის შორის იმის თაობაზე, რომ ერთად გადაიღონ ფილმი ბუშკინის ცნობილი ნაწარმოების „კაპიტანის ქალიშვილის“ მიხედვით.

ფილმის სახელწოდება იქნება „ქარბუქი“. გადაღება დაიწყება ამ გაზაფხულზე რომში, ხოლო შემდეგ გაგრძელდება იუგოსლავიაში, ქ. ზარეიანის მახლობლად, სადაც შენდება ბელგოგრადის ციხე-სიმაგრე და XVIII ს. რუსული სოფელი. როგორც ფიქრობენ, ფილმის რეჟისორი იქნება ალბერტო ლატაუდა, ხოლო მთავარ როლებს შეასრულებენ იუგოსლავიის, იტალიისა და აშშ ცნობილი მსახიობები.

**„შემსარი ინგლისურ თეატრში“**

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის იუგოსლავიის კომისია და ბრიტანეთის საბჭო ამზადებენ გამოფენას—„შექსპირი ინგლისურ თეატრში“, რომელიც ამ გაზაფხულზე გაიხსნება ბელგრადში, ხოლო შემდეგ ალბათ ექსპონირებული იქნება სხვა ქალაქებშიც.

გამოფენაზე ასახული იქნება შექსპირის ნაწარმოებთა დადგმები როგორც ავტორის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ, თანამედროვე დადგმების ჩათვლით. გამოფენის ნაწილს მიეძღვნება შექსპირის ნაწარმოებთა პირველი გამოცემების უნიკალურ ეგზემპლარებს.

**მოსკო**

**ბოდლერის მემორიალური ნოველა**

რეშენ გამოცემლობამ გამოსცა ბოდლერის ერთადერთი ნოველა „ფანტაზოლი“. პოეტი უარს ამბობდა ამ ნაწარმოებზე და ბოლოს საერთოდ დივიწყა კიდეც, მაგრამ ბოდლერის შემოქმედების მოყვარულებმა ეს ნოველიანი პაწაა რომანი გულწრფელი სიხარულით მიიღეს.

**მოლოლოტი**

**პროვზული თეატრის და წლისთავი**

თავის არსებობის 25 წლის მანძილზე მოლოლოტის დრამისა და ოპერის სახელმწიფო თეატრმა მკურნებელს აჩვენა შექსპირის, შილერის, გოლდონის, გოგოლის, ჩეხოვის, მოლიერის, შოუს და სხვა განთქმული დრამატურგთა პიესები, აგრეთვე ვერდის, მუსორგსკის, ბიზნესა და პუჩინის ოპერები. გარდა ამისა შეიქმნა ეროვნული დრამატურგია და ოპერა.

**ნორვიგია**

**წიგნი ნურდალ გრიგის შესახებ**

ნორვეგიელ ხალხს მხურვალედ უყვარს თავისი პოეტი ნურდალ გრიგი. ამ სიყვარულის გამოყენებას თავიანთ სასარგებლოდ ცდილობენ მემარჯვენე პოლიტიკოსები ყველა სკანდინავიურ ქვეყანაში, სადაც გრიგი გმირობისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდია მიჩნეული. ამიტომ მწერლის ქვრივმა გამოსცა დოკუმენტების წიგნი, რომელსაც ეწოდება — „ნურდალ გრიგი, როგორც მე ვიცნობდი“. ამ წიგნში დაბეჭდილია ის წერილიც, რომელიც სიკვდილის წინა ხანებში მისწერა ნ. გრიგმა კონსერვატულ მინისტრს სვენ ნილსენს. ამ წერილში პოეტი



სიმაჟით აცხადებს, რომ ისაა კომუნისტური პარტიის წევრი, იბრძოდა ესპანეთში ფრანკოს წინააღმდეგ და უყვარს საბჭოთა კავშირი. ამასთან გრიგი აფრთხილებს მინისტრს, საჭიროა დაიკავოთ ნათელი და მტკიცე პოზიცია ნაირნაირი კვილიანების მიმართ, რომელთაც ნორვეგიელი ხალხი გაასამართლებს. ეს წერილი აღსარებაცაა და ანდერძიც, და მეტყველებს იმას, თუ რარიგი რწმენა ჰქონდა გრიგის ნორვეგიელი ხალხისა.

### პოლონეთი

#### „მარია სტიუარტის“ აღდგენა

პოლონური გაზეთების აზრით პოლონეთის წლებანდელ თეატრალურ სეზონში დიდი მოვლენა იყო სლოვაკის პიესის „მარია სტიუარტის“ აღდგენილი დადგმა. ამ დადგმის აღდგენა მიეჭლებოდა სლოვაკის დახადების 150 წლისთავს, რომელიც წელს აგვისტოში სრულდება.

### რუმინეთი

#### უძველესი ნასოფლარი

რუმინეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებმა კრემონაში უდიდესი აღმოჩენა მოახდინეს. მათ გათხარეს მსოფლიოში უძველესი პალეოლითური ნასოფლარი და 5.000-მდე კუთის იარაღი იპოვნეს. რუმინელმა სწავლულებმა გამოარკვეეს, რომ კრემონა ჯერ კიდევ 30.000 წლის წინათ დასახლებული იყო ადამიანებით.

#### რუმინული ფოლკლორი

ფოლკლორისტიკის ინსტიტუტი ბუქარესტში გამოასაცემად ამზადებს მონუმენტურ ნაშრომს — „ფოლკლორი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში“. მთელი ნაშრომი შეადგენს ოცამდე ტომს, რომელთა გამოცემას 15 — 20 წელიწადი დასჭირდება.

### საფრანგეთი

#### ჰიუმოზს „ბანწირულნი“

ვიქტორ ჰიუმოზს რომანი „განწირულნი“ მუდამ აღელვებდა კინორეჟისორებს და უთუოდ ამიტომაც იყო, რომ 1906 წლიდან მოყოლებული, იგი არ მოშორებია კინოეკრანს. 1906 წელს იყო პატეფილის პროდუქცია — მაშინ გადაღებული იქნა რომანის მხოლოდ პირველი თავი; 1912 წელს ალბერტო კაბელანმა გადაიღო ეს რომანი საფრანგეთში; 1924 წელს ბენრი ფესკორტმა შექმნა ახალი ვერსია; 1934 წელს ამ თემაზე შექმნა პირველი ხმოვანი ფილმი ჰარი ბაურმა. ამას მოჰყვა ყოველ წელს ახალ-ახალი ვერსიები ამერიკაში, იტალიაში, იაპონიაში, ინდოეთში.

და აი 1957 წელს საფრანგეთი კვლავ დანტერესდა ამ შესანიშნავი ნაწარმოებით. ამჟამად საფრანგეთი იღებს ფილმს გერმანიის კინოსტუდია „დეფუსა“ და იტალიის „სერენა ფილმთან“ ერთად. დამდგმელი რეჟისორია ცნობილი ფრანგი ხელოვანი ჟან-პაულ ლე-შანუა. ჟან ვალჟანის როლს ასრულებს მსახიობი ჟან ვაბენი, ხოლო ჟავერისას — ბერნარდ ბლიერი. ფილმში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ცნობილი კინომსახიობები ბოურველი, დანიელე დელორმი, სილვია მონფორტი, ალფა რიბა და სხვ.

ფილმის გადაღება დამთავრდება ამ გასაზღვლულზე. ეკრანზე ნაჩვენები იქნება ორ ნაწილად.

#### პრობლემატიკა ფილმი

წელს დაიწყება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივი ფილმის „ნორმანდია-ნემანის“ გადაღება. ესაა ფილმი მეორე მსოფლიო ომის შესახებ, სადაც მოთხრობილი იქნება მამაცობა და გმირობა ფრანგი მფრინავებისა, რომლებიც საბჭოთა მფრინავების მხარდამხარობადაცენ ფაშისმის წინააღმდეგ. სცენარზე მუშაობენ ელზა ტრიოლე და კ. სიმონოვი.

### კლოდ ანტუან ლარაუს ახალი ფილმები

პოლონეთი და საფრანგეთი ერთად იღებენ ფილმს დოხტოვესკის რომანის — „მოთამაშის“ მიხედვით. მთავარ როლს ასრულებს შერარ ფილიპი, ფილმის რეჟისორია კლოდ ანტუან ლარა, რომელიც, შურნალ „ფილმობიგელის“ ცნობით, წელს შეუდგება ტურგენივის ნოველის „პირველი სიყვარულის“ გადაღებას.

#### ურანული მინი დასაცავად

ლექსიკონების კომიტეტმა, რომელსაც მეთაურობს მწერალი უორუ დიუამელი, მიზნად დაისახა დაიცვას ფრანგული ენა დანაგვიანებისაგან. დიუამელმა განაცხადა: ენების ურთიერთგამდირება ბუნებრივი რამაა; მაგალითად, ყოველ 1000 ინგლისურ სიტყვას 750 ფრანგული ძირი აქვს. მაგრამ აუცილებელია ბოლო მივლდეს იმ ფაქტს, რომ ამჟამად ფრანგები ხმარობენ აუარება უცხო სიტყვებს, რომელთა შესატყვისი მოპოვება ფრანგულ ენაში.

#### „მომღერალი მღვდელი“

პარიზში ხენსაცია გამოიწვია „მომღერალი მღვდელი“ ემე დიუვალმა, იტალიელების ახატმა, რომელიც რელიგიური თემებზე ასრულებს ჯაზურ სიმღერებს. ეს მხიბრებელი მღვდელი, რომელიც თავის წარმატებას იმით ხსნის, რომ „ზუგა შთავაგონებს ტექსტსა და მგლოდებს“, უკვე მიწვივის ლონდონის ალბერტ-პოლში, რომელიც 9.000 მაცურებელს იტევს; გარდა ამისა მან ნიუ-იორკის ტელეხედვას დაულო კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც გამოსვლაში 15.000 დოლარი უნდა მიიღოს. როგორც ჩანს, დასავლეთში მეტად გამწვანდა მორწმუნეთა სულგების ოცმიღვა, ამით აიხსნება ეს ახალი მეთოდი — რელიგიური ქადაგებანი ჯაზის ყაიდაზე.



ვიტარაზე საკუთარი აკომპანე-  
მენტით.

### უზრეითი

#### სამართაშორისო

#### კონფერენცია რადიოთი

ბულაბუშტში რადიოთი ჩა-  
ტარდა კონფერენცია ხალხური  
მუსიკის შესახებ. ეს კონფე-  
რენცია მოიწვია საერთაშორისო  
რადიო-ორგანიზაციამ. კონ-  
ფერენციამ მიიღო გადაწყვეტი-  
ლება — გამოცხადდეს საერ-  
თაშორისო კონკურსი საუკეთე-  
სო მუსიკალურ რადიოგადაცე-  
მასზე, რომლის თემა იქნება  
„მშვიდობა და მეგობრობა“, აგ-  
რეთვე 1959 წელს მოეწყოს  
საერთაშორისო კონფერენცია  
საკითხზე: „ხალხური მუსიკა  
რადიოში, როგორც ხალხთა  
დაახლოების საშუალება“. მო-  
მავალი კონფერენციის დროს  
ჩატარდება ხალხური მუსიკის  
ფესტივალი.

### ჩინეთი

#### კინოთეატრების

#### ეკრანზე

მიმდინარე წელს ჩინეთის მა-  
ყურებელი ნახავს 150 ახალ  
ფილმს. მათ შორის 40 ფილმზე  
მეტი იქნება ადგილობრივი კი-  
ნოსტუდოების ნაწარმი, რომ-  
ელთაგან უმეტესობა უკვე  
მზადაა. თემატიკითა და ფორ-  
მით გასული წლის ფილმებთან  
შედარებით ისინი უფრო მრავ-  
ალფეროვანია იქნებიან.

მიმდინარე წელს ჩინელი კი-  
ნომუშაკები რამდენიმე ფილმს  
გადაიდებენ საბჭოთა და ფრანგ  
კინომუშაკებთან ერთად. საბ-  
ჭოთა კინომუშაკებთან ერთად  
ისინი შექმნიან ერთ დოკუმენ-  
ტალურ და ორ სამეცნიერო-  
პოპულარულ ფილმებს; გარდა  
ამისა განზრახული აქვთ ფე-  
რადი მხატვრული ფილმის გა-  
დაღება ფართო ეკრანისათვის.  
ჩინელმა და ფრანგმა კი-

ნემატოგრაფისტებმა თითქმის  
უკვე დაამთავრეს საბავშვო  
ფილმი „ქაღალდის ფრანი“,  
რომელიც მოგვითხრობს ჩი-  
ნელ და ფრანგ ბავშვთა მეგობ-  
რობაზე.

#### მსაპრანტო ჩინეთში

70 წელი გავიდა მას შემდეგ,  
რაც პოლონელმა პროფესორმა  
ზამენჰოფმა მსოფლიოს სა-  
ერთაშორისო ენად შესთავაზა  
ესპერანტო. ამასთან დაკავ-  
შირებით სრულიად ჩინე-  
თის ესპერანტოს საზოგადოებამ  
და პეკინის მშრომელთა კულ-  
ტურის სახსლემ ამას წინათ  
მოაწყო საიუბილეო შეკრება,  
რომელსაც დაესწრნენ სრუ-  
ლიად ჩინეთის ესპერანტოს სა-  
ზოგადოების წევრები, ესპერან-  
ტოთი დაინტერესებული ჩინე-  
თის სახალხო უნივერსიტეტის  
სტუდენტები, მშრომელთა კულ-  
ტურის სახსლესთან არსებუ-  
ლი ესპერანტოს კურსების  
მსმენელები და კულტურის  
სხვა დარგების ორგანიზაციათა  
წარმომადგენლები.

ესპერანტისტების პირველი  
ორგანიზაცია ჩინეთში შეიქმნა  
1908 წ., ხოლო 1921 წ. ესპე-  
რანტო პეკინის უნივერსიტეტ-  
ის ოფიციალურ სასწავლო  
პროგრამაში შეიტანეს. 1951 წ.,  
რევოლუციის გამარჯვების შემ-  
დეგ, ჩინეთში შეიქმნა ესპერან-  
ტისტების ფართო მასშტაბის  
ორგანიზაცია, რომელსაც ერთ-  
დროს ჰქონდა თავისი ურთ-  
ნალიც — „უენმინ-ჩუფუნგობო-  
დაო“. ამჟამად უურნალი კვლავ  
გამოდის. შარშან სრულიად ჩი-  
ნეთის ესპერანტოს საზოგა-  
დოებამ შექმნა კურსები პეკინ-  
სა და შანხაიში, ხოლო ჩინეთის  
სახალხო უნივერსიტეტში ეს-  
პერანტო შეტანილი იქნა არა-  
სავალდებულო საგნად, პეკი-  
ნის მშრომელთა კულტურის  
სახსლემ კი მუშუბისათვის  
გაიხსნა ესპერანტოს კურსები.

#### აზიის მშენებლის ფილმების პირველი ფესტივალი

ამას წინათ პეკინში 15 ქვეყ-  
ნის მონაწილეობით ჩატარდა  
აზიის ქვეყნების ფილმების  
პირველი ფესტივალი, რომელ-  
შიც მოაწყო ჩინეთის კინოსა-  
ზოგადოებამ და უცხოეთთან  
კულტურული ურთიერთობის  
საზოგადოებამ.

ფესტივალზე წარმოდგენილი  
ფილმების ძირითადი თემა  
მეტწილად იყო ადამიანთა  
სწრაფვა უკეთესი და ბედნიე-  
რი ცხოვრებისაკენ, ბრძოლა  
მშვიდობისა და დამოუკიდებ-  
ლობისათვის.

ფილმებს შორის აღინიშნა  
ინდოეთის ფერადი ფილმი  
„მანჯი კი რანი“, რომელიც  
ეხება ინდოელი ხალხის 1857  
წლის აჯანყებას ბრიტანელ კო-  
ლონიზატორების წინააღმდეგ,  
ლიბანისა — „საით“, პაკისტანისა  
— „ბაგჩი“, იაპონიისა —  
„ბრინჯი და გლეხები“, ტაი-  
ლანდისა — „სანტი და ვინა“.  
ფესტივალზე დიდი წარმატება  
ხვდა აგრეთვე ტაჯიკეთის „სტრ  
ფილმს“ იმე შევხვდი ქალი-  
შვილს“ და ჩინურ ფილმს „კუ-  
ლათბურთელი ქალიშვილები“.  
დოკუმენტური ფილმები აჩვენ-  
ნენ ვიეტნამის დემოკრატიულ  
მხარეებში მუშაობის და მონდოლო-  
თის სახალხო რესპუბლიკამ.  
ციელონმა ფესტივალზე გა-  
მოგზავნა ორი დოკუმენტური  
ფილმი — ერთი ასახავს ბე-  
ლოფენებას და ლიტერატურას,  
მეორე კი ბუდისტურ ცერემონი-  
ადას. აზიის ქვეყნების ფილ-  
მები დემონსტრირებული იქნა  
აგრეთვე ჩინეთის მ ქალაქში.  
ფესტივალზე ნაჩვენებმა  
ფილმებმა ცხადყო, რომ აზიის  
ქვეყნების კინომუშაკებს, კი-  
ნოსაზოგადოებებს და სტუ-  
დენტებს ყველა მოსაძებნი აქვთ,  
რომ დამოუკიდებლად შექმნან  
საკუთარი, ეროვნული ხასიათის  
რეალისტური ფილმები.





## ახალი წიგნები

### „საბავშვო მწიგნობარი“

- მ. მრგვლიშვილი — ლექსები. რედ. ი. აბაშიძე, გვ. 230, ფასი 4 მან. 40 კაპ.
- ა. გიწაძე — მდინარის ტოტი. რედ. ი. ნონეშვილი, გვ. 147, ფასი 2 მან. 30 კაპ.
- დ. სფლიაშვილი — ლენინთან შესხვედრა ემიგრაციაში. რედ. გ. ნატროშვილი, გვ. 95, ფასი 2 მან. 40 კაპ.

### საბავშვო წიგნები

- მ. ასათიანი — მიაგულის სიყვარული. რედ. გ. ზაიაძე, გვ. 172, ფასი 5 მან. 80 კაპ.
- ა. ტვარდოვსკი — ლენინი და მელუმელე. თარგმ. ვ. გორგაძისა, რედ. ქ. ქუჩუკაშვილი, გვ. 16, ფასი 1 მან. 30 კაპ.
- ქ. გუგუშვილი — საბავშვო ლექსები. რედ. მაყ. მრგვლიშვილი, გვ. 54, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- დ. ნოზაძე — დიდი რუსი მოგზაურები. რედ. გრ. ზარდალიშვილი, გვ. 110, ფასი 3 მან.
- ა. ხახუტაშვილი — ლეოს საყვირი. რედ. ქ. ქუჩუკაშვილი, გვ. 46, ფასი 2 მან. 40 კაპ.
- ლ. შრგლაშვილი — იყალთოელი ბიჭები. რედ. გ. შატბერაშვილი, გვ. 242, ფასი 7 მან. 30 კაპ.

### „ხელოვნება“

- ხ. ახმეტელი — კრებული. რედ. შ. აფხაიძე, გვ. 278, ფასი 18 მან.

### წიგნების გასწორება

ჩვენი ჟურნალის № 2-ში, მე-14 გვერდზე დაბეჭდილი ლექსის—„სობის პირად“ (ავტორი—ა. მირცხულავა) მეორე სტროფის მეორე სტრიქონი ასე უნდა იკითხებოდეს: „და მიმოფანტავს წილს ნამქერებს“, ხოლო მესამე სტროფის მეორე სტრიქონი—„და შინ ვარსკვლავიც ელავს, ენთება“.

ხელოწერილია დასაბეჭდად 28/IV-58 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 251.  
 ში 02127. ქალაქის ზომა 70 X 108. ტირაჟი 8.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფგამომცემლობის  
 ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР.  
 Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



ფილი 6 225.

ბ 26/08

5 15/90



ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„Ц И С К А Р И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ